ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

თეა ხომასურიძე

# XVI საუკუნის მედიტერანიზმი: ესპანეთის უნივერსალური მონარქიის და ოსმალეთის იმპერიის ანტაგონიზმი კარლოს V-ის და ფელიპე II-ის ხანაში

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიული ალასანია**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ხოსე ემილიო სოლა კასტანიო**

(ალკალას უნივერსიტეტი, ესპანეთი)

თბილისი

2020

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს XVI საუკუნის ხმელთაშუა ზღვის მთავარი პოლიტიკური ძალების, ესპანეთის უნივერსალური მონარქიის და ოსმალეთის იმპერიის, ურთიერთობის სამეცნიერო-ანალიტიკურ კვლევას. ცნობილმა ესპანელმა ისტორიკოსმა, ვალდეფლორესის მარკიზმა - ლუის ხოსე ველასკეს დე ველასკომ (1722-1772) XVI საუკუნის ესპანურ ლიტერატურას, ეპოქის ერთობლივი გააზრებით, პირველმა უწოდა „ოქროს საუკუნე". მან კასტილიური ენის განვითარების ისტორიოგრაფია ოთხ ნაწილად დაყო; კარლოს V-ის და ფელიპე II-ის მმართველობა მესამე ნაწილში მოაქცია და ,,ოქროს ხანად" წარმოადგინა. მოგვიანებით, ,,ოქროს საუკუნე" გასცდა ლიტერატურის პერიოდიზაციის ჩარჩოს და ესპანეთის იმპერიის ძლიერების აღმნიშვნელ სიტყვათწყობად მოგვევლინა. 1453 წელს, ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაკავებით, ევროპას აღმოსავლეთიდან აღმართული ახალი მუსლიმური ჩრდილი წამოადგა თავს. ოსმალეთის იმპერიის გაძლიერებამ სახე უცვალა საკითხების ისტორიულ გამიჯვნას და ევროპულ ფასეულობებს. თურქულმა საფრთხემ ქრისტიანული სამყარო ერთგვარი იდილიური, რენესანსული შვებისგან გამოაფხიზლა. ქრისტიანობის და ისლამის სიმბოლიზებული დაპირისპირების კვლევით, საფუძველი ჩაეყარა გლობალური პოლიტიკის და მსოფლიო ისტორიის კომპლექსური შესწავლის მეთოდს.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ესპანეთის ჰაბსბურგთა დინასტიის და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობის იდეოლოგიურ, სამხედრო-სტრატეგიულ, ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებზე. ისტორიული ჩარჩო განსაზღვრულია კარლოს V-ის და ფელიპე II-ის მეფობის პერიოდიზაციით. კვლევის მიზანია, გამიჯნოს XVI საუკუნის ,,მედიტერანიზმის", ,,ატლანტიზმის", ,,გლობალიზაციის" კონტექსტები და მოახდინოს მათი საფუძვლიანი შესწავლა.

## Abstract

The present paper is a scientific-analytical study of the relationship between the 16th century Mediterranean main political forces, the Spanish Universal Monarchy, and the Ottoman Empire. A well-known Spanish historian Luis José Velázquez de Velasco (1722-1772), Marquis of Valdeflores, was the first to call the Spanish literature of the $16^{th}$ century a ,,Golden Age" in the common sense of the epoch. He divided the historiography of the development of the Castilian language into four parts. The reign of Charles V and Philip II had been placed in the third part, and was presented as the Golden Age of the Spanish language. Later this term went beyond literary periodization and, in general, by other authors it became the words that meant the global strength of the Spanish Empire. With the conquest of Constantinople by Ottomans in 1453, a new Muslim shadow emerged in Europe from the east. The strengthening of the Ottoman Empire changed the face of the historical separation of European problems and values. The Turkish threat has awakened the christian world from a kind of idyllic and Renaissance relief. The symbolic-ideological confrontation between Christianity and Islam laid the foundations for a complex study of global politics and world history.

The paper focuses on the ideological, military-strategic, economic, and cultural aspects of relations between the Spanish Habsburg dynasty and the Ottoman Empire. The historical framework is defined by the periodization of the reigns of Charles V and Philip II. The aim of the research is to separate the contexts of ,,mediterranism", ,,atlantism" and ,,globalization" in the 16th century and to study them thoroughly.

სარჩევი

აბსტრაქტი......................................................................................................................2

აბრევიატურები.............................................................................................................6

შესავალი........................................................................................................................7

თავი 1. ხმელთაშუა ზღვის გზაჯვარედინი - ესპანეთის და ოსმალეთის იმპერიების გენეზისი

1.1. ,,მედიტერანიზმი“ - ისტორიული კონტექსტი.....................................................35

1.2. კათლიკური მონარქიიდან ჰაბსბურგების უნივერსალურ იმპერიამდე...........41

1.3. მადრიდის ,,ავსტრიული სამეფო კარი“ - ჰაბსბურგთა დინასტია......................45

1.4. ფელიპე II და უნივერსალური მონარქიის იდეალიზმი.......................................51

1.4.1. ,,პოლიტიკური მშვიდობა“ და რელიგიური იდეოლოგია ესპანეთის მონარქიაში...................................................................................................................54

1.5. ოსმალეთის იმპერიის გენეზისის ძირითადი თავისებურებები........................59

თავი 2. კონსტანტინოპოლი და „დიდი თურქი“ კათოლიკური მონარქიის ცნობიერებაში

2.1. პირველი ესპანური ცნობები კონსტანტინოპოლსა და ,,თურქზე“.....................65

2.2. კონსტანტინოპოლის დაცემის ფსიქოლოგიური ფაქტორი................................70

2.3. მედიტერანიზმის ხანის ესპანური ცნობები თურქების შესახებ ........................74

2.4. ,,თურქული საკითხი“ XVI საუკუნის ესპანურ ლიტერატურაში........................84

თავი 3. XVI საუკუნის მედიტერანიზმის უნივერსალურობა

3.1. გეოგრაფიული აღმოჩენები და გეოპოლიტიკური ინტერესები.........................90

3.2. საზღვაო პოლიტიკა XVI საუკუნის ხმელთაშუაზღვისპირეთზე......................100

3.3. ფირი რეისის ცნობები...........................................................................................105

თავი 4. მეკობრეობა და ტყვეთა საკითხი ,,ოქროს საუკუნის“ მთავარ სცენაზე

4.1. მეკობრეობა ხმელთაშუა ზღვაზე და ,,ატლანტის ომი“…................................109

4.2. ტყვეთა საკითხი - მედიტერანიზმის ტრაგედია.................................................117

**თავი 5. ესპანეთისა და ოსმალეთის იმპერიების ანტაგონიზმის დასაწყისი**

5.1. კათოლიკური მონარქიის ,,მესიანური როლი”....................................................128

5.2. ოსმალეთის იმპერიის ,,ტოლერანტობა“...............................................................135

5.3. უნივერსალური იმპერიის ,,აღმოსავლური პოლიტიკა“.......................................143

**თავი 6. XVI საუკუნის იმპერიალიზმი: იდეოლოგია, მილიტარიზმი და ეკონომიკა**

6.1. იმპერიული იდეოლოგიები - „ოქროს ხანის“ რელიგიური წონასწორობა......152

6.2. მედიტერანიზმის იმპერიული ბალანსი - კონფლიქტი, მშვიდობა, იდეოლოგია.......................................................................................................................159

6.3. ესპანეთისა და ოსმალეთის იმპერიების სამხედრო-საზღვაო ანტაგონიზმი..164

6.4. იმპერიული დაპირისპირების ეკონომიკური პლატფორმა..................................173

**თავი 7. მედიტერანიზმის საიდუმლო სამსახური და ,,ცნობების დიპლომატია“**

7.1. ფელიპე II-ის სახელმწიფოებრივი კონტროლი......................................................188

7.2. მიგელ დე სერვანტეს სააგედრა იმპერიის სამსახურში.........................................195

7.3. ოსმალური დაზვერვის სტრუქტურული მხარე......................................................197

7.4. რაგუზის რესპუბლიკის როლი მედიტერანიზმის საიდუმლო სამსახურში....202

**თავი 8. გადამწყვეტი ბრძოლა ევროპისთვის**

8.1.ანტიოსმალური კავშირის შექმნის მცდელობები XVI საუკუნის 60-70-იან წლებში: მალტის ალყა და „ საღვთო ლიგა“ ფელიპე II-ის ხანაში...............................207

8.2. ფამაგუსტის ალყა - გზა ლეპანტომდე......................................................................217

8.3. ლეპანტო - ბრძოლა ევროპისთვის...........................................................................226

8.3.1. ბრძოლის მონაწილეების სამხედრო შემადგენლობა და სტრატეგია..............229

8.3.2. ,,საღვთო ლიგის“ გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა............................235

**დასკვნა...........................................................................................................................238**

**ბიბლიოგრაფია..............................................................................................................246**

**აბრევიატურები:**

**ADF** სასაზღვრო არქივი

**AGI** ინდიელების მთავარი არქივი, სევილია

**AGS** სიმანკასის მთავარი არქივი

**ARH** ისტორიის სამეფო აკადემია

**ASV** ვენეციის სახელმწიფო არქივი

**BAE** ესპანელი ავტორების ბიბლიოთეკა

**BDH** ესპანური ციფრული ბიბლიოთეკა

**BEUM** მოდენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ბიბლიოთეკა

**BNE** ესპანეთის ეროვნული ბიბლიოთეკა

**BNP** პორტუგალიის ეროვნული ბიბლიოთეკა

**BVA** არაგონის ვირტუალური ბიბლიოთეკა

**BVIC** სერვანტესის ინსტიტუტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**CEDCS** სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ევროპული ცენტრი

**CVC** სერვანტესის ვირტუალური ცენტრი

**IEI** ინდიელების კვლევების ინსტიტუტი

**RAE** ესპანეთის სამეფო აკადემია

**RBME** ესკორიალის მონასტრის სამეფო ბიბლიოთეკა

**TRECANNI** იტალიური ენის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

Estado - ფონდი სახელმწიფო

leg. (legajo) - საქმე

fol. (folio) - ფურცელი

doc. (documento) - დოკუმენტი

Ib. (Ibidem) - იქვე

mss. (manu scriptum) - ხელნაწერები.

## შესავალი

XVI საუკუნეში ხმელთაშუაზღვისპირეთზე განხორციელებული პოლიტიკური, სტრატეგიული, ეკონომიკური, რელიგიური თუ სოციალური მოვლენების ჯერი შეუძლებელს ხდის, სიტყვათწყობა ,,ოქროს საუკუნე“ მხოლოდ ლიტერატურულ ჩარჩოში განთავსდეს. აღნიშნულ ეპოქაში იბერიის ნახევარკუნძულზე, პირველად მსოფლიო ისტორიის სივრცეში, ადგილი ჰქონდა მასშტაბური გლობალური ცივილიზაციის - ,,ესპანური უნივერსალური მონარქიის” ჩამოყალიბებას. ისტორიული რეალობა განპირობებულია იდეებით. იდეოლოგიად სახეცვლილი იდეა კი იმ გრანდიოზული მოვლენების საფუძველი გახდა, რომლებიც ესპანური ,,ოქროს ხანის“, ,,ოქროს საუკუნის“ პერიოდში განხორციელდა. მოცემული კვლევის რომელიმე მიმართულების ან ქვეთავის შემადგენლობაში შეუძლებელია, მხოლოდ ესპანეთის მონარქიაზე მსჯელობით შემოვიფარგლოთ. აღნიშნულ გეოგრაფიულ და ისტორიულ სივრცეს ვერ განვიხილავთ მხოლოდ ერთ იმპერიასთან მიმართებაში, რამდენადაც ესპანეთის უნივერსალური მონარქია, როგორც სახელმწიფო ინდივიდი, სცდება გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, დიპლომატიურ და სოციო-კულტურულ ჩარჩოებს. ,,ოქროს ხანის“ გლობალურ პალიტრაზე, რომელსაც წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ,,მედიტერანიზმად“ წარმოვადგენთ, დასავლეთით ფიგურირებს ესპანეთის იმპერია და ამერიკის ,,ახალი სამყარო“, ცენტრალურ ევროპაში - ესპანეთის იმპერია და იტალიური სამეფოები, რომის წმინდა საყდარი და საფრანგეთი, სამხრეთით - აფრიკის მაღრიბული სანაპიროები, ხოლო ცენტრალურ ნაწილში - ხმელთაშუა ზღვის მრავალფეროვანი ინტერკულტურული რეგიონი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი აღმოსავლეთი ნაწილია - მედიტერანიზმის მთავარ სცენაზე მდგარი ოსმალეთის იმპერიით.

ჰესიოდეს მიერ ,,სამუშაონი და დღენი“-ში კაცობრიობის ასაკის ხუთ ეტაპად დაყოფა მედიტერანიზმის პერიოდიზაციისთვისაც მნიშვნელოვანი ათვლის

წერტილი გახდა.[1] მოცემული კლასიფიკაცია საფუძვლად დაედო ესპანელი ისტორიკოსის, ანთოლოგისა და არქეოლოგის ლუის ხოსე ველასკეს დე ველასკოს (1722-1772), იგივე ვალდეფლორესის მეორე მარკიზის, მიერ ესპანური (კასტილიური) პოეზიის დაჯგუფებას, კონკრეტული მახასითებელი ნიშნების მიხედვით.[2] პირველ ხანაში მან კულტურის ეს მიმდინარეობა დასაბამიდან მეფე ხუან II-ის (1406 წლამდე) მმართველობამდე განათავსა და მას ,,პოეზიის ბავშვობა“ უწოდა;[3] მეორე, იგივე ახალგაზრდობის პერიოდში, შედიოდა 1407 წლიდან კათოლიკე მეფეების შვილიშვილის, კარლოს ჰაბსბურგის ესპანეთის მეფედ, კარლოს I-ად გამოცხადებამდე (ანუ 1516 წლამდე) შუალედი. მესამე ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა ,,ოქროს ხანა“ - კარლოს V-დან ფელიპე IV-მდე (1665), ხოლო ბოლო პერიოდი მოიცავდა წლებს ფელიპე IV-დან იგნასიო დე ლუსანის გარდაცვალებამდე.[4] ბერძენი პოეტის მიერ კაცობრიობის არსებობის ასაკობრივი დიფერენცირება შეესაბამებოდა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის ელემენტებს. ესპანელი ისტორიკოსის მიერ გამოყენებული ტერმინი იმდენად იქნა მოწონებული სხვა ავტორების მიერ, რომ მისმა განმეორებითობამ დასავლური ისტორიოგრაფია გარკვეულ რეალობამდე მიიყვანა; ,,ოქროს ხანა“ გასცდა პირველად ნაგულისხმევ არეალს და უკვე XVI და XVII საუკუნეების სრული ისტორიული სივრცე მოიცვა. ლუის ხოსე ველასკესთან ,,ოქროს საუკუნე“ იწყებოდა ესპანეთის კათოლიკე მეფეების ისაბელ I კასტილიელისა და ფერნანდო II არაგონელის მმართველობიდან და სრულდებოდა 1621 წლით;[5] თუმცა, რიგი

---

[1]Hesíodo, 1979, გვ. 106-202.

[2]ველასკესთან პირველად ვხვდებით ტერმინს, კერძოდ, მის 1754 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ,,კასტილიური ენის საფუძვლები“(Abad Nebot, 1986, გვ. 13-22).

[3] ხუან II კასტილიელი (1406-1454) - კატალინა ლანკასტერის და ენრიკე III-ის შვილი, კასტილიის მეფე (Vicens Vives, 2003, გვ. 42).

[4]იგნასიო დე ლუსანი (1702-1754) - ესპანელი მწერალი, კრიტიკოსი, ესპანეთში ნეოკლასიციზმის თეორეტიკოსი (Abad Nebot, Ib. გვ. 13-22).

[5] ისაბელ კასტილიელი (1451-1504) - კასტილიის დედოფალი 1474 წლიდან. ფერნანდო არაგონელი (1452-1516) - არაგონის მეფე 1479 წლიდან, კასტილიის მეფე, როგორც ფერნანდო III 1504-1516 წლებში, სიცილისს მეფე 1468 წლიდან, ნეაპოლის მეფე (ფერნანდო III) 1504 წლიდან, ნავარის მეფე, როგორც ფერნანდო I (1512-1515), სავოიის მიწებზე სარდინიის მეფე 1479 წლიდან (Suárez Fernández, 2004, გვ. 18).

ცვლილებების გამო, ოქროს ბრწყინვალება კიდევ გაფართოვდა და ახალი ისტორიის ფარგლებში მისი ზღვარი 1492 წლიდან დაიწყო, როდესაც ანტონიო ნებრიხას მიერ პირველად გამოიცა ,,კასტილიური ენის გრამატიკა“, და დასრულდა 1681 წლით, რაც ესპანელი მწერლის პედრო კალდერონ დე ლა ბარკას გარდაცვალებას ემთხვევა. 1492 წელი, როდესაც პირველად ისტორიაში ესპანური ენის (კასტილიურის) გრამატიკის გამოცემა მოხდა, მნიშვნელოვანი დატვირთვის თარიღია, რათა ცდუნებას გავუძლოთ, და ჩვენი ინტერესის სფერო მხოლოდ 1516 წლიდან არ ავთვალოთ.

ისტორიული ჩარჩოსგან გადახვევა მთელი რიგი ცვლილებებით არის განპირობებული, რომლებიც სრული სიდიადით წარმოაჩენენ საუკუნეებზე გადაჭიმული ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მიმდინარე ცეცხლოვან ისტორიულ ფაქტებს. 1492 წელსვე ესპანეთის კათოლიკე მეფეებმა, ისაბელ კასტილიელმა და ფერნანდო არაგონელმა, დაიკავეს გრანადა - უკანასკნელი მუსლიმური საყრდენი იბერიის ნახევარკუნძულზე. ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციამ ამერიკის ,,ახალი სამყარო“ აღმოაჩინა, რასაც შედეგად მოჰყვა მორიგი ექსპედიციები, ამერიკის კონტინენტზე კონკისტადორების (დამპყრობლების - თ. ხ.) გამოჩენა, ეკონომიკური და სტრატეგიული გეგმების და მსოფლიოს პოლიტიკური რუკის შეცვლა; თუმცა, ყველაზე დიდი, ეპოქალური მოვლენა, მაინც რეკონკისტა იყო.[6] დასავლელი ისტორიკოსების მოსაზრებას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტი აღნიშნული პერიოდის უარყოფითი და დადებითი მხარეების თანხვედრას წარმოადგენდა, ჩვენ დავუმატებდით ასევე ინკვიზიციას, როგორც ,,ოქროს საუკუნის“ ბნელ მხარეს.

მოცემული ეპოქა არ ბრწყინავდა მხოლოდ ახალი ტერიტორიებიდან წამოსული ოქროს, მატერიალური სიმდიდრის ბრწყინვალებით. ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ სიახლეებს ესპანურენოვანი

[6] Vilar, 2008, გვ. 53.

**ლიტერატურის**, **ფერწერის, არქიტექტურის** განვითარებაში.[7] 1218 წელს ლეონის მეფე ალფონსო IX-ის (1188-1230) მიერ ,,სალამანკის სკოლების“ დაარსებამ საფუძველი ჩაუყარა პირველი ესპანური და ერთ-ერთი უძველესი ევროპული უნივერსიტეტის დაფუძნებას - სალამანკის უნივერსიტეტი ,,ოქროს საუკუნის“ ახლი აზროვნების ცენტრი გახდა. ასევე, 1499 წელს კარდინალ სისნეროსის მიერ ალკალას უნივერსიტეტის გახსნამ თავი მოუყარა ცნობილ ესპანელ სწავლულებს.[8] ,,ოქროს ხანა“, თავის მხრივ, ორ შიდა პერიოდს მოიცავს: ესთეტიური რენესანსი - სრული XVI საუკუნე (კათოლიკე მეფეები, კარლოს V და ფელიპე II) და მეორე პერიოდი - უკანასკნელი, ე. წ. უმცროსი ესპანელი ჰაბსბურგების ,,ბაროკოს ოქროს ხანა“ (XVII საუკუნე). აღნიშნული პერიოდებიდან უძლიერესად მიგვაჩნია სწორედ რენესანსული ,,ჰარმონიის“ უნივერსალურობა; თუმცა, ორივეს საერთო მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა იმპერიულ პოლიტიკურ ცხოვრებასთან კათოლიკური ეკლესიის თანაარსებობა. პირველი პერიოდის დროს სამეფო კარის და კათოლიკური ეკლესიის თანხლება ტრენტოს კონსილიუმით (1545-1563 წლები) გამოიკვეთებოდა;[9] ხოლო მეორე მონაკვეთში - კათოლიკური კონტრრეფორმით (1545-1648 წლები)[10]. ორივე მაგალითის ფონზე, განსხვავებულ ისტორიულ

---

[7]**ლიტერატურის** კუთხით, უნდა აღინიშნოს მთარგმნელობითი საქმიანობა, პირველ რიგში კი, ბიბლიის თარგმნა ფრანსისკო ენსინას, კასიოდორე დე რეინას და სიარიანო დე ვალერას მიერ. 1520 წელს გამოიცა პოლიგლოტური ბიბლია. ტრაგიკომედიების, თეატრალური პიესების, საგმირო ნოველების და პოლიფონიური რომანის მიღმა იდგნენ გიგანტები: პედრო მეხია, ლუის საპატა, ანტონიო ტორეკემადა, ფელიქს ლოპე დე ვეგა, ხუან ლუის დე ალარკონი, ტირსო დე მოლინა, ლუის დე გონგორა, მიგელ დე სერვანტეს საავედრა. **ფერწერაში** მნიშვნელოვანი იყო ლუის მორალესის, ხუან დე ხუანესის, დიეგო დე ველასკესის, ფრანსისკო დე სუბურბანის, ბარტოლომე ესტებან მურილიოს, ხუან დე მირანდას, ლუის ტრისტანის მოღვაწეობა. ,,ოქროს ხანის“ **არქიტექტურის** ჩინებულ მაგალითებად გვევლინება იმპერატორ კარლოს V სასახლე გრანადაში, ელ ესკორიალის გრანდიოზული მონასტერი (აშენეს 1563-1584 წლებში), სანტა კრუსის მთავარი კოლეჯი.

[8]ალკალა დე ენარესში უკვე არსებობდა სამეცნიერო ცენტრი, რომელიც მეფე სანჩო VI ნავარელის (1150-1194) მეოხებით გაიხსნა. 1998 წელს ალკალას უნივერსიტეტი იუნესკოს მიერ კაცობრიობის მემკვიდრეობის სიაში იქნა შეყვანილი.

[9]Kelly, 2009, გვ. 126.

[10]კონტრრეფორმა - კათოლიკური ეკლესიის მიერ XVI-XVII საუკუნეებში განხორციელებული დიდი რეფორმა, რათა აღედგინათ უფრო მძაფრი, წრფელი და მოწესრიგებული რელიგიური ცხოვრება როგორც ,,სათავეში, ასევე მის წევრებში“. მისი განხორციელება განიხილებოდა ჯერ კიდევ XV საუკუნეში, კონსტანცას კონსილიუმზე; თუმცა, XVI საუკუნეში პროტესტანტული რეფორმის განვრცობამ პროცესი დააჩქარა.

ფენომენებს ვხვდებით: შიდა ევროპული დაპირისპირებები, რეკონკისტა და ინკვიზიცია, სამყაროს პირველი გლობალიზაცია და უნივერსალიზმის პროპაგანდა, ახალი ტერიტორიების იმპერიალიზაცია, ხმელთაშუა ზღვის რეგიონის, ასევე ამერიკის აღმოჩენილი მიწების ესპანიზაცია. მართებული იქნება აღვნიშნოთ, რომ მოცემულ პალიტრაში უპირველესია არა მხოლოდ კათოლიკობის, არამედ, ზოგადად, ქრისტიანობის დაპირისპირება ოღუზი თურქმანების მიერ ჩამოყალიბებულ ახალ სახელმწიფოებრივ ელემენტთან, ოსმალეთის იმპერიასთან.

წინამდებარე ნაშრომის **კვლევის საგანს წარმოადგენს** სწორედ ჰაბსბურგების ესპანური შტოს ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან. აღნიშნული მიმართება ანტაგონიზმის ნიშნის მატარებელი იყო. მოცემულ დაპირისპირებაში და, ზოგადად, ,,ოქროს ხანის" ქრონოლოგიურ ჩარჩოში, შეუძლებელია ესპანეთის მონარქიის შესახებ სამეცნიერო კვლევა იტალიის სამეფოების, საფრანგეთის მონარქიის, კათოლიკური ეკლესიის თანხლების, ჩრდილოეთ აფრიკის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების, ატლანტის ოკეანის მიღმა ,,ახალი სამყაროს" ცივილიზაციებისა თუ მეზობელ პორტუგალიასთან წყნარი ოკეანის კუნძულებისთვის დავის თანაფარდობის გარეშე. XVI საუკუნიდან ამ შთამბეჭდავ რიცხვს ოსმალეთის იმპერიაც დაემატა, როგორც ესპანეთის მონარქიის დაუძინებელი მტერი. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე, არამედ ორი იმპერიის, როგორც ორი რელიგიის, ორი ცივილიზაციის ურთიერთობების შედეგებსა და, შესაბამისად, ევროპის პოლიტიკური განვითარების მნიშვნელობაზე. განხილული ისტორიული ფაქტების თანხვედრა ძირითადად მედიტერანიზმის გეოგრაფიულ სივრცეში ხდებოდა. ცხადია, ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიული კონტექსტის შესწავლას გვერდს ვერ ავუვლით.

მკვლევართა ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრების მიუხედავად, თითქოს ეს იყო ბრძოლა რელიგიებს შორის, ჰაბსბურგების და ოსმალების დაპირისპირება

უმეტესად სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს ეფუძნებოდა. ანტაგონიმზი ორ უძლიერეს პოლიტიკურ სუბიექტს შორის XVI საუკუნის დასაწყისიდანვე გამოიკვეთა. ოსმალეთი აღარ კმაყოფილდებოდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების დაპყრობებით და ატლანტის ოკეანისკენ გაჭრას ცდილობდა. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის სათაურიც მიუთითებს, რომ კვლევის პროცესში უპირატესად ესპანეთის მონარქიიდან განხილულ ურთიერთობას გამოვკვეთთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, თითქოს ,,თურქულ საკითხს“ გვერდს ვუვლიდეთ ან ოსმალეთის იმპერიის ისტორიულ ასპექტებს ნაკლები სამეცნიერო ლიტერატურით განვიხილავდეთ. დასავლური ისტორიოგრაფიის შეხედულებით, ესპანეთის იმპერია ,,უნივერსალური კათოლიკური მონარქია“ გახდა ესპანურ-ამერიკული საზღვრების მეოხებით.[11] თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არა მხოლოდ ოკეანური საზღვრების, არამედ, ევროპულ სივრცეში თანმიმდევრული პროცესების წყალობით, ესპანეთმა მონარქიიდან იმპერიამდე შესაბამისი გზა განვლო; მის მიერ ხმელთაშუა ზღვაზე წარმოებულმა საგარეო პოლიტიკამ იმპერიის უნივერსალური ხასიათი განაპირობა. გადამწყვეტი იყო ასევე კარლოს V-ის ევროპული პოლიტიკა, მისი დინასტიური მემკვიდრეობები ევროპის მიწებზე და ფელიპე II-ის ,,დიდი სტრატეგიის“ შედეგები. ოსმალეთიდან წამოსული საფრთხე გრანდიოზული განზომილების იყო ევროპისთვის, როგორც ტერიტორიულად, ასევე რელიგიურად. მეჰმედ II-ის, სელიმ I-ის და სულეიმან I-ის ეპოქაში თურქების დაპყრობების შეუჩერებელი სვლა აფრიკის სანაპიროებისკენ, ევროპისკენ და მცდელობა, რომ ხმელთაშუა ზღვა ოსმალეთის ,,შიდა ტბად“ გადაქცეულიყო (ოტრანტოს დაკავების შემდეგ ეს ფაქტიურად განხორციელდა კიდეც), მეტოქე იმპერიის სამხედრო გაძლიერებას განაპირობებდა. ევროპაში არავინ იყო სხვა წინამძღოლი, გარდა ესპანეთის მონარქებისა, რომელიც ბიზანტიის ტერიტორიაზე გაბატონებული მუსლიმური იმპერიის ექსპანსიას შეაჩერებდა. XX საუკუნის ესპანური ფილოსოფიის წარმომადგენელი, ხოსე ორტეგა

[11] Gallup-Díaz, 2017, გვ. 9.

ი გასეტი აღნიშნავს: ,,ხმელთაშუა ზღვა ეს არის გრძნობების, გარეგნობის, ზედაპირების, ცეცხლოვანი შთაბეჭდილებების მწველი და მუდმივი დასაბუთება, რაც ჩვენ ნერვებზე ემოციურად აისახება".[12] ცხადია, XVI საუკუნის ფარგლებში კათოლიკური მონარქია ძირითადად ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლაში ხარჯავდა ამერიკიდან შემოსულ ეკონომიკურ საშუალებებს. ჰაბსბურგების სულტნებთან დაპირისპირება, უშუალო სამხედრო მოქმედებების არეალი, არ გასცდენია ხმელთაშუა ზღვის სივრცეს. ამიტომ, ჩვენ მივმართავთ ტერმინს **,,მედიტერანიზმი",** რომელშიც მოცემული საიმპერიო დუელის სამოქმედო არეალს მოვიაზრებთ.

**ამდენად, კვლევის ისტორიული სივრცე ხმელთაშუა ზღვას მოიცავს.** აღნიშნულ სივრცეში ჩრდილოეთ აფრიკის ბარბარულ სანაპიროებს, ალჟირს, თუნისს, განსაკუთრებით მეტი დატვირთვა ენიჭება. გეოგრაფიული ბუნებიდან გამომდინარე, ყველაზე რთულად სწორედ აქ უხდებოდათ ესპანელ მონარქებს ოსმალებთან გამკლავება. როგორც ფერნან ბროდელი შენიშნავდა: ,,ჩრდილოეთ აფრიკაში თავდაცვითი პრობლემა უფრო ნათელია, ვიდრე სხვაგან".[13]

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ძირითად თემატურ საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ესპანური უნივერსალური მონარქია, რომელიც XVII საუკუნისთვის უკვე 20 000 000 კვადრატულ მეტრ ტერიტორიას მოიცავდა, ოსმალეთის იმპერიასთან ურთიერთობაში სახეცვლილებას განიცდიდა.[14] თუ ცენტრალური და სამხრეთამერიკული ცივილიზაციების დაპყრობის გამო, მისი საგარეო სტრატეგია მაღალი ამბიციურობით ფასდება, თურქებთან ანტაგონიზმი ჰაბსბურგებს მორალური, იდეოლოგიური მოწოდების სახელმწიფოდ წარმოაჩენდა. ესპანეთის მონარქები ყველა საჭირო ძალის მობილიზებას ახდენდნენ, რათა ევროპა გადაერჩინათ და პოლიტიკური თუ

---

[12] Ortega y Gasset, 1914, გვ. 102.

[13] Braudel, 1987, გვ. 270.

[14] ასე ეწოდებოდა გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიისგან დიფერენცირებისთვისაც (Ruiz Martín, 2003, გვ. 466).

კულტურული უნივერსალურობისთვის მიეღწიათ. ამ მხრივ, გამოირჩევა ფელიპე II-ის (1556-1589), როგორც ,,ყველაზე კათოლიკე მონარქის“, ერთპიროვნული, ავტორიტარული ხელისუფლების წარმომადგენლის მმართველობის პერიოდი. კარლოს V-ის მთავარი ყურადღება გამახვილებული იყო ევროპის მონარქებთან დაპირისპირებაზე. აღსანიშნავია, რომ ორივე სუვერენი ,,ქრისტიანობის მცველად“ მოიხსენიება და ომების ან წარმოებული ბრძოლების შემთხვევაში casus belli უმეტესად მეტოქისგან მომდინარეობდა. რელიგიური ომების, კონსილიუმებისა და შიდა მონარქიული დაპირისპირებების ლაბირინთში გახვეულ ევროპას გარკვეულწილად მოულოდნელად, და, ნაწილობრივ, თანმიმდევრული სვლებით, თავს წამოადგა ოღუზი თურქების ჩრდილი. უკიდურესად კათოლიკე ფელიპე II იყო მთავარი ფიგურა XVI საუკუნის ევროპის პოლიტიკურ რუკაზე, რომელმაც დესტაბილიზებული, ღრმად გაუწონასწორებელ პრობლემებში აღმოჩენილი ქრისტიანული ევროპის გადარჩენა ითავა. სწორედ ამ მიზეზის გამო, მისი მონარქიული პერიოდიზაცია წარმოადგენს ტერმინს - **,,XVI საუკუნის ფილიპიზაცია“.** ,,Philippus, Hispaniarum Princeps!” - ,,ფელიპე, ესპანეთების პრინცი!“ - შესძახა მისი ნათლობის დროს კარლოს V-მ.[15]

სულეიმან I-ის (1520-1560) მართველობა ქრონოლოგიურად ემთხვევა კარლოს V-ის (1516-1556) მეფობის წლებს. ოსმალეთის იმპერიიდან მსგავსი ოდიოზური, ერთპიროვნული, სახელგანთქმული სულტანი მხოლოდ სულეიმან დიდებული გამოიკვეთება. მის დროს ოსმალეთის იმპერიამ ძლიერების უმაღლეს წერტილს მიაღწია. სელიმ I-ის აფრიკული ექსპედიციების ხანაში ევროპას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. სულეიმან I-ის მმართველობის დროს კი ოსმალეთის იმპერიამ ბალკანეთისკენ დაიწყო განვრცობა. 1521 წელს ოსმალებმა აიღეს უნგრეთის დედაქალაქი ბელგრადი, ერთი წლის შემდეგ კი, როდოსის დაკავებით, ბერძნული კუნძულების დაპყრობას შეუდგნენ. 1526 წელს თანმიმდევრულად გაგრძელდა უნგრეთის საკმაოდ დიდი ნაწილის დაპყრობაც. ევროპისკენ სვლის

[15] Fernández Ávarez, 2014, გვ. 64.

ყველაზე მასშტაბურ მოვლენას წარმოადგენდა ვენის პირველი ალყა 1529 წელს.[16] მართალია, ოცდღიანი შეტევა უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ, ბიზანტიის დაცემის შემდეგ, ეს იყო ევროპის დაპყრობის პირველი რეალური საფრთხე. ევროპის მონარქები, რომის პაპი ბიზანტიას გეოგრაფიულად ,,უკიდურეს აღმოსავლეთით" მდებარეობის და მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მეტოქეობის გამო თვლიდნენ, შესაბამისად, მათ მიერ საფრთხის უშუალო აღქმა ჯერ მაინც არ იყო გააზრებული. უშედეგოდ დასრულდა 1532 წელს ოსმალების კიდევ ერთი შეტევა კიოზეგის ციხესიმაგრის ალყის დროს. ოსმალები ცდილობდნენ, ევროპის შუაგულში სამოცი ათასი ჯარისკაცით შეჭრილიყვნენ.[17] კიოზეგთან, იგივე გუნსთან, მათ მხოლოდ 800-მდე ჯარისკაცი უმკლავდებოდა, ხორვატი კაპიტნის, ნიკოლა იურიშიჩის ხელმძღვანელობით.[18] აღნიშნული პერიოდიდან კარლოს V ოსმალების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში უკვე აქტიურად ერთვებოდა.

ევროპის სცენაზე ფელიპე II, მამის მსგავსად, ასევე ქრისტიანობის დამცველად წარმოსდგებოდა. ოსმალეთის სულტნებთან ესპანეთის მეფეების იდეური მეტოქეობა იმპერიების ალეგორიულ შეფასებებშიც კი გამოისახა. ,,ურჯულოთა წინააღმდეგ მებრძოლი" სულეიმან დიდებული ისტორიკოსთა ნაწილის მიერ რელიგიის დამცველი სულტნის სიმბოლოდ არის წარმოდგენილი. იმპერიის სიძლიერის გამომსახველი ესპანური ფლოტის პროპაგანდად გამოყენების მსგავსად, ასევე ხდებოდა ოსმალეთის იმპერიის სამხედრო უპირატესობის დემონსტრირება ევროპის ტერიტორიაზე თუ აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებზე წარმოებული ომებით, განსხვავებით იმისგან, რომ ოსმალებს მართლაც გააჩნდათ სახმელეთო უპირატესობა. სასურველია, აღინიშნოს, რომ ნაშრომის ორი ისტორიული სუბიექტის დასახელება არ ნიშნავს მხოლოდ მათზე ყურადღების გამახვილებას. შინაარსობრივ სტრუქტურაში ფოკუსირება ხდება ასევე

[16] სვანიძე, 2007, გვ. 107-108.
[17] იგივე გუნსი, მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე უნგრეთის ტერიტორიაზე, ვენიდან 97 კილომეტრით იყო დაშორებული და მისი დაკავება ოსმალეთს ევროპის ცენტრისკენ უხსნიდა გზას (თ. ხ.).
[18] Wheatcroft, 2009, გვ. 59.

მნიშვნელოვან ასპექტებზე, გლობალური მოვლენის ცალკეულ დეტალებზე, თურქების შესახებ პირველ ესპანურ ცნობებზე, სადაზვერვო სამსახურზე, რომელიც ფელიპე II-ის დროს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დონეზე იქნა აყვანილი.

**ქრონოლოგიური ჩარჩო** ,,უფროსი ჰაბსბურგების", კარლოს V-ის და მისი ვაჟის ფელიპე II-ის, მმართველობის ხანას მოიცავს.[19] ცხადია, ესპანეთის კათოლიკურ მონარქიაში ცნობები ყოფილი ბიზანტიის ტერიტორიის დამპყრობი იმპერიის შესახებ გაცილებით ადრე მოიპოვებოდა: ადრე, ანუ ვიდრე ესპანეთი და ოსმალეთი სამხედრო ანტაგონიზმში უშუალოდ ჩაერთვოდნენ. კათოლიკე მეფეების ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო ქვეყნის რელიგიურ-პოლიტიკური ნიშნით გაერთიანებაზე, არაბების, მორისკოების და ებრაელების ქვეყნიდან განდევნაზე, ,,სისხლის წმენდაზე", ინკვიზიციის სახელმწიფო ინსტრუმენტად ქცევაზე. ესპანეთის მონარქია, როგორც უნივერსალური იმპერია, კი სულს იდგამდა კარლოს V-ის დროს, ხოლო ფელიპე II-ის მმართველობაში იმპერიული აყვავების მაგალითს წარმოადგენდა. უკანასკნელი ჰაბსბურგების, იგივე ,,უმცროსი ჰაბსბურგების" (ფელიპე II, ფელიპე III, კარლოს II) ესპანური ხანა შეგვიძლია, იმპერიის ინერციული მმართველობის პერიოდად მივიჩნიოთ. წინამდებარე ნაშრომში, ანალიტიკური თვალსაზრისით, განხილულია იმპერიების დაპირისპირების იდეოლოგიური ფონი, ევროპული სახელმწიფოების და კათოლიკური ეკლესიის დიპლომატიის როლი, ასევე, ესპანურ ლიტერატურაში გამოჩენილი პირველი ცნობები ,,თურქების შესახებ". ტყვეთა მიერ გადმოცემულმა ინფორმაციამ უდიდესი გავლენა იქონია ეპოქალური ლიტერატურული სტილის ჩამოყალიბებაზე, სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ფენაზე და განსაზღვრა XVI

---

[19]ნაშრომში მითითებული არის კარლოს V, რადგან სწორედ ასე მოიხსენიება დასავლურ ისტორიოგრაფიაში. მისი ესპანეთის მეფედ, კარლოს I-ად, კურთხევა 1516 წელს მოხდა, ხოლო 1520 წლის 23 ოქტომბერს იგი უკვე გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორად იქნა არჩეული. ესპანეთის უნივერსალურობის გამომსახველობისთვის უპირატესობა მის კარლოს V-ედ აღნიშნვას ენიჭება (თ. ხ.).

საუკუნეში ზოგადი ესპანური დამოკიდებულება ოსმალეთის იმპერიისადმი, რომელსაც ჩვენ აღნიშნული საუკუნის **თურქომანია** ვუწოდეთ.

**წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა.** კვლევის პროცესში გამოყენებულია ესპანეთის მნიშვნელოვანი არქივების (სიმანკასის მთავარი არქივი, მადრიდის ეროვნული არქივი, ტოლედოს ინდიელების არქივი, კორდობას მუნიციპალური არქივი, სასაზღვრო ციფრული არქივი) და ბიბლიოთეკების (მადრიდის ეროვნული, სამეფო სასახლის, ესკორიალის სან ლორენსოს, სერვანტესის ვირტუალური) მნიშვნელოვანი ფონდები;[20] აგრეთვე ევროპის განსაზღვრულ არქივებსა და ბიბლიოთეკებში დაცული ხელნაწერი დოკუმენტები, კორესპონდენციები და ელჩების, ჯაშუშების მიერ შეგროვილი ცნობების ორიგინალები; რელასიონები ანუ ქრონიკები, რომლებიც სწორედ კათოლიკური მონარქიის შესახებ დაცული წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილია; საყურადღებოა ,,ლევანტის ცნობები“ (los avisos de Levante - თ. ხ.) - ჯაშუშების მიერ კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც ნეაპოლის სამეფოს გავლით, ასევე ბარბარიის (ჩრდილოეთ აფრიკის) სანაპიროებიდან ვალიადოლიდის და მადრიდის სამეფო კარზე აღწევდა.[21]

ჰაბსბურგთა ესპანური სახლის ხმელთაშუა ზღვაზე წარმოებული მოქმედებების, მისი ოსმალეთის იმპერიასთან ურთიერთობის ისტორიოგრაფია მართებულად უნდა დავიწყოთ საკუთრივ სამეფო კარის ისტორიკოსების ჩანაწრების მიმოხილვით. პირდაპირ ახალი ან უახლესი ისტორიის პერიოდში შესწავლილი მაგალითების განხილვა, არასწორად მიგვაჩნია.

---

[20]სიმანკასის მთავარი არქივის ფონდი უმნიშვენლოვანეს მასალას შეიცავს ეპოქის ისტორიული კვლევისთვის. იუნესკოს მიერ არქივი შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, 2017 წელს კი ის დაემატა მსოფლიოს მეხსიერების პროგრამასაც. 1540 წელს იმპერატორ კარლოს V-ის მიერ სატახტო ქალაქ ვალიადოლიდთან ახლოს მდებარე სიმანკასის ციხე-სიამგრეში გადაიტანეს იმპერიის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია (La Plaza Bores, 1993, გვ. 23). იმავე წლის 26 ივნისს ესპანელი კომენდატორის, სანტიაგოს ორდენის რაინდის მიერ ხუან ვასკეს მოლინასთვის მიწერილ წერილში აღნიშნული ფონდი უკვე არქივად მოიხსენიება (AGS. Estado, leg. 49, fol. 84, Francisco de los Cobos a Juan Vasquez Molina, 1540 26 de junio).

[21] ესპანეთის კათოლიკური მონარქიის დედაქალაქი, ვიდრე ფელიპე II-მ 1559 წელს სამეფო კარის რეზიდენცია მადრიდში არ გადაიტანა (თ. ხ.).

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, კარლოს V-ის კარის ერთგული ქრონისტის ლუის დე ავილა ი სუნიგას (1504-1573) ცნობები, რომელიც რომში ელჩადაც მსახურობდა და თუნისის ექსპედიციაშიც მონაწილეობდა. იგი იმპერატორის გვერდით იყო მიულბერგის ბრძოლის დროსაც.[22] მმართველს ახლდა ასევე 1531 წელს, როდესაც ჰაბსბურგი მონარქი მის წინააღმდეგ გერმანელი არისტოკრატების მიერ შედგენილ ესმალკალდის ლიგას დაუპირისპირდა.[23] ამდენად, კარლოს V-ის საბრძოლო მოქმედებებს მისი თანამედროვე მემატიანე აღწერდა. დე ავილას ცნობები ფაქტების სიზუსტით გამოირჩევა. მისი გადმოცემით, 1547 წლის 24 აპრილს, მიულბერგის დაკავების დროს, იმპერატორმა იულიუს ცეზარის სიტყვები სახეცვლილი ფორმით წამოიძახა: ,,მიველ, ვნახე, ღმერთმა გაიმარჯვა!“[24]

ლუის დე ავილა ასევე ახლდა უფლისწულ ფელიპეს გერმანიასა და ფლანდრიაში მოგზაურობის დროს. ისინი 1548 წლის ოქტომბერში ვალიადოლიდან ევროპისკენ გაემგზავრნენ, ჩავიდნენ გენუაში, ხოლო 1549 წლის 1 აპრილს ბრიუსელში ეახლნენ კარლოს V-ს.[25] აღნიშნული თანამოგზაურობებით დაგროვილი ინფორმაციის შედეგად, მემატიანემ აღწერა ესპანეთის მეფის ცხოვრება სათაურით ,,კომენტარი კარლოსის, რომის უმაღლესი იმპერატორის, ესპანეთის მეფის მიერ წარმოებული გერმანიის ომებზე, 1546-1547 წლები“.[26] ქრონიკა პირველად 1549 წელს ვალენსიაში გამოიცა.[27]

დე ავილა რაოდენობრივად ჩამოთვლის იმპერატორის მიერ ომებში მონაწილეობას და თვისობრივად ხოტბას ასხამს მას. უნდა აღინიშნოს, რომ ხოტბა სამეფო კარისადმი, მას ხელს არ უშლიდა, მოვლენები ისტორიული სიზუსტით აღეწერა. თვით მეფემ ასე შეაფასა ავილას ღვაწლი: ,,რა უმნიშვნელოვანესი

---

[22] Menendez Pidal, 1979, გვ. 530.
[23] Ibidem. გვ. 752.
[24] Cuesta, 2004, გვ. 799.
[25] Pfandl, 1973, გვ. 195-210.
[26] Avila y Zuñiga, D. Luis de, 1767, Comentario de la Guerra de Alemania, hecha por Carlos V, máximo emperador romano, rey de España en el año MDXLVI. Y MDXLVII. Madrid: Francisco Xavier Garcia.
[27] BAE, Vol. XXI, გვ. 409-449.

ბრძოლები განახორციელა ალექსანდრე დიდმა, მაგრამ მას ასეთი მემატიანე არ ჰყოლია“.[28]

კარლოს V-ის უშუალო ისტორიკოსი იყო აგრეთვე ესპანელი კარტოგრაფი და მოგზაური ალონსო დე სანტა კრუსი (1505-1567). იგი სებასტიან კაბოტოსთან ერთად რიო დე ლა პლატას ექსპედიციაში მონაწილეობდა. მათ ერთად შეადგინეს მოცემული ადგილის რუკა. იგი სამეფო კარის მიერ 1537 წელს მთავარ კოსმოგრაფად იქნა დანიშნული.[29] სანტა კრუსის ცნობები ფრიად საყურადღებოა ესპანეთის მონარქიის უნივერსალური პოლიტიკის შესასწავლად.

კარლოს V-ის მიერ წარმოებულ თუნისის ექსპედიციაში ასევე მიიღო მონაწილეობა ლუის დე მარმოლ კარვახალმა, გრანადელმა სამხედრო მოღვაწემ და ისტორიკოსმა (1524-1600). კარვახალი 1538 წელს თუნისშივე ჩავარდა ტყვედ, სადაც ცხოვრების შვიდი წელი და რვა თვე დაჰყო. მან საფუძვლიანად შეისწავლა არაბული ენა. 1546 წელს ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ, მაღრიბის სანაპიროებზე იმოგზაურა და ჩრდილოეთ აფრიკის გეოგრაფიას, მოსახლეობის ცხოვრების წირს გაეცნო. 1550 წლიდან იგი უკვე სიცილიაში იმყოფებოდა, სადაც წაიკითხა ჰასან ალ-ვაზანის, იგივე ლეონ აფრიკელის, ნაშრომი ,,აფრიკის აღწერა“, რომლის უშუალო გავლენითაც, მოგვიანებით, 1573 წელს გამოსცა საკუთარი მოგზაურობების დროს ნანახი და განცდილი - ,,აფრიკის გენერალური დახასიათება“. ნაშრომი წარმოადგენს ორტომეულ ქრონიკას, რომელიც გადმოგვცემს ქრისტიანების და მუსლიმების ცხოვრებას VII საუკუნიდან ლეპანტოს ბრძოლამდე (1571). კარვახალის მიერ აფრიკის აღწერა მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მედიტერანიზმის სოციო-ეკონომიკური, გეოგრაფიული და სამხედრო დეტალების შესახებ.[30] 1557 წელს მადრიდში დაბრუნებული კარვახალი სამეფო კარის ადვოკატ-კურატორად და მთარგმნელად მუშაობდა. იგი მონარქიის მხარეს, ხუან დე ავსტრიელის და ლუის დე რეკესენსის

[28] Brandi, 1979, გვ. 459.
[29] Cuesta, 2004, გვ. 29.
[30] Garcia Figueras, 1949, გვ. 69-191.

ჯარებში, მონაწილეობას იღებდა გრანადელი მავრების ამბოხში, ე. წ. ალპუხარას ომში (1568-1571). 1600 წელს გამოიცა მარმოლ კარვახალის ,,გრანადის სამეფოს მავრების აჯანყებისა და დასჯის ისტორია", რომელიც 1797 წლის მეორე გამოცემასთან ერთად ალჰამბრის ბიბლიოთეკაში ინახება.[31] ,,აფრიკის გენერალური აღწერა" კი ვალენსიის უნივერსიტეტის ისტორიის ბიბლიოთეკაშია დაცული.

,,ოქროს ხანის" ისტორიკოსი ლუის კაბრერა დე კორდობა (1559-1623) გამორჩეულია 1619 წელს გამოცემული ქრონიკით - ,,ფელიპე II-ის ისტორია".[32] მის თხრობას ფანატური სიზუსტე და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ახასიათებს. კორდობას მიერ დაწერილი მატიანე გამოყენებული იყო, როგორც ისტორიული წყარო თეატრალური პიესებისთვისაც. მან 1611 წელს გამოსცა ,,ისტორიის შესახებ, მის გასაგებად და გადმოსაცემად", რომელიც ჰაბსბურგთა ესპანური მონარქიის ისტორიის შეფასების პირველი მცდელობაა. მოგვიანებით, 1857 წელს გამოქვეყნდა კაბრერა დე კორდობას ,,ცნობები ესპანეთის სამეფო კარზე 1599 წლიდან 1614 წლამდე მომხდარი საქმეების შესახებ".[33] კორდობა სარგებლობდა ესპანეთის სამეფო კარის მხარდაჭერით და ესკორიალის ძირითად მემატიანედ მოიაზრებოდა. მისი ქრონიკები დაცულია ესკორიალის სან ლორენსოს მონასტრის ბიბლიოთეკაში. ზოგადად, კაბრერა დე კორდობა ისტორიის გადმოცემის განსაკუთრებული სტილით გამოირჩეოდა. მის მატიანეებში შერწყმულია სამეფო კარის ფანატი ისტორიკოსისა და სკრუპულოზი ქრონისტის მანერები. მამის, დონ ხუან დე კაბრერა დე კორდობას მსგავსად, ერთგულად და თანაბრად ემსახურებოდა მონარქიას და რელიგიას, თუმცა, ინარჩუნებდა პრაგმატული ისტორიკოსის ნიშან-თვისებებს.

---

[31]Mármol Carvajal, Luis del. 1600. Historia del rebelión y castigo de los moriscos del reyno de Granada. http://www.bibliotecavirtualdeandalucia.es/catalogo/es/consulta/registro.cmd?id=6220

[32] Cabrera de Córdoba, Luis. http://dbe.rah.es/biografias/9692/luis-cabrera-de-cordoba

[33] Diccionario Enciclopédico Hispano-Américano de Literatura, Ciencias y Arte, 1890, გვ. 69-70.

ჰაბსბურგების დინასტიის მადრიდული შტოს პერიოდიზაციის ერთ-ერთ პირველწყაროდ მიჩნეულია როდრიგო მენდეს სილვას (1606-1670) მატიანე. იგი იყო ებრაული წარმოშობის ესპანელ-პორტუგალიელი. მონარქიის გენეალოგი კასტილიის უმაღლეს საბჭოში მინისტრის ადგილსაც იკავებდა. 1637 წელს გამოიცა მისი ,,ესპანეთის სამეფო კატალოგი“. როგორც ფელიპე IV-ის მემატიანე, სამეფო კარზე გამორჩეულ პიროვნებად მიიჩნეოდა. სერვანტესის და ლოპე დე ვეგას ლიტერატურული პაექრობა იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ: თუ სერვანტესმა ლუის დე კაბრერა გამოარჩია და 1614 წელს დაწერილ ,,პარნასის მოგზაურობაში“ მას ქება შეასხა, ლოპე დე ვეგამ მენდეს სილვას მიუძღვნა სახოტბო სონეტი.[34] ისტორიული წყაროებიდან, ლუის დე ავილას, ლუის დე მარმოლ კარვახალის, ლუის დე კორდობა კაბრერას, ალონსო სანტა კრუსის, როდრიგო მენდეს სილვას წინამდებარედ დასახელებული მატიანეები, სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად, ის პირველადი საარქივო რესურსებია, რომელსაც წინამდებარე კვლევაში ვთარგმნით და ვუთითებთ.

სადისერტაციო ნაშრომში ასევე განხილულია ესპანეთის მონარქების, მინისტრების, ვიცე-მეფეების კორესპონდენციები, რომელთა რედაქტირება, გაშიფრვა და ადაპტირება მხოლოდ XX საუკუნეში გახდა შესაძლებელი. მაგალითად ,,ესპანეთის და წმინდა საყდრის დიპლომატიური მიმოწერა წმინდა პიუს V პონტიფიკაციის დროს“, რომელიც ლუსიანო სერანოს მიერ კრებულად 1914 წელს გამოიცა. კარლოს რივას გარსიამ 1959 წელს გამოაქვეყნა ,,ფელიპე II-ის პირადი მიმოწერა მის მდივან მატეო ვასკესთან, 1567-1891“. ასევე ფერნანდეს დე ნავარეტეს მიერ 1842 წელს შედგენილია ,,გამოუქვეყნებელი დოკუმენტების კოლექცია ესპანეთის ისტორიისთვის“. აღნიშნული 111 ტომეული მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ,,კოდოინის” სათაურით არის დამკვიდრებული.[35] გასაკვირი არაა, რომ აღნიშნულ ქრონიკებში ვხვდებით მხოლოდ კონკრეტული მეფეების,

---

[34] Guillén Barrendero, 2014, გვ. 43.

[35] CODOIN - კრებულის ესპანური სათაურის აბრევიატურის მიხედვით La Colección de documentos inéditos para la historia de España (თ. ხ.).

მოვლენების, ომების აღწერას. რამდენადაც მოცემული პირები სამეფო კარის ისტორიკოსები იყვნენ, მათ ნაშრომებში ისტორიის განხილვის, მსჯელობის შემთხვევები გაცილებით ნაკლებია. მედიტერანიზმის ისტორიული მოვლენების მატიანური აღწერა, სრული მოსაზრებით, მხოლოდ XX საუკუნეში დაიწყო.

წინამდებარე ნაშრომის ვრცელი ისტორიული ფენომენის მიზეზით, ამოუწურავია საკითხის ისტორიოგრაფიის მიმოხილვაც. ყურადღება გვსურს გავამახვილოთ მხოლოდ გამორჩეულ კვლევებზე, რომელიც მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურის სახით არის წარმოდგენილი. უკვე დიფერენცირებული მასალების განხილვის კუთხით, უნდა აღინიშნოს ალკალას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, ხოსე ემილიო სოლა კასტანიოს მოღვაწეობა. იგი 1976-1984 წლებში ალჟირის ორანის უნივერსიტეტში ასწავლიდა. აღნიშნულ პერიოდში მისი ინტერესი მედიტერანიზმის ,,მთავარმა სცენამ" მიიპყრო. სამეცნიერო კვლევებში ემილიო სოლა ყურადღებას უთმობს ხმელთაშუაზღვისპირეთის ცალკეულ ასპექტებს, რომლებსაც ფართო ისტორიულ ჭრილში წარმოგვიდგენს. მისი ნაშრომები ერთ-ერთი პირველი გახლავთ რეგიონის ისტორიის დიფერენცირებისა და შინაარსობრივი ძიების მიხედვით. იგი სიღრმისეულად იკვლევს ჰაბსბურგების ისტორიას 1988 წელს გამოცემული წიგნით ,,ავსტრიელების ესპანეთი". მის გამორჩეულ ნაშრომებს შორის უნდა გამოვყოთ: ,,მეკობრეების ხმელთაშუა ზღვა: მეზღვაურები, რენეგატები და ტყვეები" (1988), ,,წარმავალნი და მომავალნი. ინფორმაცია და საზღვრები კლასიკურ ხმელთაშუაზღვისპირეთში" (2005), ,,სერვანტესი და თურქეთი" (2017).

ემილიო სოლას მოღვაწეობა გამორჩეულია საკითხთან დაკავშირებული პროექტების, კონგრესების განხორციელების მხრივ. იგი ასევე გახლავთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების ევროპული ცენტრის ხელმძღვანელი და ,,სასაზღვრო არქივის" დამფუძნებელი.[36] არქივი წარმოადგენს პირველ ესპანურ ციფრულ პლატფორმას, სადაც თავმოყრილია კათოლიკური მონარქიის საარქივო,

---

[36] Centro Europeo para la Difusión de las Ciencias Sociales (CEDCS).

დოკუმენტური მასალები, XV-XVII საუკუნეებში წარმოებული სამეფო კარის კორესპონდენციების ორიგინალები, აქვე იძებნება უშუალოდ ემილიო სოლას მიერ შედგენილი პირველი ესპანური ცნობები ოსმალეთის იმპერიის შესახებ სათაურით ,,ცნობები თურქების ყოფა-ცხოვრების შესახებ“.[37] სასაზღვრო არქივი 2003 წელს იუნესკოს მიერ აღიარებულიქნა ერთადერთ ესპანურ ფასეულ ციფრულ არქივად ზოგადად ევროპის ისტორიის შესწავლისთვის.[38]

მადრიდის ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი, ჰუმანიტარული და სოციალური სამეცნიერო ცენტრის, აგრეთვე ისტორიის სამეფო აკადემიის წევრი მიგელ ანხელ დე ბუნეს იბარა ასევე იკვლევს ჰაბსბურგებისა და ოსმალების ისტორიას ხმელთაშუაზღვისპირეთზე. იგი 2010 წლიდან არის თურქული ისტორიული ორგანიზაციის (Türk Tarih Kurumu) წევრიც. მისი კვლევების დიფერენცირებულ სისტემაში ძირითად ობიექტებს ჰაბსბურგთა დინასტიის ესპანელი მონარქები წარმოადგენენ. ბუნეს იბარას ნაშრომებიდან საყურადღებოა: ,,ფელიპე II-ის სამეფო“ (1984), ,,ფელიპე II და ხმელთაშუა ზღვა: დავიწყებული საზღვარი და კათოლიკური მონარქიის არსებული ზღვარი“ (1998), ,,ხმელთაშუაზღვისპირეთის ინფორმაციის კონტროლი ნეაპოლიდან და სიცილიიდან“ (2010), ,,ოსმალეთის იმპერია 1451-1807 წლებში“ (2015).

საკუთრივ ესპანელი ისტორიკოსებიდან, საჭიროა ასევე რამონ მენენდეს პიდალის აღნიშვნაც. როგორც ფილოლოგი, მისი წვლილი განუზომლია ფილოლოგიური თემების შესწავლაში; ხოლო, როგორც ისტორიკოსი, მას ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომი ,,კარლოს V-ის იმპერიის იდეა“ (1938), ასევე კვლევები კასტილიის სამეფოსა და ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენების შესახებ.[39]

---

[37] De la vida y costumbres de los turcos, ADF http://www.archivodelafrontera.com/archivos/de-la-vida-y-costumbres-de-los-turcos-capitulo-3-de-la-comida-y-modo-de-vivir-de-los-turcos/

[38] ADF, Archivo de la Frontera. www.archivodelafrontera.com

[39] რამონ მენენდეს პიდალი - Ramón Menéndez Pidal (1869-1968) იყო ესპანელი ფილოლოგი, ისტორიკოსი, 1901 წლიდან ისტორიის სამეფო აკადემიის წევრი. ფილოლოგიურ კვლევებთან ერთად, აღსანიშნავია მისი, როგორც ისტორიკოსის, მოღვაწეობა. 1935 წლიდან დაიწყო ,,ესპანეთის ისტორია“-ზე მუშაობა, რომელიც 42 ტომად გამოიცა (თ. ხ.).

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ესპანურენოვანი ლიტერატურიდან საყურადღებოა აგრეთვე ხოსე მანუელ ნიეტო სორიას წიგნი ,,ესპანეთის მონარქიის წარმოშობა“ და მანუელ ფერნანდეს ალვარესის - ,,ფელიპე II“. როგორც ავსტრიელების მადრიდული კარის შემსწავლელი ისტორიკოსი, ფერნანდეს ალვარესი ფართოდ აშუქებს სამეფო კარის შიდა პრობლემებს და საგარეო ფაქტორსაც გამოკვეთს. გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და ხმელთაშუა ზღვის ზღვაოსნობის ისტორიოგრაფიაზე ფრიად მნიშვნელოვანია ანხელ ლუის მოლინა მოლინას კვლევა ,,მოგზაურობა ზღვაზე შუა საუკუნეებში“.[40]

თურქულენოვანი ლიტერატურიდან უნდა აღინიშნოს ჰალილ ინალჯიკის კვლევები. წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ინალჯიკის სხვა სამეცნიერო კვლევებთან ერთად, განხილული იქნა მისი წიგნი ,,დაარსების დროის ოსმალი სულტნები (1302-1481)“. 1570 წელს ოსმალეთის იმპერიის მიერ კვიპროსის დაკავების კამპანიას ფართოდ მიმოიხილავს თურქი ავტორი მუზაფერ გურქანი ნაშრომით ,,კვიპროსის ნისლიანი წარსული“.

თურქი ისტორიკოსებიდან აგრეთვე წარმოსადგენია ბილკენტის და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტების პროფესორი ემრა საფა გურქანი, რომელიც XVI საუკუნის სადაზვერვო სამსახურს, მეკობრეობას და ხმელთაშუაზღვისპირეთის ინტერკულტურულ საკითხებს ჰაბსბურგებისა და ოსმალების ურთიერთობის მაგალითზე შეისწავლის. მის წიგნებში ,,სულტნის ჯაშუშები“ (2017) და ,,სულტნის მეკობრეები“ (2018) ასევე ვხვდებით მოცემული საკითხის დიფერენცირებულ განხილვას, მთელი სისტემური მასალის მხოლოდ კონკრეტული ასპექტების შესწავლას.

ბიბლიოგრაფიის მრავალრიცხოვანი სიიდან გვსურს გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი გაბორ აგოსტონი თანამედროვე ისტორიკოსთაგანია, ვინც თავის ნაშრომებში თითქმის ყველა აღნიშნულ საკითხზე ამახვილებს

---

[40] Ángel Luis Molina Molina - მურსიის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (თ. ხ.).

ყურადღებას, მაგრამ ძირითადად სამხედრო შეიარაღების და მილიტარიზმის თემას გამოკვეთს. იგი დეტალურად განიხილავს ოსმალეთის იმპერიის მოქმედებებს ბალკანეთის ტერიტორიაზე. 2006 წელს გამოიცა მისი წიგნი ,,იარაღი სულტნისთვის: სამხედრო ძალა და იარაღის წარმოება ოსმალეთის იმპერიაში“. 2009 წელს აგოსტონმა, ბრუს მასტერსთან თანაავტორობით, გამოსცა პირველი ინგლისურენოვანი ,,ოსმალეთის იმპერიის ენციკლოპედია“, რომელიც შესანიშნავი სამეცნიერო ბაზაა ეპოქის ქრონოლოგიური შესწავლისთვის. 2003 წელს თურქოლოგიის საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნდა გაბორ აგოსტონის კვლევა ,,მოქნილი იმპერია: ავტორიტეტი და მისი მიჯნები ოსმალეთის იმპერიაში“, სადაც ავტორი ოსმალეთის იმპერიის ისტორიის იდეოლოგიურ და ანალიტიკურ ხედვას წარმოაჩენს. ასევე აღნიშვნის ღირსია მისი კვლევა ,,ინფორმაცია, იდეოლოგია და იმპერიული პოლიტიკის საზღვრები“, რომელიც საკმაოდ ახლო კონტექსტით დაგვეხმარა კონკრეტული რელიგიურ-იდეოლოგიური ასპექტების შესწავლის დროს.

ოსმალეთის იმპერიის გამოჩენას ევროპის კონტინენტზე ასევე იკვლევს დანიელ გოფმანი წიგნში ,,ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობა რენესანსულ სახელმწიფოებთან“. თემატურად იგივე საკითხს განიხილავს და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს ჯონ ჰობსონის კვლევა ,,დასავლური ცივილიზაციის აღმოსავლური საფუძვლები“. აქვე უნდა აღინიშნოს ბერნარდ ლუისის მიერ ქრისტიანობის და ისლამის ურთიერთობის განხილვა წიგნით ,,მახლობელი აღმოსავლეთი, უკანასკნელი 2000 წლის მოკლე ისტორია“.

უმნიშვნელოვანესი და მონუმენტური, აკადემიური ლიტერატურის მაგალითია ლორდ კინროსის ,,ოსმალური საუკუნეები, თურქული იმპერიის აღმასვლა და დაცემა“. ავტორი ახდენს ძირითადი საკითხების თავმოყრას და მათ ლოგიკურ შეხამებას.

ოსმალეთის იმპერიის ისტორიოგრაფიას ეძღვნება დუგლას ჰოვარდის ,,ოსმალეთის იმპერიის ისტორია“, რომელიც წინამდებარე სადისერტაციო

ნაშრომში ხმელთაშუაზღვისპირეთის მედიტერანიზმის საყურადღებო ფაქტების შესწავლას ესადაგება. ესპანეთის კათოლიკური მონარქიის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვისთვის საყურადღებოა ჰენრი კამენის წიგნი ,,ესპანეთის ოქროს ხანა“. XVI საუკუნის დაპირსპირებული ქრისტიანული და მუსლიმური იმპერიების ურთიერთობაში სადაზვერვო სამსახურის შესახებ საყურადღებოა ნოელ მალკოლმის ,,იმპერიის აგენტები: რაინდები, მეკობრეები, იეზუიტები და ჯაშუშები XVI საუკუნის ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროში“.

ინგლისურ ენაზე გამოცემული თურქი ავტორის ქემალ კაფადარის წიგნი ,,ორ სამყაროს შორის - ოსმალური სახელმწიფოს მშენებლობა“ ოსმალეთის იმპერიის დაარსების და განვითარების დეტალურ ინფორმაციას მოიცავს და ინტერკულტურული დიალოგის ქრონოლოგიურ განხილვას ახდენს. შუა საუკუნეების და XVI საუკუნის მედიტერანულ არეალს შეეხება ჰოვარდ ჰილდებრანდის წიგნი ,,მსოფლიოს ორნამენტი, შუა საუკუნეების კორდობა, როგორც კულტურის ცენტრი“.

ნაშრომში დამოწმებული გერმანულენოვანი ლიტერატურიდან აღსანიშნავია ბერლინში 1857 წელს გამოქვეყნებული ,,ოსმალები და ესპანეთის მონარქია XVI და XVII საუკუნეებში“, რომლის ავტორიც არის ლეოპოლდ ფონ რანკე (1795-1886). საყურადღებოა ასევე რანკეს მნიშვნელოვანი კვლევა ,,ისტორიის თეორია და პრაქტიკა“, რომელმაც დიდი სამსახური გაგვიწია მსჯელობის ანალიტიკური მეთოდის განვითარებაში. შეუძლებელია, გამოვტოვოთ გერმანიაში დაბადებული, წარმოშობით ინდოელი, სურაია ფაროკის ნაშრომი ,,ოსმალეთის იმპერია“. გერმანელი ავტორებიდან აღნიშვნის ღირსი არიან კარლ კრაიზერი წიგნით ,,სტამბოლი: მთავარი ისტორიული ქალაქი“ და ალბრეჰტ ნოტი კვლევით ,,ისლამური ტოლერანტობის შესაძლებლობები და საზღვრები“.

იტალიურენოვანი ავტორებიდან უნდა გამოვყოთ ნეაპოლის ფრიდრიხ II-ის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ჯენარო ვარიალე, რომლის ნაშრომებიდან საყურადღებოა ,,ხმელთაშუა ზღვასა და რელიგიურ შრიფტს შორის:

მუსლიმები ნეაპოლში XVI საუკუნეში", ,,საიდუმლო სიტყვები: ჯაშუშები და დიდი თურქი (XVI საუკუნე)". იტალიელი ავტორის ჯიჯი მონელოს მონუმენტური კვლევა ,,ფამაგუსტის დაცემა, თურქული ალყა ვენეციურ ციხე-სიმაგრეზე და მისი საზარელი დასასრული" ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცველია ოსმალების მიერ 1571 წელს კვიპროსის დაკავების გადამწყვეტი ისტორიული ფაქტების შესასწავლად. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე პომპეო მოლმენტოს კვლევა ,,სებასტიანო ვენიერო და ლეპანტოს ბრძოლა".

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურასთან დაკავშირებით, გვსურს შევნიშნოთ, რომ XVI საუკუნის ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიული შესწავლა თანამედროვე რეალობაში ფართო სახით არაა წარმოდგენილი. ქართული ისტორიოგრაფიაში ადგილი აქვს ოსმალური ისტორიული ფაქტების კვლევას საქართველოსთან მიმართებაში. საფუძვლიანად არის შესწავლილი ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა სხვადასხვა პერიოდიზაციით. აგრეთვე, საკმაოდ სიღრმისეულია ისლამის კვლევა ქართველი მეცნიერების მიერ. თუმცა, გლობალურად ან შემადგენელი მოვლენების მიხედვით, ესპანეთის და ოსმალეთის იმპერიების ურთიერთობები სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა. ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი გზას გაუხსნის დაინტერესებულ მკვლევარებს სწორედ ნაშრომის სიახლით, საკითხის ფართო ანალიზის და წყაროთმცოდნეობის კუთხით. ჩვენ მიერ დამოწმებული ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან გვსურს გამოვყოთ გ. ალასანიას, ვ. გაბაშვილის, ე. მამისთვალიშვილის, მ. მახარაძის, მ. პაპაშვილის, მ. სვანიძის, ი. ტაბაღუას, მ. ტიკაძის, გ. ფუთურიძის, თ. ქარჩავას, თ. წითლანაძის, ი. ხუბაშვილის და სხვ. შრომები.

რუსულენოვანი ლიტერატურიდან ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია არონ ნოვიჩევის წიგნი ,,თურქეთის ისტორია, ფეოდალიზმის ეპოქა, XI-XVIII სს." (I ტომი ); ასევე იური პეტროსიანის ნაშრომი ,,ოსმალეთი იმპერია". ოსმალეთის იმპერიის ეთნოკულტურული პროცესების განხილვასთან დაკავშირებით, აღნიშვნის ღირსია ვლადიმირ ფორტუნატოვის წიგნი ,,მსოფლიო

ცივილიზაციების ისტორია“, ვლადიმირ მეიერის მონოგრაფია ,,ევროპის ,,ფასების რევოლუციის“ გავლენა ოსმალეთის იმპერიაში“. რაგუზის (დუბროვნიკის) რესპუბლიკის როლს მედიტერანულ დიპლომატიაში ისტორიული რაკურსით განიხილავს მარენ ფრეიდენბერგი წიგნში ,,დუბროვნიკი და ოსმალეთის იმპერია“.

**ისტორიოგრაფიული ბაზა.** წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგნის ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებით, სასურველია გამოიკვეთოს, რომ პირველი ქვეთავი ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიული კონტექსტის მიმოხილვას ეთმობა, რადგანაც ესპანეთის და ოსმალეთის იმპერიების დაპირისპირების მთავარ სცენას სწორედ აღნიშნული გეოგრაფიული არეალი წარმოადგენდა.

ცხადია, სამოქმედო ასპარეზის ისტორიულ შეფასებას გვერდს ვერ ავუვლიდით. საყურადღებოა, რომ ხმელთაშუა ზღვას, როგორც სამი კონტინენტის თანხვედრის ადგილს, ცივილიზაციების ,,გამაერთიანებელ ელემენტს“, მის გრანდიოზულ მნიშვნელობას მსოფლიო ისტორიოგრაფიაში პირველად ყურადღება დაუთმო გეორგ ფრიდრიჰ ჰეგელმა, რომელმაც წიგნში ,,ისტორიის ფილოსოფია“ ხმელშათუაზღვისპირეთს ,,მსოფლიო ისტორიის ცენტრი“ უწოდა.[41] ჰეგელის მიხედვით, საბერძნეთისთვის დამახასითებელი იყო ინდივიდუალიზმი, ხოლო რომის იმპერიისთვის - აბსტარაქტული უნივერსალიზმი, XVI საუკუნეში კი მსოფლიო ისტორიის სული ინაცვლებს სულ უფრო დასავლეთით და ხმელთაშუაზღვისპირეთის თეატრალურ სცენაზე წარმოგვიდგება.[42] მოცემული პერიოდიდან ისტორიის, როგორც ერთიანი კომპლექსური სისტემის და ზოგადი საკითხების გააზრება, გლობალურ, **,,მეტაისტორიას“** ასახავს.[43] ,,ისტორია

---

[41],,ხმელთაშუა ზღვა ძველი მსოფლიოს გულია, რომელიც მას განაპირობებს და ასულდგმულებს“ (Hegel, 2004, გვ. 87).

[42] Hegel, 1975, გვ. 427.

[43]ტერმინი ,,მეტაისტორია“ შემოღებული იქნა ამერიკელი ისტორიკოსის ჰეიდენ უაიტის მიერ, როდესაც 1973 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი ,,მეტაისტორია”: ისტორიული წარმოდგენა XIX საუკუნის ევროპაში“. წიგნში გამოთქმული მოსაზრებით, ისტორიის ჩაწერა ხდება განსხვავებული მეთოდებით, იმის მიხედვით, თუ რომელს აირჩევს თავად ისტორიკოსი, და არ არსებობს ე. წ. ,,უმნიშვნელო ისტორია“, ხაზს უსვამს ფილოსოფოსების როლს ისტორიის კვლევაში (White, 2014, გვ. 275, 279-280).

საბოლოოდ აღქმულია, როგორც ადამიანის საკუთარ არსებობასთან შერწყმის დრამა" - განსაკუთრებით ეს ეხება შუა საუკუნეების ისტორიულ მონაკვეთს, აღნიშნავს ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ჰეიდენ უაიტი.[44] იგი ასევე გამოკვეთს, რომ ამგვარი მიდგომა მხოლოდ დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიოგრაფიისთვის არის ჩვეული.

ჰეგელის ,,მსოფლიოს ცენტრი" და უაიტის ,,მეტაისტორია" რეალური სახით, როგორც მსოფლიო ისტორიის შესწავლის განხორციელებული მაგალითი, სახეცვლილად წარმოგვიდგება ანალების სკოლის ფრანგი ისტორიკოსის, ფერნან ბროდელის (1902-1985) მონუმენტური ნაშრომის სახით. მის მიერ 1947 წელს დაცული დისერტაცია ,,ხმელთაშუა ზღვა და ხმელთაშუაზღვისპირეთი ფელიპე II-ის ეპოქაში" ორი წლის შემდეგ წიგნად გამოიცა და ისტორიის ანალიზის სრულიად ახალი ხედვა წარმოაჩინა. ნაშრომი წარმოადგენს რეგიონის პირველ გრანდიოზულ შესწავლას კარლოს V-ის მემკვიდრის, ფელიპე II-ის, ეპოქაში. როგორც ცნობილია, ავტორმა ნაშრომზე მუშაობა დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა ტყვეობაში ყოფნის დროს, მხოლოდ და მხოლოდ წაკითხულ და დამახსოვრებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით.[45] შემდეგ ეს ფუნდამენტური ისტორია თავად გახდა მრავალი კვლევის პირველწყარო. ფ. ბროდელი შენიშნავდა, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთით იგი ალჟირის უნივერსიტეტში მუშაობის დროს (1923-1932) დაინტერესდა.[46] ფელიპე II-ის ხანა განსაკუთრებულად მრავალფეროვანი იყო რეგიონის პერიოდიზაციად აღებისთვის. ,,ვნებით შემიყვარდა ხმელთაშუა ზღვა" - აღნიშნავდა მეცნიერი.[47]

---

[44] White, Ib., გვ. 127.

[45] აღნიშნული მოსაზრება არასწორად დამკვიდრებული ინფორმაცია უნდა იყოს, რადგან 1938 წელს გერმანელების მიერ დატყვევებული ფერნან ბროდელი ჯერ მაინცის XII B ოფიცერთა ლაგერში იმყოფებოდა, შემდეგ ლიუბეკის XC ლაგერში. ორივე ბანაკში იგი ოფიცერთა ლაგერის ბიბლიოთეკის რექტორად განათავსეს და, ამდენად, წვდომა ჰქონდა ბიბლიოთეკის მასალებზე (Hannemann, 2006, გვ. 95).

[46] Hughes-Warrington, 2000, გვ. 17.

[47] Braudel, 1985, გვ. 12.

ფერნან ბროდელი, როგორც ეს ანალების სკოლას ახასიათებდა, მოცემული გეოგრაფიულ-ისტორიული განზომილებების წყალობით, მსოფლიო ისტორიის სისტემური შესწავლის მაგალითს ქმნიდა. მან დაამკვიდრა ინდივიდების და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენების ფართო ანალიზის მეთოდი.[48]

გლობალური ისტორიული ფაქტების კვლევის საფუძველზე, ბროდელი, ჰეგელის მსგავსად, ასკვნიდა, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთზე ხდება რიგი პროცესების თანხვედრა პოლიტიკასა და ხალხთან: ,,ისტორია წარმოგვიდგება როგორც მოძრავი ცხოვრება, როგორც ცეცხლოვანი სანახაობა, რომელიც შექმნილია პრობლემების ერთობით, მას თავის მხრივ ძალუძს მრავალფეროვანი და ურთიერთსაპირისპირო ასპექტების დაფარვა... არ არსებობს ცალმხრივი ისტორია".[49] ცალკეული მოვლენების მონოტონური თხრობის ნაცვლად, იგი ერთიანი, დიდი პროცესის შესწავლის მაგალითს და, აღნიშნული მეთოდით, ისტორიის სიღრმისეულ ხასიათს წარმოაჩენდა. თუმცა, ამ სისტემურ პროცესს კიდევ სამ ნაწილად ჰყოფდა. მესამე ნაწილშია მოქცეული სწორედ ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი სუბიექტი: ფელიპე II და მისი დაპირისპირება ოსმალეთის იმპერიასთან.

ფერნან ბროდელი მხოლოდ პოლიტიკური კონფლიქტის განხილვით როდი შემოიფარგლებოდა, არამედ თანადროულად აღწერდა რეგიონის ხალხების ცხოვრებას, სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას და ინტელექტუალურ გარემოს. გლობალურ საკითხს გლობალური განხილვა ესაჭიროება. ზოგადად, ანალების სკოლისთვის დამახასიათებელია ცივილიზაციის შესწავლა ქრონოლოგიურად ვრცელ სოციო-კულტურულ რაკურსში.[50] იგი განერიდა ჩვეულ ფრანგულ

---

[48] Caves, 2005, გვ. 54.

[49] Braudel, 1990, გვ. 25.

[50] ანალების სკოლა 1929 წელს დაარსდა ფრანგი მარკ ბლოკისა (1886-1944) და ლუსიენ ფევრის (1878-1956) მიერ (Britannica). ლ. ფევრი ფერნან ბროდელის პროფესორი და ხელმძღვანელი იყო. სკოლის ძირითადი მიმართულება განისაზღვრებოდა მოვლენების გრძელვადიან სტრუქტურაში შესწავლით. სტრუქტურა მოიცავდა მენტალურ გარემოს, გეოგრაფიას, მატერიალურ კულტურას; ანალების სკოლის წარმომადგენლები აღნიშნული მეთოდის წყალობით, მკვეთრად შორს იდგნენ

იდეოლოგიურ დავას მხოლოდ პოლიტიკაზე. ჰეგელის მსგავსად, ბროდელიც ხმელთაშუა ზღვის სცენაზე ახდენდა განსხვავებული კულტურების ურთიერთქმედების შესწავლას.[51]

ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციები ხანგრძლივი პროცესის შედეგად ჩამოყალიბდნენ, ამიტომ შეუძლებელია, მათი ვიწრო სივრცულ გარემოში და მხოლოდ ერთ კონტექსტში განხილვა. ამიტომ, ფერნან ბროდელის მეთოდი საკითხის კომპლექსურ კვლევას ,,დროისა და სივრცის" ჭრილში გულისხმობს.[52] მეცნიერის შენიშვნით: ,,ისტორიის შესწავლა არის ორგანიზებულობა, თანმიმდევრულობა, რეალობებსა და სოციალურ მხარეებს შორის საკმარისად დაფიქსირებული ურთიერთობები. ჩვენთვის, ისტორიკოსებისთვის, სტრუქტურა უდავოდ არის თავმოყრა, არქიტექტურა, მაგრამ, კიდევ უფრო მეტიც, ეს არის რეალობა, რომელსაც დრო აჭიანურებს და გარდაქმნის".[53]

**მეთოდოლოგიური ბაზა.** სამეცნიერო კვლევის სუბიექტების განსაზღვრის, წყაროების კლასიფიკაციისა და ადეკვატური ლიტერატურის შეჯერების საფუძველზე, ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ისტორიის კომპლექსური გააზრების მეთოდი.

მოვლენების ვრცელი რაკურსით აღქმა დიდ სამსახურს გვიწევს სრული სტრუქტურის ცალკეული შემადგენელი თავების სიღრმისეული ანალიზის დროს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თემის ვრცელი გენეზისიდან გამომდინარე, კონკრეტული ქვეთავის შესწავლა-განსჯისთვის განსხვავებულ მეთოდსაც მივმართავთ, რომლის ფუნდამენტის შესაქმნელად დოკუმენტური წყაროების მტკიცებულებად გამოყენებას და ემპირიულ სისტემატიზაციას ვეყრდნობით.

---

საფრანგეთში გაბატონებული მიმართულებისგან, რომელიც ისტორიოგრაფიაში ძირითადად პოლიტიკურ-დიპლომატიურ ასპექტებზე ამახვილებდა ყურადღებას (Hexter, 1974, გვ. 61).

[51] იაკობ ბურკჰარტი აღნიშნულ დახასიათებებს უპირისპირებს ,,მსოფლიოს სცენასაც". მასვე შემოაქვს გეოისტორიის იდეაც, სადაც ინტერკულტურული კავშირები გეოგრაფიულ სივრცეში ისტორიული ხანგრძლივობით განიხილება (Cornette, 2002, გვ. 51-52).

[52] Braudel, 1979, გვ. 96.

[53] Braudel, Ib., გვ. 70.

ისტორიის რეკონსტრუქცია, განსახილველი მასალების სინთეზის მეოხებით, ჩინებულ საშუალებად წარმოგვიდგება ანალიტიკური მსჯელობისა და დასკვნის ფართო სპექტრით გამოსატანად. ნაშრომის ძირითადი მეთოდოლოგიური მახასითებელი მოვლენების სისტემური აღქმაა.

**სტრუქტურული მხარე.** წინამდებარე ნაშრომი რვა თავისგან შედგება. თითოეული თავი შესაბამის შინაარსობრივ ქვეთავებად იყოფა, რომლებიც ცალკე აღებული, ფართო მონოგრაფიულ კვლევას წარმოადგენს და გამოირჩევა სუბიექტებზე მსჯელობის შედარებითი მაჩვენებლით.

ნაშრომს დასაწყისშივე ერთვის აბრევიატურების სია, რომლებიც ლათინური შრიფტით არის მითითებული, მათ შორის, კვლევის ძირითად ტექსტშიც. ესპანელი სამეცნიერო ხელმძღვანელის გათვალისწინებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მართებულად მიგვაჩნია. კვლევის ორიგინალურობა გამოკვეთილია განხილულ საკითხებთან დაკავშირებული პრე-ფაქტების ზოგადი მიმოხილვით, რაც საშუალებას გვაძლევს, ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, გადავიდეთ უშუალოდ მოცემული თემის შესწავლაზე.

დასკვნით ნაწილში, კვლევის შეჯამებას ერთვის გამოყენებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი.

**ნაშრომის ჰიპოთეზა.** წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ძირითად ამოსავალ წერტილად ფერნან ბროდელისეული კვლევის მეთოდისკენ გადავიხარეთ, თუმცა, აბსოლუტურად განსხვავებული სტრუქტურული თემით. ჩვენი თეორიული წინარე დასკვნა შემდეგი ჰიპოთეზით ჩამოვაყალიბეთ: ისტორიული მოვლენების გარკვეული ასპექტების, ცალკეული სუბიექტების შესწავლით, ერთი სისტემური, ისტორიული მოვლენა შესაძლებელია ფართო ქრონოლოგიურ დისტანციასა და გეოგრაფიულ სივრცეში გავაანალიზოთ. იმპერიების დაპირისპირება მხოლოდ სამხედრო ან რელიგიურ საფუძველზე არ განიხილება. ცალკეული საკითხების შესწავლით, მოცემული მხარეების ურთიერთობის იმპერიული იდეოლოგიის კვლევამდეც მივდივართ.

ესპანეთის ტახტზე ჰაბსბურგთა დინასტიის და ოსმალეთის იმპერიების ანტაგონიზმმა ჩამოაყალიბა XVI საუკუნის გეოპოლიტიკური სისტემა, რომელსაც **„მედიტერანიზმს**“ ვუწოდებთ. აღნიშნულმა გარემოებამ მნიშვნელოვნად შეცვალა შემდეგი საუკუნეების და, ზოგადად, მსოფლიო ისტორიის კურსი.

**ნაშრომის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე.** დასავლური და ქართული ისტორიოგრაფიის გამორჩეული მეცნიერები XVI საუკუნის გლობალური სცენის - ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიის შესასწავლად მდიდარ თემატურ მასალას გვთავაზობენ. წინამდებარე ნაშრომი საკითხის კონცეპტუალური კვლევით გამოირჩევა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ საყურადღებო სიახლეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ესპანურენოვანი საარქივო დოკუმენტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამკვიდრება წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტი მოცემულ თეზისს ფრიად მნიშვნელოვან ორიგინალურობას სძენს; ამასთან, საშუალებას იძლევა, მოხდეს ქრონოლოგიური და ტერმინოლოგიური უზუსტობების გადახედვა. პარალელურად, ქართულ სივრცეში ისტორიის კომპლექსური კვლევის განვითარებისთვის მდიდარ აკადემიურ მასალას აფუძნებს, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული თემით დაინტერესებულ პირებს საუკეთესო ფუნდამენტს სთავაზობს, მოახდინონ დაკავშირებული ქვესაკითხების ღრმა კვლევა. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოდის გარკვეული ესპანური და იტალიურენოვანი დოკუმენტების, ესპანეთის არქივებში დაცული მასალების თარგმანი, რაც ჩინებულ სამეცნიერო ბაზას ქმნის.

ამდენად, ქართულ რეალობაში, ნაშრომის ერთ-ერთი სიახლე ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებული წყაროების დამკვიდრებაა. კვლევის საგანი თემატური ემპირიული სიახლით გამოირჩევა. კვლევის ორიგინალურობა მდგომარეობს ტერმინების, ისტორიული ფაქტებისა თუ კერძო სახელების ზუსტ სამეცნიერო გამოყენებაში, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომით დასმულია კვლევის მთავარი კითხვა: რა ფაქტორი განსაზღვრავდა ორი განსხვავებული სტრუქტურულ-იდეური იმპერიის ძალთა ბალანსს ხმელთაშუა ზღვის რეგიონში? მსოფლიო ისტორიის გლობალური შესწავლის ტრადიციაში, ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ორი იმპერიის ანტაგონიზმის შედარებითი მოვლენების განხილვით. არ ხდება მათი ქრონოლოგიური ჩამოთვლა ან მხოლოდ მედიტერანიზმის სხვადასხვა სფეროების აღწერა. ნაშრომში თხრობის შედარებითი ხასიათი აგრეთვე საყურადღებო სამეცნიერო სიახლედ გამოიკვეთება.

კვლევაში ჩართულ ელემენტად განიხილება ინტერკულტურული მაგალითებიც, რაც ეპოქის სოციო-ეკონომიკური ფონის შესწავლისთვის შესაბამის ფონს ქმნის.

ნაშრომის კვლევის მანერა, ახალი ტერმინების (,,მედიტერანიზმი, ,,იმპერიული იდეოლოგია“, ,,ხმელთაშუაზღვისპირეთის დიპლომატია“, ,,ცნობების დიპლომატია“ ,,ესპანიზაცია“) დამკვიდრების მცდელობით, ანალიტიკური მსჯელობის მოქნილ მაგალითს აფუძნებს.

ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მნიშვნელოვან სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს როგორც ქართულ, აგრეთვე დასავლურ ისტორიოგრაფიაში.

## თავი 1

## ხმელთაშუა ზღვის გზაჯვარედინი - ესპანეთისა და ოსმალეთის იმპერიების გენეზისი

### 1.1. ,,მედიტერანიზმი“ - ისტორიული კონტექსტი

XVI საუკუნე ესპანეთის უნივერსალური მონარქიის ამბიციური პოლიტიკის საუკუნეა, რომელიც მხოლოდ ამერიკული ოქროს ბრწყინვალებით არ ანათებდა შუა საუკუნეების ,,სიბნელით მიძინებულ ევროპას“. ველასკესის, ლოპე დე ვეგას და სერვანტესის დიდებული ხანა ჰაბსბურგთა დინასტიის ესპანური შტოს წარმომადგენლებს უფლებას აძლევდა, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ საფუძველთან ერთად, მსოფლიო ისტორიის ,,გლობალურ სცენაზე“, ხმელთაშუაზღვისპირეთზე, კულტურულ-ეკონომიკური უპირატესობითაც წარმოჩენილიყვნენ.[54] მადრიდის ,,ავსტრიული სამეფო კარის” და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობა სამ ძირითად გეოგრაფიულ არეალში გაიშალა: ცენტრალური ევროპა, ხმელთაშუა ზღვის კუნძულები და ჩრდილოეთ აფრიკის ბარბარული სანაპიროები. ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე მოვლენებს ,,მედიტერანიზმის“ სახელქვეშ წარმოვადგენთ. რამდენადაც, ორი იმპერიული გიგანტის დაპირისპირება არ მოიცავდა მხოლოდ პოლიტიკურ ასპექტებს, არამედ თავს უყრიდა სამხედრო-ეკონომიკურ და რელიგიურ-იდეოლოგიურ ანტაგონიზმს, შესაბამისად, მართებული იქნება, თუ მიმდინარე ქრონოლოგიურ ჩარჩოში აღნიშნულ ისტორიულ პროცესებს ერთიან კონტექსტში განვიხილავთ. ისტორიული დროის გარდა, საყურადღებოა, კათოლიკური და მუსლიმური იმპერიების ურთიერთობის მთავარი სამოქმედო არეალის გააზრება. როგორც ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორი ჯენარო ვარიალე შენიშნავს, სწორედ ,,საკუთარ აკვანში მონანავე ხმელთაშუა ზღვამ“ დააკავშირა ერთმანეთს XVI

---

[54] Sola Castaño, 1988, გვ. 5.

საუკუნის ორი გლობალური ძალა.[55] ოსმალეთის იმპერია XV საუკუნის დასაწყისისთვის უკვე მართავდა თითქმის მთელ ანატოლიას, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებს, ადრიატიკის სივრცეს. ტერიტორიული მიმართულებების ცვალებადობამ თურქებს ბიზანტიის იმპერიის შემდგომ დაბრკოლებად ჰაბსბურგთა წინააღმდეგობა დაახვედრა. მედიტერანიზმის ისტორიოგრაფიის კომპლექსურ აღქმაში ესპანეთის კათოლიკური მონარქიის, და, ზოგადად, ევროპის ანტაგონიზმი ოსმალებთან რამდენიმე მნიშვნელოვან თარიღად იყოფა: 1453 წელი - კონსტანტინოპოლის დაცემა, 1535 წელი - თუნისის დაკავება კარლოს V-ის მიერ, 1560 წელი - ესპანეთის იმპერიის მარცხი კუნძულ ჯერბასთან, 1565 წელი - კ. მალტის ალყა და 1571 წელი - ლეპანტოს გადამწყვეტი ბრძოლა ევროპისთვის.[56]

მიჩნეულია, რომ ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირების ქრონოლოგიზაციაში ლეპანტოს ბრძოლა იყო რელიგიებსა და კულტურებს შორის პირველი, გლობალურად გამოხატული ,,ცივილიზაციური ჯახი“.[57] მეტაისტორიის ფარგლებში, აღნიშნული გადამწყვეტი ბრძოლებით, რომელთაგან თითოეული ,,უკანასკნელ ჯვაროსნულ შეტევად“ ცხადდებოდა, ერთმანეთს ხმელთაშუა ზღვის მთავარი სუბიექტები უპირისპირდებოდნენ. ,,მსოფლიო სცენის“ დასავლეთი (ესპანეთის მონარქია) და აღმოსავლეთი (ოსმალეთის იმპერია) ,,ოქროს საუკუნის“ პოლიტიკური წონასწორობის ღერძს წარმოადგენდნენ. შუა საუკუნეებში ოქსიდენტად და ორიენტად დაყოფის მიუხედავად, ევროპა აღმოსავლეთის ჭიშკართან დამკვიდრებულ ,,ახალ მტერთან“ საერთო პლატფორმით გამოდიოდა.[58] ,,სხვადასხვა ევროპის“ ,,ერთიანი ევროპული სივრცე“ XVI საუკუნეში ადგილს უთმობდა ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში გადანაცვლებული მთავარი

[55] Varriale, 2015, გვ. 14.
[56] ვ. გაბაშვლის შენიშვნის მიხედვით, აღნიშნულ ქრონოლოგიაში გაცილებით მნიშვნელოვანი უშუალოდ კონსტანტინოპოლის დაცემის თარიღია, რადგანაც ,,ნახევრად ველურმა ოსმალებმა ბოლო მოუღეს ოდესღაც ძლიერ და უაღრესად კულტურულ ბიზანტიას“ (გაბაშვილი, 1954, გვ. 59).
[57] Bowen, 2018, გვ. 92.
[58] ჯავახია, 2008, გვ. 128.

პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების მედიტერანულ დაქსაქსულობას.[59] მუდმივი დაპირისპირების მთავარი სუბიექტები, ნებით თუ უნებლიედ, სახეს უცვლიდნენ აღნიშნული სივრცის სოციო-კულტურულ ფონს.

მოცემულ ანტაგონიზმში ერთგვარ შესვენებას წარმოადგენდა სულტან სელიმ I-ის (1512-1520) 1516-1518 წლების დაპყრობები;[60] ოსმალებმა დაიკავეს სირია, პალესტინა, არაბეთის ნახევარკუნძულის ნაწილი, ეგვიპტე. სულტნის აგრესიულმა პოლიტიკამ ალჟირამდეც მიაღწია.[61] მისმა მემკვიდრემ, სულეიმან დიდებულმა (1520-1566) ალ-ანდალუსის ,,დაბრუნება" და წმინდა ეპარქიის დამორჩილება გადაწყვიტა. 1521 წელს კი, უნგრეთზე თავდასხმით, მან ოსმალეთის იმპერიის დაპყრობების ევროპული მარში განაახლა. ბელგრადის დაცემამ სულეიმან I წინსვლისთვის კიდევ უფრო გაამხნევა; თუმცა, მოულოდნელად, იმპერიის საზღვაო ძალები კუნძულ როდოსისკენ წარმართა.[62] აღმოსავლეთ ანატოლიასთან უახლოესად მდებარე კუნძული წმინდა იოანეს ორდენის რაინდთა ხელთ იყო. ექვსი თვის მცდელობის შემდეგ, ოსმალებმა როდოსი დაიკავეს. ორდენის საძმო მალტაზე გადავიდა. 1526 წელს სულეიმან დიდებული 50 000 ჯარისკაცით კვლავ უნგრეთისკენ გაემართა. ტრანსილვანია ოსმალეთის იმპერიის ვასალურ დამოკიდებულებაში გადავიდა. 1529 წელს კი 100 000 მეომრით სულტანი გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის დედაქალაქს, ვენას, მიუახლოვდა.[63] სწორედ ოსმალების ევროპის ცენტრში გამოჩენით დაიწყო მათი საუკუნოვანი დაპირისპირება ჰაბსბურგების საიმპერატორო კართან. კონტინენტური ევროპის დაკავება ოსმალეთის იმპერიის ერთადერთ მიზანს როდი წარმოადგენდა. ,,დიდი თურქის" მზერა ამერიკის ახალი სამყაროსკენ იყო მიპყრობილი. ოსმალეთის სულტნებს ამ მიმართულებით გამავალ ჭიშკარს ხმელთაშუა ზღვის საზღვაო

---

[59] ჯავახია, 2006, გვ. 64.
[60] სვანიძე, 2007, გვ. 104-105.
[61] Majoros, 2000, გვ. 210–212.
[62] Crowley, 2008, გვ. 16.
[63] Colin, 2002, გვ. 50.

მარშრუტი უხსნიდა. აუცილებელია, განვიხილოთ თვით ,,მედიტერანიზმის" რეგიონის ისტორია, რათა მოხდეს მისი, როგორც ცივილიზაციური გზაჯვარედინის, მახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა. რამდენად თავსებადი იყო ხმელთაშუაზღვისპირეთის გეოპოლიტიკური ჩამოყალიბება XVI საუკუნეში მიმდინარე გლობალურ მოვლენებთან.

ძვ. წ. VIII საუკუნეში ასირიელები ხმელთაშუა ზღვას ,,ზემო ზღვად" მოიხსენიებდენ და ეს არის მისი პირველი ისტორიული დასახელება. რომანულ ენებში ,,მიწებს შორის ზღვად" აღნიშნული სივრცე უკვე საუკუნეებს მოითვლიდა, რაც ცივილიზაციის აკვანს წარმოადგენდა.[64] ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ლათინელი სწავლულის გაიუს სოლონის ჩანაწერებში ვხვდებით მის ხსენებას, როგორც ,,ხმელთაშუა ზღვა", თუმცა, VI საუკუნიდან ამ ტერმინით უკვე მყარად მკვიდრდება ისიდორე სევილიელის ხელნაწერებში.[65] ხმელთაშუა ზღვამ ერთმანეთთან გადააჯაჭვა ერები და კულტურები. შეიძლება ითქვას, ისტორიას თავიდან აარიდა როგორც გარკვეული კონფლიქტები, ამავდროულად, მათი წარმოშობის მიზეზიც გახდა. სხვადასხვა ეპოქაში მისი ფუნქცია ერთი იყო: ოკეანურ წყლებში გასვლის მეტად მოსახერხებელი საზღვაო გზების შეთავაზება.[66] რეგიონი იმპერიების წარმოშობის და დაცემის მოწმეა, სადაც გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე და რეკონკისტამდე მსოფლიო ცივილიზაციები ძირითადად ,,ჰარმონიულ თანაცხოვრებაში" იყვნენ შერწყმული.[67] ისტორიის კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ხმელთაშუა ზღვას შეგვიძლია ,,შემოქმედებითი

---

[64] რომაელები მას უწოდებდნენ ,,დიდი ზღვას", ,,შუა ზღვას" და ,,ჩვენ ზღვას" (EH. T. 10, გვ. 408), გოთები - ,,თეთრ ზღვას", ებრაელები - ,,დიდ ზღვას", თურქები ასევე - ,,თეთრ ზღვას" (თურქ. Akdeniz - სავარაუდოდ, შავ ზღვასთან კონტრასტის გამო, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ზღვას მათ ,,თეთრი" უწოდეს), (Matvejevic, 1999, გვ. 165), ხოლო ყველაზე უჩვეულოდ მას მოიხსენიებდნენ ეგვიპტელები - ,,დიდი მწვანე ზღვა".

[65]Rickman, 2011, გვ. 133.

[66] რეგიონის უმოკლესი საზღვაო გზის გაყვანის პირველი მცდელობა ეკუთვნის სპარსეთის მეფე დარიოს I-ს. სწორედ მისი ბრძანებით, ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, გაიჭრა სუეცის არხი, სადაც ორი ხომალდი თავისუფლად უვლიდა ერთმანეთს გვერდს და წითელ ზღვაში გამავალ მარშრუტს მხოლოდ ოთხი დღე სჭირდებოდა (Rappoport, 1904, გვ. 248-257).

[67] Remie Constable, 2012, გვ. xxxi.

ზღვაც“ ვუწოდოთ. მსოფლიო ისტორიის დასაბამიდან იგი წარმოადგენდა ახალი გზების, ცოდნის, სიმდიდრის, ფილოსოფიის ძიების სიმბოლოს. ევროპის პირველი უნივერსიტეტი დაარსდა ბოლონიაში 1088 წელს, თუმცა, მას წინ უძღოდა 859 წელს მაროკოში, ფესში, ვაჭარ მუჰამედ ალ-ფიჰრის ქალიშვილის, ფატიმას მიერ დაარსებული მედრესე.[68] ალ-კარაუინის მედრესემ, მოგვიანებით უნივერსიტეტმა, უდიდესი გავლენა მოახდინა ჯერ შუა საუკუნეების მუსლიმური ესპანეთის, მოგვიანებით კი, მთელი ევროპის განათლებაზე. ჩრდილოეთ აფრიკიდან გადასული მეცნიერებით ევროპამ მეტი სიბრძნე შეიძინა. 1453 წელს სულტან მეჰმედ II-ის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი ასევე ცოდნის ერთ-ერთ პირველ სახლს წარმოადგენდა. ყველა მათგანი ქმნიდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონის განათლების ერთიან კვანძს - ,,მონანავე ერუდიციას“. ძველი წელთაღრიცხვის ისტორიულ კვეთაში 300 წელს დაარსებული ალექსანდრიის ბიბლიოთეკა იყო ცოდნის ის კულმინაციური ცენტრი, სადაც აისახებოდა, თუ რა ინფორმაციას ფლობდა ევროპა სამყაროს შესახებ. სწავლის და ძიების ამ გზაჯვარედინზე თავს იყრიდნენ თალეს მილეტელი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენე, პითაგორა, ქსენოფონტე, დიოგენე, ჰიპოკრატე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე... VII საუკუნეში ესპანელმა სწავლულმა ისიდორე სევილიელმა (560-636), გუთებისა და ვანდალების ისტორიის გადმოცემით, პირველმა მოახდინა ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელობის საიმპერიო-პოლიტიკურ დონეზე აყვანა.[69]

ფერნან ბროდელი, თხრობის მისთვის ჩვეული მანერით, რეგიონის თანმხლებ ისტორიული განვითარების სახეს წარმოაჩენდა, როგორც ,,ეფემერულ მტვერს“, რომლის შიგნით ცივილიზაციები ,,კვეთენ მის სცენას, ბრწყინავენ ერთ ხანს, რათა შემდეგ წყვდიადში დაბრუნდნენ, ალბათ დასავიწყებლად“.[70] ხმელთაშუა ზღვას სწორედ ამგვარი ცვლილებები ახასიათებდა, გამომდინარე გაბატონებული იმპერიების, ერების, მკვეთრად განსხვავებული ცივილიზაციების განვითარებისა

---

68 Esposito, 2003, გვ. 328.
69 Remie Constable, 2012, გვ. 3.
70 Braudel 1987, გვ. 335.

და არსებობის მხრივ. ლარუსის ენციკლოპედიაში მის შესახებ ასეთ განმარტებას ვკითხულობთ: ,,დიდი შიდა ზღვა მერიდიანულ ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკასა აღმოსავლეთ აზიას შორის. იგი გიბრალტარის სრუტით უკავშირდება ატლანტის ოკეანეს, ხოლო წითელ ზღვას - სუეცის არხით. ეს ზღვა წარმოადგენდა სასიცოცხლო ცენტრს ანტიკურ ეპოქაში... დიდი აღმოჩენების მეოხებით, XV-XVII საუკუნეებში იყო მეტად მნიშვნელოვანი; როგორც ზღვაოსნობის მსოფლიო გზამ, თავისი დანიშნულება 1869 წელს სუეცის არხის მშენებლობის შემდეგ აღიდგინა“.[71] აღნიშნული ,,სასიცოცხლო ცენტრი“, ესპანეთის მონარქიის და ოსმალეთის იმპერიის დაპირისპირებით, ,,ქაოტური ძალადობის ბიოსფეროდ“ გადაიქცა.[72]

1453 და 1492 წლები ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონის ისტორიაში ორი ძირითადი თარიღია. აღმოსავლეთით დაეცა ბიზანტიის იმპერია და ევროპა დადგა ახალი, მკვეთრად რეალური საფრთხის წინაშე - ოსმალეთის იმპერიის ჩრდილმა დასავლეთისკენ დაიწო განვრცობა; დასავლეთ ნაწილში კი ესპანეთის ჰაბსბურგთა იმპერია ამერიკის ახალ მიწებზე ადგამდა ფეხს. ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილი, მეზოამერიკა და სამხრეთ ამერიკის უმეტესი ტერიტორია კასტილიის სამეფო გვირგვინის ქვეშ მოექცა; აგრეთვე წყნარ ოკეანეში - ფილიპინები, მარიანას (გუამით) და კაროლინის კუნძულები.[73] 1790 წელი დაფიქსირდა მაქსიმალურ პუნქტად კათოლიკური იმპერიის ტერიტორიული განვრცობის მხრივ. 1580-1640 წლებში მადრიდის ავსტრიული სახლი, ჰაბსბურგთა დინასტიის ესპანური განშტოება, საკუთარ ტერიტორიებს ,,იბერიის კავშირს” უწოდებდა.[74] ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ბიზანტიის და საღვთო რომის იმპერიის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის ყურადღებას სწორედ ესპანეთის მიწები იქცევდნენ. ,,რომალების

---

[71] Larousse, 1983, გვ. 1432-1433.

[72] Crowley, 2008, გვ. 4.

[73]აღნიშნულ ტერიტორიებს ეწოდა „ახალი ესპანეთი“, „პერუს ესპანეთი“. სწორედ მოცემული გეოგრაფიული შენაძენით, ესპანეთის ჰაბსბურგთა იმპერია გახდა პირველი გლობალური ცივილიზაცია, რადგანაც იგი მსოფლიოს თითქმის ყველა ნაწილში მნიშვნელოვან ტერიტორიებს ფლობდა (თ. ხ.).

[74] Luxán Meléndez, 1987-1988, გვ. 61-86.

ლათინური დასავლეთი“ ესპანური დასავლეთისგან განსხვავებულ გეოგრაფიულ განზომილებას წარმოადგენდა.[75] ოსმალეთის იმპერიის ევროპის კონტინენტურ სივრცეში და ხმელთაშუა ზღვის წყლებში შესვლის წადილს რეგიონის უკიდურეს დასავლეთ კარიბჭესთან მსოფლიო მონარქია ბლოკავდა.

## 1.2. კათოლიკური მონარქიიდან ჰაბსბურგების უნივერსალურ იმპერიამდე

დასავლურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ესპანეთის მონარქიის ისტორია გერმანელმა მეცნიერმა ლეოპოლდ ფონ რანკემ გადაარჩინა.[76] ნაშრომის შესავალში შევნიშნეთ შემდეგი: ფერნან ბროდელამდე სწორედ რანკემ ჩაუყარა საფუძველი ისტორიის კომპლექსურ კვლევას წიგნით ,,ოსმალები და ესპანეთის მონარქია XVI და XVII საუკუნეებში“.[77] რანკეს კვლევებამდე კი, რაც არ უნდა გასაკვირად ჟღერდეს, ესპანეთის იმპერია შემთხვევით ისტორიულ მოვლენად მიიჩნეოდა, რომელიც ჯერ კიდევ ,,შუა საუკუნეების იურისდიქციას ექვემდებარებოდა“.[78] ლეოპოლდ ფონ რანკემ კათოლიკური მონარქიის ისტორიული როლის განსხვავებული ხედვა წარმოადგინა.[79] მისი აზრით, ესპანეთის მონარქია იყო მკაცრად ორგანიზებული ერთობა, რომელიც, ოსმალეთის იმპერიისგან განსხვავებით, დაპყრობითი ომების ნაკლებობით გამოირჩეოდა.[80] იმპერიული საფუძვლები ესპანეთის მონარქიას კათოლიკე მეფეების, ისაბელ I კასტილიელის (1451-1504) და ფერნანდო II არაგონელის (1479-1516), ერთობლივი მმართველობის შედეგად ჩაეყარა. 1469 წელს ვალიადოლიდში გამართული მათი ქორწილი ესპანური სამეფოების გაერთიანების წინაპირობას ქმნიდა. 1474 წელს

---

[75] Crowley, 2008, გვ. 2-3.

[76] მან მსოფლიო ისტორიის შესწავლის პრაქტიკაში კვლევის გიოტინგენის სკოლის მეთოდი დაამკვიდრა (Ranke, 2011, გვ. XIX).

[77] Stradling, 1994, გვ. 33.

[78] Stradling, Ib., გვ. 34.

[79] რანკეს მიერ შესწავლილი ოსმალეთის იმპერია და ესპანეთის მონარქია ჰეგელის კომპლექსური ისტორიული ფილოსოფიის გაგრძელებად უნდა წარმოვიდგინოთ (Boyd, 1999, გვ. 981).

[80] Ranke, 1877, გვ. 87.

ისაბელის კასტილიის დედოფლად გამოცხადებით, ფერნანდო არაგონელიც კასტილიის დე იურე მეფედ იქნა აღიარებული.[81] 1479 წელს, ხუან II არაგონელის (1458-1479) გარდაცვალების შემდეგ, ფერნანდო არაგონის მეფეც გახდა. სწორედ აღნიშნულ პერიოდში შეიქმნა ყველა ინსტიტუციური საშუალება, რაც გაერთიანებულ ესპანურ სამეფოებს იმპერიად არსებობის უფლებას აძლევდა: ტერიტორია, იდეოლოგია, რელიგიური მოტივები, ამერიკის აღმოჩენილი მიწები, იბერიის არაბებზე გამარჯვება.[82] ყველაზე მკვეთრი გამმიჯვნელი, მაინც იყო მეფის ხელისუფლების ძალაუფლებად ქცევა. ესპანეთის იმპერიის მაგალითზე, ,,მეფე მეფობდა“ და მართავდა კიდეც.[83] სწორედ ამიტომ გამოკვეთს ფ. ბროდელი კათოლიკური მონარქიის უპირატესობას ოსმალეთის იმპერიასთან ანტაგონიზმის საკითხში: **,,ხმელთაშუა ზღვის ორი მხარის დაპირისპირების ცენტრში დგას კათოლიკური მონარქია, კათოლიკე მეფეების მიერ საფუძველჩაყრილი იმპერია“.**[84] თუმცა, იგივე აღნიშნავს, რომ ბიპოლარულ წინააღმდეგობრივ სივრცეში ოსმალეთის იმპერია გაცილებით ორიგინალურად მოქმედებდა.[85] 1503 წელს ესპანეთის მეფის, ფერნანდო არაგონელის მიერ ნეაპოლის სამეფოს დაქვემდებარებამ მოცემულ დაპირისპირებაში ვენეციის გარდა, ამჯერად უკვე იტალიის დარჩენილი ტერიტორიებიც მოაქცია. ნეაპოლის სამეფო მეტ პომპეზურობას სძენდა კათოლიკურ იმპერიას, რამდენადაც გაცილებით არისტოკრატული იერსახით გამოირჩეოდა.[86] ესპანეთის მონარქიის განმასხვავებელი ნიშნები შიდა დინასტიურ არაერთგაროვნებაში, მეფეების სახელმწიფოებრივ სტრატეგიებში გამოისახებოდა. მას, როგორც გლობალური ისტორიის სუბიექტს, არ გააჩნდა ერთიანი პოლიტიკური გეგმა. კათოლიკობის ზეგავლენა საჭირო და გადამწყვეტი იყო იმპერიის სიცოცხლისუნარიანობისთვის.

---

[81] Weissberger, 2008, გვ. 11-12.
[82] García, 2009, გვ. 20.
[83] García, Ib., გვ. 29.
[84] Braudel, 1987, გვ. 28.
[85] Braudel, Ib., გვ. 14.
[86] Varriale, 2013, გვ. 92.

კარლოს V-ს და მისი მემკვიდრის, ფელიპე II-ის, ,,ესპანიზაცია“ განსხვავებულად იყო წარმოდგენილი. საგარეო პოლიტიკის გატარების მხრივ. კარლოს V მეტად გერმანელი იმპერატორი იყო, მაშინ, როდესაც მისი შვილი მკვეთრად ესპანურ იდეოლოგიას აყალიბებდა.[87] აღიარებას იმსახურებს მოსაზრება ესპანეთის იმპერიის ,,შემადგენლობით“ ფორმაზე. ,,ესპანეთების მეფე“, ,,ყველა ესპანეთის მეფე“ თვით კასტილიის მეფეთა ტიტულატურაშია მოხსენიებული. კასტილია-ლეონის მეფე ალფონსო VII (1126-1157) იწოდებოდა imperator totius Hispaniae-დ (,,ყველა ესპანეთის იმპერატორი“ - თ. ხ.).[88] პირველი იმპერია იბერიის ნახევარკუნძულზე კი დაფიქსირებულია ალფონსო III ქრონიკაში (881).[89] ესპანეთის გაერთიანებული თუ შედგენილი იმპერიისთვის უცხო არ იყო მეფეთა უნივერსალურობის ალეგორია.[90] თუმცა, ვიდრე **ჰაბსბურგთა ესპანური დინასტია, ე. წ. მადრიდის ავსტრიული სახლი,** იბერიის ნახევარკუნძულზე დაიწყებდა არსებობას, მისი ფესვები ესპანური ტრასტამარას დინასტიიდან მომდინარეობდა.[91] უშუალოდ კასტილიური გენეზისის დინასტია ესპანეთში 1369-დან 1555 წლამდე მმართველობდა. ტრასტამარას დინასტიის პირველი წარმომადგენელი ენრიკე II (1369-1379) იყო, ხოლო უკანასკნელი - ისაბელ კათოლიკეს ქალიშვილი ხუანა I კასტილიელი, იგივე შეშლილი ხუანა (1479-1555). სწორედ ხუანას ფელიპე I ლამაზზე (1478-1506), მაქსიმილიან I (1483-1519) და მარია ბურგუნდიელის ვაჟზე, დაქორწინებით ტრასტამარას დინასტია ავსტრიელი ჰაბსბურგების საიმპერატორო გვარმა ჩაანაცვლა, შესაბამისად, ნეაპოლის და სიცილიის შემდეგ, ესპანეთის იმპერიის მიწებს ავსტრიულ-ბურგუნდიული მემკვიდრეობაც შეემატა. ისაბელ

---

[87] Ranke, 1877, გვ. 141-142.

[88] Schaub, 2015, გვ. 64-65.

[89] მხედველობაშია, ასტურიის სამეფო (Collins, 1989, გვ. 165). თავის მხრივ, აღნიშნული ქრონიკა წარმოადგენს ისიდორე სევილიელის (560-636) ,,გუთების ისტორიის” გაგრძელებას.

[90] მათგან გამორჩეული იყო ალფონსო X ბრძენი (1252-1284), რომელიც შუა საუკუნეების უაღრესად პროგრესულ მმართველად არის მიჩნეული და პირველ უნივერსალურ მონარქად ითვლება (Valdeón Baruque, 2004-2005, გვ. 243).

[91] ტრასტამარას გვარი მომდინარეობს გალისიის გეოგრაფიული ტოპონიმიდან, კერძოდ, ესპანეთის ჩრდილოეთით მდებარე მდინარე ტამარისის სახელიდან, tras Tamaris (მდ. ტამარისის მიღმა - თ. ხ.).

კასტილიელის (1451-1504) გარდაცვალების შემდეგ ფერნანდო II არაგონელმა (1452-1516), ქალიშვილის არაჯანსაღი ფსიქიკის გამო, ესპანეთის ახალი დედოფლის მეურვეობა თავად იკისრა, რადგან ვერც სიძეს ანდო იმპერიის ბედი.[92] ხუანა შეშლილის ნომინალური დედოფლობა 1506-1555 წლების ჩარჩოში, ჯერ მამის, ხოლო შემდეგ შვილის, კარლოს I-ის, მეურვეობით მიმდინარეობდა.

ამრიგად, 1469 წლის 19 ოქტომბერს, კასტილიისა და არაგონის გვირგვინების გაერთიანებით, საფუძველი ჩაეყარა ახალი დინასტიის, ჰაბსბურგთა გვარის დამკვიდრებას ესპანეთში. კათოლიკე მონარქების მემკვიდრის ხუანა კასტილიელის ბურგუნდიის პრინცზე დაქორწინებამ, ესპანეთის ტახტს ნიდერლანდების სამეფოც დაუქვემდებარა.[93] 1500 წლის 24 თებერვალს, უფლისწულ კარლოსის დაბადებით, ესპანეთის მონარქია, ტერიტორიული თვალსაზრისით, განმტკიცდა, როგორც შედგენილი უნივერსალური იმპერია.[94] 1519 წლის 12 იანვარს საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის მაქსიმილიანე I-ის, კარლოს V-ის ბაბუის, გარდაცვალებამ ესპანური იმპერია ევროპის სამ განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალში გააერთიანა.[95] კათოლიკური მონარქიის ორიგინალურობა, ოსმალეთის იმპერიასთან მიმართებაში, ვფიქრობთ, ნაკლები სულაც არ იყო, ვინაიდან, მოანრქიის იმპერიული იერსახის შესანარჩუნებლად, ფერნანდო კათოლიკემ საკუთარი ქალიშვილი ხუანა 1509 წელს ტორდესილასის ციხე-სიმაგრეში გამოკეტა (სადაც მან სიცოცხლის ბოლომდე დაჰყო, რათა, ფელიპე ლამაზის მოულოდნელი გარდაცვალების გამო, ოპოზიციური ძალები ესპანეთის ნომინალური დედოფლის გარშემო არ შემოკრებილიყვნენ).[96] ესპანელი მონარქების სახელმწიფოზე ზრუნვა ისაბელ კათოლიკეს ანდერძშიც გამოიკვეთა, რომელიც

---

[92] Kohler, 2005, გვ. 15.
[93] Lynch, 2009, გვ. 9.
[94] Kohler, 2005, გვ. 37.
[95] Ezquerra, 2011, გვ. 17.
[96] ფელიპე I ლამაზი 1506 წელს მხოლოდ კასტილიის მეფედ იქნა კურთხეული, 28 წლის ასაკში იგი ხუთდღიანი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. არის მოსაზრება, რომ სიმამრმა მოწამლა, რომელიც ესპანეთის სამეფო ტახტზე ახალი დინასტიის წარმომადგენელს ვერ ეგუებოდა (CODOIN, 1846, VIII, გვ. 394-397).

დედოფლის გარდაცვალებამდე თითქმის ერთი თვით ადრე, 1504 წლის 12 ოქტომბერს არის ჩაწერილი: **„დონ კარლოსმა, ჩემმა შვილიშვილმა, პრინცისა და პრინცესას პირველშობილმა მემკვიდრემ, ვიდრე 20 წლისა არ შესრულდება, მითითებულ ასაკში, მართოს და განაგოს ჩემი სამფლობელოები“.**[97] თუმცა, 1516 წლიდან უფლისწულმა კარლოსმა უკვე ესპანეთის მეფის, კარლოს I-ის სახელით, შეშლილი და ციხე-სიმაგრეში გამოკეტილი დედის „მმართველობის“ პარალელურად, მეფობა 16 წლის ასაკში დაიწყო. ხოლო 1520 წლის 23 ოქტომბრიდან გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის ტიტულით, თითქმის ევროპის უმეტეს ნაწილს განაგებდა, როგორც კარლოს V.[98] რადგანაც, კარლოსის მამას, ფელიპე I ლამაზს, მცირე ხანს მოუხდა ესპანეთის მეფობა, ჰაბსბურგთა საგვარეულო შტო ესპანეთის იმპერიის ტახტზე 1516 წლიდან აითვლება - კარლოსის ესპანეთის მეფედ, კარლოს I-ად გამოცხადებით.

### 1.3. მადრიდის „ავსტრიული სამეფო კარი“ - ჰაბსბურგთა დინასტია

XVI საუკუნის ესპანეთის ისტორია ჰაბსბურგთა საიმპერატორო გვრიგვინის ქვეშ ყალიბდებოდა, რომელიც, თავის მხრივ, კასტილიურ-არაგონულ კათოლიკურ ერთიანობას ეყრდნობოდა.[99] ზოგადად, ესპანელი დიდგვაროვნებისთვის მიუღებელი იყო ჰაბსბურგთა არაესპანური დინასტიის დამკვიდრება. შვეიცარიის ტერიტორიაზე წარმოშობილი ჰაბსბურგების გვარი, როგორც საიმპერატორო დინასტია, 1438-1740 წლებში მართავდა გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიას. ჰაბსბურგების საგვარეულო მიწები ბაზელსა და სტრასბურგს შორის მდებარეობდა.[100] დინასტიის დამაარსებლად რადბოტ ჰაბსბურგი ითვლება. იგი XI

---

[97] AGS, PTR, leg. 30, doc. 2 (PTR, Patrimonio - ფონდი მემკვიდრეობა).
[98] როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე ნაშრომში ესპანეთის მონარქი მოხსენიებულია, როგორც კარლოს V (თ.ხ.).
[99] Sola Castaño, 1988, გვ. 12.
[100] Neumann, 2006, გვ. 139.

საუკუნის დასაწყისიდან შვაბიის საგრაფოს ვასალი იყო. 1273 წელს როდოლფ I ჰაბსბურგმა თავი რომაელების მეფედ გამოაცხადა და ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენს დაუპირისპირდა. კონფლიქტი ფრიდრიხის მემკვიდრის - ოტოკარ II ბოჰემიელის დროსაც გაგრძელდა, რის შედეგადაც, ალსასიას და არგოვიას კუთვნილ მიწებს ჰაბსურგებმა ავსტრია, ისტრია, კარნიოლა და კარინტიაც შეუერთეს.[101] 1452 წელს ფრიდრიხ III ჰაბსბურგი (1452-1493) საღვთო რომის იმპერიის იმპერატორად იქნა არჩეული. სწორედ მოცემული წლიდან აითვლება ჰაბსბურგების მსოფლიო ისტორიის უნივერსალიზმის ხანა.

ჩვენ მიერ აღინიშნა, რომ ესპანეთის კათოლიკე მეფეების, ისაბელ კასტილიელის და ფერნანდო არაგონელის, ქალიშვილის შეშლილი ხუანას დაქორწინებით ბურგუნდიის ჰერცოგზე, ფელიპე ლამაზზე (1482-1506), საფუძველი ჩაეყარა ტრასტამარას და ჰაბსბურგების დინასტიის გაერთიანებას.[102] ფელიპე ლამაზი, მაქსიმილიანე I ჰაბსბურგის (1483-1519 წლებში - რომაელების მეფე, ხოლო 1508-1519 წლებში - საღვთო რომის იმპერატორი) და მარია ბურგუნდიელის ვაჟი, მშობლების მემკვიდრეობით, ესპანეთის მეფეთა მიწებს ჰაბსბურგთა იმპერიის და ბურგუნდიის ნიდერლანდების საგრაფოს უერთებდა. შესაბამისად, ესპანეთის სამეფოში ფეხს იკიდებდა ჰაბსბურგების დამკვიდრების რეალობა, რასაც ვერ ეგუებოდნენ ვერც ფერნანდო II არაგონელი და ვერც ადგილობრივი, რელიგიურ-პოლიტიკურად მოტივირებული კასტილიელი დიდებულები. 1506 წელს შეშლილი ხუანას ვაჟმა, უფლისწულმა კარლოსმა, მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობად მიიღო ბურგუნდიის მიწები, ხოლო 1516 წლიდან, მისი ესპანეთის მეფედ გამოცხადებით, დასრულდა ტრასტამარას ესპანური და ჰაბსბურგების ავსტრიული გვარების გაერთიანება. მათ საგვარეულო პოლიტიკას წარმოადგენდა დინასტიური ქორწინებებით საიმპერიო მიწების ერთიანობის შენარჩუნება, რასაც შეეწირა კიდეც დინასტიის ესპანური სახლის

---

[101] Neumann, 2006, გვ. 139.

[102] Sola Castaño, 1988, გვ. 17.

ისტორია. ჰაბსბურგების მადრიდულმა შტომ არსებობა დაასრულა 1700 წელს უკანასკნელი ესპანელი ჰაბსბურგის კარლოს II-ის (1665-1700) უმემკვიდროდ გარდაცვალებით, ხოლო ავსტრიულმა შტომ 1780 წელს - მარია ტერეზა ავსტრიელის სიცოცხლის ბოლო წლით.[103]

ამერიკის მიწების აღმოჩენით, ესპანეთის მონარქიას გეოგრაფიული შესაძლებლობა მიეცა, რათა მფლობელობაში არსებული ტერიტორიები უნივერსალური იმპერიის სახელქვეშ გაეერთიანებინა. როგორც ჰენრი კამენი შენიშნავს, ესპანეთმა შეძლო, 1450-1714 წლებში უძლიერესი, ევროპასა და მსოფლიოში პირველი უნივერსალური მონარქიის ჩამოყალიბება, რაც ესპანური სამეფოების, ჰაბსბურგული მემკვიდრეობის და ანდალუსიური მუსლიმური კულტურის ფუნდამენტს ეფუძნებოდა.[104] 1512 წელს ფერნანდო II კათოლიკეს მიერ ნავარის სამეფოს მიერთებით დასრულდა ესპანური მიწების გაერთიანების ისტორიული პროცესი.[105] კარლოს V-ის სწრაფვამ, შეეჩერებინა ოსმალეთის წინსვლა ევროპაში და გამკლავებოდა თურქების ევროპელ მოკავშირეს, საფრანგეთის სამეფოს, საუძველი ჩაუყარა XVI-XVII საუკუნეების აბსოლუტიზმს.[106] სწორედ ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირებით ესპანეთის ახალმა მეფემ ,,ღმერთისა და ქრისტიანობის მსახურის“ სახელი დაიმკვიდრა.[107]

ესპანეთის ტახტზე ჰაბსბურგთა დინასტიის შიდა დიფერენცირება შემდეგია: **უფროსი ჰაბსბურგები** - კარლოს I (1516-1556) და ფელიპე II (1556-1598), და **უმცროსი ჰაბსბურგები:** ფელიპე III (1598-1621), ფელიპე IV (1621-1665) და კარლოს II (1665-1700). კარლოს I-ის გარდა, ყველა მომდევნო ესპანელი ჰაბსბურგი მონარქი იმპერიას გარდაცვალებამდე განაგებდა. ყველაზე ,,არაესპანელ” მეფედ კარლოს V-

---

[103] Fichtner, 1976, გვ. 243-265.
[104] Kamen, 2005, გვ. 5.
[105] Ruiz Martín, 2003, გვ. 466.
[106] Фортунатов, 2012, გვ. 198.
[107] Ávila y Zúñiga, 1767, გვ. 9.

ს მიიჩნევდნენ. მისი მმართველობის ხანას, კათოლიკე მეფეების ეროვნული პოლიტიკის შემდეგ ,,უცხოელი“ მეფის მოსვლას და დამკვიდრებას, შეიძლება ,,პოლიტიკური უხერხულობაც“ ვუწოდოთ. კარლოს V-ის მმართველობას ძირითად ნიშან-თვისებად გასდევდა სახელმწიფოებრივი აზროვნების მაღალი სტანდარტი და პრაგმატული გადაწყვეტილებები.[108] ესპანური მენტალიტეტისთვის განსხვავებული მსოფლმხედველობით, მას ხშირად მიუთითებდნენ ,,სამეფო“ ნაკლზე, რადგანაც მონარქი ესპანურ ენას სრულყოფილად ვერ ფლობდა და მმართველობის უმეტეს დროს გერმანიის ტერიტორიებზე ატარებდა.[109] 1500 წელს გენტში დაბადებული უფლისწული კარლოსი ესპანეთში 1517 წელს დაბრუნდა ისე, რომ არც „ესპანური საკითხები“ ესმოდა კარგად და არც სახელმწიფო ენა.[110]

ფერნანდო არაგონელის გარდაცვალების შემდეგ, 1516-1517 წლებში მონარქიას ფაქტიურად კარდინალი ფრანსისკო ხიმენეს დე სისნეროსი (1437-1517) მართავდა, ხოლო შეშლილი ხუანა, ისაბელ კასტილიელის ანდერძით, ჯერ კიდევ ესპანეთის დედოფალი, ციხეში იყო გამომწყვდეული.[111] როგორც ესპანურ ლიტერატურაში არის მითითებული: ,,მთელი ქვეყანა იმპერატორს ელოდა“.[112] მეფემ ესპანეთში ჩასვლა დააგვიანა. საბოლოოდ, 1517 წლის ნოემბერში ქვეყნის ჩრდილოეთით, ასტურიის პატარა ნავსადგურ ტასონესში გადავიდა. სატახტო ქალაქ ვალიადოლამდე მიღწევის წინ, კარდინალი სისნეროსი უკვე გარდაიცვალა.[113]

ახალი დინასტიის ახალმა მეფემ პირველივე ნაბიჯები ხელისუფლების ცენტრალიზაციისკენ გადადგა. მან ჯერ დედა ინახულა ტორდესილასის ციხეში, მოგვიანებით ძმა ფერნანდო (გერმანულ ენაზე ფერდინანდი - თ. ხ.) ქვეყნიდან

---

[108] Voss, 2016, გვ. 82.

[109] ფლანდრიაში დაბადებულ მომავალ იმპერატორთან ესპანეთიდან გააგზავნეს ჰუმანისტი ლუის კაბესა დე ვაკა, რათა მას უფლისწულისთვის ესპანური ენა შეესწავლა (თ. ხ.).

[110] Ruiz Ortiz, 2012. გვ. 4.

[111] Alvar Ezquerra, 2011, გვ. 15.

[112] Bermejo Cabrero, 2005, გვ. 114.

[113] Alvar Ezquerra, 2011, გვ. 16.

გააგზავნა, ხოლო 1518 წელს „უცხო მეფის“ დიდად არმოსურნე ესპანური კორტესები ვალიადოლიდში მიიწვია. 1519 წლის 12 იანვარს მაქსიმილიანე I ჰაბსბურგის, კარლოს V-ის ბაბუის გარდაცვალების ამბავმა, მას საღვთო იმპერიის ტახტისკენ გაუხსნა გზა. 28 ივნისს იგი ფრანკფურტში იმპერატორად აირჩიეს, ხოლო 22 აგვისტოს ბარსელონაში მან გერმანული კომისიის წევრები მიიღო, რათა 1520 წელს კურთხეულიყო, როგორც კარლოს V, გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი.[114] კარლოს V-ის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ემსახურებოდა ასევე მისი ნდობითი აღჭურვილი პირის, ტორტოსას ეპისკოპოს ადრიანო უტრეხტის დანიშვნა სპეციალურ მრჩეველად, ვინაიდან ადგილობრივი დიდებულების, რელიგიური პირების დამოკიდებულება არაესპანური წარმოშობის დინასტიისადმი ერთგვარად უარყოფითი იყო და მეფეც არავის ენდობოდა.[115]

1516 წლიდან 1522 წლამდე კარლოს V ერთი საიმპერატორო გვრიგვინის ქვეშ მართავდა ჰაბსბურგთა დინასტიურ მიწებს, თუმცა, უკვე 1520 წლიდან დაიწყო ავსტრიის, ასე ვთქვათ, აღმოსავლეთ ჰაბსბურგთა ტერიტორიების გამიჯვნა ესპანური გვირგვინისგან. აღნიშნულ წელს ესპანეთის მეფემ ავსტრიის საგრაფო თავის ძმას, ფერნანდო (ფერდინანდ) ჰაბსბურგს დაუთმო, 1526 წელს კი - უნგრეთის და ბოჰემიის მიწები, 1527 წლიდან - ხორვატია, ხოლო 1531 წელს გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია; ფერდინანდ I ჰაბსბურგი საღვთო იმპერიას ოფიციალურად ერთპიროვნულად მხოლოდ 1558-1564 წლებში განაგებდა, კარლოს V-ის გარდაცვალების შემდეგ. სწორედ მოცემული პერიოდიდან ტერიტორიული განვრცობის და გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიისგან გამიჯვნისთვის, ესპანეთის იმპერიას „ესპანეთის უნივერსალური მონარქია“ ეწოდა.[116] მონარქიის უნივერსალიზმის იდეოლოგია ყალიბდებოდა ჯერ კათოლიკე მეფეების ერთგული კანცლერის, კარდინალ სისნეროსის დროს, ხოლო

---

[114] Alvar Ezquerra, 2011, გვ. 17.

[115] Sola, 1988, გვ. 57.

[116] Alvar, 1997, გვ. 169-188.

ჰაბსბურგთა დამკვიდრების ჟამს სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი განიხილებოდა კარლოს V-ის იტალიელი მრჩეველის კარდინალ მერკურინო გატინარას, ადრიანო დე უტრეხტსა (მომავალი პაპი ადრიანე VI) და ბადახოსის ეპისკოპოსს პედრო რუის დე ლა მოტას მიერ. მონარქიის ძირითადი ევროპული სტრატეგია იტალიური მიწების გამო საფრანგეთთან დავის მოგვარებას და გერმანელი რეფორმატორების შეკავებას გულისხმობდა. დასაწყისისთვის, ოსმალეთის იმპერიასთან უშუალო დაპირსპირება უნივერსალური მონარქიის ნომერი პირველი სტრატეგიული ამოცანა არ ყოფილა. ესპანეთის მეფეების სახელმწიფოებრივ იდეად შეიძლება მივიჩნიოთ მათი ანდერძები, რომლის პირობების შესრულებაც იმპერიულ დონეზე იყო აყვანილი. ისაბელ კასტილიელის მსგავსად, კარლოს V-ის და ფელიპე II-ის ანდერძები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმპერიის ერთიანობის შენარჩუნებაში. უნდა აღინიშნოს, რომ კარლოს V-ის პიემონტელი კანცლერი, კარდინალი გატინარა მონარქიული ერთობის იდეის მთავარ ფუძემდებელს წარმოადგენდა.[117]

ამგვარად, ჰაბსბურგთა ესპანური შტო ხმელთაშუა ზღვის აკვანში დამკვიდრდა, თუმცა, აღმოსავლეთიდან აღმართული ოსმალეთის იმპერია მას მშვიდად არსებობის საშუალებას არ აძლევდა. ისლამურ ძალასთან დასაპირისპირებლად ესპანეთის მონარქებს კათოლიკობის მცველის მანტია უნდა მოერგოთ. მათ საგარეო პოლიტიკას რელიგიური ხაზი იმავე სიმკვეთრით გასდევდა, როგორც ოსმალეთის იმპერიას. ორივე ძალა XVI საუკუნის მსოფლიოს სცენაზე ,,რელიგიის დამცველად“ წარსდგებოდა. კარლოს V-სა და ფელიპე II-მდე კათოლიკე მეფის როლი ფერნანდო არაგონელს ჰქონდა მორგებული. თუმცა, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ესპანეთის მეფეებს ,,თურქების წინააღმდეგ მებრძოლი მონარქების მეტაფორა“ ვალდებულებად რომის პაპებისგან ებოძათ. მხედველობაში გვაქვს, ვალენსიური ბორხას გვარიდან წარმოშობილი რომის პაპ ალექსანდრე VI-ის მიერ კათოლიკე მეფეებისთვის (ისაბელ კასტილიელი და ფერნანდო არაგონელი) მინიჭებული

[117] Alvar, Ib., გვ. 148.

ბულები. 1493 წლის მაისში პაპისგან გაცემული ოთხი ბულა ესპანეთის მეფეებს სრულ უფლებამოსილებას აძლევდა, გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად შემატებული მიწები მათ ემართათ, მხოლოდ ერთადერთი პირობით - კათოლიკობის ერთგულებით. პაპის ბულები ფაქტიურად კოლონიური მოსახლეობის კათოლიკურ რწმენაზე მოქცევის ვალდებულებას წარმოადგენდა.[118] 1492 წელს გრანადის აღებით საბოლოოდ დასრულდა ესპანეთის გვირგვინების რელიგიურ-პოლიტიკური და ტერიტორიული გაერთიანება. ავსტრიის კარის წარმომადგენლები ვალდებული იყვნენ, ესპანური კათოლიკური ერთობა შეენარჩუნებინათ.[119]

## 1.4. ფელიპე II და უნივერსალური მონარქიის იდეალიზმი

1555 წლის 24 ოქტომბერს კარლოს V-მ უფლისწულ ფელიპეს ჯერ ქვედა ქვეყნები („დაბლობი მიწები“ ანუ ნიდერლანდები - თ. ხ.) გადასცა სამართავად, ხოლო 1556 წლის 16 იანვარს - კასტილია, არაგონი და სიცილია.[120] მამის მსგავსად, ესპანეთის მეფედ კურთხევის ჟამს, არც ფელიპე II იმყოფებოდა იბერიის ნახევარკუნძულზე. კარლოსმა შვილთან, „მსოფლიოს ახალ ბატონთან“, შესახვედრად ბრიუსელში გამგზავრება გადაწყვიტა.[121] სექტემბერში იმპერატორმა ბრიუსელი დატოვა და ესპანეთში, პორტუგალიის საზღვართან კასერესის პროვინციის ქალაქ იუსტეში გაემგზავრა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე, 1558 წლამდე მონასტერში დაჰყო.[122] ფელიპე II მამაზე მეტად აგვიანებდა ესპანეთში ჩასვლას. 1557-1558 წლებში მან ინგლისში იმოგზაურა, იქვე შეიტყო მამის გარდაცვალების შესახებ. 1559 წელს, კორტესების დაჟინებული მოთხოვნით,

---

118 Kubiaczyk, 2013, გვ. 379.
119 Espinosa, 2009, გვ. 6-7.
120 Clark Hall, 2004, გვ. 356.
121 Alvar Ezquerra, 2011, გვ. 39.
122 იუსტეს მონასტერი 2007 წლიდან ევროპის მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი (თ. ხ.).

ფელიპე ესპანეთში დაბრუნდა. 8 სექტემბერს ახალი მეფე ნავსადგურ ლარედოში გადავიდა და ვალიადოლიდისკენ გაემართა. სამეფო ქალაქში იგი 14 სექტემბერს, ხუთწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნდა.[123] მისი ტახტზე ასვლით, უნივერსალური მონარქიის სრულიად ახალი, უწინდელისგან ფრიად განსხვავებული ხანა დაიწყო. ფელიპე II არ მიჰყვებოდა მამის მოგზაურობების კვალს. მისი პოლიტიკური ტრაექტორია იყო: ვალიადოლიდი, მადრიდი, ტოლედო და გუადალახარა, სადაც კორტესებს იწვევდა. 1563-1584 წლებში ესკორიალის მონასტრისა და სასახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ, იგი უკვე ესკორიალში დამკვიდრდა.[124] კარლოსი V ხელისუფლების ცენტრალიზაციის პოლიტიკას ატარებდა, ვინაიდან მას, როგორც ,,არაესპანელ მეფეს", დახვდნენ ,,ზედმეტად მდიდარი, ზედმეტად ძლიერი, ზედმეტად დიდი მემკვიდრეობის მფლობელი" ადგილობრივი ესპანელი დიდებულები.[125] ხოლო ფელიპე II-ს საშინაო სტრატეგიას აბსოლუტური სახელმწიფო კონტროლის დამყარება წარმოადგენდა.[126]

1567 წელს ესპანეთის მეფის ,,პრაგმატულ სანქციებს", რომლებიც მორისკოების გაზრდილი რაოდენობის გასაკონტროლებლად გამოიცა, ანდალუსიის გაქრისტიანებული მუსლიმების ამბოხი და 1568-1571 წლების ალპუხარას აჯანყება მოჰყვა.[127] ოსმალეთის ანტიკათოლიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, ასევე განვიხილავთ, თუ როგორ იყენებდა ,,დიდი თურქი" და, მასთან ერთად საფრანგეთიც, ალპუხარას ამბოხს ესპანეთის იმპერიის დასასუსტებლად. 1567 წელს, სანქციების გამოცემის დროს, გრანადის განთავისუფლების პერიოდში, 20 000-მდე შემცირებული მორისკოს რიცხვი უკვე 100 000-მდე გაზრდილიყო.[128] ესპანეთის მეფე მათ ტრადიციული სამოსის შეცვლას და ესპანურ ენაზე საუბარს

---

[123] Alvar Ezquerra, 2011, გვ. 40.
[124] Alvar Ezquerra, Ib., გვ. 40.
[125] Sola, 1988, გვ. 57.
[126]Alvar Ezquerra, Ib., გვ. 46.
[127] Lea, 2001, გვ. 227.
[128] Kamen, 2011, გვ. 216.

მოუწოდებდა. მორისკოებთან დაკავშირებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია არასწორი ინტერპრეტაცია, როგორც ლექსიკურად, ასევე შინაარსობრივად.[129] სქოლიოში დეტალურად მივუთითებთ შესაბამის განმარტებას მოცემული საკითხის ირგვლივ. როგორც სერვანტესის ენციკლოპედიაში არის აღნიშნული, კარლოს V-ის შემდეგ ფელიპე II, ევროპას ქრისტიანული სამყაროს წინამძღოლად, ,,მუსლიმების და პროტესტანტების დაუღალავ მებრძოლად" მოევლინა.[130] მის მიერ შორეულ აღმოსავლეთთან, იაპონიასა და ჩინეთთან, დამყარებულმა კონტაქტებმა კიდევ მეტად განაპირობეს ოსმალეთის გააქტიურება. მანილაში 1572 წელს ჩინელი ვაჭრები გამოჩდნენ, ხოლო 1574 წლიდან ესპანეთის მონარქიამ მათთან სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა.[131]

ესპანეთისთვის დიდად მნიშვნელოვანი იყო ხმელთაშუაზღვისპირეთსა და, ზოგადად, მსოფლიო წყლებზე ძალის უნივერსალურობის დემონსტრირება. 1585 წელს რომს იაპონიის კათოლიკური დასახლების წარმომადგენლებიც ესტუმრნენ. საპასუხოდ, ესპანეთის მონარქმა, 1593 წელს მანილაში პედრო გონსალეს დე კარვახალის ელჩობა გააგზავნა. ერთი წლის შემდეგ კი პედრო ბაუტისტა იქნა წარგზავნილი;[132] შორეული აღმოსავლეთის დიპლომატიურ მსვლელობებს დაერთო 1580 წელს ფელიპე II-ის პორტუგალიის მეფედ გამოცხადება, ოსმალეთის იმპერიის წინაშე გლობალური კათოლიკური მონარქია დედამიწის ორივე ნახევარსფეროზე გაბატონდა.[133]

---

[129] ლინგვისტურად მართებული არის, დაფიქსირდეს ,,მორისკო", ,,მორისკოები", და არა ,,მორისკი". ასევე არასწორია, აზრი იმის შესახებ, რომ მორისკოები იყვნენ უმეტესად ესპანელები (ტიკაძე, 2012, გვ. 118). სერვანტესის ენციკლოპედია, ასევე ესპანური ენის სამეფო აკადემია მკვეთრად განმარტავს რომ, მორისკო იყო მხოლოდ არაბი მუსლიმი, რომელიც გრანადის განთავისუფლების შემდეგ გაქრისტიანდა. მათი დიდი ნაწილი ვალენსიის პროვინციაში სახლობდა: ,,მორისკოები - მუსლიმები, ქრისტიანობაზე მოქცეული მუდ[ჲ]ეჰარები (Encyclopedia of the History of the Arabic Science, 2019, Vol. III, Rashed, R., New York: Routledge. გვ. 243); მორისკოები - ქრისტიანებად მოქცეული მუსლიმები (The Cervantes Encyclopedia: L-Z, Vol. II, 2004, Mancing, H. London: Greenwood) აღნიშნულის მსგავსად, ასევე მართებულია, მითითებულიქნეს - გრანადა (ტიკაძე, 2008, გვ. 201, 206).

[130] The Cervantes Encyclopedia: A-K, Vol. I, 2004, გვ. 285.

[131] Sola, 1999, გვ. 28-30.

[132] Sola, Ib., გვ. 59-62.

[133] Kamen, 2005, გვ. 8.

### 1.4.1. „პოლიტიკური მშვიდობა“ და რელიგიური იდეოლოგია ესპანეთის მონარქიაში

ესპანეთის უნივერსალური მონარქია ყველაზე მეტად სწორედ ფელიპე II-ის პერიოდში იყო „რელიგიის დამცველი სახელმწიფო“, ვიდრე კარლოს V-ის დროის „რელიგიური ავტორიტეტი“.[134] მონარქიის, როგორც გლობალური სუბიექტის, მესიანურ იდეოლოგიას რელიგიური საკითხების მიმართ პირადი დაინტერესება განაპირობებდა. „კათოლიკე მეფე“ ფელიპე II-მ კათოლიკობა სახელმწიფო საქმეებს განარიდა. მისი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ინკვიზიციის თუ პაპების ზეგავლენისადმი გაცილებით გაწონასწორებულად გამოიყურებოდა.[135] იგი ესპანურ ისტორიოგრაფიაში შეფასებულია, როგორც სახელმწიფო მმართველი, „კაბინეტის მეფე“, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა ადმინისტრაციულ, სამხედრო მნიშვნელობის ინსტიტუციურ საკითხებს.[136] ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ესპანეთის იმპერიის წარმატება შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ ნეაპოლის სამეფოს დახმარების გარეშე. ფელიპე II-ის მიერ წარმოებული გლობალური პოლიტიკის წყალობით, მისი მეფობის დასასრულს დადგა „ესპანური მშვიდობის“ – Pax Hispanica - პერიოდი (1598 წლიდან 1621 წლამდე).[137] აღნიშნული სამშვიდობო შუალედი იტალიაშიც შეინიშნებოდა, ამიტომ მაიკლ ლევინი მიუთითებს, რომ ეს პერიოდი იყო ერთიანი, ესპანურ-იტალიური, სიმშვიდის ხანა: Pax Hispano-Italica.[138] როგორც ფელიპე II იტალიაში ესპანეთის ელჩს გომეს III სუარეს დე ფიგეროას ატყობინებდა, ყველაზე მეტად იგი სწორედ პაპებს უფრთხოდა, რათა აღნიშნული მშვიდობა არ დაერღვიათ.[139] ფელიპე II-ის

---

[134] Reger, 2012-2016, გვ. 2.

[135] არსებობს მოსაზრება, რომ ესპანეთის მეფე თავს ბურგუნდიელად უფრო მიიჩნევდა და „იძულებული იყო კათოლიკობის დამცველის მანტია“ მოერგო (Domíngez Ortíz, 1992, გვ. 21).

[136] Altamira y Crevea, 1950, გვ. 140, 149.

[137] Elliott, 1963, გვ. 254.

[138] Levin, 2016, გვ. 121.

[139] Levin, 2005, გვ. 68.

,,წინდახედული მმართველობის" გამორჩეულობის დასტურად უნდა გამოიკვეთოს შემდეგი ფაქტი: მან შეკრიბა ესპანეთის საუკეთესო თეოლოგები, რათა ემსჯელათ, საჭიროების შემთხვევაში, რამდენად გამართლებული იქნებოდა რომის პაპის წინააღმდეგ გალაშქრება.[140] ფელიპე II-თვის წმინდა საყდრის მესვეურები გაცილებით მეტ დაბრკოლებებს ქმნიდნენ, ვიდრე ხმელთაშუაზღვისპირეთის იმპერიული ანტაგონიზმი: **,,მეფობა ტყვეობაა და სხვა არაფერი, რომელიც გვირგვინთან ერთად მოდის"**.[141] მიუხედავად დიდი პოლიტიკური ფიგურების თანხლებისა (კარდინალი მერკურინო არბორიო დე გატინარა (1465-1530), სახელმწიფო მრჩეველი კარდინალი ანტუან პერენო დე გრანველა (1517-1586) და დიეგო დე ესპინოსა (1513-1572)), ესპანეთის მონარქებს არასდროს ჰქონიათ ოფიციალურად გაწერილი სახელმწიფო სტრატეგია.[142] კარლოს V-ის დროს იდეოლოგიის მთავარ ფორმად მიიჩნეოდა იმპერატორის იდეარიუმი - idearium.[143] ,,იდეარიუმი" თვით ,,უნივერსალური მონარქიის" იდეის ფუძემდებლის, დიდი კანცლერის მერკურინო გატინარას მონაწილეობით იქნა თეორიულად შემუშავებული.[144] არც მთავარი ინკვიზიტორი, სახელმწიფო მრჩეველი დიეგო დე ესპინოზა წარუდგენდა მეფეს მედიტერანიზმის სცენაზე სამოქმედო გეგმას.[145] XVI საუკუნის მიწურულს მიღწეული სიმშვიდის მიუხედავად, ესპანეთის იმპერიას ლაქად გაჰყვება რელიგიური იდეოლოგიის ის გამოხატულება, რასაც ლეოპოლდ ფონ რანკე „პოლიტიკურ სააგენტოს" უწოდებს - ინკვიზიცია.[146] ინკვიზიცია ჩანასახშივე მოიაზრებოდა, როგორც ,,ბუნებრივი პოლიტიკური კონტექსტი".[147] მიჩნეულია, რომ ესპანეთი, როგორც ერი ჩამოყალიბდა კონკრეტულად 1479 წელს, როდესაც კასტილიის და არაგონის

---

[140] Fernández Álvarez, 2014, გვ. 265.
[141] Fernández Álvarez, Ib., გვ. 291.
[142] Van Durme, 1957, გვ. ix-xv.
[143] Fernández Ávarez, 2014, გვ. 281.
[144] Cantù, F. 1984, გვ. 373-380.
[145] Borgognoni, 2017, გვ. 169-186
[146] Ranke, 1877, გვ. 195-198.
[147] Bermejo Cabrero, 2005, გვ. 197.

გვირგვინები გაერთიანდა.[148] სწორედ აღნიშნული ეტაპიდან განხორციელდა გლობალური მოვლენების მთელი რიგი: 1492 წელს მუსლიმებისგან განთავისუფლდა გრანადა, კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკის კონტინენტი და იმავე წლის დეკრეტით ესპანეთიდან ებრაელების განდევნა დაიწყო. 1477 წელს ებრაელებთან დაკავშირებული ,,წმინდა საქმის" ტრიბუნალი შეიქმნა ჯერ სევილიაში, მოგვიანებით კი მთელ ესპანეთში. ესპანური ინკვიზიციის ორიგინალურობა მდგომარეობდა მის მუდმივმოქმედ პოლიტიკურ ორგანოდ გადაქცევაში.[149] ამ სახით ჩამოყალიბდა ესპანეთის მონარქიის არატოლერანტული იდეოლოგია, რომელიც ,,სისხლის წმენდის" შთაგონებით, მასების მოხიბვლაზე იყო გათვლილი.[150] თუ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, უნდა აღინიშნოს არა მხოლოდ რელიგიურ-იდეოლოგიური პროპაგანადა, არამედ ეკონომიკური ფაქტორიც. რელიგიური ნიშნით შენიღბული, სოციო-კულტურული ბრძოლა სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებას ემსახურებოდა. მისი განვითარების გზები ეკონომიკური სიმტკიცისკენ იყო მიმართული, მაგრამ შედეგმა საპირისპირო აჩვენა.[151] განდევნილი მუსლიმების ნაწილი მეკობრეებს უერთდებოდა და ესპანეთის იმპერიას ძარცვავდა. 3000 მუსლიმმა, რომლებიც ექსტრემადურის და ბადახოსის ტერიტორიიდან გააძევეს, რაბათთან ახლოს, სალეში, სალეს მეკობრული რესპუბლიკაც კი დაარსა, რომელიც 1626-1668 წლებში არსებობდა.[152] რეკონკისტის შემდეგ გრანადა ესპანეთის მონარქიის ყველაზე მღელვარე გეოგრაფიულ ნაწილს წარმოადგენდა; ტრასტამარას დინასტიის ჰაბსბურგთა კარის ჩანაცვლების დროს, ,,გრანადა იყო ქრისტიანობის მტერი".[153] 1492 წელს კათოლიკე მეფეების მიერ მისი დაბრუნება იმ მესიანურ იმედს სახავდა,

---

148 Hernández Sánches-Barba, 1995, გვ. 113.
149 Dufour, 1986, გვ. 10.
150 Dufour, Ib., გვ. 37.
151 გარდაცვლილი ან გაქცეული ებრაელებისთვის ქონების ჩამორთმევა ipso facto (ფაქტის გამო) ხდებოდა (თ. ხ.).
152 Gomez, J. 2009, La república pirata de los 3000 moriscos extremeños. 29 de noviembre. El Mundo. N. 737. https://www.elmundo.es/suplementos/cronica/2009/737/1259449210.html
153 Benito Ruano, 1960, გვ. 310.

რომელიც, მთელი თავისი მეტაფორით, ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაკავებას უნდა დაპირისპირებოდა. ორივე ქალაქი სიმბოლურად აღმართულიყო ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ და აღმოსავლეთ ჭიშკართან.[154] კათოლიკოზის მცველის თავმოხვეული თუ ნებაყოფლობით დათანხმებული იდეალიზმი, მაკიაველის ,,პრინცშიც“ კი აისახებოდა. ესპანეთის იმპერიის მმართველები ამიერიდან იყვნენ მეფეები, რომლებიც ,,ღმერთის მიმართ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ“.[155] ესპანელი ჰუამნისტი ანტონიო ნებრიხა ,,გრანადის ომში“ აღნიშნავს, რომ ქალაქის დაბრუნების შემდეგ მუსლიმების სულიერი მდგომარეობა საკმაოდ შეირყა. ესპანური მიწების დაბრუნების პარალელურად, იბერიულ სამყაროსთან საუკუნეების თანაარსებობის შემდეგ, მათი გარიყვაც დაიწყო. ,,მათ დათმეს საკუთარი თავიც და ქონებაც“.[156] 1492 წლის ებრაელების განდევნის დეკრეტს, 1526 წელს დაემატა კარლოს V-ის მიერ გამოცემული მორისკოების გაქრისტიანების ბრძანებაც. აღსანიშნავია, რომ 1560-71 წლებში ინკვიზიციის წმინდა ტრიბუნალებში, მაგალითად, გრანადის ტრიბუნალში, მორისკოების საკითხი უფრო ხშირად განიხილებოდა, ვიდრე ებრაელებისა.[157] იბერიის ნახევარკუნძულიდან დევნილი ეთნიკური ჯგუფები კვლავ ანდალუსიის სანაპიროებს უტევდნენ ან კონსტანტინოპოლში დამკვიდრებულები, ,,ყოფილ სამშობლოს“ ჯაშუშებად ესხმოდნენ თავს.[158] მიუხედავად იმისა, რომ ფელიპე II-ს ინკვიზიციის წინააღმდეგ არასდროს გაულაშქრია, მეფე რელიგიური იდეოლოგიის აქტიურ სახელმწიფოებრივ იარაღად გამოყენებას გაცილებით

---

[154] Martínez Carrasco, 2014, გვ.454.
[155] Fernández Armesto, 2009, გვ. 96.
[156] Antonio Nebrija, Elio Antonio de, Guerra de Granada (De bello Granatensi), Madrid: UNED. 1990. BNE. რედაქტირებული, თარგმნილი და შენიშვნებდართული მარია მუისა არიბას მიერ. გვ. 98-99.
[157] Kamen, 2004, გვ. 217.
[158] ,,გრენადის დაცემის შემდეგ ყველა ესპანელ მუსლიმს, მათ შორის მუდაჰერებსაც უწოდებდნენ მორისკებს (Moriscos). მიუხედავად დევნისა, გრენადის დაკარგვიდან 100 წლის შემდეგაც მორისკები, რომლებიც წარმოშობით, უმეტესად, ესპანელები იყვნენ, მტკიცედ ინარჩუნებდნენ ისლამს“ (ტიკაძე, 2008, გვ. 206).

ნაკლებად მიმართავდა.[159] არის მოსაზრება, რომ მისი შეხედულებები შეიცვალა 1559 წლის 8 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც მონარქი ვალიადოლიდის ,,აუტო დე ფეს“ დაესწრო.[160] სწორედ იქ მიღებული შთაბეჭდილებების გავლენით, ერთი წლის შემდეგ იგი ტრენტოს კონსილიუმთან ერთად კათოლიციზმში რეფორმების აუცილებელობის საკითხს განიხილავდა. მეფეს მიაჩნდა, რომ ,,ერთადერთი და ჭეშმარიტი საშუალება, რაც დარჩენილიყო”, იყო რეფორმა.[161] საკუთარ ანდერძში კი აღნიშნავდა: **,,ამ საშიშ დროში, რწმენაში მრავალი შეცდომით, უწინდელზე მეტი სიფრთხილე და წინდახედულებაა საჭირო“.**[162]

უნივერსალური მონარქიის აღნიშნული რელიგიური იდეოლოგიით დაიწყო მედიტერანიზმის კათოლიკური ხანა, რომლის მთავარი პრინციპი თუნისის კამპანიის დროს კარლოს V-ის შეძახილით გადმოიცა: ,,იმპერია და თავისუფლება!“.[163] ყოველი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მონარქიის ერთიანობის და სიმტკიცის შენარჩუნების მთავარ იდეას ექვემდებარეობდა. გვსურს, ნაშრომში დასმული ერთ-ერთი მთავარი კითხვა გავიმეოროთ: როგორ იგერიებდა ესპანეთის მონარქია ოსმალეთის განუწყვეტელ შეტევებს და, როგორ უმკლავდებოდა ოსმალების საკმაოდ ძლიერ სამხედრო დაპირისპირებას? ორივე სახელმწიფოებრივი სუბიექტი იმპერიისთვის მახასითებელ ძირითად ფაქტორს შეიცავდა: განსხვავებული კულტურების კომბინაციურ, ტერიტორიულ ერთიანობას. ესპანეთის სამეფო კარი, მნიშვნელოვანი ინსტიტუციების სიმბოლიზაციას ცდილობდა. მონარქიასთან დაკავშირებული ყოველი დეტალი იმპერიული მნიშვნელობის საკითხად განიხილებოდა. ვიმოწმებთ თვით ფელიპე II-ის ანდერძს, სადაც აღნიშნა, რომ ყველა ხელნაწერი შეკრებილიყო და

---

[159] ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ებრაელების და მორისკოების დევნის საკითხი, მიზეზები და შედეგები ჯერ კიდევ ამოუცნობია და მეტად ღრმა კვლევას საჭიროებს (Domínguez Ortiz; Vincent, 1993, გვ. 159).

[160] Kamen, 1998, გვ. 23-28 (ესპანურად - el auto de fe, თ. ხ.).

[161] CODOIN, 1891, გვ. 438.

[162] Testamento de Felipe II, გვ. xvi

[163] Ezquerra, 2011, გვ. 12.

ესკორიალის სან ლორენსოს მონასტერში შენახულიყო;[164] როგორც მეფე მიუთითებს: ,,ღმერთის დიდებისთვის აშენებულ მონასტერში“.[165] **,,ვწერ ამ ანდერძს, რათა ვერც ჩემმა შვილმა, უფლისწულმა, ვერც სხვა რომელიმე ჩემმა მემკვიდრემ, შეძლოს ანდერძით გათვალისწინებული და განკარგული მისი ნებისმიერი ნაწილის შეცვლა... იყვნენ მუდამ ერთად, მართავდნენ ერთობით, როგორც ეს ანდერძში არის მითითებული“.**[166]

## 1.5. ოსმალეთის იმპერიის გენეზისის ძირითადი თავისებურებები

ოსმალეთის სასულტნოს იმპერიად ჩამოყალიბების მთავარი ორიგინალურობა მის შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ერთ სახელმწიფოებრივ სისტემაში შერწყმაა. ოსმალეთის იმპერიული საფუძვლის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არა მხოლოდ ოღუზმა თურქებმა (თურქმანებმა), არამედ მათ მიერ დაპყრობილმა მოსახლეობამ.[167] უშუალოდ თურქული ტომების მახლობელ აღმოსავლეთში გადმოსვლა XI საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო.[168] 1040 წელს ოღუზი სელჩუკები ირანის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, რომელიც მოგვიანებით, 1055 წელს, დაიპყრეს და იმავე წელს ბაღდადიც დაიკავეს.[169] XI საუკუნის 70-იანი წლებიდან კი ადგილი ჰქონდა სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნას მცირე აზიაში, რომელსაც რუმის (კონიის) სასულტნო ეწოდებოდა.[170] ესპანეთის მონარქიის მსგავსად, ოსმალეთის იმპერიის გენეზისში რამდენიმე მნიშვნელოვანი პერიოდი გამოიკვეთება. თურქული ტომების ანატოლიაში დამკვიდრების გადამწყვეტი თარიღია 1071 წელი, როდესაც

---

[164] Testamento de Felipe II, 1594, გვ. 46.
[165] Testamento de Felipe II, Ib., გვ. 42.
[166] Testamento de Felipe II, Ib., გვ. 39.
[167] Орешкова, 1986, გვ. 20.
[168] სვანიძე, 2007, გვ. 6.
[169] Новичев, 1963, გვ. 5.
[170] Howard, 2001, გვ. 31-33.

მანაზკერტთან გამართულ ბრძოლაში ოღუზმა თურქებმა ბიზანტიის იმპერიის ჯარი დაამარცხეს და იმპერატორი რომან IV დიოგენი ტყვედ იგდეს.[171] ოსმალეთის იმპერიის წარმოქმნის განმასხვავებელ ნიშანს ანატოლიაში არსებული რელიგიური და ბიუროკრატული, ავთოქტონური დაჯგუფებების დამპყრობლებთან ასიმილაცია წარმოადგენდა. რუმის სასულტნოს წინააღმდეგ ბაბა-ისხაკის 1239-1241 წლებში მიმდინარე აჯანყებამ გავლენა მოახდინა ანატოლიის ისლამური იდეოლოგიის მისტიციზმზე; ეს მისტიური იერი ოსმალეთის იმპერიას ადგილობრივი მცირე აზიელი ჯგუფებისგან გადაედო და მისი არსებობის მანძილზე მახასიათებელ შტრიხად გაჰყვა.[172] 1242 წლიდან გახშირებული მონღოლური თავდასხმებისგან დასუსტებული რუმის სასულტნო ცალკეულ სამთავროებად - ბეილიქებად დაიშალა.[173] აღსანიშნავია, რომ თვით მონღოლებიც ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს შეერწყნენ, 1243 წელს ანატოლიის დაპყრობის დროს მათ არ შეუცვლიათ მცირე აზიელების ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი წყობა, პირიქით, გარკვეულ ელემენტებს თავადაც შეეთვისნენ, მაგალითად, თიმარულ სისტემას.[174] თიმარი იყო სამხედრო ლენი, რომლის წლიური შემოსავალი ოცი ათასს ახჩას არ აღემატებოდა.[175]

ოსმალეთის იმპერიის ანატოლიური ფესვები მიდის მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არსებულ თურქულ ბეილიქთან.[176] XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ოღუზების ტომი ორად გაიყო. ოსმალო-თურქები ქაის შტოს განეკუთვნებოდნენ. მათმა მმართველმა ერთოღლუმ რუმის სელჩუკთა ტერიტორიის ფარგლებში დაიდო ბანაკი.[177] იგი სელჩუკი სულტნის ალა ად-დინ ქეიყუბად I-ის ვასალი იყო. ერთოღლუს მიერ ყარაჯაჰისარის დაპყრობის და მისი

---

[171] Новичев, 1963, გვ. 7.
[172] Панченко, 2019, გვ. 20.
[173] სვანიძე, 2007, გვ. 10.
[174] Орешкова, 1986, გვ. 20.
[175] ფუთურიძე, 1957, ოსმალური ფეოდალური... გვ. 251.
[176] Новичев, 1963, გვ. 27.
[177] მახარაძე, 2005, გვ. 18.

ქეიყუბადისთვის გადაცემის სანაცვლოდ, ალა ად-დინმა მას სოგუთის რაიონში გარეუბანი - უჯი - უბოძა. ოღუზთა ბელადისთვის ბიზანტიის საზღვართან უჯის გადაცემით დაიწყო თურქების საუკუნოვანი შეტევები ბიზანტიის იმპერიაზე.[178] ერთოღლუმ უჯზეგობა მიიღო, რაც 1288 წელს მამის სიკვდილის შემდეგ, მის ვაჟს ოსმან I-ს (1299-1362) მემკვიდრეობით გადაეცა.[179] სწორედ ოსმანის სახელთან არის დაკავშირებული ოსმანების დინასტიის, ოსმალეთის სასულტნოს და იმპერიის ტოპონიმური გენეზისი. 1299 წლიდან ოსმან I უკვე დამოუკიდებლად მართავდა სოგუთის ბეილიქს. მან სელჩუკებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა და ერთპიროვნულად დაიწყო მმართველობა. ოსმანი და მისი მემკვიდრე ორჰანიც ბეგებად იწოდებოდნენ, სულნტის ტიტულს კი პირველად მურად I (1362-1389) ატარებდა.[180]

ლორდ კინროსის მიხედვით, იმპერიის არსებობის პირველ ხანაში მთავარ თარიღს 1359 წელი წარმოადგენს, როდესაც ოსმანის მემკვიდრემ, ,,ყველაზე გამორჩეულმა“ სულტანმა, ორჰან I-მა (1326-1359) თრაკია დაიკავა და მასზე ოსმალეთის სტატუს-კვო გაავრცელა.[181] ორჰანის მმართველობას უკავშირდება ასევე ბიზანტიის იმპერიის ფაქტიური დაქვემდებარება და ოსმალეთის ,,ვეროპული პრეტენზიის“ - ბიზანტიის მემკვიდრეებად თავის გამოცხადება. ორჰან I-ის სულტნობის ხანაში განხორციელდა ფულადი და სამხედრო რეფორმები. მის დროს, 1326 წელს ოსმალეთის სასულტნოს დედაქალაქი სოგუთიდან ბურსაში გადაიტანეს.[182] იგი მიჩნეულია ,,მიწებითა და სამხედრო სიძლიერით უმდიდრეს, თურქმანების უდიდეს მეფედ“.[183] ოსმალების ,,დასავლურ სურვილს“ ბიზანტიის დპყრობა და ევროპის მიწებზე გაბატონება წარმოადგენდა. 1391 წელს ბიზანტიის იმპერატორის იოანე V პალეოლოგის გარდაცვალების

---

[178] Kinross, 2002, გვ. 37.
[179] Новичев, 1963, გვ. 27.
[180] ფუთურიძე, 1957, ოსმალთა... გვ. 246.
[181] Kinross, 2002, გვ. 43.
[182] მახარაძე, 2005, გვ. 19.
[183] Howard, 2012, გვ. 11.

შემდეგ მისი მემკვიდრე მანუელ II (1391-1425) სულტან ბაიაზიდ I-ის (1389-1403) ვასალად მოიაზრებოდა.[184] შავი ჭირისა და მიწისძვრებით ისედაც დასუსტებული ბერძნული იმპერია ოსმალების დაპყრობებს ვეღარ უმკლავდებოდა.[185] კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ უკვე გამოიკვეთა, თუ რამდენად მცდარ შეხედულებას წარმოადგენდა ოსმალებისგან მომდინარე საფრთხის ბიზანტიელების მიერი აღქმა: ,,გვირჩევნია, დავინახოთ ოსმალური ჩალმა, ვიდრე ლათინური ტიარა!“[186] 1453 წელს, ბიზანტიაზე ფსიქოლოგიური გამარჯვების შედეგადაც, თურქებმა უკვე გაცილებით მარტივად დაიპყრეს მოლდოვა - 1456 წელს, სერბეთი - 1459 წელს (საიდანაც 200 ათასი სერბი ტყვედ წაიყვანეს), 1460 წელს - მორეა, 1463 წელს - ბოსნია, ვლახეთი კი - 1476 წელს.[187] კონსტანტინოპოლის საბოლოო დამპყრობლის მეჰმედ II-ის სახელთან დაკავშირებული ფრაზა, რომელიც მან სიკვდილის წინ წამოიძახა, ოსმალეთის იმპერიის საუკუნოვან სტრატეგიულ-იდეურ სწრაფვას გადმოსცემს: ,,როგორც იქნა, მე მეკუთვნის ევროპა და აზია! საბრალო ქრისტიანობა! მან დაკარგა ხმალიც და ფარიც!“[188] თუმცა, მოვლენები შეიძლებოდა სხვაგვარად განვითარებულიყო ოსმალებს მეორე თურქმანული დაჯგუფების, თეთრბატკნიანათა აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს გამგებელ უზუნ-ჰასანთან (1453-1478) 1473 წლის 11 აგვისტოს, საბოლოო ბრძოლაში, რომ არ გაემარჯვათ. გარკვეული თვალსაზრისით, მოცემული თარიღი ოსმალეთის იმპერიის დაფუძნებიდან იმპერიისკენ გარდამავალ მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევა.[189] XV საუკუნის დაპყრობების შემდეგ დაიწყო ოსმალეთის იმპერიის აღმასვლა, როდესაც ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხედრო მოქმედებები წარიმართა და კათოლიკურ მონარქიასთან დაპირისპირებაც გამოიკვეთა.[190] თუმცა,

---

[184] Kinross, 2002, გვ. 65.
[185] Howard, 2012, გვ. 16.
[186] Петросян, 2012, გვ. 49.
[187] Петросян, Ib., გვ. 60.
[188] Kinross, 2002, გვ. 133.
[189] Мустафаев, 2010, გვ. 297.
[190] Kinross, 2002, გვ. 161.

ესპანეთის იმპერიამდე, მედიტერანიზმის ასპარეზზე ოსმალები ვენეციასთან კონფლიქტით გამოვიდნენ, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს პრობლემებს გაცილებით ადრეც უქმნიდნენ.[191] 1470 წლის 12 ივნისს ნეგროპონტეს (ევბეა) დაცემამ იტალიური სახელმწიფოები ოსმალების წინააღმდეგ გააერთიანა.[192] 1479 წელს სულტანსა და ვენეციის სინორიას შორის სამხედრო შეთანხმება ითვალისწინებდა, ვენეციელები ოსმალებს რომელიმე სახელმწიფოს თავდასხმის დროს დახმარებოდნენ. 1480 წელს ოტრანტოს და სამხრეთ იტლიის სხვა სანაპიროების დაკავებით, ოსმალეთმა თავად დაარღვია აღნიშნული შეთანხმება და ვენეციას თავს დაესხა. ოსმალების ევროპაში გამოჩენით ყველაზე მეტად სწორედ ვენეცია ზარალდებოდა.[193] ოტრანტოში თურქებმა 800 ადამიანი აწამეს, ხოლო 8000 ტყვედ წაიყვანეს.[194] სელიმ I-ის ,,არაბული ლაშქრობების“ შემდეგ, სულეიმან I-ის სახელს უკავშირდება ევროპის ,,მთავარი სცენის“ უმნიშვნელოვანესი სამხედრო მოქმედებები, რომლებმაც ჰაბსბურგთა დინასტიასთან დაპირისპირების სამხედრო სახე ჩამოაყალიბა.[195]

აქტიური პოლიტიკური სვლები ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე სულეიმან I-მა 1522 წელს კუნძულ როდოსის დაკავებით დაიწყო. როდოსის წმინდა იოანეს ორდენის რაინდები ანატოლიისკენ მიმავალ სავაჭრო ხომალდებს გზას უღობავდნენ და ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკის ბლოკადას ახდენდნენ.[196] 1473 წლის 11 აგვისტოს ოთლუქბელის ბრძოლის შემდეგ, 1529 წელს თურქების მიერ ბუდას აღება და ვენისთვის ალყის შემორტყმა იყო მეორე მნიშვნელოვანი თარიღი, მხოლოდ აბსოლუტურად სხვა ინტერპრეტაციით: ოსმალები ჰაბსბურგთა დინასტიის დაუძინებელ მტრებად გადაიქცნენ. 1532 წელს თურქებმა გუნსს

---

[191] მამისთვალიშვილი, 2009, გვ. 8.
[192] მამისთვალიშვილი, Ib., გვ. 68.
[193] ქარჩავა, 2009, გვ. 67.
[194] Петросян, 2012, გვ. 61-62.
[195] Петросян, Ib., გვ. 64-64.
[196] Фрейденберг, 1989, გვ. 114.

(კიოზცეგი) შეუტიეს, რომელიც ვენიდან 12 ლიგაზე მდებარეობდა.[197] გუნსის ციხე-სიმაგრესთან ოსმალეთის 1400 კაციან კორპუსს ჰაბსბურგთა ხორვატი კაპიტანი ნიკოლა იურიშიჩი დაუპირისპირდა. სიმანკასის არქივში დაცული კორესპონდენციით, რომელიც გუნსიდან იურიშიჩმა ფერდინანდ I ჰაბსბურგს მისწერა, ვგებულობთ, რომ თურქები სიმაგრეზე იერიშს დილის ექვსი საათიდან იწყებდნენ: **,,შეშა [ციხე-სიმაგრის] კედლებამდე ამოიყვანეს, გააკეთეს ციხე-სიმაგრეზე მაღალი ორი მთა. ახლაც კი ყოველ დღე მუშაობენ, ზედ თავიანთი ზარბაზნები შეაყენეს... არ არის საჭირო დავაზუსტო, საათში რამდენჯერ ისვრიან ქვემეხებს და ცეცხლს, რათა დაანგრიონ სახლები, რაც ღმერთმა აქამდე წყალობით დაიცვა“.[198]**

კიოზცეგის უშედეგო ალყის შემდეგ განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, 1532 წელს კარლოს V პირველად ჩაერთო ანტიოსმალურ კამპანიაში და მედიტერანიზმის სივრცეში მუსლიმთა ტალღის შემაკავებელ ძალად გამოჩნდა.[199] ოსმალეთის იმპერიის წარმოშობის და განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად რამდენიმე ისტორიული სპექტრის გამოყოფა შეიძლება. მათგან ადგილობრივ, ავთოქტონურ ტომებთან საკუთარი სისტემურობის თანაფარდობა უკვე აღვნიშნეთ. ოსმალები მრავალეროვნულ სახელმწიფოში ,,თურქული იდენტობის“ დამკვიდრებას ცდილობდნენ.[200]

სულტნების აქტიურ საკანონმდებლო საქმიანობას კი იმპერიის მართვის ორგანიზებული სახე ეფუძნებოდა.[201] მნიშვნელოვანი პირობა იყო შარიათის ნორმების კანუნნამესთან თანხვედრა.[202] კანუნნამეს ფორმირება თითქმის ყველა სულტნის დროს ხდებოდა, განსაკუთრებით კი მეჰმედ II-ის, სელიმ I-ის და

---

[197] XVI საუკუნის ესპანეთში ერთი ლიგა 4.180 მეტრს უდრიდა. ლიგის სახმელეთო საზომ ერთეულად გამოყენება 1568 წელს ფილიპე II-ის მიერ იქნა გაუქმებული (თ. ხ.).

[198] AGS, Estado, Alemania, leg. 631, fol. 182, 1532, Cartas de Nicolás Jurixis a Fernando I.

[199] Петросян, 2012, გვ. 69.

[200] Орешкова, 2010, გვ. 255.

[201] Ремез, 2010, გვ. 272.

[202] Орешкова, Ib., გვ. 263.

სულეიმან I-ის მმართველობის ხანაში. სელიმ I იავუზის (მრისხანეს) პერიოდში კანუნნამეს ამოქმედება მოხდა კაისერის, რუმის, დიარბაქირის, ურფას, მარდინისა და ერზინჯანის ვილაიეთებში.[203] იმპერიის მართვის სტანდარტების შარიათის ნორმებთან თავსებადობა ფორმულირებული იყო დებულებით: ,,სახელმწიფოს ნებით და ტრადიციებზე დაფუძნებით".[204]

## თავი 2

## კონსტანტინოპოლი და „დიდი თურქი" კათოლიკური მონარქიის ცნობიერებაში

### 2.1. პირველი ესპანური ცნობები კონსტანტინოპოლსა და ,,თურქზე"

კონსტანტინოპოლის დაცემა ესპანეთის ისტორიაში ხუან II-ის (1406–1454) მმართველობის ხანას ემთხვევა. კასტილიის და ლეონის მეფე ისტორიული მოვლენიდან ერთ წელიწადში, 1454 წლის 21 ივლისს გარდაიცვალა. მოცემული პერიოდის ისტორიოგრაფიისთვის მხოლოდ ალკონეროს ჟამთააღმწერლის, პედრო კარილიო დე უეტეს, ქრონიკაა დაცული. მატიანეს გაგრძელება მოხდა კუენკის ეპისკოპოსის ლოპე ბარიენტოს (1382-1469) მიერ. თუმცა, კონსტანტინოპოლის დაცემის წელი არ მიეთითება არც ერთ მათგანში. ალკონეროს ქრონიკა 1420-1400 წლებს მოიცავს, ხოლო ბარიენტესეული შევსებული ნაწილი კი 1398-1439 წლებს აღწერს. XVI საუკუნეში ლორენსო გალინდეს დე კარვახალის მიერ ფერნანდო არაგონელის დაბადებასთან დაკავშირებულ ქრონიკაში ჩაწერიალია პირველი შენიშვნა ბიზანტიის დედაქალაქის დაკარგვაზე: **,,ამ წელს, ხუთშაბათს, ათ მაისს, დაიბადა უფლისწული დონ ფერნანდო, მეფე დონ ხუან არაგონელის ვაჟი, რომელიც შემდეგ გახდა სესილიას [კასტილია] მეფე, და ახლა არის ესპანეთის**

[203]Ремез, 2010, გვ. 270.
[204]Ремез, Ib., გვ, 269.

**უმეტესი ნაწილის პატრონი. ამავე წელს, ქრისტიანების ცოდვების გამო, თურქებმა აიღეს კონსტანტინოპოლის დიდი ქალაქი და დაიკავეს ტრაპეზუნტის იმპერია".[205]**

სხვა მემატიანეები, ალვარო დე ლუნასი და ალფონსო მარტინეს დე ტოლედო, თავის ქრონიკებში ასევე ასახელებენ ბიზანტიის იმპერიის დაცემას. თუმცა, წინამდებარედ შენიშნულის მსგავსად, მხოლოდ მმართველთა ქრონოლოგიის დასახელებით შემოიფარგლებიან და ოსმალების გააქტიურებას ფართო სახით არ ეხმაურებიან. ესპანელი მეფეები და თვით მემატიანეებიც ზედაპირულად უყურებდნენ ბიზანტიის იმპერიის ოსმალების ხელში გადასვლას. დიეგო ენრიკე დელ კასტილიოს ჩანაწერები, სახელწოდებით ,,ქრონიკა", ამის კიდევ ერთი მაგალითია. იგი აღნიშნავს, თუ, როგორ წავიდა მეფე ესკალონის აგარაკზე შობის დღესასწაულის აღსანიშნავად, ამ დროს კი ბიზანტიას თურქები იკავებდნენ, ხოლო რომის პაპი პიუს II დახმარებას ითხოვდა.[206] XV საუკუნიდან რომის პაპები უკვე სიმბოლურად წარმოადგენდნენ რელიგიურ ავტორიტეტს.[207] საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია სევილიელი რაინდის, პედრო ტაფურის ჩანაწერებიც. იგი 1436-1439 წლებში იერუსალიმში მომლოცველად იმყოფებოდა. იმოგზაურა იტალიაში, გერმანიაში, ფლანდრიაში, როდოსსა და პალესტინაში. პილიგრიმისთვის ჩვეული მანერით, იგი კონსტანტინოპოლს თავის ,,მოგზაურობა"-ში ზოგადი შტრიხებით აღწერდა.[208] ამგვარი ისტორიული ბურანიდან გამოსვლა და რეალობის აღქმა მოხდა კათოლიკე მეფეების ზეობის ხანაში. კონსტანტინოპოლის დაცემა, ისტორიკოსთა ნაწილის აზრით, ალეგორიულად ორი იმპერატორის, ორი სამყაროს პირად დაპირისპირებას გადმოგვცემს.[209] აღმოსავლეთიდან წამოსული ,,ურჩხულის" შესახებ რომის პაპმა პიუს II-მ (1458-1464) განაცხადა: ,,ეს არის ჰომეროსის და აგრეთვე პლატონის მეორე

[205] Rosell, 1953, გვ. 681.
[206] Enríquez del Castillo, Diego de, 1481-1502, გვ. 165.
[207] ხუბაშვილი, 2013, გვ. 340.
[208] Bádenas de la Peña, 2003, გვ. 326.
[209] Emecen, 2011, გვ. 44-51.

სიკვდილი, ახლა მაჰმადი მეფობს. თურქული საშიშროება ჩვენ შორისაა გავრცელებული“.[210] კონსტანტინე XI პალეოლოგმა დახმარებისთვის ევროპას მიმართა. ბიზანტიის გადარჩენა დამოკიდებული იყო პაპის სიტყვების გააზრებაზე. საბოლოოდ, ვენეციის სენატმა ბიზანტიელების დასახმარებლად 400 ჯარისკაცი და 15 ხომალდი გამოყო, რომლებიც კონსტანტინოპოლისკენ 1453 წლის 8 აპრილს გაეშურნენ. წმინდა სოფიას ტაძრის სიმდიდრეც კი ბიზანტიელების მიერ შეიარაღების ხარჯებს მოხმარდა.

ესპანეთიდან კარდინალი ისიდორო გაცილებით ადრე, 1452 წლის ნოემბერში, 200 ნეაპოლელი ჯარისკაცით, ევროპას ბიზანტიის გადასარჩენად მოუწოდებდა. ვინ დაეხმარებოდა ბერძნულ იმპერიას, უკვე მარათონულ შეჯიბრს ემსგავსებოდა. გენუამ 700 ჯარისკაცი წარგზავნა ჯოვანი ჯუსტინიანის მეთაურობით. გენუის ინტერესი პირადი მიზეზითაც იყო განპირობებული, ვინაიდან, მას ეკუთვნოდა გალათა, კონსტანტინოპოლის დასავლეთ ნაწილში მდებარე ციხე-სიმაგრე. აღნიშნულ სამხედრო ძალებთან ერთად, ბიზანტიის დიპლომატიაც თუ ვერ გადაარჩენდა დედაქალაქს, მაშინ იმპერატორი კონსტანტინე XI ძვირფას ძღვენსაც სთავაზობდა სულტანს.[211]

ოსმალთა შეიარაღების მოქნილობა გაცილებით დიდ უპირატესობას წარმოადგენდა, ვიდრე მთელი ევროპის ასეული ჯარისკაცის კოალიაცია. მათი მძიმე შეიარაღება, ზარბაზნების სახით, დღეში 100-150 გასროლას ანხორციალებდა.[212] ბიზანტიის დედაქალაქის დაკარგვა გარდაუვალი იყო. 1451 წელს, როდესაც მურად II-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მეჰმედ II ავიდა, კონსტანტინოპოლი დასაწყისშივე გადაიქცა ახალი სულტნის მთავარ სამიზნედ.

[210] La conquista musumana de Constantinopla, la agonizante Resistencia de una cristianidad desnuda https://www.abc.es/historia/abci-conquista-musulmana-constantinopla-agonizante-resistencia-cristiandad-ignoro-gritos-auxilio-201706060212_noticia.html
[211] Thackeray; Findling, 2012, გვ. 213.
[212]Asutay-Effenberger; Rehm, 2009, გვ. 212. აქვე აღსანიშნავია სახვაობა იმის შესახებ, თუ რა ხანგრძლივობით ისროდნენ ქვემეხებს ოსმალები. ქრისტიანული წყაროები მიუთითებენ ყოველ 20 წუთში ერთხელ, ხოლო თურქული ცნობების მიხედვით - ყოველ ერთ საათში ერთხელ (თ. ხ.).

1453 წელს, ბიზანტიის დედაქალაქის დაცემამდე, დიდ ვეზირმა ჩანდარლი ჰალილ-ფაშამ მას საჩუქრად ოქროს მონეტები მიართვა, სულტანმა კი მიუგო: ,,მე მხოლოდ ერთი მინდა, კონსტანტინოპოლი“.[213] მეჰმედ II-ს მიაჩნდა, რომ ,,თურქეთის იმპერია ვერასდროს იქნებოდა დაზღვეული, ვიდრე კონსტანტინოპოლს არ დაიპყრობდნენ“.[214] ზოგადად, ოსმალეთის სულტნებს ბიზანტიის სრული ტერიტორიული დაუფლების დაუცხრომელი წადილი გააჩნდათ.[215] ამ სურვილს ემსახურებოდა მეჰმედ II-ის ,,ბრწყინვალე სტრატეგიის“ საზღვაო მოქმედებები.[216] 1480 წელს, როდესაც თურქებმა სამხრეთ იტალიაში ოტრანტოც დაიკავეს, ხმელთაშუა ზღვა უკვე ოსმალეთის ,,შიდა ტბად“ გადაიქცა.[217] ცხადი იყო, დამპყრობლების აგრესიას ევროპა ვერ გადაურჩებოდა. შუა საუკუნეების შემდეგ ევროპა ამჯერად გარეშე მტრისგან მოიცვა სიბნელემ. სულტნები ჭიშკრიდან ჭიშკრამდე უახლოვდებოდნენ რომს. შეიძლება ითქვას, ასე გაგრძელდა კონსტანტინოპოლიდან ლეპანტომდე. მიუხედავად იმისა, რომ XIV საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტიის იმპერია დაშლის პროცესს ოსმალეთის გარეშეც ადგა, მაინც, იმპერიის დაცემა შიდა პრობლემების გამო ბუნებრივ ისტორიულ ფაქტად იქნებოდა აღქმული;[218] მაგრამ კონსტანტინოპოლის აღება ახალი იმპერიის, სხვა რელიგიის მიმდევრების მიერ შემზარავი და ამაღელვებელი ფაქტი იყო, აგრეთვე - აზიასა და ევროპას შორის ურთიერთობაში გაურკვეველი ერის დასაწყისი. დადებითი კუთხით, კოლოსალურმა ვითარებამ ბიძგი მისცა ახალ გრანდიოზულ პროცესებს ხმელაშუა ზღვაზე. აღმოსავლეთის სავაჭრო გზების ჩაკეტვამ გამოიწვია დასავლეთის კარიბჭის გახსნა, სხვა საზღვაო გზების ძიება, რასაც, შესაბამისად, სანაოსნო სისტემის განვითარება და სამხედრო

---

213 Runciman, 1973, გვ. 47. ჩანდარლი ჰალილ ფაშა ოსმალეთის დიდი ვეზირი იყო 1439-1453 წლებში. კონსტანტინოპოლის აღების მეორე დღეს, 30 მაისს, სულტანმა იგი ღალატის ბრალდებით შეაპყრობინა და მისთვის თავის მოკვეთა ბრძანა.

214 Runciman, Ib., გვ. 57.

215 David, 2007, გვ. 174.

216 Philippides; Hanak, 2011, გვ. 429.

217 Howard, 2017, გვ. 113.

218 Runciman, 1973, გვ. 12.

ინდუსტრიის დახვეწა ერთვოდა. ყველაზე დიდ შედეგს მაინც ბერძენი სწავლულების იტალიაში მიგრაცია წარმოადგენდა, როგორც ნათელი ეპოქის დასაწყისი. იტალიურ ფრესკებზე ბერძენი ფილოსოფოსების გამოჩენა სწორედ აღნიშნულ ახალ ისტორიულ ფერებს უკავშირდებოდა. ისლამური ალ-ანდალუსის კულტურის ქრისტიანული კასტილიის სამეფოსთან შეთვისებამ მედიტერანიზმის ეპოქის საფუძველი კიდევ უფრო გაამყარა.[219] ბიზანტიის იმპერიის დაცემამ დასავლეთის კულტურაზე ეთნო-ლინგვისტური გავლენითაც იმოქმედა: ელინიზმის (ენა, ლიტერატურა, ფილოსოფია, თეოლოგია) და რომანული (სამართალი, სამხედრო სისტემა, დიპლომატია) მიმართულებებით.[220] იტალიელ ჰუმანისტებს საშუალება მიეცათ, უშუალოდ გასცნობოდნენ ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევებს.[221]

კონსტანტინოპოლის დაცემამდე არსებული ხელნაწერების გაშიფრვა დევნილი ბერძენი სწავლულების დახმარებით გახდა შესაძლებელი. და მაინც, ნეაპოლის, ვენეციის თუ გენუის სისუსტე ოსმალების წინააღმდეგ დაპირისპირებაში ყოველმხრივ, ყველა სფეროში გამოიკვეთებოდა. საჭირო იყო საფრანგეთის ან ესპანეთის მონარქების მიერ ევროპის გადარჩენა. ვენეცია, რომელიც მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს თავად ებრძოდა ბიზანტიას, მისი დაშლის შემდეგ თვითონც საკმაოდ დასუსტებულიყო. იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოებს მოშლილი ჰქონდათ აღმოსავლეთის საყრდენი, მაშინ, როდესაც ხმელთაშუა ზღვიდან მტერი მათ სანაპიროებზე გადმოდიოდა.[222] ვენეციას უნდა დაეცვა ასევე მის დაქვემდებარებაში არსებული ბერძნული ტერიტორიები: კრეტა, თესალონიკი, კვიპროსიდან ალბანეთამდე მიწები. 1453 წლის შემდეგ ოსმალების მხრიდან წამოსული საშიშროება ყველაზე რეალური და პირდაპირი მიმართულებით

---

219 Harvey, 2005, გვ. 14.
220 Baynes, 1951, გვ. 195.
221 Geankopolos, 1966, გვ. 118.
222 Pullan, 1973, გვ. 117.

იტალიურ ქალაქებს ემუქრებოდა, წმინდა საყდარს (წმინდა ეპარქიას - თ. ხ.) და შემდეგ უკვე ევროპულ ქრისტიანულ სამყაროს.

რაც შეეხება ესპანეთს, როგორც აღვნიშნეთ, კათოლიკურ მონარქიაში ბიზანტიის იმპერიის დაცემის ჯერ კიდევ პოეტური ასახვა გვხვდება, მთელი თავისი მეტაფორული იერით, იმ მცირე გამონაკლისების გარდა, რაც მეფეთა ქრონიკებში ზედაპირულად არის ნახსენები.[223] ესპანეთის მეფეებისთვის კონსტანტინოპოლის დაცემა გეოგრაფიული სიშორის ისტორიული გამოძახილი იყო. მათ იბერიის ნახევარკუნძულის ესპანური მიწების გაერთიანება ჯერ დასრულებული არ ჰქონდათ და საკუთარი შიდა სახელმწიფოებრივი პრობლემები გააჩნდათ.[224] ბიზანტიის დედაქალაქის დაცემის შესახებ ესპანურ ცნობებში თითქმის ყველგან მითითებულია, რომ მიზეზს ქრისტიანთა ცოდვები წარმოადგენდა, რასაც ასევე ალეგორიული დატვირთვა გააჩნდა: ისტორიული მოვლენისთვის მითოლოგიური მანტიის მოსხმა და ევროპის აღმოსავლეთ კარიბჭესთან არსებული ტრაგიკული ვითარებისგან განრიდება.

### 2.2. კონსტანტინოპოლის დაცემის ფსიქოლოგიური ფაქტორი

XVI საუკუნე ევროპაში მიმდინარე უნივერსალური პროცესების მოწმე იყო, ასევე XV საუკუნის ევროპული ტრაგედიის - ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაკავების - მემკვიდრე. ისტორიული მონაკვეთი 1453 წლიდან ვიდრე უკანასკნელ ჰაბსბურგ მეფემდე მედიტერანიზმის თურქული საფრთხის - **თურქოფობიის** პერიოდს წარმოადგენდა.[225] ბალკანეთი და ცენტრალური ევროპა, ეგვიპტე-წითელი ზღვა თუ ხმელთაშუა ზღვა-ბარბარული სანაპიროები-გიბრალტარი, არავინ უწყოდა, რა ტრაექტორიით მოხდებოდა ოსმალეთის იმპერიის ექსპანსია. რას უფრო ესწრაფვოდნენ ოსმალეთის სულტნები: პორტუგალია-ესპანეთთან

---

[223] Weiner, 2005, გვ. 45.
[224] Hermenegildo, 1983, გვ. 37.
[225] Savat Şener, 2019, გვ. 383.

გეოგრაფიულ აღმოჩენებში პაექრობას, საზღვაო იმპერიად არსებობას, ევროპაში შეჭრას და ისლამის გავრცელებას? ან, საერთოდ რა მოხდებოდა, ბიზანტიის იმპერია რომ არ დაცემულიყო?[226] საკითხის მხოლოდ შეკითხვების სახით წარმოჩენა არასწორად მიგვაჩნია, რადგან ისტორიას შევისწავლით, ვიკვლევთ, ვაანალიზებთ და მას არჩევანის წინაშე არ ვაყენებთ. უდავოა, მსოფლიო ისტორიის ოსმალური ფაქტები XVI საუკუნეში - ჰაბსურგებთან დაპირისპირების შემდეგ იგი ფენიქსივით ახერხებდა აღდგენას. ოსმალეთის იმპერიამ ლეპანტოს მარცხიდან ათ თვეში შეძლო ფლოტის გაცილებით დიდი შემადგენლობით განახლება. ოსმალებმა 1574 წელს თუნისი და ლა გოლეთა დაიკავეს, ხოლო 1575 წელს, როდესაც ესპანეთის მონარქიამ მორიგი ბანკროტი გამოაცხადა, ხმელთაშუა ზღვის სუვერენიტეტიც მათ ხელში გადავიდა.[227] სწორედ ჰაბსბურგ-ოსმალებთან დაპირისპირების ხანა, ჩვენ მიერ წოდებული მედიტერანიზმი, წარმოადგენს გლობალური პოლიტიკის ასპექტების დამკვიდრების მნიშვნელოვან სამეცნიერო მონაკვეთს ევროპის ისტორიოგრაფიაში.[228]

1453 წლის 29 მაისს, სამშაბათ დღეს, კონსტანტინოპოლი დაეცა.[229] ოსმალეთის მიერ ბიზანტიის დაკავება ქრისტიანული სამყაროს ემოციურ კატაკლიზმად და ევროპის აპოკალიფსად იქნა მიჩნეული. ,,ბიზანტიის იმპერიის დაცემამ შეძრა მთელი ევროპა“ ასე აღწერს ოსმალების ევროპის მიწაზე გადასვლას მირიან მახარაძე.[230] ბალკანეთის და ევროპის რომანულმა მოსახლეობამ პირველმა განიცადა ოსმალეთის იმპერიის დარტყმა. ბიზანტიიდან ცარიელი ხომალდებით დაბრუნებულმა გენუელმა ვაჭრებმა პირველებმა გაავრცელეს ბერძნული იმპერიის დაცემის შემაძრწუნებელი ფაქტი.[231] ევროპა კონსტანტინოპოლის დაკარგვამდეც მოკრძალებულად უმზერდა კარს მომდგარ მტერს; უდიდესი ბერძნული პოლისი

[226] Casale, 2010, გვ. 3.
[227] Sola, 1988, გვ. 57.
[228] Casale, Ib., გვ. 9.
[229] პაპაშვილი, 1995, გვ. 102.
[230] მახარაძე, 2005, გვ. 31.
[231] პაიჭაძე, 1989, გვ. 47.

,,იმპერიული ბიზანტიუმის" სიძლიერის აღდგენის, ოსმალთა შემაკავებელი ბასტიონის სიმბოლოდ იყო აღმართული. დედაქალაქის დაცემისთანავე, ევროპა ამჯერად კიდევ ერთი მუსლიმური ტალღის გადავლას მოელოდა. კონსტანტინოპოლის დაცემით დაიწყო სრულიად ახალი ერა: დაბნეულობა ევროპისთვის, ინტერესის სიმძაფრე და პოლიტიკური მიზანი ოსმალეთის იმპერიისთვის. თურქების შემთხვევაში, ბიზანტიის დაკავება მხოლოდ სტრატეგიულ-ექსპანსიურ მიზნებს არ ემსახურებოდა. ევროპელების მიერ ბარბაროსებად მიჩნეული თურქები ბიზანტიის, ძველი ბერძნების, რომაელების ცივილიზაციას ეუფლეობდნენ. კონსტანტინოპოლი საერთო ევროპულ დედაქალაქად აღიქმებოდა. მის გალავანთან გამართული ორი მმართველის დაპირისპირება მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ ცენტრალურ სიმბოლურ მხარედ უნდა წამოვიდგინოთ, როგორც დასავლეთის და აღმოსავლეთის, ასევე ქრისტიანობის და ისლამის ანტაგონიზმად.[232] განსაკუთრებით რთული ვითარება იტალიის დაქსაქსული ქალაქების სავაჭრო საქმიანობაზე აისახა.[233] ინტელექტუალური სფეროს ძირითადი ბირთვიდან ნაწილი ევროპაში გადავიდა, ნაწილი - სპარსეთში, და, როგორც ავსტრიის გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი, ლუდვიგ აუერი შენიშნავს, თან წაიღეს ,,ანტიკური ცოდნა, როგორც ბიზანტიური ნანგრევებიდან შემორჩენილი საგანძური".[234] ოსმალეთის სულტნებმა ევროპაში შეაბიჯეს. კონსტანტინოპოლის მოსახლეობა ბერძნულ-რუმინულ მილეთში გაერთიანდა და თურქოკრატიის მმართველობის სისტემის ნაწილად გადაიქცა.

დამპყრობლები თუ დაპყრობილი ეროვნებები შეერწყნენ ახალ ტრადიციებს, ახალი ცხოვრების სისტემას. ფრანგი ისტორიკოსის ივ თერნონის შენიშვნით: **,,დაპყრობილი ბიზანტიური მოსახლეობისთვის ოსმალურმა საზოგადოებამ,**

---

[232]გალავანთან, რომელიც კონსტანტინეს დროს იყო აშენებული და ბიზანტიის სიძლიერის სიბოლოდ იდგა. თვით ეს კედელიც კი მითიური ალეგორიით ხასიათდებოდა, ისევე როგორც კონსტანტინოპოლის - ,,წითელი ვაშლის" დაუფლება (თ. ხ.).

[233] პაიჭაძე, 1989, გვ. 39.

[234] Auer, 2019, გვ. 270.

**ერთად ცხოვრების ნაცვლად, გვერდი-გვერდ ცხოვრების ხელოვნება განავითარა“.**[235] ისლამი ტრიუმფს განიცდიდა, ისევე როგორც, ოსმალეთის სამხედრო სისტემის, იენიჩართა კორპუსის, შეიარაღების, სტრუქტურული ორგანიზების უპირატესობა. გაქრა თავდაპირველი აღფრთოვანება, თითქოს ბერძნების ბატონობას, თურქების გაძლიერება ერჩიათ, რომლის იდეაც თვით ბიზანტიელებსაც კი გარკვეულ პერიოდამდე ასე ხიბლავდა.[236] აღსანიშნავია ოსმალური ,,გვერდი-გვერდ“ ცხოვრების ერთგვარი დადებითი ელფერიც: ,,ტოლერანტობის პოლიტიკამ“ ბერძნული ენა დაკარგვისგან გადაარჩინა, მოგვიანებით კი ,,დიდი იდეის“ ჩამოყალიბებაზეც მოახდინა გავლენა; რაც ალბათ ბერძნების დაქსაქსვის და მათი სხვა მილეთებში გადასახლების შემთხვევაში ვერ განხორციელდებოდა. ,,დიდ იდეაზე“ დაფუძნებული ბერძნული ნაციონალიზმი აღვივებდა ზოგადად ერების ერთად ყოფნის მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, მუსლიმური იმპერიის შიგნით. მოგვიანებით, სწორედ ეს მოწოდება გახდა ევროპის ,,თურქიზმიდან“ თავის დახსნის, ახალი ელინიზაციის ერთადერთი საშუალება. თუმცა, ყველაზე მოხერხებულად მაინც ოსმალეთის იმპერიაში ნებაყოფლობით გადასული ებრაელები გრძნობდნენ თავს: ,,ესპანეთიდან გასვლამდე მრავალი ათეული წლის განმავლობაში იუდეველებმა თავშესაფარი ნახეს ოსმალეთის სამფლობელოებში. გერმანიაში XV საუკუნის დევნის დროს, ათასობით მათგანი გაიქცა აღმოსავლეთით და ისინი თურქეთის პროვინციებში კარგად მიიღეს. აქ მათი ცხოვრება დაცული იყო და ხვალინდელ დღეს შიშის გარეშე შეიძლებოდა მისალმებოდნენ“.[237]

ევროპაში შუა საუკუნეების მანძილზე მაკედონისეული, კეისრისეული შემართების, სულისკვეთების არანაირი ძალა ჩანდა. XI საუკუნიდან XIV-ის შუა ხანებამდე, ვიდრე დანტე ალიგიერი არ დაიწყებდა ერების ერთად შეკრების,

---

[235] Aguado, F.; Ternon, Y. 2002, Empire ottoman, le déclin, la chute, l'effacement, Paris, Du Felin-Michel de Maule http://www.cervantesvirtual.com/Constantinopla después de Constantinopla.
[236] მახარძე, 2005, გვ. 31.
[237] Sachar, 1967, გვ. 221.

რეკონსტრუქციის ლიტერატურული იდეის გაღვივებას, მითითებული საუკუნეების შუალედი ევროპის სულიერ კრიზისად იყო მიჩნეული.[238] 1481 წელს მეჰმედ II-ის გარდაცვალება ერთგვარ ფსიქოლოგიურ შვებას წარმოადგენდა. სამყაროს დასასრულის შეგრძნება, რაც კონსტანტიოპოლის დაცემამ გამოიწვია, დამპყრობელ სულტანს უკავშირდებოდა. მეორე მხრივ, სულტნის ტახტის დასაკავებლად დაწყებული ბრძოლა ბაიაზიდ II-ის (1481-1512) წარმატებით დასრულდა. მისი მემკვიდრე სელიმ I (1512-1550) კი არაბულ მიწებს უფრო უტევდა, ვიდრე ევროპას. ამდენად, ჯერ ტახტისთვის დაწყებული შიდა დაპირისპირება, შემდეგ სელიმ I-ის ლაშქრობები ,,ქრისტიანი ერის" გაერთიანების და ბიზანტიის ტერიტორიების დაბრუნების იმედს ბადებდა.

## 2.3. მედიტერანიზმის ხანის ესპანური ცნობები თურქების შესახებ

ანატოლიის ცენტრალურ ნაწილში ოღუზი თურქმანების იმპერიული გაძლიერება, ბოსფორის სრუტეზე მათი გაბატონება ქრისტიანული სამყაროსთვის პოლიტიკური და რელიგიური საფრთხის ახალ ვარიაციას წარმოადგენდა. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგაც კი, ევროპას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სათანადოდ გააზრებული ,,თურქის საფრთხე". მარტინ ლუთერი თურქებს ლუციფერის მოციქულებს უწოდებდა, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის გულში ცდილობდნენ შეჭრას.[239] იგი 1530 წელს წერდა: ,,თურქები და მათი რელიგია ჩვენი კარიბჭის ზღურბლზე არიან მომდგარი".[240] დასავლური ცივილიზაცია ნაწილობრივ გონს სწორედ სელიმ I-ის დაპყრობების წყალობით მოეგო. ოსმალების ტერიტორიულმა განვრცობამ წარმოაჩინა თურქების ძლიერება ხმელეთსა და ზღვაზე. მათი ექსპანსიის ეტაპობრივად ოსმალური მისწრაფებაც ცხადი ხდებოდა: მედიტერანიზმის სივრცეში სულ უფრო დასავლეთისკენ გაჭრილიყვნენ.

[238] Bádenas de la Peña; Pérez Martín, 2003, გვ. 6.
[239] Foley, 2009, გვ. 377–398.
[240] Tolan, 2005, გვ. 14.

სულტნები გამალებით უმზერდნენ ,,დასავლეთის ჰორიზონტს“. ხმელთაშუა ზღვა ,,ორი სულტნის“ ადგილისთვის მეტად მცირე სივრცედ მოჩანდა.[241] რეგიონის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე ერთმანეთს გიგანტური იმპერიები უპირისპირდებოდნენ. აღნიშნული დაძაბულობა ქრისტიანული სამყაროსთვის ქრისტეს და ანტიქრისტეს დაპირისპირებასთან იგივდებოდა.[242] ორი რელიგიის ცენტრში ბიზანტიის დაცემის შემდეგ ,,უკანასკნელი იმპერატორი“ - რომის პაპი იდგა.[243]

თურქების გამოჩენას განსხვავებული ინტერპრეტაცია მოჰყვა ესპანეთის სამეფო კარზე, ესპანურ ლიტერატურასა და ,,ცნობის ფურცლებზე“. თურქებსა და იბერიის ნახევარკუნძულს შორის საინფორმაციო ცენტრი იყო კონსტანტინოპოლი - დიადი ქალაქი, ბერძნების შემდეგ ლათინელების უშუალო მემკვიდრე, ბერძნული ცივილიზაციის უკანასკნელი შუქურა, რომის წარსული დიდების აღმოსავლური გამოძახილი, და არა, როგორც ,,თურქების ქალაქი“. რამდენადაც კონსტანტინოპოლის ისტორია საუკუნეებზე იყო გადაჭიმული, იმდენად მრავალფეროვნებით გადმოიცემოდა ცნობები მის შესახებ. ინფორმაცია ძირითადად ესპანელი მოგზაურების მეშვეობით მიიღებოდა, ასევე - ტყვედ მყოფი და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული პირებისგან; მოგვიანებით კი, როდესაც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დახვეწა განხორციელდა, ცნობების გადაცემა ფელიპე II-ის მიერ ჩამოყალიბებული მოქნილი სადაზვერვო ქსელის მეშვეობით ხდებოდა.

დიეგო გალან ესკობარის, ანტონიო დე სოსას, უცნობი ავტორის ,,თურქეთის მოგზაურობის“ და ნაშრომში გამოყენებული სხვა საარქივო ცნობების გარდა, საყურადღებოა, მადრიდის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი

[241] იგულისხმება ესპანეთის მონარქი და ოსმალეთის სულტანი (თ. ხ.).
[242]რომის პაპმა ნიკოლოზ V-მ კონსტანტინოპოლის დაცემის შესახებ რომ შეიტყო, მეჰმედ II ანტიქრისტედ გამოაცხადა (მახარაძე, 2005, გვ. 31).
[243] Fernandez Armesto, 2009, გვ. 8.

ქრონიკა **„თურქების ცხოვრებისა და ჩვეულებების შესახებ“.**[244] აღნიშნული ინფორმაციული კრებული სასულიერო პირების, ძირითად ჰოსპიტალიერთა ორდენის ბერების მიერ გადმოცემულ ცნობებს წარმოადგენს. 87 გვერდისგან შემდგარი დოკუმენტი კონსტანტინოპოლის მდგომარეობის, ოსმალთა ყოფის თითოეულ დეტალს ასახავს;[245] აგრეთვე მოიცავს ვრცელ ინფორმაციას ოსმალეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სფეროების შესახებ.[246] ხელნაწერის პირველი თავის ამონარიდი ასეთია: **„თურქებს ოქროსა და ვერცხლზე დაუცხრომელი წყურვილი გააჩნიათ. ამისთვის ისინი სიცოცხლეს რისკავენ და საშიშები ხდებიან. ჯილდოს იმედით, თავის მეფეს, მინისტრებს უმორჩილესად ემსახურებიან. მათი კმაყოფილები არიან, როდესაც ომში მოულოდნელად აგზავნიან. მტკიცედ და ურყევად სჯერათ, რომ ყოველივე ბედისწერით წინასწარ არის განსაზღვრული“.**[247]

**„ამბობენ, რომ დიდი თურქის, სულეიმანის დროს, იბრაჰიმ ფაშამ კაიროდან ექვსი მილიონის სიმდიდრე გაიტანა, ხოლო მეჰმეთ ვეზირს ბევრად მეტი ქონება გააჩნდა. უჩალი (ულუჩ[ჯ] ალი) თავისი სიმდიდრის გარდა, კიდევ სამ მილიონ ტყვეს ფლობდა“.**[248]

**„დიდი თურქის ყველა რეგიონში ექიმების უმეტესობა ებრაელია, ბევრია თურქი ექიმიც, ისინი კარგი პრაქტიკოსები არიან... ებრაელებისთვის ადვილად ხელმისაწვდომია ცოდნა მედიცინის შესახებ. მათ აქვთ ბერძნული, ებრაული და არაბული წიგნები, რომლებიც მარტივ, უბრალო ენაზეა თარგმნილი, როგორც ჰიპოკრატე, გალენი ავიცენა ან ალ-მანსური. თურქებს ჰყავთ მხოლოდ არისტოტელე და პლატონი... ებრაელებს ყველგან, სადაც დადიან, თავზე ყვითელი**

---

[244] BNM, ms. 2794. ხელნაწერ მასალაზე წვდომა შესაძლებელია სასაზღვრო არქივის ინტერნეტ-გვერდის საშუალებით. ADF, DE LA VIDA Y COSTUMBRES DE LOS TURCOS.

[245]სან ხუან დე ბაუტისტა, ანტონიო მენავიო, პედრო ველონიო და ბერი ანტონიო ვაესი ცნობების მთავარი ავტორები არიან (თ. ხ.).

[246]ხელნაწერის რედაქტირება მოხდა მადრიდის სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ევროპული ცენტრის მიერ CEDCS (თ. ხ.).

[247] http//www.archivodelafrontera.com ADF, DE LA VIDA Y COSTUMBRES DE LOS TURCOS, Capítulo 1.

[248] http//www.archivodelafrontera.com ADF, DE LA VIDA Y COSTUMBRES DE LOS TURCOS, Capítulo 6.

ჩალმა ახურავთ. ქრისტიანებს - წითელი, თურქებს - თეთრი. ებრაელები მოხერხებულად იქცევიან, ისინი იტალიაში რომ ჩადიან, თეთრ ჩალმას იხურავენ, რათა თურქებად მიიჩნიონ, რადგან იტალიელებს თურქებზე უკეთესი წარმოდგენა აქვთ, ვიდრე ებრაელებზე“.[249]

„იენიჩრები დიდი თურქის ქვეითი გვარდიაა. ისინი ქრისტიანებისგან წაყვანილი ბავშვები არიან. ამ გვარდიის გარდა, დიდ თურქს ჰყავს მყარი დასაყრდენი - 10 000 იენიჩარი. ყველა კარგად შეიარაღებული ქვეითია. ყოველ სამ წელიწადში ივსებიან... მათი არჩევის შემდეგ კვლავ გადაარჩევენ ყველაზე ლამაზებს, კარგად გამოწყობილებს და მხიარულებს. მათ კონსტანტინოპოლში აგზავნიან, სადაც სამეფო სასახლეში ზრუნვით და საჩუქრებით იზრდებიან. დანარჩენებს მუშებად ან ანატოლიაში მწყემსებად აგზავნიან.“[250] ამავე ქრონიკაში დაცულია ცნობები სულტნის სასახლეზე, თურქ სწავლულებზე, ოსმალთა კვებისა და ქუჩაში სიარულის მანერაზე. კონსტანტინოპოლის აღწერა ოცდამეთორმეტე თავშია გადმოცემული: „ეს უცნობილესი ქალაქი, როგორც ვთქვით, ევროპაში მდებარეობს და არის ოთხი ყველაზე დასახლებული ქალაქიდან ერთ-ერთი: ესპანეთში - ლისაბონი, საფრანგეთში - პარიზი, სარმატიაში - მოსკოვი, თრაკიაში - კონსტანტინოპოლი. ქალაქი ევროპაშია დაარსებული და აზიიდან გამყოფი სრუტით ნახევარ ლიგაზე მეტად არაა დაშორებული. იგი აღადგინა და ააყვავა დიდმა კონსტანტინემ, იმგვარი დიდებით, რომ, მისი ორნამენტებითა და სიძველეებით, მხოლოდ რომისგან განსხვავდება.“[251]

საყურადღებოა, რამდენად დიდი ფენომენი იყო ოსმალეთის იმპერია ევროპისთვის. მისი ძლიერებიდან გამომდინარე, თურქების ცხოვრების წეს-ჩვეულებებზე დაკვირვება ახალი ცივილიზაციის მიმართ მძაფრ ინტერესს გამოხატავდა. „ოსმალური სამყაროს“ შესახებ ინფორმაციის შეგროვება XVI საუკუნის „თურქომანიის“ საზღვრებს სცდებოდა. ესპანურ წყაროებში ნაკლებად

---

[249] ADF, DE LA VIDA Y COSTUMBRES DE LOS TURCOS, Capítulo 7. http//www.archivodelafrontera.com.
[250] ADF, DE LA VIDA Y COSTUMBRES DE LOS TURCOS, Capítulo 21.http//www.archivodelafrontera.com.
[251]ADF, DE LA VIDA Y COSTUMBRES DE LOS TURCOS, Capítulo 32. http//www.archivodelafrontera.com.

გვხვდება ,,სულტანი“ ან ,,ოტომანი“. ცნობებში მითითებული ,,თურქი“ და ,,დიდი თურქი“ (el turco, el gran turco), კონტექსტის მიხედვით, სულტანს ან, ზოგადად, მთლიანად ოსმალეთის იმპერიას გულისხმობს. ფრიად საინტერესოა ესპანელი თეოლოგის და პოეტის, ვასკო დიასის მიერ სულტნის დარბაზის დეტალური აღწერა. აქვე გამოიკვეთება ოსმალეთის იმპერიის ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიაც: **,,დიდ თურქს, სულეიმანს, თავის ოთახში კედელზე ჩამოკიდებული აქვს აბრა სარტყელით, რომელზეც მისი მამა, სელიმი, არის გამოსახული. მის თავზე ლათინურ ენაზეა წარწერა: Selim Ottoman Rex Regum. Dominus Dominantium. Princeps Principum. Nepos Dei.[252] ფეხებთან თურქულ ენაზე წერია: თუ თავად პრინცი არ მიდის საქმის მოსაგვარებლად, მაშინ მას კარგი შედეგი არ ექნება. მარჯვენა ხელთან ბერძნულ ენაზე ასეთი წარწერაა: ჭეშმარიტი მმართველობა ახლობლების მიმართ ეჭვის არქონაა. მარცხენა ხელთან სლავურ ენაზეა სხვა წარწერა: ძველი ტანჯვის ატანა არის ახლის გამოწვევა. ეს არის კანონი და მოგონება, რაც ოსმალეთის სულტანმა, სელიმმა, თავის შვილს სულეიმანს დაუტოვა.“[253]**

სასურველია, გაიმიჯნოს ,,თურქული საკითხის“ და კონსტანტინოპოლის შესახებ ცნობების მნიშვნელობა. ევროპაში ბიზანტიის დედაქალაქის მსგავსი სხვა ქალაქი არ მოიძებნებოდა. ფელიპე II-ის მიერ დაწყებული ესკორიალის კომპლექსის მშენებლობა ერთგვარ მცდელობას წარმოადგენდა, ესპანეთის მონარქიაში აღმოსავლეთის დედაქალაქთან გაიგივებული იმპერიული ცენტრი შეექმნათ. თუმცა, ესკორიალის სასახლე მეფის პირად რეზიდენციად უფრო გამოიყენებოდა და არა იმპერიის დედაქალაქად. მას არ გააჩნდა ,,დიადი ისტორიული წარსული“. ეს იყო ადგილი საარქივო, საბიბლიოთეკო

[252] ,,მეფეთა მეფე სელიმ ოტომანი (ოსმალი - თ. ხ.). მბრძანებელთა მბრძანებელი. პრინცთა პრინცი. ღმერთის ძმის შვილი“.

[253] Díaz Tanco, Vasco. 1547, fol. 41v, Libro intitulado Palinodia de la nefanda y fiera nación de los Turcos y de su cruel modo y arte engañoso de guerrear. Y de los imperios, reinos y provincias que han sujetado y poseen con inquieta ferocidad. Orense: impresión del propio autor.

საქმიანობისთვის, კულტურული მოღვაწეობისთვის, იმპერიის სათათბირო ცენტრი. მედიტერანიზმის ეპოქაში, რომის გარდა, არსად არსებობდა კონსტანტინოპოლის ანალოგი ქალაქი, რომელიც მას ისტორიულ-პოლიტიკური მასშტაბებით ან ცივილიზაციური სიმდიდრით გაუთანაბრდებოდა. იბერიის ნახევარკუნძულზე კორდობას შეეძლო, კონსტანტინოპოლთან პაექრობას ცდილიყო, მაგრამ რამდენად გამართლებული იქნებოდა, სახალიფოს დედაქალაქის კათოლიკური მონარქიის ცენტრად არჩევა?! მეორე შესაძლებლობად გრანადა მოიაზრებოდა. ევროპას ,,იმპერიული ქალაქების" სხვა ვარიაციებად მხოლოდ ვენა, პრაღა და ნიურნბერგი შეეძლო წარმოედგინა - როგორც ახალი ისტორიის რეალობისთვის ყველაზე განვითარებული ქრისტიანული, ჰუმანისტური ქალაქები.[254]

ბიზანტიიდან მიღებული ცნობები ძირითადად იტალიური ენიდან ვრცელდებოდა. კონსტანტინოპოლის დაცემაც თავდაპირველად სწორედ იტალიის ქალაქებში გახდა ცნობილი: 4 ივლისს - ბოლონიაში, ხოლო 6 ივლისს -გენუაში, რომსა და ნეაპოლში კი - 8 ივლისს.[255] ინტერესს იწვევდა მონათხრობი მტრის, ,,სხვა ისლამის" მიმდევრების ცხოვრების ყველა სფეროს შესახებ. ვასკო დიას ტრანკოს ,,მოგზაურობა თურქეთში" კრებულად შედგენილი ,,ლევანტური" ცნობების ერთ-ერთი პირველი მაგალითია.[256] სულეიმან დიდებულის მიერ კუნძულ როდოსის დაკავება ინფორმაციულ სივრცეში მოვლენების ათვლის წერტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ. იქამდე ესპანეთის სამეფო კარზე ოსმალეთის შესახებ მხოლოდ ზოგადი ცნობები აღწევდა. ინფორმაციის გაცვლაში დიდი წვლილი მიუძღოდათ ტყვეებს. ხმელთაშუაზღვისპირეთზე ცნობების მიღების ისტორიულ ფენომენს ,,ხმელთაშუაზღვის დიალოგი" ან ,,ტყვეთა დიალოგიც" შეგვიძლია ვუწოდოთ.

1560 წლიდან ამოქმედდა ფელიპე II-ის სადაზვერვო სამსახური. ოსმალების სტერეოტიპული დახასიათება ჩაანაცვლა სახელმწიფო მნიშვნელობის

[254] Fernandez Armesto, 2009, გვ. 2.
[255] Tenzer Feldman, 2008, გვ. 105.
[256] Bunes Ibarra, 1987, გვ. 82.

ინფორმაციამ, რომელიც არა მხოლოდ ტყვეებისგან, არამედ უკვე ჯაშუშებისა და მეკობრეებისგან მიიღებოდა.[257] ამავე პერიოდში ხდება კონსტანტინოპოლის დაბრუნების სურვილის იდეალიზაცია, რაც ესპანეთის მონარქიის ინტერესებს ემსახურებოდა. ქალაქის გამოხსნა მუსლიმებისგან ევროპისთვის ძველი იმპერიული იერის აღდგენას ნიშნავდა. შესაბამისად, მატულობდა საკუთრივ მისი დახასიათების, აღწერის მაგალითებიც. დიეგო გალანთან კონსტანტინოპოლის ახალი სახელი ასეა განმარტებული: ,,კონსტანტინოპოლი, სხვაგვარად ესტამბოლად წოდებული, ნიშნავს ფართო ადგილს".[258] ერთგვარად დაგვიანებული ცნობები, ,,გამოღვიძებული ინტერესი" მიუთითებს, რომ ესპანეთის მონარქიაში ქალაქს უკვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ,,ბიზანტიონი" იმპერიული დიდების სახედ მოიაზრებოდა, თუმცა, მოგვიანებით, უკანასკნელი ესპანელი ჰაბსბურგების პერიოდში, ევროპა უკვე შეგუებულია კონსტანტინოპოლის დაკარგვას და მისი დაბრუნების მცდელობის ნიშანიც კი აღარსად იგრძნობა.

ცნობები კონსტანტინოპოლის მნიშვნელობის შესახებ შემდეგი სახით გადმოიცემოდა: ,,ქალაქი კონსტანტინოპოლი მდებარეობს მსოფლიოს ყველაზე წყნარ ადგილას, ორ ზღვას, ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის".[259] დიეგო გალანი ქალაქის ერთადერთ ნაკლად შემდეგს ასახელებს: **,,მას პატრონად არ ჰყავს ესპანეთის მეფე. თუ ღმერთმა ინება, და ჩვენი ბატონი ქალაქს დაეუფლა, დარჩენილ მსოფლიოსაც დაიპყრობს".**[260]

ანტონიო ფახარდო კონსტანტინოპოლის დასახასიათებლად მიმართავს მისი რომის, ალექსანდრიის დიდებასთან შედარებას, რათა მათი მნიშვნელობა ბიზანტიის დედაქალაქს დაუკავშიროს: **,,რომის წარჩინებულებს კონსტანტინეს ბედნიერი და აყვავებული იღბალი შურდათ. ამიტომ მან [რომაელებისგან] გარიდება მოინდომა, მსგავსად იულიუს კეისრისა, რომელსაც ეწადა, სასახლის**

---

[257] Bunes Ibarra, Ib., გვ, 265.
[258] Galan, 1620, გვ. 75.
[259] Parronda, 1631, გვ. 267.
[260] Galan, 1620, გვ. 63.

**კარი ტროაში ან ეგვიპტის ალექსანდრიაში გადაეტანა. კონსტანტინემ ბრძანა, ამ ქალაქისთვის კონსტანტინესეული რომი ეწოდებინათ“.**[261]

ხერონიმო პარონდა რიტორიკულად აღწერს სულტნის სასახლეს: **„შვიდ სვეტზეა განლაგებული, თითოეული მათგანის თავზე არის პატარა მეჩეთი. ყველას თავისი სახელი აქვს. მიმსგავსებული არიან სოლომონის ტაძარს, მათ ოთხი კოშკი და სამი დაფარული გასასვლელი აქვთ - ზარების გარეშე“.**[262] პარონდა ზარების არარსებობას ხსნის იმით, რომ სულტანს ეშინოდა, მის ხმაზე ქრისტიანები არ გაერთიანებულიყვნენ. უკვე მუსლიმთა ხელში მოქცეული ქალაქის აღწერის ცნობების უმრავლესობა ხაზს უსვამს ოსმალების ცხოვრების ბარბაროსულ ხასიათს, თუ, როგორ არ უფრთხილდებოდნენ დიდებულ ქალაქს, რომ ქუჩები და მთავარი გალავანი უყურადღებოდ იყო მიგდებული: **„უწინ ქალაქი თავისი ახალგაზრდობის ასაკში იყო და ყველაზე მშვენიერიც კი მსოფლიოში“.**[263] იქვე ვკითხულობთ: **„ქალაქის გალავანი იგივეა, რაც ბერძენი იმპერატორების დროს იყო. შენახულია, დროის დინების მიუხედავად. აქვს 30 ჭიშკარი, რომელთა სახელებსაც არ ჩამოვთვლი“.**[264] ვისენტე როკასთან ვხვდებით ასეთ შეფასებას - კონსტანტინოპოლი მიუხედავია, რადგან თურქებისთვის დიდ ქალაქებში ცხოვრება უჩვეულოა: **„თურქეთში არაა ასეთი ძლიერი ქალაქები, არც პრინცია ან ბატონი, რომელიც მათ იცავს. არის მხოლოდ თურქი.**[265] **იგი ბრძანებს და განაგებს ყველაფერს“.**[266] დიეგო გალანი კონსტანტინოპოლის ნავსადგურსაც აღწერს: **„ნავსადგურის შესასვლელი საკმაოდ ტევადია და ფართოა შეიარაღებული ხომალდებისა და ნავებისთვის. ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, მასში 500 ხომალდს შეუძლია შეღწევა და გაჩერება. აქვეა კიდევ ბევრი მაღალ გემბანიანი ნავი, ერთმანეთისთვის ხელის შეშლის გარეშე, იღბლის მთელი წყალობით, დატევა დიდ**

---

[261] Fajardo, fol. 177.
[262] Paronda, fol. 130.
[263] González de Clavijo, 1732, გვ. 69.
[264] Galan, Ib., გვ. 65.
[265] წყაროში „თურქი” დაწერილია არტიკლით „el turco”, რაც სულტანს გულისხმობს (თ. ხ.).
[266] Rocca, fol. 147 r.

**ხომალდებსაც შუძლიათ, რადგან ეს არის აღმოსავლეთის ქარებისგან დაცული ნავსადგური და აქვს ღრმა საზღვრები“.**[267]

დიეგო გალანის ცნობები ასევე საყურადღებოა თურქების ყოფითი წესების გაგებისთვის: **,,პირველი, რასაც თითოეული ბატონი აკეთებს, ეს არის შიდა ბაღებში ბევრი კვიპაროსის ქონა“.**[268] გალანის ცნობები სხვა აღმწერთაგან ერთგვარი ტოლერანტობით გამოირჩევა, თუმცა, ავტორისთვის არასასურველი შტრიხები მხოლოდ თურქების მიერ ძველი ცივილიზაციის სამკვიდროს ეკლესიების დაკავების დროს იკვეთება. ოსმალების მცდელობა - შეეცვალათ ქალაქის ურაბნული იერსახე, ავტორის განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს, ისევე როგორც, ეკლესიების ცხოველთა სამყოფ ადგილებად გადაქცევა: **,,ცნობილი მოედნის ახლოს არის ქრისტიანების უძველესი ეკლესია, რომელსაც დიდი თურქის ცხოველების გალიად იყენებენ. აქ ჰყავთ ბევრი ლომი, ვეფხვი, პანტერა, სხვა ველური და შინაური ცხოველის სახეობები. მათ მომვლელს კარგად უხდიან, იგი ცხოველებს ადგილობრივებსა და უცხოელებს ანახებს“.**[269] გალანი ასევე აღნიშნავს მუსლიმთა მიერ აბანოებით ხშირად სარგებლობის ტრადიციას, შადრევნების სიმრავლეს, შიდა ეზოების დეკორაციებს, რაც ალ-ანდალუსის კულტურის შემდეგ გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, როგორც მუსლიმთა ყოველდღიური ყოფის ზოგადი მახასიათებელი.

ანტონიო ფახარდოს ცნობაში მითითებულია, რომ: **,,ქალაქი სავსეა მრავალი საჯარო თუ კერძო და ძალიან ლამაზი აბანოთი. გამოყენებულია მარმარილოს მასიური, კოხტა სვეტები. უხვია წყლით“.**[270] მუსლიმების მიერ აბანოებზე მათი გადამეტებული ყურადღება თურქების ფუფუნებით არის ახსნილი. ავტორებს სურთ გამოკვეთონ, რომ აბანოების არსებობა არა ჰიგიენური საკითხიდან გამომდინარე, არამედ გართობის, მოლხენის სურვილით იყო განპირობებული.

[267] Galan, Ib., გვ. 66.
[268] Ib., გვ. 417.
[269] Galan, 1620, გვ.  72.
[270] Bunes Ibarra, Ib., გვ. 272.

ასევე ფუფუნების პრეტენზიად არის წარმოჩენილი სულტნის სასახლის მოკაზმულობა, რომლის უდიდესი ნაწილი სელიმ I-ის მმართველობის ჟამს ეგვიპტის დალაშქრვის დროს ჩამოუტანიათ. სასახლეს **,,აქვს დიდი, მარმარილოს სვეტებიანი შიდა ეზო - დივანი, რომელიც სავსეა კვიპაროსებით“.**[271] სასახლის მდიდრული მორთულობის და გამორჩეული დადებითი შტრიხების მიუხედავად, ისტორიულ ცნობებში არის მცდელობა, ერთგვარად დააკნინონ უშუალოდ თურქების მიერ შექმნილი დეტალები და გამოკვეთონ ადგილობრივი, ბერძნული ცივილიზაციის უპირატესობა, მაგალითად, აია სოფიას ტაძრის აღწერის დროს ვკითხულობთ: **,,ეს ტაძარი სამეფო სახლის სიახლოვეს მდებარეობს, რომელიც, თავის მხრივ, ერთი ჩვეულებრივი, საშუალო სიდიდის სასახლეა. თვით ტაძარი იმდენად დახვეწილი და დიდებულია, რომ, ვერ გავბედავ, ჩემი კალმით და პროზით მას შევეჭიდო. იმდენად დიდებულია, იმდენად ზემაღალი, რომ ხოტბას მხოლოდ მშვენიერი ნაწარმოებები შეასხამენ“.**[272]

წმინდა სოფიას ტაძარი სახელდება, როგორც ბიზანტიური კულტურის ერთადერთი შემორჩენილი ნაშთი, როგორც ძველი იმპერიის დიდებაზე ყურადღების გამახვილების უკანასკნელი საშუალება, რომლითაც ესპანელი მემატიანეები ოსმალების ,,ბარბაროსობას“ უპირისპირდებოდნენ. პარონდას ცნობების მიხედვით: **,,თურქებამდე ეკლესია გაცილებით დიდი იყო, ჰქონდა რამდენიმე კარი. შემდეგ კი, როდესაც იგი [თურქებმა] დაიკავეს, მისი ადგილები დახლებად და საკუთარ სამლოცველოებად გამოიყენეს“.**[273] მისივე ცნობებით: **,,ეკლესიის სახურავი უკვე ძველი იყო, ებრაელებმა მისი გამოცვლა მოინდომეს, დიდი თურქის (სულტნის -თ. ხ.) პატივისცემისა და მათი ქველმოქმედების ნიშნად... დიდმა თურქმა ბრძანა, სამუშაო მათ [ებრაელებს] შეესრულებინათ, თუმცა, შემდეგ მოახსენეს, რომ ებრაელებმა ოქრო თვითონ დაიტოვეს. დიდმა**

[271] Castillo, 1889, გვ. 284.
[272] Galan, Ib., გვ. 67.
[273] Bunes Ibarra, 1987, გვ. 273.

**თურქმა მათ ოქრო და ვერცხლი დააბრუნებინა“.** [274] უნდა აღინიშნოს, რომ ესპანელი მოგზაურები, ტყვეები, კონსტანტინოპოლთან დაკავშირებულ ცნობებში ბიზანტიის იმპერიულ იერს გადმოსცემდნენ. ხაზს უსვამდნენ თურქებისგან მიუხედავი და უყურადღებოდ დარჩენილი ქალაქის მდგომარეობას. კონსტანტინოპოლს აღწერდნენ, როგორც საგანძურს, რომელიც ხელთ ,,ბარბაროს თურქებს“ ჩაუვარდათ. მემატიანეების ინფორმაციით, ოსმალებს სულაც არ სურდათ, ძველი ბერძნების დიდებისთვის მიებაძათ, რადგან ჰქონდათ საკუთარი ,,ველური ტრადიციები“, ჩვევები და არ იკვეთებოდა მათზე მაღლა მდგომ კულტურასთან შერწყმის ინტერესი. კონსტანტინოპოლი იყო მითიური ქალაქი, რომლის ოსმალთაგან გამოხსნაც სასწაულებრივ სურვილს და საეჭვო რეალობას წარმოადგენდა. მათი ცნობები რადიკალურად უპირისპირდებოდა ოსმალების ,,გვერდი-გვერდ თანაარსებობის“ იდეურ ტოლერანტობას.

## 2.4. ,,თურქული საკითხი“ XVI საუკუნის ესპანურ ლიტერატურაში

ტყვეების შესახებ ინფორმაციის მიღებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა XVI საუკუნის ევროპის ლიტერატურასა და თეატრალურ სცენაზე. მოცემულ საკითხს განიხილავდნენ სერვანტესი ,,სამაგალითო ნოველებში“ და ლოპე დე ვეგა თეატრალურ პიესებში.[275] თურქების გამოჩენას ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში უკავშირდება ფრანსისკო გერეროს სიმღერებიც. ქრისტიანული ხომალდებიდან ხელთგდებული სიმდიდრე ,,ისეთივე საინტერესო საგანს წარმოადგენდა ინგლისის თეატრში, როგორც თურქული საკითხი ესპანეთის ლიტერატურაში“.[276] პორტუგალიიდან ინგლისში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იკითხება: ,,უსასრულოა მეკობრეების მიერ ყოველდღიურად ქრისტიანებისთვის წართმეული ძვირფასეულობა და განძი... ეს მავრების და თურქების გამდიდრებისა

[274] Bunes Ibarra, 1987, გვ. 273.
[275] Mata Induráin, 2008, გვ. 125-127.
[276] Burton, 2005, გვ. 103.

და ქრისტიანების გაღარიბებისთვისაა“.[277] რიკარდო გარსია კარსელი, ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი, ,,ოქროს საუკუნის“ ესპანეთში სიტყვების - ,,თურქის“ და ,,თურქულის“ მიმართ ინტერესს ,,თურქულ ფსიქოზს“ უწოდებს. მისივე შენიშვნით, ,,თურქულმა საკითხმა” XVI საუკუნის ევროპის თანამედროვეობაზე დიდი გავლენა იქონია.[278] გვსურს, საკითხის მნიშვნელობას ხაზი სწორედ მისი შედარების მოშველიებით გავუსვათ. ტერმინი - **თურქული ფსიქოზი** - შეგვიძლია ორი დეფინიციით წარმოვადგინოთ: ერთი, ,,ანტითურქული ფსიქოზი“, და მეორე - ახალი აღმოსავლური იმპერიის მიმართ ცხოველი ინტერესი. აღნიშნული საკითხისადმი ესპანური მონარქიის ამგვარი დამოკიდებულება მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, რომელთაგან ჩვენ ორ ძირითადს გამოვყოფთ: 1) მონარქიის შიდა საზღვრის მრავალფეროვანი კულტურული თანაცხოვრება, რომელიც 1609 წლამდე ჯერ კიდევ არსებობდა და სამეფო კარისთვის გამოიკვეთებოდა, როგორც ისტორიული ბარიერი; 2) არაბებისგან განსხვავებული ახალი მუსლიმური ტალღა, რომელიც, მეკობრეებთან ერთად, გამალებით უტევდა ესპანეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებს. ხმელთაშუა ზღვის რეგიონი კი ,,შედარებითი ტოლერანტობით“ გამოირჩეოდა.[279]

,,თურქული ფსიქოზი“ მოცემული შემწყნარებლობის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული. ბარბარულ-არაბული ანარეკლის შემდეგ, შორეული ოსმალეთი, ბიზანტიის კონსტანტინოპოლით, ესპანელი მონარქებისთვის უახლოეს საფრთხეს წარმოადგენდა. თურქების ევროპაში გამოჩენამ დავიწყებას მისცა არაბთა ბატონობის პრობლემა, ოსმალები უკვე ,,სხვა სამყაროს“ წარმომადგენლებად მიიჩნეოდნენ.[280] საკითხის კვლევაში სამ მიმართულებას გამოვყოფთ: ლიტერატურა, თეატრი და თურქოფობიის შემცველი საინფორმაციო

277 Gil Harris, 2004, გვ. 152.
278 Garcia Càrcel, 2004, გვ. 209.
279 Tolan, 2005, გვ. 14.
280 Abdel-Karim, 2002, გვ. 432.

პუბლიკაციები, ანუ XVI საუკუნის პრესა, ერთგვარი ,,ცნობის ფურცლები“. ევროპის მონარქები მუსლიმურ აღმოსავლეთს თავშეკავებით უმზერდნენ, რასაც ძირითადად უშედეგოდ, მატერიალური ზარალით და ადამიანური რესურსების დიდი დანაკლისით ჩავლილი ჯვაროსნული ლაშქრობები განსაზღვრავდნენ. ვითარება შეიცვალა 1492 წლიდან, როდესაც კათოლიკე მეფეებმა გრანადა არაბებისგან გამოიხსნეს. საუკუნეების ,,ტოლერანტობის“ შემდეგ, ესპანელი მონარქები მუსლიმთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ტოლედოს არქიეპისკოპოსის, კარდინალ სისნეროსის ინიციატივით, ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ბრძოლებს ანდალუსიის მუსლიმ მოსახლეობასთან.[281] სწორედ მისი მოწოდებით, 1508-1510 წლებში თურქების წინააღმდეგ ,,წმინდა კავშირიც“ კი შეიკრა. კარლოს V-ის მმართველობის ჟამს ტყვეებისგან ,,სხვა სამყაროს“ შესახებ მოპოვებული ცნობები ფელიპე II-ის მეფობის ხანაში უკვე ლიტერატურულ ასახვას ჰპოვებდა.

XVI საუკუნისთვის მახასიათებელი ,,თურქოფობიის“ განვრცობა სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს: 1568 წლამდე, 1568-1609 წლები და 1609 წლის შემდეგ. პირველ მონაკვეთში ოსმალებთან დაკავშირებული ჩანაწერები გვხვდება ანდრეს და პერეს ჩინჩონების ნაწარმოებში, რაც ქრისტიანების და მუსლიმების ინტერესების დაპირისპირებას ასახავს. დღემდე უცნობია 1557 წელს დაწერილი ,,თურქული მოგზაურობის“ ავტორი. მასში აღწერილია კონსტანტინოპოლში მყოფი ესპანელი ტყვეების ცხოვრება. დიეგო გალანი და ლუის მარმოლ კარვახალი ლიტერატურული ცნობების ავტორებსაც წარმოადგენდნენ.[282] ყველაზე მეტად ,,ტყვეობის საკითხი“ მიგელ დე სერვანტესის შემოქმედებაში წარმოჩნდა. მის

---

[281] Garcés, 2005, გვ. 19.

[282] ლუის დე მარმოლ კარვახალი ტყვედ ალჟირელმა მეკობრეებმა იგდეს. 1544 წელს მან დაწერა ,,აფრიკის აღწერა“. ტყვეობის წლების გადმოცემისას შემოგვთავაზა თურქული შტრიხებიც. ყველაზე უხვად საკუთარი ლიტერატურული მემკვიდრეობაში თუქრულ საკითხს ადგილი დაუთმო მიგელ დე სერვანტესმა. მან ალჟირში გატარებული ხუთწლიანი (1575-1580) ტყვეობის დეტალები გადმოგვცა ,,დონ კიხოტე“-ს შემადგენლობაში შემავალ ,,ალჟირის ტყვეში“, ,,სამაგალითო ნოველების“ მთელ რიგ თხზულებებში, მათ შორის: ,,გალათეა“, ,,თავისუფალი შეყვარებული“, ,,ესპანელი ინგლისელი“. ოსმალური საკითხი ერთ-ერთი მიზეზი იყო სერვანტესსა და ლოპე დე ვეგას შორის გამართული პაექრობისა. თუმცა, ,,დონ კიხოტე“-ს ავტორი, პირველი გახლდათ, რომელმაც ლიტერატურაში აღნიშნული თემა სატირის კუთხით წარმოაჩინა (თ. ხ.).

სახელს უკავშირდება ,,ცნობების ლიტერატურის" ჟანრის დამკვიდრება.[283] ფელიპესეული ეპოქის სამწერლო-სასცენო თურქული ჟანრი სერვანტესმა 1613 წელს გამოცემული ,,სამაგალითო ნოველებით" დააფუძნა. პოემაში ,,დიდი სულტანი" XVI საუკუნის მედიტერანიზმის არსი მან სულ რამდენიმე სტრიქონით გადმოსცა: **,,მშვიდობით, კონსტანტინოპოლო!.. მშვიდობით, წმინდა სოფიას დიდო ტაძარო!"**[284] ტყვეთა ტრაგედიის ლიტერატურული მიმდინარეობის ფუძემდებლის დაპირისპირება ფელიქს ლოპე დე ვეგასთან სწორედ აღნიშნულ თემას უკავშირდება. მედიტერანიმზის ორი ლიტერატურული გიგანტი ერთმანეთს ,,თურქული საკითხითაც" ეპაექრებოდა. სერვანტესი აღწერს, თუ, როგორ ატირდა ალჟირის სანაპიროზე მრავალი მეკობრის დანახვისას: ,,ვერ შევძელი, არ ავტირებულიყავი!" - წერს ავტორი.[285]

ფელიქს ლოპე დე ვეგას ,,ცნობილი ოსმალი", ,,ალჟირის ტყვეები" და ,,დრაგონთეა" ასევე XVI საუკუნის მეკობრეთა კოშმარს უკავშირდება და ,,თურქული ფსიქოზის" ახალ მაგალითს გამოკვეთს. აღსანიშნავია, რომ მეკობრეობა მედიტერანიზმის ლიტერატურას XVII საუკუნეშიც გაჰყვა მთავარ ჟანრად. განსაკუთრებულ ინტერესს კვლავაც ხაირ ად-დინ ბარბაროსას ფიგურა იმსახურებდა. იტალიელი ჯოვანი ზაგრედო გადმოგვცემს, რომ მას ეტრფოდა დონ დიეგო გაეტანოს მშვენიერი ქალიშვილი.[286] აღმოსავლური იმპერიისადმი ინტერესმა ლიტერატურიდან სცენაზე გადაინაცვლა. 1554 წელს ლოპე დე ვეგამ ბადახოსის თეატრში დადგა პიესა ,,ეკლესიის ფარსი". ეს იყო ტრაგედიული ჟანრის ნაწარმოების თეატრალური ვერსია და ასახავდა პოლიტიკური საკითხებისგან ეკლესიის განზე დგომას. პიესა ხაზს უსვამდა თურქთა წინააღმდეგ რელიგიური მესვეურების უძლურებას. რელიგიური სიმბოლიზმი, ესპანეთი და დიდება, კათოლიკობა და გამარჯვება ჰარმონიულად მუდამ თან ახლდა ,,ოქროს ხანის"

---

[283] Sola, 2017, გვ. 9-10.
[284] Cortés Arrese, 2004, გვ. 111.
[285] Garcés, 2005, გვ. 15.
[286] Sagredo, 1684, გვ. 212.

მთავარ თემას - მეკობრეობას.[287] ლა კორუნიას უნივერსიტეტის პროფესორი ნიევეს პენა სუეირო განმარტავს: ,,ჰუმანიზმის აყვავებას ეპისტოლარული სახით სიახლეების გადმოცემა ახასიათებდა, რათა ისინი უფრო სწრაფად და იაფად გავრცელებულიყო. საინფორმაციო ლიტერატურა თანდათან სამეწარმეო საქმიანობაც ხდებოდა“.[288]

კულტურულ სფეროში გამოკვეთილი ახალი ინტერესი აღმოსავლეთის ,,დიდი თურქის“ მიმართ მოსახლეობის ცნობისმოყვარეობას აღვივებდა, ხოლო მისი საინფორმაციო კუთხით წარმოჩენა სამეფო კარის ინტერესებს ემსახურებოდა. XVI საუკუნეში ევროპის საინფორმაციო ცენტრებს რომი და ვენეცია წარმოადგენდნენ. სწორედ რომში იყო პირველი მცდელობა, ინფორმაციული სიახლე ბეჭდვითი სახით გაევრცელებინათ. ასე გამოიცა იტალიური ,,ავისი“ (იტალიურიდან: ცნობები - თ. ხ.).[289] მათში თავდაპირველად ოსმალეთის იმპერიასთან მიმდინარე ომის შედეგები გადაიცემოდა. ესპანეთში ამ საქმიანობით პირველად სევილიელი როდრიგო დე კაბრერა დაკავდა. მან 1596 წლის 20 ივნისს სულტან მეჰმედ II-ის მიერ უნგრეთის დალაშქვრის ცნობა ბეჭდვითი სახით გამოსცა. კაბრერა გარკვეულწილად ახალ მეთოდსაც მიმართავდა, მაგალითად, რომელიმე საგმირო ნაწარმოების გადათარგმნას და მის გამოცემას, რათა მოსახლეობის საბრძოლო განწყობა აემაღლებინა. ამავე მიზანს ემსახურებოდა სიგიზმუნდ ბათორის ,,ტრანსილვანიის პრინცის“ დაბეჭდვა და გავრცელება.[290]

მოგვიანებით გამოცემულ ცნობებში ყურადღება ეთმობოდა თურქების დაუმარცხებლობის მითის გაბათილებას: **,,ოსმანების სახლი ძალას და რეპუტაციას კარგავს“. ,,მტერი დამარცხებულია“. ,,ქრისტიანებმა მოახერხეს და მტერს ზიანი მიაყენეს”.**[291] გრანადის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სიძველეთა ფონდში

---

[287] McCloskey, 2013, გვ. 199-200.
[288] Pena Sueiro, 2009, გვ. 111.
[289] ხუბაშვილი, 2004, გვ. 41.
[290] Espejo, 2013, გვ. 21-88.
[291] Cabrera, 1599, გვ. 71.

დაცული კაბრერას ერთ-ერთი ცნობა ანგლო-თურქულ მეკობრეობასაც შეეხება: **,,საბოლოოდ გაანადგურეს ჩვენი მტრის ხომალდი, რომელზეც ორას ცხრა თურქი და რამდენიმე ინგლისელი იყო... მათ [თურქებს], ენის ცოდნის გამო, ღვთისა და მეფის გამყიდველებად, თან ახლდა ექვსი მორისკო“.**[292]

1551 წელს ესპანელმა ჰუმანისტმა ხუან სედენიომ გამოსცა ცნობა ,,წარჩინებულ რაინდთა შესახებ“, რომელიც ,,დიდი თურქის“ წინააღმდეგ მიმართულ და მორალური პრინციპების ამსახველ კრებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. სხვა ავტორების მსგავსად, მისი ცნობებიც რეალურ იდეოლოგიურ პროპაგანდას წარმოადგენდა: **,,[თურქები] მიწასთან ასწორებენ, ანადგურებენ და აცამტვერებენ ყველა ადგილს, რომელზეც გაივლიან. მხცოვან მამაკაცებს საკუთარი შვილების თვალწინ კლავენ. ღირსეულ ქალებს ყოველგავრი უღირსობის წინაშე აყენებენ... შეურაცხყოფენ ტაძრებს, ხსნიან ჯვრებს. ძარცვავენ დასახლებებს. და, საბოლოოდ, ქრისტიანებისგან უმოწყალო სასაკლაოს აკეთებენ“.**[293]

,,დიდი თურქის” წინააღმდეგ ომი საუკუნეები გაგრძელდა. თეატრი თუ ლიტერატურა ესპანეთის მონარქიაში კათოლიკური ეკლესიის მოუქნელობისადმი მიმართულ პროტესტს ასახავდა. ეს არ გახლდათ მხოლოდ სატირა ან ტრაგედია, ან მხოლოდ პრესის განვითარების ისტორია, თითოეული დეტალი სახეცვლილ თუ ორიგინალ ინფორმაციას ინახავდა და მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტებად გვევლინებოდა; მოიცვადა კრიტიკას ეკლესიის მიმართ, რომელიც ჯვაროსნული ომების შემდეგ, მხოლოდ ესპანელი მონარქების ზურგს იყო ამოფარებული და მისი ადგილი ჰუმანიზმის ,,ოქროს ხანაში“ სწორედ წიგნმა, სცენამ და ,,პრესამ“ დაიკავა. XVI საუკუნის მედიტერანიზმის სივრცეში ,,თურქული სინდრომი“ ყველა მიმართულებით შეინიშნებოდა.

[292] Fernández Álvarez, 2013, გვ. 161-180.
[293] Bernaldo de Quirós, 2010, გვ. 225.

## თავი 3

## XVI საუკუნის მედიტერანიზმის უნივერსალურობა

### 3.1. გეოგრაფიული აღმოჩენები და გეოპოლიტიკური ინტერესები

XVI საუკუნეში, უდიდესი ტერიტორიების დაპყრობით, გეოპოლიტიკური ინტერესების წყალობით, ზღვაოსნობამ ესპანეთის მონარქიისა და ოსმალეთის იმპერიისთვის განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა. გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა მრავალ ფაქტორზე მოახდინა ზეგავლენა, შეიცვალა ,,ქრისტიანობის და ისლამის ურთიერთობის დინამიკა“.[294] ,,ახალი სამყარო“ ახლი ცოდნის მოლოდინის, მისიონერობის ეპოქასაც ამკვიდრებდა.[295] წინა პერიოდებში ხმელთაშუა ზღვის ხალხები ნაოსნობის დროს მხოლოდ სანაპიროების სიახლოვეს გადაადგილდებოდნენ და ჯერ ადგილი არ ჰქონია მასშტაბურ საზღვაო ბრძოლებს. ოსმალეთის იმპერიის აღზევებამ აფრიკის ჩრდილოელ მობინადრეებს საშუალება მისცა, მეკობრული საქმიანობა სულტნის სამსახურში ოფიციალურად ჩაეყენებინათ და საზღვაო სითამამეც გამოეჩინათ. მით უფრო, ოსმალეთის იმპერიის სამხედრო თავისებურება ,,ომების აუცილებლობაში“ მდგომარეობდა.[296] ცალკეული შეტაკებები ფართო საზღვაო ბრძოლებმა შეცვალა.[297] XV საუკუნის დასაწყისამდე, მეკობრეთა თუ მეზღვაურთა მიერ ხმელთაშუა ზღვის გადაკვეთა, ხდებოდა ისე, რომ ხომალდები მოკლე დისტანციით დაშორებოდნენ სანაპიროებს. ფერნან ბროდელის აზრით, რეგიონის აუზისთვის სწორედ სანაპიროს სიახლოვეს ცურვა იყო დამახასიათებელი: ნაპირის უწყვეტი ხილვადობა მეზღვაურისთვის გარკვეულწილად კომპასს წარმოადგენდა; ამასთან, ატმოსფერული ცვალებადობის დროს, მეკობრეების თავდასხმისგან დასაცავად, ნაპირთან სიახლოვე გადარჩენის

---

[294] Kohler, 2006, გვ. 194.
[295] Kohler, Ib., გვ. 183.
[296] ფუთურიძე, 1957, ოსმალეთის დამპყრობითი ომები... გვ. 250.
[297] Stevens, 1920, გვ. 83.

მეტ საშუალებას იძლეოდა.[298] 1929 წლიდან 1947 წლამდე, ვიდრე ფ. ბროდელმა ფელიპე II-ის ეპოქის შესახებ ნაშრომი წიგნად არ გამოსცა, ავტორმა საკუთარ კვლევაში მრავალი სტრუქტურული ცვლილება განახორციელა, მაგრამ უცვლელი დატოვა შემდეგი მოსაზრება - მედიტერანიზმის ხანაში ვენეციის რესპუბლიკა არ განსაზღვრავდა საზღვაო გზების მიმართულებებს და არც გემთმშენებლობაში გამოიკვეთებოდა წამყვან საზღვაო-რესპუბლიკად. როგორც იგი განმარტავდა: ,,XVI საუკუნეში საკმაოდ ჩვეულებრივი იყო, რომ ხომალდი, შესყიდვის შემდეგ შესამოწმებლად ვენეციაში შეეყვანათ და მისი რეფორმირებისთვის მარჯვე ხელოსნები დაესაქმებინათ. ამ ყველაფრის მიუხედავად, ის მაინც იგივე ხომალდი რჩებოდა: დალმაციის ან ჰოლანდიის არსენალიდან გამოსული, პირველ სახესთან შეუცვლელი იერით“.[299] გემთმშენებლობაში დიდი ტექნიკური მიღწევებით არც ოსმალები გამოირჩეოდნენ, თურქებს მცირე აზიის ტერიტორიაზე მოწინავე საზღვაო ტექნიკური სიახლე არ დაუმკვიდრებიათ.[300] XVI საუკუნეს ძირითადად თან ახლდა ინტელექტუალური, საგანმანათლებლო მიმდინარეობა - ჰუმანიზმი. თავის მხრივ, არსებობას განაგრძობდა რენესანსული მსოფლმხედველობა. საბოლოოდ კი, აღნიშნული რეალობების შერწყმის შედეგად, ევროპა გეოცენტრული კონცეფციებისგან გათავისუფლდა.

XV საუკუნის დასასრულიდან და XVI საუკუნის შუა პერიოდამდე ადგილი ჰქონდა იტალიურ ომებს ოსმალეთთან, პოლიტიკურ კონფლიქტებს საფრანგეთს, ესპანეთსა და რომის საღვთო იმპერიას შორის. საკუთარ ინტერესებს წარმოადგენდნენ ინგლისი, შოტლანდია, ვენეციის რესპუბლიკა, იტალიის სხვა ქალაქ-სახელმწიფოებიც. კონფლიქტების არსებობა მუდამ იწვევდა კაცობრიობის დაწინაურებას გარკვეული მიმართულებით. გეოგრაფიული აღმოჩენების პარალელურად, ესპანეთის მონარქია აღნიშნულ ევროპულ ანტაგონიზმს

[298] Braudel, 1987, გვ. 13.
[299] Braudel, Ib., გვ. 787.
[300] ფუთურიძე, 1957, ოსმალეთის დამპყრობითი ომები... გვ. 249.

მრავალმხრივი მიმართულებით უმკლავდებოდა.[301] პირველ რიგში, შიდა კონფლიქტები არაბულ სამეფოებთან, მავრების მიერ იბერიის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროებზე ნავიგაცია მეკობრეობად, მძარცველობად გადაიქცა ერთი კონკრეტული მოტივით: დაესუსტებინათ კათოლიკე მეფეების მზარდი პოლიტიკური გავლენა. გრანდა წარმოადგენდა პირველ სუბიექტს, რომელიც დასუსტებული ევროპის სახელმწიფოების ფონზე, ერთადერთი განიცდიდა ,,ეკონომიკურ აყვავებას", როგორც ამას ფერნანდეს არმესტო შენიშნავს.[302] ძლიერი საზოგადოებისთვის კონფლიქტი პროგრესის ერთ-ერთი პირობა იყო, ხოლო პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუსტი კი დაქვეითებას განიცდიდა. მედიტერანიზმის ხანაში ზღვაოსნობის განვითარებისთვის საკმარისი მიზეზი დაგროვდა. ოკეანეთაშორისი ზღვაოსნობა ქრისტიანული და მუსლიმური იმპერიების საზღვაო სტრატეგიების კომბინაციას ახდენდა. ინტერესის სფერო აზიისკენ მიმავალი უახლოესი სავაჭრო გზების ძიებაშიც გამოიხატებოდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ევროპის დაკავშირება აღმოსავლეთის ქვეყნებთან, საქარავნო გზების ჰეგემონია, იტალიელების, ვენეციელებისა და გენუელების დომინანტის შეცვლა.[303]

სამეწარმეო მიზნებმა თუ თავგადასავლებისაკენ სწრაფვამ გამოიწვია ზღვაოსნობის ტექნიკური მხარის გაუმჯობესებაც. არაბებისგან შესწავლილიქნა საზღვაო მანევრები, აფრების სწორად გამოყენება. მათგანვე მიიღეს ცნობები ძველი ბერძენი გეოგრაფების აღმოჩენების, აზიის და აფრიკის საზღვრების კონტურების შესახებ. ყოველივე ბერძენი და არაბი მკვლევარების მიღწევების კომბინაციას ასახავდა. ამერიკული ოქროს ცირკულაცია და სავაჭრო გზების ძიება ევროპელებს საშუალებას აძლევდა, ახალი ტერიტორიების კარტოგრაფირება მოეხდინათ და

301 Kohler, 2006, გვ. 23.
302 Fernández Armesto, 2009, გვ. 30.
303 ხუბაშვილი, 2004, გვ. 15.

მათთვის იქამდე უცნობ ერებს გასცნობოდნენ.[304] მონღოლეთის იმპერიის დაცემამ კიდევ უფრო საშიში გახადა აღმოსავლეთის საქარავნო თუ საზღვაო გზების გამოყენება.[305] შესაბამისად, თავდაპირველად მოგზაურების წარმატებებს სწრაფი აღიარება არ ჰქონია. სავაჭრო მიმოსვლა გაართულა შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებამაც. ოსმალეთის იმპერიის ჩრდილის აზვირთებამ ევროპის მონარქებს ყურადღება თავდაცვაზე გადაატანინა. ხმელთაშუა ზღვის ნაოსნობა სავაჭრო ეკონომიკურიდან საზღვაო-საბრძოლო დანიშნულების გახდა. ევროპას შუა საუკუნეების ცრურწმენების პერიოდი ჯერ კიდევ არ ჰქონდა გავლილი. ბევრს სჯეროდა, რომ არსებობდა ლეგენდარული მონარქი, მღვდელი იოანე, რომელიც აღმოსავლეთის დაუსახლებელ ტერიტორიებს განაგებდა;[306] ასევე - მითიური ცხოველიც, რომელიც მოგზაურთა ბედს აფერხებდა ან პირიქით განამტკიცებდა. ამ წარმოდგენებმა გარკვეულწილად ფრთა შეასხა პორტუგალიელების მცდელობას, დაეპყროთ უცხო ტერიტორიები. 1415 წელს სეუტას დაკავების შემდეგ, ჰენრი მოგზაურის შთაგონებით, პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა კანარის და აზორის კუნძულებს მიაღწიეს.[307] დაიკავეს მადეირა, შემდეგ კი ატლანტის ოკეანის სიღრმისკენ გაიჭრნენ. აფრიკას გაუყვნენ სამხრეთით და აღმოაჩინეს პტოლემეს შეცდომა, თითქოს აფრიკის ტროპიკული რეგიონები მაღალი ატმოსფერული ტემპერატურის გამო იყო დაუსახლებელი. 1424 და 1433 წლებში სამხრეთ აფრიკაში ლეგენდარული ,,სიცხის კონცხის“ დასალაშქრად 15 პორტუგალიური საზღვაო

---

[304]Hobson, 2004, გვ. 141. თუმცა, ისტორიული კურსი დაიწყო გაცილებით ადრე, როდესაც 1271-1295 წლებში მარკო პოლომ ,,ინფორმაციულად დაიპყრო“ აღმოსავლეთი. შემდეგი იყო ძენ ხე - ჩინელი სამხედრო მოგზაური; თავისი საზღვაო ექპედიციებით იგი 1405-1433 წლებში ცდილობდა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის, ინდონეზიის, ცეილონის, ინდოეთის, სპარსეთის ყურის, არაბეთის ნახევარკუნძულის, აფრიკის (მოზამბიკამდე) საზღვრების გარკვევას (Levathes, 1994, გვ. 87-102). ნიკოლო დე კონტი იყო შემდეგი ცნობილი მოგზაური, ვენეციელი ვაჭარი, რომელმაც 1414 წლიდან 25 წლის განმავლობაში იმოგზაურა როგორც ზღვაზე, ასევე ხმელეთზე. იგი 1414 წლიდან გაემგზავრა დამასკოდან, გადაკვეთა სირია, მესოპოტამია, მიაღწია ინდოეთამდე, სადაც იმბირის მცენარეს მიაგნო. კონტი ჩავიდა სუმატრაში, აქ აღწერა წიწაკის ხე, ბირმაში - მდინარე განგი, ბორნეო, ცეილონზე - დარიჩინი. შემდეგ დაბრუნდა კაიროში, იქიდან კი - ვენეციაში.

[305] Kohler, 2006, გვ. 192.

[306] Grousset, 1970, გვ. 191.

[307] Love, 2006, გვ. 10.

ექსპედიცია გაიგზავნა. შუა საუკუნეების წარმოდგენების საპირისიროდ, საზღვაო საფრთხის რეალურ მიზეზს ქარების თავშეყრის ადგილი წარმოადგენდა, რის გამოც, ბევრი ხომალდი იმსხვრეოდა. საბოლოოდ, 1434 წელს ჟილ ენასმა შეძლო ამ სასწაული კონცხის გადალახვა.[308] სწორედ მისი მეთაურობით მოეწყო პირველი ტექნიკურად გაუმჯობესებული ექსპედიცია. ნავიგაციის ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი წარმატებული საზღვაო-ტექნიკური გასვლა. ენასის წარმატებების შემდეგ, ევროპელებმა გეოგრაფიული და ფსიქოლოგიური ბარიერი დაძლიეს. ინტერესი აფრიკის კონტინენტისადმი გამძაფრდა. გაქრა შიშიც. მითი ჩაანაცვლა აფრიკულ ოქროზე წამოსულმა ცნობებმა. ამასთან, კონტინენტის შემოვლით ინდოეთის ოკეანისკენ გამავალი გზის პრაქტიკულობასა და უსაფრთხოებაში მეტად დარწმუნდნენ. 1436 წელს პორტუგალიელი მეზღვაური ალფონსო ბალადია ატლანტის ოკეანიდან დასავლეთ საჰარის სანაპიროს მიადგა, რომელსაც მან ,,ოქროს მდინარე“ უწოდა. იგი ევროპაში ,,კიდევ ერთი აფრიკული სიმდიდრით“ - ტყვეებით დაბრუნდა. სწორედ მან პირველად ისტორიაში გზა გაუხსნა ფერადკანიანი ტყვეებით ვაჭრობას. ტყვეთა საკითხის წამოჭრის და ოქროს არსებობის იმედით, უკვე აღარ წყდებოდა აფრიკის ექსპედიციები - ,,აფრიკული აღმოჩენები“. 1445 წელს ლანსელოტე პესანამ აღმოაჩინა სენეგალის შესართავი ატლანტის ოკეანესთან, 1446 წელს კი ალვარო ფერნანდესმა - მწვანე კონცხი.[309]

წინამდებარედ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში აღინიშნა, რომ ევროპელები ინდოეთისკენ მიმავალი მეორე გზის ძიებასაც ცდილობდნენ. ცხადია, ეს მაშინ, როდესაც ოსმალები უკვე უახლოვდებოდნენ კონსტანტინოპოლის დაპყრობას და ევროპელებს მცირე აზიისკენ მიმავალ სავაჭრო გზებს უკეტავდნენ. სავაჭრო სულისკვეთება კი გამძაფრებული იყო ახალი ბაზრების აღმოჩენით. აფრიკიდან მათ წელიწადში ტყვეებით სავსე 25 ხომალდი შეჰყავდათ სხვადასხვა ნავსადგურებში. ,,ტყვეთა ციებ-ცხელება“ მედიტერანიზმის სივრცეს იკავებდა.

[308] Portugal - Dicionário Histórico, Vol. III. 2011, გვ. 105.
[309] O'Brien 2002, გვ. 118.

მავრითანიაში პრინც ჰენრის მითითებით, ტყვეთა სარეზერვო შენობებიც ააგეს. საზღვაო ექსპედიციების მოულოდნელობები ევროპელ მეზღვაურებს საკუთარი ძალების რწმენას მატებდა.[310]

1471 წლიდან ვითარება კვლავ მკვეთრად შეიცვალა. მითითებულ წელს ეკვატორი გადაკვეთა ალვარო ესტევესმა, ხოლო 1483 წელს დიეგო კაომ აღმოაჩინა მდინარე კონგო, ორი წლის შემდეგ, 1485 წელს მანვე შეაღწია აფრიკის კონტინენტურ სივრცეში. მომდევნო სიახლეებს ადგილი ჰქონდა შავი კონცხის და ანგოლის მიწის აღმოჩენით. იგივე ესტევესი მიხვდა, რომ კონტინენტის სანაპიროს მიმართულება აღმოსავლეთისკენ გადიოდა. ესტევესი გარდაიცვალა ევროპაში დაბრუნებისას[311]. მისი დაწყებული კონტური განაგრძო ცნობილმა პორტუგალიელმა მოგზაურმა, წარმოშობით ებრაელმა ბარტოლომე დიასმა (ბარტოლომეუ დიაში).[312] დიასმა 1488 წელს სამხრეთ აფრიკის ტერიტორიას გარს შემოუარა და ინდოეთის ოკეანემდე გავიდა. ამ ტრაექტორიის გაგრძელებამ დაასრულა 1410 წელს ევროპასა და აზიას შორის ახალი საზღვაო გზის აღმოსაჩენად დაწყებული ექსპედიციები. ბარტოლომე დიასის ექსპედიცია იყო გზის გაკვლევა ვასკო და გამასთვის. მისი ექსპედიცია 1497 წლის 8 ივლისს დაიწყო (170 კაცი და 4 ხომალდი) და დასრულდა 1498 წელს. ექსპედიციის დასასრულს უკან მხოლოდ 55 კაცი დაბრუნდა. 1502 წელს, 12 თებერვალს, ვასკო და გამა ამჯერად ოცი საბრძოლო ხომალდით სეიშელის კუნძულებს მიუახლოვდა. პორტუგალიელებს იქ უკვე დახვდათ არაბების სავაჭრო დასახლებები, რომლებიც მათ ხომალდებიდან დაბომბეს. შემდეგ ინდოეთის ოკეანეს ჩრდილოეთიდან აყვნენ და გადააწყდნენ მექადან მომავალ სავაჭრო ნივთებით დატვირთულ არაბულ ხომალდს.[313] 1503 წლის 1 მარტიდან გამას ექსპედიციას ,,გეოგრაფიულ

---

[310]ენრიკე ზღვაოსანმა საზღვაო სკოლაც კი გახსნა, სადაც ევროპის საუკეთესო კარტოგრაფები და გეოგრაფები მიიწვია (Randles, 1993, გვ. 20-28).

[311] Olusaga y Erichsen, 2010, გვ. 2.

[312] Vivien de Saint-Martin, 1878, გვ. 529.

[313] პორტუგალიელბმა ტვირთი მიითვისეს, ხომალდი კი დაწვეს (Dreyer-Eimbcke, 1998, გვ. 41–49).

აღმოჩენებს“ უკვე ვეღარ ვუწოდებთ. მათ ამჯერად არაბული ადგილების დასაკავებლად დაიწყეს ბრძოლა. პორტუგალიელები მსოფლიო წყლებზე გაბატონდნენ. ესპანელ ჰაბსბურგებამდე, ოსმალეთის იმპერიას სწორედ მათთან უხდებოდა დაპირისპირება. პორტუგალიელების აღმოჩენებს მივყავართ არაბულ კვალთან ინდოეთის ოკეანეში. შავ და ეგეოსის ზღვას ოსმალები უკვე დაპატრონებულიყვნენ. თუ გავითვალისწინებთ, მეჰმედ II-ის მიერ ბოსფორის სრუტეზე დაწესებულ ბაჟს, ხმელთაშუა ზღვის სიღრმეში გასვლის და პოზიციების გამყარების შედეგად, მსგავსი ასახვა ექნებოდა ოსმალების გირბალტარის სრუტეზე გასვლასაც. მეჰმედ II-ის მიერვე გამოცემული ფირმანით, ევროპელ ვაჭრებს ბაჟი - საქონლის ღირებულების 4% უნდა გადაეხადათ.[314] ამგვარი ეკონომიკური სტრატეგიით, ოსმალეთის იმპერია XV საუკუნეში, პირველ რიგში, რეგიონის შიდა მეტოქეს - ვენეციის რესპუბლიკას უპირისპირდებოდა. ვენეცია, ჰაბსბურგების აღზევების შემდეგაც კი, ერთ-ერთი უძლიერესი სავაჭრო სახელმწიფო იყო, რომელიც ყველაზე მეტ სამხედრო და სავაჭრო ხომალდს ფლობდა, ბატონობდა აბრეშუმის საქარავნო გზებზე. კონსტანტინოპოლის, ვენეციის მთავარი სავაჭრო მეტოქის, დაცემა იტალიური ქალაქისთვის ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობაში მომგებიანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო; თუმცა, ოსმალებმა სწორედ ვენეციას შეუკრეს ეკონომიკური რკალი და მოახდინეს მისი აქტიურობის მკაცრი შეზღუდვა.[315] ახალი სავაჭრო მარშრუტების აღმოჩენამ, სუეცის არხი და სპარსეთის ყურე ინტერესების დაპირისპირების მნიშვნელოვან არეალად გადააქცია. ჰორმუზის სიმაგრე მუსლიმების და ქრისტიანების პირველ საყურადღებო საზღვაო ობიექტს წარმოადგენდა. პორტუგალიელების მიერ მისი დაკავება მოხდა 1507 წელს, ალფონსო დ'ალბუკერკეს ხელმძღვანელობით. აჯანყებული მოსახლეობის გამო, პორტუგალიელებმა ჰორმუზი მალევე დატოვეს.[316] მოგვიანებით, 1515 წელს მათ ჰორმუზთან ერთად ბაჰრეინიც დაიკავეს. ცხადია,

[314] სვანიძე, 2007, გვ. 89.
[315] ხუბაშვილი, 2004, გვ. 15.
[316] ტიკაძე, 2012, გვ. 92.

კათოლიკური იმპერია უკვე არაბეთის ნახევარკუნძულსა და სპარსეთის ყურეზეც გადიოდა, რამაც საფრანგეთის, ჰოლანდიის და ინგლისის ინტერესების შევიწროვება განაპირობა და აღნიშნული სახელმწიფოები საგრძნობლად შეაშფოთა. მოცემულ საზღვაო, სავაჭრო-პოლიტიკურ კონფლიქტში ირანის ჩართვამ და ოსტინდოეთის კომპანიის გამოჩენამ ვითარება მეტად გაამწვავა. ევროპელების გამალებულ დაპირისპირებაში აღმოსავლეთიდან უკვე ოსმალეთის იმპერიაც ჩაერთო. 1529 წლიდან, ოსმალეთი აქტიურად იწყებს სუეცის მეშვეობით ინდოეთისკენ მიმავალი გზის შემოკლებას. შესაბამისად, ,,საზღვაო პაექრობის" მონაწილეების მიზნებს დიდ ზიანს აყენებდა პორტუგალიელთა წინსვლა აზიაში. სელიმ I-ის მიერ დაწყებული აზიისა და აღმოსავლეთ აფრიკის ექსპანსია სულეიმან დიდებულმა განაგრძო. მან სუეცის არხის გაყვანის სამუშაოების განახლება სცადა, თუმცა, წარუმატებლად.[317] 1538 წლის 13 ივნისს გამგზავრებული ოსმალთა ექსპედიციის შედეგად დაარსდა იემენის ვილაიეთი. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა გზად კ. დიუს აღება და პორტუგალიელების წინააღმდეგობის დაძლევა ვერ შეძლეს, ექსპედიცია წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის პირველ მნიშვნელოვან გასვლას ოკეანეში.

XV საუკუნის დასასრულიდან პორტუგალიელების ჩანაცვლებას მსოფლიო ოკეანეში უკვე ესპანელები იწყებენ. თუმცა, რომ არა ამერიკის ექსპედიციის ორგანიზებაზე ქრისტეფორე კოლუმბისთვის უარის თქმა, რაც მას პორტუგალიის მთავრობამ გამოუცხადა, ისტორიის იდუმალებად დარჩებოდა, თუ როგორ წარიმართებოდა ესპანეთის მონარქიის ჩამოყალიბება. 1486 წელს კოლუმბმა თავისი ილუზიური გეგმები პორტუგალიის მეფე ჟუან II-ს გააცნო. მეფისგან მან მხარდაჭერა ვერ მიიღო.[318] ანტონიო მაჩენას და ჟუან პერესის მეოხებით, რომლებსაც კოლუმბი რაბიდის მონასტერში შეხვდა, იგი დედოფალ ისაბელის მრჩეველს ფერნანდო დე ტალავერს დაუკავშირდა.[319] მან კოლუმბს ესპანეთის

---

317 სვანიძე, Ib., გვ. 122.
318 Jos, 1979, გვ. 91-95.
319 რაბიდის მონასტერი მდებარეობს ანდალუსიის პროვინციაში, ქ. უელვაში (თ. ხ.).

დედოფალთან შეხვედრა დაუნიშნა. ,,იბერიის მონარქები“ ევროპაში ერთადერთ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ, რაც კიდევ ერთხელ გამოკვეთს კათოლიკური იმპერიის უნივერსალურ საფუძვლებს XVI საუკუნის გლობალური ეპოქისკენ გარდამავალ გზაზე.[320] გარკვეული განხილვების შემდეგ, სამეფო კარმა მთავარ ფინანსისტს, ლუის დე სანტაგულს კოლუმბის ექსპედიციის ხარჯები დაანგარიშებინა. საბოლოოდ, იტალიელ მეზღვაურს ექსპედიციისთვის 250 ათასი მარავედი გამოეყო, რომელიც ესპანეთის სამეფო ხაზინამ გენუელი და ფლორენციელი მეწარმეებისგან ივახშა. სანტაგელი, როგორც ,,წმინდა ძმობის” მეგანძური, ექსპედიციიდან 1 140 000 მარავედის მოგებას ვარაუდობდა.[321] დასკვნითი შეჯამება 1492 წლის 30 აპრილს განიხილეს. ექსპედიციისთვის გამოყოფილი სამი ხომალდიდან, ორი პალოსის ნავსადგურში იცდიდა, მესამე კი მოგზაური და კარტოგრაფის  ხუან დე ლა კოსტასგან მიიღეს. ხომალდების საკითხში კოლუმბს დახმარება აღმოუჩინეს მარტინ ალონსო პინსონმა და მისმა ძმამ ვისენტემ. მათვე აღჭურვეს ექსპედიციის ხომალდები ,,პინტა“ და ,,ნინია“, ხუან დე ლა კოსტას ხომალდს კი ,,წმინდა მარია“ უწოდეს, რომელსაც თავად კოლუმბი ხელმძღვანელობდა. ექსპედიციის მონაწილეებს  კასტილიელი, ბასკი და ანდალუსიელი მეზღვაურები წარმოადგენდნენ. 1492 წლის 3 აგვისტოს ხომალდებმა კურსი აიღეს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც პალოსის ნავსადგურში წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვა დასრულდა.[322] კოლუმბის ექსპედიციის დეტალური ასახვა სცდება ჩვენი ძიების მთავარ მიზანს. სასურველია გამოიკვეთოს, რომ აღნიშნულმა ექსპედიციებმა ხმელთაშუა ზღვის ,,საოკეანო ზღვად“ გადაქცევა გამოიწვია. ფერნან ბროდელის შენიშვნით, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროები სანაოსნოდ თუ ბრძოლისთვის დიდი სირთულით გამოირჩეოდა, რასაც საუკუნეებით ადრე წინ უსწრებდა კარლოს V-ის გენუელი მოკავშირის, ანდრეა დორიას შეფასება: **,,ხმელთაშუა ზღვაზე სამი**

---

[320] Kholer, 2006, გვ. 23.

[321] Pérez, 2006, გვ. 47-48.

[322] Diego Fernández, 1987, გვ. 103-127.

**უსაფრთხო ნავსადგური არის: კარტახენა, ივნისი და ივლისი“.**[323] მოცემული საწყლოსნო რეგიონი, ამგვარი ბობოქარი ვითარების ფონზე, ატლანტის ოკეანესთან შედარებით, მაინც მშვიდი და უსაფრთხო იყო მეზღვაურების, მეკობრეებისა თუ მეცნიერებისთვის. გეოგრაფიული დაბრკოლებები საფუძველს ქმნიდა სამეცნიერო სიახლეებისთვის. ინგლისელი ენციკლოპედისტი და ფილოსოფოსი ალექსანდრე ნეკამი თავის კრებულში - ,,ბუნების შესახებ“ პირველი მიუთითებდა ევროპაში კომპასის არსებობის შესახებ.[324] ხოლო სივრცული რუკის გამოყენება საქსონელი გეოგრაფის ადამ ბრემენელის (1050-1081-5?) სახელს უკავშირდება. პტოლემეს ,,გრაფია“ ლათინურ ენაზე ევროპაში XV საუკუნის პირველ ხანებში ჯაკომო დ’ანჯელოს მიერ ითარგმნა, რომლის გეოგრაფიული აღწერის მეთოდიც გამოყენებულიქნა შემდეგი კარტოგრაფების რუკებში, მაგალითად, ნიკოლა დე კუზას (1401- 1464) მიერ.[325] გეოგრაფიულ აღმოჩენებთან ერთად, იმპერიის მიწებს შემატებულმა კოლონიებმა ასევე გაზარდეს კარტოგრაფიული კოლექციების რაოდენობა. 1551 და 1562 წლებში გამოქვეყნდა ძმების სანჩო და დიეგო გუტიერესების მიერ შედგენილი სამხრეთ ამერიკის რუკები, რომლებიც ვენეციელი სებასტიან კაბოტოს მიერ შედგენილ რუკას მიაგავდა.[326] სამივე მათგანის შემთხვევაში, სივრცეების სიბრტყული ჩვენებაა წარმოდგენილი.[327]

XVI საუკუნეში ესპანეთის მონარქიის კარტოგრაფიულ საქმიანობებს, ისევე როგორც სავაჭრო მოქმედებებს, სევილია ედგა სათავეში, რაც 1503 წელს სავაჭრო სახლის, იგივე სავაჭრო პალატის (casa de contratación) დაარსებამაც განაპირობა. აღნიშნული სახის რუკები ალონსო დე სანტა კრუსის დეტალურმა კოსმოგრაფიამ

---

[323] Molina Molina, 2000, გვ. 114.

[324]ალექსანდრე ნეკამი (1157-1217) მიჩნეულია პირველ ენციკლოპედისტად ნაშრომით ,,De naturis rerum” (Glick, 2005, გვ. 366-367).

[325] Molina Molina, Ibidem. გვ. 114-115.

[326]პედრო აიალა 1498 წლის 25 ივნისის ცნობაში კაბოტოს მოიხსენიებს: ,,გენუელი, ისევე როგორც კოლუმბი“. TRECANNI, Cabòto, Giovanni https://www.treccani.it/enciclopedia/giovanni-caboto/

[327] დიეგო და სანჩო გუტიერესები კარლოს V-ის სამსახურში იდგნენ და ამერიკის საქმეების სავაჭრო სახლის (casa de contratación) მთავარი პილოტები იყვნენ (Pulido Rubio, 1950, გვ. 56).

შეცვალა, მის მიერ 24-ზე მეტი ე. წ. mapa mundis - ,,მსოფლიო რუკა“ იქნა შედგენილი. სანტა კრუსი, ისევე როგორც მარტინ კორტესი და პედრო ნუნიესი, რუკაზე გეოგრაფიული პარალელების დამატების მოთავე იყო. 1552 წელს იგი აღნიშნული სავაჭრო სახლის მთავარ პილოტად დაინიშნა. ამ პოზიციაზე მან დაიკავა ინგლისში დაბრუნებული და ედუარდ VI სამსახურში ჩამდგარი სებასტიან კაბოტოს ადგილი.[328] კარლოს V-ის მიერ ერთხელ უკვე შეწყალებული კაბოტო ერთდროულად ემსახურებოდა როგორც ესპანეთის, ისე ინგლისის სამეფოებს.[329] ესპანეთის იმპერიული ზრახვები საუკუნეების მეცნიერულ სიახლეებს ეფუძნებოდა. გასაკვირი არაა, რომ კაბოტოს მაგალითის მიხედვით, ხშირად ხდებოდა ცოდნის მანიპულირება. აღნიშნულ და სხვა მიზეზთა გამო, XVI საუკუნე მოიხსენიება, როგორც ,,მუდმივი საზღვაო ძალების“ შექმნის და ,,იმპერიული დუელის“ საუკუნე.[330]

## 3.2. საზღვაო პოლიტიკა XVI საუკუნის ხმელთაშუაზღვისპირეთზე

1494 წლის 7 ივნისს რომის პაპმა ალექსანდრე VI-მ (1492-1503), ფარული პოლიტიკური ინტერესით, სურვილი გამოთქვა, ესპანეთსა და პორტუგალიას შორის ხელმოწერილიყო ტორდესილასის შეთანხმება, რათა ორ მონარქიას კოლონიური მიწების ზღვარი გაემიჯნა. დასავლეთის გრძედის 46-ე მერიდიანის დასავლეთით აღმოჩენილი ტერიტორიები ესპანეთის ხელთ გადადიოდა, გარდა ბრაზილიისა. ხოლო ბრაზილია და აღმოსავლეთით მდებარე მიწები კი

---

[328] Cerezo Martínez, 1994, გვ. 217.

[329] ვენეციელი კარტოგრაფი სებასტიან კაბოტო (1484-1557) ინგლისის მეფის კარზე მსახურობდა და სწორედ 1512 წელს ჰენრი VIII-ის მიერ ფერნანდო არაგონელთან წარგზავნილ ინგლისელების ელჩობას ახლდა. იგი მოიხიბლა კათოლიკე მეფის შეთავაზებით და ესპანეთში დარჩა. თუმცა, 1517 წელს კვლავ ინგლისში გაიხმეს. 1530 წელს კაბოტო ისევ ესპანეთშია და მას ბრალად წაუყენეს ღალატი, რის შემდეგაც გააძევეს ორანში - 1509 წელს კარდინალ სისნეროსის და პედრო ნავაროს მიერ დაპყრობილ ქალაქში (ალჟირი). ორი წლის შემდეგ იგი მეფემ შეიწყალა და კვლავ მონარქიის სამსახურში დააბრუნა, თუმცა ვენეციელი კარტოგრაფი, 1547 წლიდან კვლავ ინგლისის მეფის კარზე იყო და სიცოცხლის ბოლომდე ინგლისს ემსახურებოდა (Sandman; Ash, 2004, 813-846).

[330] Vicens Vives, 1969, გვ. 99-141.

პორტუგალიას გადაეცემოდა.[331] მსოფლიო წყლებს ორი უახლოესი მოსაზღვრე საზღვაო ძალა დაეპატრონა. აღნიშნული ფაქტი კაცობრიობის პოლიტიკური გზაჯვარედინების კვეთის უმაღლეს წერტილს წარმოადგენდა, აგრეთვე - საერთაშორისო ურთიერთობების მსოფლიო უნივერსალიზმის დონეზე დამკვიდრების ფაქტს, ,,ოქროს საუკუნის“ დასაწყისს. საზღვაო გასვლებმა, სივრცეთა დაპყრობამ, დედამიწის მასშტაბურობის აღმოჩენამ ახალი ჰაერი შთაბერა ევროპის სამეცნიერო გონებას. დაიწყო საზღვაო თუ სახმელეთო შეიარაღების გაუმჯობესება. ლეონარდო და ვინჩი არქიტექტურის და ანატომიის საფუძვლებს აყალიბებდა, ბუონაროტი - ახალ ფერებს, კოპერნიკის კოსმოლოგიის თეორიების ჩამოყალიბება გეოცენტრულ წესრიგს აღადგენდა, ხოლო საზღვაო სივრცე - განსხვავებულ გეოპოლიტიკურ გემოვნებას.[332] XV-XVI საუკუნეები იყო ხომალდთმშენებლობის რენესანსი. ახალ, აფრებიან, ფართო გემბანიან ხომალდებს 200-600 ტონა ტვირთის გადაზიდვა შეეძლოთ. საკუთრივ ესპანური წარმოშობის იყო გალეონი, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისიდან ააგეს და სამხედრო დანიშნულების ხომალდს წარმოადგენდა.[333] მისი მოცულობა და ფორმა ესპანეთის

[331] Boorstin, 1983, გვ. 178.

[332]XV-XVI საუკუნეების ესპანური ნავიგაცია ხმელთაშუა ზღვაზე, რასაკირველია, იწვევდა ეპოქის შესაბამისი ტექნიკური სიახლეების დახვეწა-განვითარებას. სამეფო კარის მიერ 1528 წელს მთავარ მესაჭედ (რაც ექსპედიციების ხელმძღვანელობას ნიშნავდა) აღიარებული იქნა ალონსო ჩავესი (1409-1587). მთავარი პილოტი (Piloto mayor) კათოლიკე მეფეების მიერ კონტრატასიების (სავაჭრო) სახლისთვის მინიჭებულ მთავარი კარტოგრაფის, მთავარი მესაჭის თანამდებობას წარმოადგენდა (Selles, 2009, გვ. 20).

[333]კარაბელა და გალეონი პორტუგალიელების მიერ იყო დახვეწილი. გალეონი მიჩნეულია, ტიპიურ ესპანურ გამოგონებად, რომელიც ამერიკის კონტინენტისკენ საოკეანო გზების დალაშქრვისთვის საჭირო მონაცემებს შეესაბამებოდა. გალეონი ერთდროულად უნდა ყოფილიყო სავაჭრო, ტვირთმზიდი და სამხედრო ხომალდი. მისივე მოდელის იყო ფრაგატა. ამ ორ მიმართულებას შორის, 1567 წლიდან გალეონები გაიმიჯნებოდა: ჩვეულებრივი და სამხედრო, ანუ ,,მეფის გალეონები“; ხოლო 1607 წლიდან გალეონი იყო მხოლოდ სამხედრო-საზღვაო დანიშნულებისა. გალეონების პროტოსახეობები ალექსანდრე მაკედონელამდე გამოიყენებოდა. პირველად საზღვაო ბრძოლაში უნიჩბო ხომალდებით სარგებლობა ვენეციელების სახელს უკავშირდება, კერძოდ, 1081 წელს დირაქიონის ბრძოლაში ბიზანტიის მეფე ალექსი I კომნენოსსა და ჩრდილოეთ იტალიელ ნორმანებს შორის დაპირისპირება, კალაბრიის გრაფ რობერტო გისკარდის ხელმძღვანელობით (Norwich, 1995, გვ. 18). გენუელებმა ანდრეა დორიას მეთაურობით 1538 წლის 28 სექტემბერს პრევეზას ბრძოლის დროს ასევე გალეონების გამოყენების უპირატესობით დაამარცხეს ოსმალური გალერები (Romanoni, 2008, გვ. 11).

სამეფო კარის მოთხოვნებს შეესაბამებოდა. პირველადი გათვლებით, გალეონი ნავის სიმსუბუქის და პორტუგალიური კარაბელას სისწრაფის მსგავსი უნდა ყოფილიყო. თვით ნავი შუა საუკუნეების ზღვაოსნობისთვის გამიზნულ სამანძიან ხომალდს გულისხმობდა. კოლუმბის ,,წმინდა მარია“ და ფერნანდო მაგელანის ,,ვიქტორია“ სწორედ ნავებს განეკუთვნებოდნენ.[334]

ნავს, კარაკასს და ბუკეს ერთნაირი ფორმა გააჩნდათ.[335] ისინი წარმოადგენდნენ მრგვალ იალქნიან უნიჩბო, დიდი ზომის ნავებს, რომლებსაც 100-დან 500 ტონამდე ტვირთის გადატანა შეეძლოთ. აღნიშნული ტიპის ხომალდები, სავაჭრო ნადავლის გადაზიდვის დანიშნულებით, ძირითადად გენუელებისა და პორტუგალიელების მიერ გამოიყენებოდა.[336] მოგვიანებით, ტვირთმზიდი ხომალდების გაუმჯობესების აუცილებლობამ გამოიწვია ფილიბოტების აგება, რომელსაც ჰოლანდიური საზღვაო კომპანიები აწარმოებდნენ. ტრანსოკეანური გადაზიდვებისთვის მიზანმიმართული ფილიბოტები სამხედრო შეიარაღებისთვის არ იყო გათვლილი. ამგვარი ხომალდებით სარგებლობდა აღმოსავლეთ ინდოეთის სავაჭრო კომპანია. საკუთრივ აღმოსავლური ხომალდი, ტიპიური ხმელთაშუაზღვიური, ხაბეკე - მიჩნეულია ბიზანტიური დრომონის და გალერის გაუმჯობესებულ ვარიანტად. მას ალჟირელი და თუნისელი მეზღვაურები იყენებდნენ. XVI საუკუნეში ხაბეკეს ფორმა გაცილებით დაიხვეწა. ხომალდი წარმოადგენდა 32 მეტრი სიგრძის საკმაოდ ნატიფ უნიჩბო სანაოსნო საშუალებას, გემბანზე 25 ზარბაზნის განთავსება შეიძლებოდა. XVI-XVII საუკუნეებში ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე მოვლენებს მნიშვნელოვნად განაპირობებდნენ ალჟირელი და თუნისელი ზღვაოსნები თუ მეკობრეები. სწორედ ამიტომ, ოსმალების მცდელობა, სახელგანთქმულ

[334]კოლუმბის ექსპედიციაში მონაწილე დანარჩენი ორი ხომალდი ,,პინტა“ და ,,ნინია“ კარაბელას მოდელებს წარმოადგენდა. ორივე ლათინური მეთოდით იყო აღჭურვილი, თუმცა, შემდეგ პორტუგალიურ მანერაზე იქნა გადაკეთებული. კარაბელებს მაქსიმუმ სამი იალქანი ჰქონდათ და ენრიკე მეზღვაურის საყვარელ ხომალდებად მიიჩნეოდა. როგორც წესი, ისინი საგრეს ნავსადგურიდან გადიოდნენ და მუდამ წყვილი შემადგენლობით (Browlee, 1991, გვ. 6).

[335] RAE, Nao, Diccionario de la lengua española, 17 diciembre, 2017.

[336] Konstam, 2002, გვ. 77-79.

ჩრდილოელ აფრიკელ მეზღვაურებს დაკავშირებოდნენ და ისინი თავის მხარეს გადაებირებინათ, მათ საზღვაო-სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურებოდა. ბარბარულ-მეკობრული და გამუსლიმებული ფაშების სამხედრო კომბინაცია მედიეტრანიზმის სცენაზე მალტის ალყის და ლეპანტოს ბრძოლის მაგალითებით წარმოსდგებოდა.[337]

ლეპანტოს დაპირისპირების დროს ,,წმინდა ლიგის" შემადგენლობაში ესპანეთის მონარქიამ გალერები გამოიყენა. გალერას მოდელი ჯერ კიდევ ფინიკიელებისთვის, ბერძნებისა და კართაგენებლისთვის იყო ცნობილი;[338] ცხადია, იგი ტექნიკურად დახვეწეს და მოგვიანებით სამხედრო ტვირთმზიდ, საბრძოლო ხომალდად მოგვევლინა. დონ ხუან ავსტრიელის დაქვემდებარებაში არსებული ცნობილი სამეფო ხომალდი ,,არგო" სწორედ გალერას წარმოადგენდა. ზოგადად ხომალდის ეს სახეობა ნიჩბების სიმრავლით გამოირჩეოდა.[339] გალერის მენიჩბეობა ყველაზე დიდი სასჯელი იყო მონებისა და ტყვეებისთვის.[340] მოცემულ სამუშაოს ,,გალერის ჯაჭვი" ეწოდებოდა და მისი შესრულების სირთულე სერვანტესის მიერ ,,დონ კიხოტე"-შიც არის აღწერილი.[341] ,,გალერის ჯაჭვის" მენიჩბეებს გალეოტები ეწოდებოდათ.[342] გალეოტებად ძირითადად მონები გამოიყენებოდნენ. ლეპანტოს მარცხმა ოსმალებს დროებით გადააფიქრებინა ხმელთაშუა ზღვაზე წარმატებით მიმდინარე საზღვაო მსვლელობები.

საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიის იმპერია ქრისტიანობასა და მუსლიმობას შორის აღმართულ კედლად იდგა. 1260-1453 წლებს შორის ბალკანეთის ტერიტორიაზე გაბატონებას პალეოლოგების დინასტია ცდილობდა,

---

[337]ლეპანტოს ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ესპანური ხომალდები მიიჩნეოდა მოცურავე სასახლეებად, რომლებიც იმპერიის დიდებას წარმოაჩენდნენ ხმელთაშუა ზღვის და არა მარტო ამ აუზში (Martínez-Hidalgo y Terán. VI. 1957, 786-793).

[338] გალერის პროტოტიპად ვიკინგების დრაკარიცაა მიჩნეული (თ. ხ.).

[339] Anderson, 1962, გვ. 37-39.

[340] Byrne, 2012, გვ. 179.

[341] ნაწარმოების პირველი ნაწილის 22-ე თავში ვკითხულობთ: ,,ეს გალეოტების ჯაჭვია, მეფის იძულებული ხალხი, რომლებიც გალერაზე მიდიან. - როგორ თუ, იძულებული ხალხი? ნუთუ შესაძლებელია, მეფემ ვინმე აიძულოს?" (Cervantes, 1827, გვ. 40).

[342] CVC, DQ, 1. XXII.

თუმცა, ლათინთა იმპერიის დაცემამ, ბიზანტია სხვა რეალობის წინაშე აღმოაჩინა. ოსმალების ექსპანსია დასავლეთისკენ საყურადღებო სისწრაფით მიმდინარეობდა. მათი მცდელობების შესაბამისად, 1352 წლიდან ოსმალები ევროპაში უკვე აქტიურად ჩნდებიან.[343] მათი მთავარი ევროპული სამიზნე ბიზანტიის დედაქალაქი იყო. 1453 წელი ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა. ვიდრე ევროპელები დასავლეთისკენ იმზირებოდნენ, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ კარიბჭეს მუსლიმები ეუფლებოდნენ და უდიდესი სივრცის ,,შიდა ზღვა" საომარი ფრონტის არეალად უნდა ქცეულიყო. თურქები გავიდნენ დუნაის ხეობასა და ხმელთაშუა ზღვაზე. ერთი მიმართულებით ისინი ევროპის ცენტრისკენ - ვენისკენ მიიწევდნენ, მეორეთი კი - გიბრალტარის სრუტისკენ. შორეული დასავლეთის სიმდიდრეებზე ფიქრი არა მხოლოდ ჰაბსბურგებს, თვით ოსმალებსაც არ აძლევდა მოსვენებას. ამ ინტერესში მხოლოდ ორი მხარე როდი ფიგურირებდა. გენუელების და ვენეციელების მიერ აბრეშუმის საქარავნო გზების ფლობა ოსმალეთის იმპერიისთვის კიდევ ერთ საბრძოლო მიმართულებად გამოიკვეთებოდა. სულტნების მოტივაცია საზღვაო-სავაჭრო გზების გარდა, სახმელეთო მარშრუტების მითვისებაზეც აისახებოდა. ამავდროულად, პორტუგალიელებს, ესპანელებს, ჰოლანდიელებსა და ინგლისელებს აზიის ვაჭრობიდან საკუთარი წილის მიღება სურდათ.

ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელად ოსმალეთის იმპერიის მისწრაფება ორი ძირითადი მიმართულებით უნდა გაიმიჯნოს: **1) ევროპის ტერიტორიული დაპყრობა - გეოპოლიტიკური. 2) საზღვაო-სავაჭრო გზებზე ჰეგემონიის დამყარება - ეკონომიკური.** ოსმალებს შეეძლოთ, ევროპელებისთვის ახალი სავაჭრო გზების გაკვლევა ედროვებინათ ან ინდივიდუალურად ცდილიყვნენ ზღვაზე გაბატონებას. მათი სამხედრო სისტემა ნებისმიერ დაპყრობაზე იყო გათვლილი და მორგებული.[344]

---

[343] ფუთურიძე, 1957, ოსმალთა დაპყრობითი ომები... გვ. 246.
[344] ფუთურიძე, Ib., გვ. 249.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები ოსმალების დასავლეთისკენ ექსპანსიის თანადროულად მიმდინარეობდა. თანმხლები საკითხები - მეკობრეობა და ტყვეთა სყიდვა XV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ერებს შორის ინტერესების კვეთას განსაზღვრავდა. ამ საკითხში 1581 წლიდან განსაკუთრებით იყვნენ ჩართული ფელიპე II, მურად III და ოსმალეთის მოკავშირეები, ალჟირის, ტრიპოლის, თუნისის თურქი რეგენტები. ისინი მეკობრეთა კვალს 1515 წლიდან ეძიებდნენ, მფარველობდნენ და განაგებდნენ; ყველა ინდივიდულაურად, საკუთარი მიზნიდან გამომდინარე. ბუნებრივია, რომ ახალი მიწების სიმდიდრეზე ინფორმაციის გავრცელებამ, მედიტერანიზმის ანტაგონიზმში მეკობრეებიც ჩართო. მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა, და კიდევ მეტად მრავლდებოდა იმპერიების მიერ მათი მფარველობის გამოცხადებით. ახალი სამყაროდან დაბრუნებული ხომალდების ,,სიმდიდრის" ხელთგდება არა მხოლოდ მეკობრეთა ,,მდაბიო" ინტერესებს, არამედ მონარქების გემოვნებასაც იტაცებდა. შესაბამისად, ზღვაოსნობა, აღმოჩენები, მეკობრეობა და ტყვეთა სყიდვა ერთ სიბრტყეზე განიხილებოდა - როგორც ხმელთაშუა ზღვაზე, ასევე ატლანტის ოკეანეში.

### 3.3. ფირი რეისის ცნობები

ისტორიის და გეოგრაფიული პოლიტიკის თანხვედრის მსგავსად, ასევე თანაბრად მნიშვნელოვანი იყო იდეოლოგიის და გეოგრაფიული ნაშრომების იმპერიულ იარაღად გამოყენება. XVI საუკუნეში მოგზაურების მიერ დაგროვილი ცოდნის მეტოქის წინააღმდეგ გამოყენება პოლიტიკური დაპირისპირების კულტურად გვევლინება. შიდა რეგიონული დიფერენცირება, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა.[345] სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო, გეოგრაფიული აღმოჩენების ან მოგზაურთა ნაშრომების კოლექციებით ოსმალეთის იმპერიამ ვერასდროს

[345] Seinacher, 2015, გვ. 79.

შეძლო იმ სიმაღლეებისთვის მიეღწია, რაც პორტუგალიამ და ესპანეთმა მოახერხეს. ოსმალები თარგმნიდნენ არაბულ, სპარსულ წყაროებს, ახდენდნენ ევროპული ლიტერატურის ვარიაციულ ცვლილებებს, მაგრამ, ორიგინალურ კვლევებს სანავიგაციო, გეოგრაფიულ საკითხებში ვერ ან არ ქმნიდნენ.[346] ოსმალეთის იმპერიაში ესპანელ ჰაბსბურგებთან მხოლოდ სამხედრო დაპირისპირება არ განიხილებოდა, არსებობდა აგრეთვე ინტერესი ხმელთაშუა ზღვის დასავლური ნაწილის მიმართ და ცოდნის დაუფლების სურვილი იმ აღმოჩენებისადმი, რაც ესპანეთის კათოლიკურ მონარქიას უკავშირდებოდა. ოსმალეთში ,,პოლიტიკური გეოგრაფია" პრაქტიკულ საგნად გადაიქცა სელიმ I-ის (1512-1520), სულეიმან I-ის (1520-1566), სელიმ II-ის (1566-1574) და მურად III-ის (1574-1595) მმართველობის ხანაში. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა იმპერიის რელიგიურ-იდეოლოგიური და პოლიტიკურ-სოციალური კოორდინატების დადგენა.[347] ოსმალეთის იმპერიას ემსახურებოდნენ ასევე ზღვაოსნები, რომლებიც რეგიონის აღნიშნულ მრავალფეროვნებას აღწერდნენ და სულტანს მოახსენებდნენ. გალიპოლში დაბადებული ცნობილი მეზღვაური ფირი რეისი (1465-1553) ოსმალეთის სულტანს ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე ცნობებს აწვდიდა.[348] ბაიაზიდ II-ის (1447-1512) დროს ფირი რეისის ბიძის ქემალ რეისის (დაახ. 1451-1511) მიერ 1499-1503 წლებში მოპოვებულმა საზღვაო წარმატებებმა, კერძოდ, სამხრეთ საბერძნეთის სანაპიროების და კუნძულების დაკავებამ, მას სულტნის კეთილგანწყობა მოუპოვა.[349] 1492 წელს ქემალ რეისი გრანადელი მუსლიმების დასახმარებლადაც გაემგზავრა, მოგვიანებით, ყურადღება ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებზე გადაიტანა.[350] 1501 წლის 20 მაისს სამხრეთ პელეპონესთან ნავარინოს

---

[346] Emiralioğlu, 2014, გვ. 6.

[347] Emiralioğlu, Ib., გვ. 7.

[348] რეისი ოსმალეთის იმპერიაში სამხედრო-საზღვაო რანგი იყო და კაპიტანს ნიშნავდა, რეის-ფაშა - საზღვაო ადმირალს, ხოლო კაპუდან-ფაშა - ოსმალეთის ფლოტის მთავარ ადმირალს (კაპიტან-ფაშას, Ozbaran. 1997, გვ. 571–572).

[349] ქემალ რეისი ევროპაში ,,პირველ თურქ მოგზაურად" არის მიჩნეული (თ. ხ.).

[350] Hess, 1978, გვ. 36-42.

(ფილოსის) ბრძოლაში, ჰადიმ ალი ფაშასთან ერთად მიღწეული წარმატების შემდეგ, ქემალ რეისი სულტან ბაიაზიდ II-მ იხმო და 3000 ახჩეთი (ვერცხლის მონეტა) დაასაჩუქრა. როგორც თავად ფირი რეისი გადმოგვცემს, სულტნის მიერ გამოცხადებული ნდობის გამო, ქემალ რეისს ვენეციელების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება დაევალა.[351] ოსმალები ესპანეთის და პორტუგალიისთვის საპასუხო დარტყმის მისაყენებლად გეოგრაფიული ცნობების მოპოვებასაც ესწრაფვოდნენ. მათ მიერ 1517-19 წლებში სირიის, პალესტინის და ეგვიპტის დაკავების შემდეგ, მორიგ სტრატეგიულ სვლას წარმოადგენდა 1534 და 1546 წლებში ბაღდადისა და ბასრის აღება. წითელ ზღვაზე კონტროლის დამყარება კათოლიკური მონარქიის საწინააღმდეგოდ მიმართული იდეოლოგიური ომის ნაწილიც იყო.[352] ეგვიპტეში ყოფნის დროს, ფირი რეისმა სულტანს საკუთარი რუკა წარუდგინა.[353] 1524 წელს უკვე იბრაჰიმ ფაშასთან ერთად, მან როდოსის კამპანიაში მიიღო მონაწილეობა.[354] 1547 წელს კი წითელ ზღვაზე წარგზავნილი სამხედრო ფლოტის ადმირალად დაინიშნა. თუმცა, მისმა დამსახურებებმა სიკვდილით დასჯისგან ვერ იხსნა. 1553 წელს ჰორმუზის ციხის ალყის მოხსნის გამო, ფირი რეისი, პორტუგალიელებისგან ქრთამის აღების საბაბით, ღალატში დაადანაშაულეს და თავი მოჰკვეთეს.[355] მისი ნამუშევრები თოფქაფის სასახლეშია დაცული. დავის საგანს წარმოადგენს ფირი რეისის მიერ 1513 წელს შედგენილი რუკის ავთენტურობა და 1521 წელს დაწერილ Kitâb-ı Bahriye - ,,ზღვაოსნობის წიგნში" მოყვანილი ცნობების ორიგინალურობა. ფირი რეისის რუკა ქრისტეფორე კოლუმბის მიერ 1492-93 წლებში შედგენილი რუკის სახეცვლილებას უნდა წარმოადგენდეს.[356] როგორც თვითონვე აღწერს, ქემალ რეისის მიერ ესპანეთის სანაპიროების დალაშქვრის დროს, მათ ხომალდზე

---

[351] Piri Reis, 1521 (1988), 2:709.
[352] Hamdani, 1981, გვ. 327.
[353] 1919 წელს ფირი რეისის რუკა შემთხვევით იქნა აღმოჩენილი თოფქაფის სასახლის მუზეუმად გადაკეთების დროს (თ. ხ.).
[354] Emiralioğlu, 2014, გვ. 28.
[355] ფირი რეისის სიკვდილზე იბრაჰიმ ფეჩევიც აკეთებს შენიშვნას და აღნიშნავს, რომ იგი ყოველთვის იმპერიის ერთგული იყო (Soucek. 2008, გვ. 49-79).
[356] Hamdani. 1981, გვ. 328.

თან ახლდა ერთი ესპანელი ტყვე, რომელიც კოლუმბის ექსპედიციებში იღებდა მონაწილეობას. აღნიშნული კამპანიის დროს, 1501 წელს, ქემალ რეისმა ვალენსიასთან შვიდი ესპანური ხომალდი დააკავა. ადვილად სარწმუნოა, რომ მეზღვაურმა რუკებთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია აღნიშნული ტყვის და, სავარაუდოდ, დაკავებულ ხომალდებზე მყოფი ესპანელი მეზღვაურებისგან მიიღო. რუკის ორიგინალურობას საეჭვოს ხდის ის ფაქტიც, რომ მასზე დატანილი გარკვეული ადგილები 1513 წლამდე აღმოჩენილი არც ყოფილა. 1521 წელს, იბრაჰიმ ფაშას შუამდგომლობით, ფირი რეისი ეახლა ახალ სულტან სულეიმან I-ს და თავისი წიგნი წარუდგინა.[357]

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, საინტერესოა, რეისის წიგნში იბერიის ნახევარკუნძულის გარკვეული სანაპიროების და ქალაქების აღწერა: **,,ვალენსია არის ვეგას ყურეში ზღვიდან 3 მილის მანძილზე მდებარე დიდი ქალაქი. მას გარს შაქრის ლერწმები აკრავს, რომელთა შორის დიდი მდინარე მოედინება და ზღვას ერთვის.[358] პატარა ხომალდებს მდინარეში შესვლა შეუძლიათ... აქ ადრე, გარდაცვლილ ქემალ რეისთან ერთად, შვიდი ნავი ვიგდეთ ხელთ“.**[359] იგი ასევე აღწერს მალიორკას და მას ,,ესპანეთის კუთვნილ კუნძულს“ უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ფირი რეისის წიგნში დაცული არის ცნობები კუნძულ ჰაიტის შესახებ, რომელსაც კოლუმბმა ,,ესპანური კუნძული“ უწოდა.[360] როგორც ფაქტები მოწმობს, ფირი რეისი საკმაოდ კარგად იცნობდა კოლუმბის მოგზაურობის ისტორიას, იცოდა გეოგრაფიული დეტალების შესახებ და მის მიერ სულტნისთვის გადაცემული ცნობები ფრიად საინტერესო და საჭირო სიახლეებს შეიცავდა. ზღვაოსნობასთან დაკავშირებული საინფორმაციო მეტოქეობა მედიტერანიზმის ერთ-ერთ მახასიათებელ ფაქტორად უნდა გამოიკვეთოს.

---

[357] Hamdani. Ib., გვ. 290.

[358] მდინარე ტურია (თ. ხ.).

[359] აღნიშნულია 1501 წელს ვალენსიის სიახლოვეს მომხდარი ბრძოლა, იგი ასევე აღწერს მალაგას, რომელსაც მალიკას უწოდებს, გრანადას - კირნატას და ალმერიას - ელმერიეს (Ertuğrul. 2002, გვ. 192-200).

[360] Ertuğrul, 2002, გვ. 205.

# თავი 4

# მეკობრეობა და ტყვეთა საკითხი „ოქროს საუკუნის“ მთავარ სცენაზე

## 4.1. მეკობრეობა ხმელშათუა ზღვაზე და „ატლანტის ომი“

XVI საუკუნეში ესპანეთის უნივერსალური მონარქიის და ოსმალეთის იმპერიის გეოგრაფიულ-ინფორმაციული დაპირისპირება, გარკვეული საკითხების ანალიზზე დაყრდნობით, მეკობრეობიდან მომდინარეობდა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ანტაგონურ გარემოს ასაზრდოებდა. 1534 წლის 4 მარტს ანდრეა დორია იმპერატორ კარლოს V-ს ატყობინებდა: **„ქრისტიანების წინააღმდეგ იმ ნაწილში [სტამბოლში] ხმები და მუქარა ისმის“.**[361] რეგიონში საფრთხეს ოსმალეთის იმპერია მეკობრეების დახმარებითაც ავრცელებდა, განსაკუთრებით, მაღრიბის სანაპიროებზე. ამერიკის მიწების აღმოჩენამ შეცვალა არა მხოლოდ ევროპის სამხედრო და სანავიგაციო სისტემა, არამედ მერკანტილიზმის არსის, ტყვეთა სყიდვის ფორმების, მასშტაბების გარდასახვაც მოახდინა. გაიზარდა ტყვეთა ბაზარი. ისინი ჩრდილოეთ აფრიკიდან ახლა უკვე ამერიკაში გაჰყავდათ, ხოლო ამერიკიდან წამოყვანილი ადგილობრივი მოსახლეობა აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებზე იყიდებოდა. პირველად, 1518 წელს აფრიკიდან პირდაპირ ამერიკაში გაემგზავრა ტყვეებით დატვირთული ხომალდი. ხმელთაშუა ზღვა-ატლანტის ოკეანე-ხმელთაშუა ზღვა - აღნიშნული ტრაექტორია XVI საუკუნის ეკონომიკურ სამკუთხედად წარმოჩნდებოდა. საერთო ჯამში, XVI და XVII საუკუნეებში დაახლოებით 275 000 აფრიკელი ტყვე იქნა უშუალოდ ამერიკაში გადაყვანილი. მითითებული ეპოქის საზღვაო ცირკულაციები შეფასებულია, როგორც „ოსმალური ხმელთაშუაზღვისპირეთი“ და „აფრიკული ატლანტი“.[362] ესპანეთის იმპერიის სადაზვერვო სამსახურის მიერ მოპოვებულ ცნობებთან

[361] AGS, Guerra Antigua. Leg. 5 fol. 75, Andrea Doria sobre el peligro turco, 1534, 4 de marzo.
[362] Kreiser, 2001, გვ. 689.

ერთად, XVI საუკუნის ესპანური საარქივო მასალები ,,მდიდარია“ ტყვეთა სყიდვასთან დაკავშირებული ქრონიკებით.[363] ესპანეთის მონარქების ,,დიდი სტრატეგიის“ ნაწილი - კავშირი შეექმნათ პორტუგალიასთან - სწორედ ოსმალეთსა და საფრანგეთთან დაპირისპირებაში მეტი სიმტკიცისთვის იყო გამიზნული. 1580 წელს ამ კავშირის წყალობით, ესპანეთ-პორტუგალიის დუალისტური იმპერიაც ჩამოყალიბდა. 1580-1640 წლებში კათოლიკე მონარქები უკვე თავდაჯერებით აწარმოებდნენ სამხედრო თუ ეკონომიკურ სვლებს ოკეანური წყლების საზღვაო დაფაზე. სევილიიდან მექსიკამდე, იბერიის ნახევარკუნძულიდან ფილიპინებამდე გადაჭიმული ტერიტორია სწორედ ამ პერიოდში გარდაისახა გლობალურ იმპერიად. აღნიშნულ პროცესს ,,მსოფლიოს ესპანიზაცია“ შეიძლება ვუწოდოთ. როგორც ისტორიკოსი სერგი გრუზინსკი შენიშნავს, მედიტერანიზმის სივრცე ,,იბერიულ წყნარ ოკეანეს“ მოიცავდა.[364]

,,გლობალური ოკეანის“ ხმელთაშუა ზღვის ნაწილზე ,,ბარბარული კოშმარი“ სუფევდა. აფრიკელი მეკობრეები ამერიკიდან წამოსულ ,,ფულის გემებზე“ ნადირობდნენ.[365] აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნის ეკონომიკამ სახე იცვალა და შედარებით განსხვავდებოდა წინა საუკუნის მერკანტილიზმისგან, რისი ერთ-ერთი მიზეზთაგანი სწორედ მეკობრეობა იყო. მოცემულ პერიოდში იბადებოდა ,,მსოფლიოს ეკონომიკა“. რეგიონში წინა პლანზე ალჟირი გამოდიოდა, როგორც ოსმალეთის ოფიციალური წარმომადგენელი და ,,ქრისტიანობის მძარცველი“. ალჟირელი მეკობრეების მიერ XVI-XVII საუკუნეებში ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის სანაპიროებიდან აყვანილი 100 000-ზე მეტი ტყვე მოითვლება. მეკობრულმა ნადირობამ 1632, 1642, 1647, 1654 წლების ეპიდემიები და შიმშილი გამოიწვია.[366] ინფორმაციული ომის მსგავსად, მეკობრეების გადაადგილებები და მათი სავარაუდო გეგმები ჰაბსბურგთა მონარქიის სადაზვერვო სამსახურის

---

[363] Martínez Torres, 2008, გვ. 214.
[364] Gruzinski. 2004, გვ. 29-32.
[365] Martínez Torres, Ib., გვ. 219.
[366] Martínez Torres, Ib., გვ. 222.

ჯაშუშებისგან მიიღებოდა. როგორც ანდრეა დორიას 1534 წლის 2 იანვრის კორესპონდენციაშია მითითებული, მან მეკობრეების და ოსმალების გეგმების შესახებ ალჟირელი ჯაშუშისგან შეიტყო. დორიას ეს მოხსენება, რომელიც გენუიდან გაუგზავნა იმპერატორ კარლოს V-ს, საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა: **„იქ ლევანტეში [გენუაში] წერილები იყო ვაჭრებისგან. ისინი წერენ, რომ იბრაჰიმ ფაშა, თანმხლებ პირებთან ერთად, კონსტანტინოპოლიდან ალეპოში დეკემბრის თვეში გაემგზავრა, საიდან სადამდეც კარგ ამინდში 20 დღის გზაა, და, რადგან გამგზავრების მიზეზი უცნობია, მისი საჭიროება ადვილი წარმოსადგენია. ასეთი დიდი პიროვნება თავის ბატონს უმიზეზოდ არ მოშორდებოდა. სავარაუდოდ, ომი უნდა ჰქონდეს [ირანთან]. ამ ვარაუდის საპირისპიროდ, ჯარით არ წასულა, თუმცა, აუცილებლობის ჟამს შეძლებს [ჯარი] შეკრიბოს... ყველა ერთნაირად აღწერს, რომ კონსტანტინოპლში ჩავიდა ბარბაროსა, სადაც თურქის [სულეიმანი] მიერ კარგად იქნა მიღებული, შემდეგ იგი ცხენით გაემგზავრა იბრაჰიმ ფაშასთან... მათ ხომალდები, ნადავლი და ქრისტიანი ტყვეები თურქის სხვადასხვა სახლებში დატოვეს... ასევე წერენ ფლოტზე, რომ იმ მხარეს [სტამბოლი] ქრისტიანების წინააღმდეგ დიდი ხმები და მუქარა დადის. თუმცა, ფაქტია, რომ წელს მძლავრი ფლოტის შეკრებას ვერ შეძლებს, რადგან მისი ხომალდების ნაწილი ძველია და მათი თავიდან შექმნა, შეიარაღების გამო, ძნელი იქნება; ხოლო თუ ბევრს გააკეთებენ, მაშინ დააგვიანდებათ. ალბათ შესაძლებელი იქნება, ღმერთმა თქვენი უდიდებულესობა ამ წელს იმ მხარის ამბებისგან დაასვენოს“.**[367] იმავე გზავნილში ანდრეა დორია ფრანგების შესახებაც აღნიშნავს: **„ფრანგების მოქმედებები შვეიცარიის და გერმანიის მიწებზე ღიად მიუთითებენ მათ ცუდ ზრახვებზე“.**

ხაირ ად-დინის (1475-8?-1546) და მისი უფროსი ძმის ორუჯის მეკობრული მოქმედებები აღნიშნული საქმიანობისთვის მომხიბვლელი იერის მინიჭებას და

[367] AGS, Guerra Antigua. Leg. 5 fol. 75, Andrea Doria sobre el peligro turco, 1534, 4 de marzo. ამავე ცნობიდან ვიგებთ, რომ სულტნის ფლოტის მშენებლობა გალიპოლში მიმდინარეობდა.

მაღრიბელი მეკობრეების ოსმალეთის იმპერიის სამსახურში ჩაყენებას უყრიდა საფუძველს. ხაირ ად-დინის ნამდვილი სახელი ხიზრი იბნ იაკუბი იყო. ძმები ალბანური წარმოშობის ოჯახში დაიბადნენ, კუნძულ ლესბოსზე.[368] მათ მეკობრეობა ერთად დაიწყეს, თუმცა წამყვანი პოზიცია ორუჯს ეკავა. მან 1516 წელს ალჟირი დაიპყრო და თავი სულტნად გამოაცხადა. ალჟირში მცხოვრები ესპანელები მაროკოში გადავიდნენ და დახმარება კარლოს V-ს სთხოვეს. ორუჯ იბნ იაკუბმა, თავის მხრივ, ესპანეთისგან დასაცავად, 1517 წელს სულტან სულეიმან დიდებულს ქვეშევრდომობა შესთავაზა, რომელმაც, ალჟირი, სანჯაყის სახით, იმპერიის შემადგენლობაში მიიღო, ხოლო ორუჯს ალჟირის ბეგლარბეგობა უბოძა. 1518 წლის მაისში ორუჯი ესპანელებმა თლემსენთან გამართულ ბრძოლაში მოკლეს. ამის შემდეგ, 1518 წლიდან, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების დაპყრობა აქტიურად დაიწყო მისმა უმცროსმა ძმამ, ხაირ ად-დინმა, რომელსაც სულტნისგან ძმის ტიტულატურა გადაეცა, ხოლო მეკობრეებისგან - ზედმეტსახელი ,,ბარბაროსა“.[369] მას ესპანეთიდან ჩრდილოეთ აფრიკაში გადაჰყავდა მუსლიმი მებრძოლები.[370] ბარბაროსამ 1519 წელს დაამარცხა იტალიელ-ესპანელთა ფლოტი და ალჟირი დაიკავა. იმავე წელს დალაშქრა საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროები, 1521 წელს - ბალეარის კუნძულები. ასეთი დამსახურებებისთვის, მას 1533 წლიდან ოსმალეთის ფლოტის კაპუდან-ფაშობა ებოძა. მისი უწყვეტი წარმატებები კარლოს V-ის თავსატეხს წარმოადგენდა. მეკობრეთა გამუდმებული თავდასხმების გამო ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე გავრცელდა შიში თურქების უძლეველობის მიმართ, რამდენადაც მეკობრეობას სწორედ ისინი უმაგრებდნენ მხარს. ხაირ ად-დინმა 1521 წელს ამჯერად ამერიკის ,,ახალი სამყაროდან“ დაბრუნებული და კადისის ნავსადგურისკენ მიმავალი ესპანური ხომალდები დააკავა. მან 1523-1530

[368] Capponi, 2007, გვ. 30.

[369] იტალიურად - barbarossa, ხოლო ესპანურად - barbaroja წითელწვერას ნიშნავს (თ. ხ.).

[370] ხაირ ად-დინ ბარბაროსას შესახებ ხელნაწერი ქრონიკა აღმოჩენილი იქნა 1571 წელს ლეპანტოს ბრძოლაში დაკავებულ ოსმალეთის ფლოტის მთავარ გალერაზე. ქრონიკა XVI საუკუნეში სეიიდ მურადის მიერაა დაწერილი სათაურით ,,Gazavat-I Hayreddin Paşa” - ,,ხაირედდინ ფაშას საღვთო ომი“ (Garcés, 2005, გვ. 266).

წლებში მესინა, ტოსკანა, კამპანი, მარსელი, ანდალუსია, ბალეარის კუნძულები დაარბია.[371] ვენეციის ბაილოს, ალესანდრო კონტარინის, 1546 წლის 4 ივლისის ცნობაში გაჟღერებულმა ბარბაროსას სიკვდილმა, ესპანეთის იმპერიას შვება ვერ მოჰგვარა: **,,როგორც ცნობილი გახდა, ბარბაროსა გასული ღამის 3 საათზე გარდაიცვალა. მისი გამოკეთება 29 ივნისის ის სინათლე იყო, როდესაც ადამიანი მიიცვალება და დიდ ნათელს აშუქებს. მან ცხოვრების ბოლო დღეებსა და საათებში სათნოება და ბუნებრივი ძალა გამოავლინა. დიდი ჭრილობების გამო, მუდმივად სისხლი სდიოდა... საბრალო ქრისტიანებისთვის მიყენებული უბედურების შემდეგ, სამსჯავროს წინაშე ანგარიშით წარსდგება, სადაც ძალა, იარაღი, ომისა და სტრატეგიის ცოდნა არაფრად წაადგება.“**[372] 1546 წლიდან უკვე ბარბაროსას ვაჟი ჰასანი ჩაუდგა სათავეში მეკობრეობასაც და ალჟირსაც. მისი სამხედრო მონაწილეობა მალტის ალყის დროს ოსმალეთის ფლოტისთვის დიდ დახმარებას წარმოადგენდა.[373] 1538 წელს პრევეზას დაპირისპირება, 1541 წელს ალჟირის და 1551 წელს ტრიპოლის დაკავება, 1558 წელს კი ფიალი ფაშას მიერ ბალეარის კუნძულების დალაშქვრა, მაღრიბელი მეკობრეების მონაწილებით, ოსმალების შეუჩერებელ წინსვალზე მეტყველებდა.

კარლოს V-ის, ,,ქრისტიანობისთვის მებრძოლი“ იმპერატორის, მოქმედებები, შეიძლება ითქვას, ამაო იყო ოსმალეთის ფლოტისა და მეკობრეების მძარცველი მოქმედებების წინააღმდეგ. 1560 წელს კუნძულ ჯერბასთან (თუნისი) მომხდარი ბრძოლის შემდეგ მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვაზე მკვეთრად შეიცვალა. 1560 წლის მარტში ესპანეთის იმპერიის წარგზავნილმა, სიცილიის ვიცე-მეფემ, გრაფმა მედინაჩელიმ, ჯერბა დაიკავა. იმავე წლის 9 მაისიდან 14 მაისამდე კუნძულისთვის ერთმანეთს ესპანეთი და ოსმალეთი უპირისპირდებოდნენ. გადამწყვეტ შეტაკებებში ოსმალეთის იმპერიის დიდმა ადმირალმა ფიალი ფაშამ (დაახ. 1515–

[371] Capponi, 2007, გვ. 30.
[372] ASV, leg. Secreta, Archivi Propri, Constantinopli, vol. 4, 80-81. Doc. N. 55. Bailo Alessandro Contarini, 1546, 4 de julio.
[373] Ware Allen, 2015, გვ. 185.

1578) და დრაგუთმა გაიმარჯვეს.[374] ესპანეთის იმპერიის გადარჩენილმა სამხედრო ნაწილმა ალვარო დე სანდეს გარნიზონს შეაფარა თავი, რომელმაც ოსმალების შეტევას 1550 წლის 31 ივლისამდე გაუძლო.[375] ჯერბის ბრძოლის დროს კათოლიკურ ფლოტში შედიოდნენ სიცილია-ნეაპოლის, რომის, მალტის, ფლორენციის გაერთიანებული სამხედრო ძალები.[376] კუნძულთან მათი მარცხის შემდეგ მედიტერანიზმის ისტორიული კონტექსტი მკვეთრად შეიცვალა. ქრისტიანული სამყარო ცალკეული საზღვაო გამარჯვებებით ახერხებდა ოსმალების წინსვლის პერიოდულ შეკავებას. ყოველივეს ერთვოდა თურგუთ რეისის, იგივე დრაგუთის, ყველაზე საშიში მეკობრის ,,ოსმალური სუვერენიტეტი“.[377] ბარბაროსას შემდეგ ხმელთაშუა ზღვის მეკობრეობას ზემოხსენებული დრაგუთი (1485-1565) ხელმძღვანელობდა. ოსმალეთის ადმირალი, ,,ისლამის მოხატული ხმალი“, ხაირ ად-დინის გარდაცვალების შემდეგ ,,ხმელთაშუა ზღვის უგვირგვინო მეფე“ გახდა.[378] 1549 წელს კარლოს V-მ ანდრეა დორიას მის წინააღმდეგ საიდუმლო სამხედრო კამპანიის მომზადება დაავალა.[379] მაგრამ დრაგუთის შეჩერება ვერ ხერხდებოდა. 1554 წელს ლა გოლეთას მმართველი ალონსო დე ლა კუევა უფლისწულ ფელიპეს მეკობრის გადაადგილებების შესახებ ატყობინებდა: ,,დრაგუთი 5 გალერით და 2 გალეოტით ნავსადგურ ფარინაში შევიდა, ისინი სულტნის გამოგზავნილები არიან და ალჟირში მიდიოდნენ“.[380] 1565 წელს 80 წლის დრაგუთი ფიალი ფაშას მალტის ალყის დროსაც ახლდა. ფაშას მიერ დრაგუთის მიმართ გამოცხადებული ნდობა ჯერბის გამარჯვების შემდეგ კიდევ მეტად გაიზარდა. იგი დრაგუთს ,,ძვირფას შვილს“ უწოდებდა.[381] ემილიო სოლას კვლევაში მითითებულია, რომ 1550 წლიდან ესპანეთის მონარქიაში

---

[374] Stewart, 2009, გვ. 240.
[375] Mikaberidze, 2011, გვ. 278.
[376] Romero Medina, 2017, გვ.355.
[377] Braudel, 1995, გვ. 908-909.
[378] Balbi, 2011, გვ. 63-63.
[379] Sola, 2011, გვ. 9.
[380] AGS, Estado, leg. 478, fol. 266-264. Alonso de la Cueva al príncipe Felipe. 1554, 25 de julio.
[381] Ware Allen, 2015, გვ. 80.

კონსტანტინოპოლიდან მუდმივად იღებდნენ ინფორმაციას სულეიმან დიდებულის ავადმყოფობისა და სულტნის კარზე მემკვიდრეების დაპირისპირების შესახებ.[382] 1549 წლის დეკემბერში სიცილიის ვიცე-მეფე ხუან დე ვეგა პრინც ფელიპეს ატყობინებდა: **,,აქ, ლევანტეში, ყველა გზებით დასტურდება ის ზარალი და ნაკლები რეპუტაცია, რასაც თურქი და მისი კარი განიცდის. ამტკიცებენ, რომ ჰიდროპსია ჰქონდა და ძნელად გადარჩა... კონსპანტინოპოლში, სალონიკსა და ლევანტეს სხვა ადგილებში ჭირით იღუპებიან".**[383] მოცემული კრიზისის პირობებში, მეკობრეები განსაკუთრებით აქტიურად ,,მოღვაწეობდნენ". ემილიო სოლა მათ ორ ჯგუფად ჰყოფს: პირველი ტალღა - ფირი რეისი, სინან ფაშა, ბარბაროსა, ფიალი ფაშა, თურგუთ რეისი უძლიერეს მეკობრეთა პლეადას შეადგენდა. ავტორი ახდენს ასევე დიეგო დე ადეოს შეფასების ციტირებას - ყველა მათგანი ,,პროფესიით თურქები" იყვნენ. და დასძენს, რომ სერვანტესი მეკობრეებს ,,ეროვნებით მორისკოდ" მოიხსენიებდა. ,,პროფესიით თურქის" მსგავსად, ,,ეროვნებით მორისკო" მედიტერანიზმის მეკობრეებს აღნიშნავდა.[384] დრაგუთი ასრულებს პირველი მეკობრეების ქრონოლოგიას, ხოლო მეორე ტალღად ხაირ ად-დინ ბარბაროსას შვილს, ჰასან ფაშას (1544-1568) და ულუჩ ალის, იგივე უჩალის (1518-1587), ანუ კალაბრიელ დიონისიო გალეას, წარმოგვიდგენს. ულუჩ ალი, ლეპანტოს გადარჩენილი მეკობრე, 1572 წელს ოსმალეთის ფლოტის კაპუდან-ფაშა გახდა. იგი 16 წლის ასაკში ბარბაროსამ აიყვანა ტყვედ.[385] შემდგომში კი კიდევ ერთ ,,ალჟირის მეფედ" წარსდგა მედიტერანიზმის ასპარეზზე.[386]

მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს, რომ მეკობრეობის თურქთან და მოროსთან (მორისკოსთან) გაიგივება მათ დამცირებას უსვამდა ხაზს. აღნიშნული დამოკიდებულება მედიტერანიზმის კოშმარის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ფიალი

---

[382] Sola, Ib., გვ. 4.
[383] AGS, Estado, leg. 1118, doc. 143-146. Juan de la Vega al príncipe Felipe, 1549, diciembre.
[384] Sola, 2007, გვ. 4.
[385] AGS, Estado, leg. 487, doc. 122. 1569, informe de Alonso Sánchez.
[386] Lynn; Rowe, 2017, გვ. 335.

ფაშას ,,ძვირფასი შვილის" გარდა, მოგვიანებით, ესპანეთის სანაპიროებს უკვე ინგლისის დედოფლის ,,ცოფიანი ძაღლი" - ფრენსის დრეიკი (დაახ. 1540-1596) უტევდა. სწორედ მის მძარცველურ ზღვაოსნობებს უკავშირდება ესპანეთის მონარქიის XVI საუკუნის 80-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი. ,,ესპანეთის შეფიცული მტერი" თავს ესხმოდა იბერიის ნახევარკუნძულის სანაპიროებს და ,,ატლანტის ომს" აწარმოებდა ესპანურ კოლონიებთან.[387] მის სახელს უკავშირდება ელ კალაოსსა და პანამიდან წამოსულ ხომალდებზე თავდასხმა, ჰავანიდან სევილიამდე სავაჭრო მარშრუტების კონტროლი, კადისის ნავსადგურში ხომალდების გადაწვა.[388] 1586 წელს დრეიკი 20 ბუკეთი, რომელზეც 2300 მეზღვაური ჰყავდა, თავს დაესხა კარტახენა დე ინდიას.[389] მისი ნადავლი ინგლისის დედოფალ ელისაბედ I-ის წილსაც წარმოადგენდა. აზორის კუნძულებზე თავდასხმის დროს ხელთგდებული სარგებელიდან დედოფალმა 40 000 გირვანქა მიიღო, დრეიკმა კი - 17 000.[390]

უწყვეტი მეკობრული შეტევების მოგერიების პარალელურად, კათოლიკური მონარქიის ხარჯები გრანდიოზულად იზრდებოდა. ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირება, ინგლისსა და საფრანგეთთან კონფლიქტები, პოტოსის საბადოებიდან ვერცხლის მოპოვება თუ კარტახენაში სამხედრო კონტიგენტის გაგზავნა ესპანეთის უნივერსალურ მონარქიას მორიგი ბანკროტისკენ მიაქანებდა.[391] ევროპელი დიდგვაროვნები კი ხმელთაშუა ზღვის ტყვეთა სყიდვის გარდა, რეგიონში მიმდინარე მეკობრეობით და პირადი კოლონიური მონაგებითაც სარგებლობდნენ.[392]

---

[387] Alcalá Zamorra, 2008, გვ. 295.

[388] ინგლისის მონარქიის დავალებით, ფრენსის დრეიკს ლისაბონიდან ანდალუსიის სანაპიროების ჩათვლით, ყველა ნავსადგური და ხომალდი უნდა გადაეწვა, თუმცა 1587 წლის 19 აპრილს მხოლოდ კადისის ნავსადგურში 25 ესპანური გემის დაწვით შემოიფარგლა (Sugden, 2006, გვ. 208).

[389] Ocampo López, 2004, გვ. 79.

[390] Walker. B. 1984, The Armada, New York: Times-Life. გვ. 48.

[391] გმირად მოხსენიებული ინგლისელი მეკობრის დატყვევებისთვის ესპანეთის მეფეს 20 000 დუკატი ჰქონდა დაწესებული (Cummins, 1997, გვ. 126).

[392] Maltby, 2011, გვ. 120.

## 4.2. ტყვეთა საკითხი - მედიტერანიზმის ტრაგედია

XVI საუკუნის ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ წყაროს ამერიკის ძვირფასი ლითონები და ხმელთაშუა ზღვის ტყვეები წარმოადგენდნენ. ემილიო სოლა ასე გადმოგვცემს მედიტერანიზმის განვითარების ეკონომიკურ სურათს: ,,გეოგრაფიული აღმოჩენები, სამეცნიერო და ტექნიკური სიახლეები, ევროპული ჰუმანიზმის გაჩენა და პირველი სამრეწველო კაპიტალიზმი პარალელური ფენომენებია. მათ თავისი ღრმა ფესვები ხმელთაშუა ზღვაში იმ დროიდან გააჩნიათ, როდესაც ევროპული კოლონიური გარემო იწყებოდა. ყოველივე ხმელთაშუაზღვისპირული სიცოცხლის პირდაპირი პროექციაა“.[393] იგი ასევე შენიშნავს, რომ კოლონიური კონფლიქტების წარმოშობამ გამოკვეთა სახელმწიფო საზღვრები, ხოლო აღნიშნული დავები მადრიდის, რომის, კონსტანტინოპოლის გეოპოლიტიკურ ხაზზე წყდებოდა.[394]

განსხვავებული იყო ადამიანებზე ნადირობის ტრაექტორია. თუ აღნიშნულ ეპოქას ლიტერატურულად ,,ოქროს საუკუნე“ ეწოდება, პოლიტიკურად ისტორიულ მეხსიერებაში დარჩენილია, როგორც ,,უნივერსალიზმის“, ,,მონარქიზმის“, ,,გლობალიზაციის“, ,,პლანეტარიზმის“ ეპოქა, ხოლო ჰუმანური კუთხით - ,,ადამიანური ტრაგედია“. ტყვეებით ვაჭრობის მერკანტილური კაპიტალიზმი ფერნან ბროდელს საფუძველს აძლევდა, ,,დიდებულ“ ეპითეტებთან ერთად, ეპოქა ,,ხმელთაშუა ზღვის დრამად“ აღენიშნა, დრამა, რომელშიც ,,ამ ეპოქის გიგანტები“ თავს მოხერხებულად გრძნობდნენ.[395] მიგელ ანხელ ბუნეს დე იბარა შენიშნავს, რომ ტყვეთა სყიდვის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რაც შემდგომ საუკუნეებზე მემკვიდრეობითად აისახა, ჯერ შესწავლილი არაა: თუ რა ზიანი განიცადეს მეკობრეების და კოლონისტების, ან ოსმალების მიერ დატყვევებულმა

---

[393] Sola, 2015, გვ. 243.

[394] Sola, Ib., გვ. 244.

[395] Braudel, 1987, გვ. 12.

ადამიანებმა ავადმყოფობის, ტყვეობიდან გაქცევის და ზღვის კოშმარების გადალახვის შემდეგ.[396]

Mare Nostrum - ,,ჩვენი ზღვა" (ხმელთაშუა ზღვა - თ. ხ.) იყო ადამიანებზე ნადირობის ზღვა. ტყვეების გაქცევა ოსტატობად, ხელოვნებად გადაიქცა. გაქცევასა და გამოსყიდვში მათთვის დახმარების აღმოჩენა ასევე სავაჭრო საკითხს წარმოადგენდა.[397] მაღრიბის სანაპირო ზოლი საუკეთესო ადგილი იყო ტყვეობიდან თავის დასახსნელად, რადგან იგი თურქების საფრთხისგან შედარებით მოშორებულად მდებარეობდა. როგორც ფერნან ბროდელი შენიშნავს: სანაპირო ,,უყურადღებოდ იყო მიტოვებული. იქნებ წინა საუკუნეში იქ მეკობრეობა მომგებიანი იყო, მაგრამ 1560 წლისთვის რა უნდა ეგდოთ ხელთ ამ ნაპირებიდან?"[398] ადამიანური ტრაგედიის აღწერა ისტორიულ დოკუმენტად საკუთრივ ტყვეების მონათხრობით გადმოიცემოდა. ისინი გახდნენ XVI საუკუნის მთავარი მემატიანეები. მათსავე ქრონიკებში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების პირველი იურიდიული მოთხოვნები. **,,ღმერთმა ადამიანები ტყვეებად არ შექმნა, არამც და არამც. ყველა თანაბრად თავისულად არის შექმნილი"** - აღნიშნულია ალჟირის ტყვის, პორტუგალიელი თეოლოგის ანტონიო სოსას ქრონიკაში.[399] იგი 1577 წელს ბარსელონიდან მალტაში მოგზაურობის დროს 268 ადამიანთან ერთად ალჟირელმა მეკობრეებმა დაატყვევეს. სოსამ ალჟირში გაიცნო მიგელ დე სერვანტესი.[400] მაღრიბის ტყვე იყო ასევე დიეგო გალან ესკობარი (1576-1648), რომლის ,,ტყვეობა და საქმეები" მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ლევანტის საკითხებზე, კონსტანტინოპოლისა და თურქების ცხოვრების ნირზე.[401] გალანის მატიანე მნიშვნელოვანი წყაროა სტამბოლის ,,თურქული ცხოვრების" აღსაწერად.

---

396 Bunes de Ibarra, 1989, გვ. 151-154.
397 აღნიშნულის შესახებ შესაბამის ქვეთავშიც შევნიშნავთ.
398 Braudel, 1987, გვ. 295.
399 Sosa, 1612, გვ. 29.
400 მისი ალჟირის ტყვეობის აღწერა 1612 წელს გამოსცა ბენედიქტელმა ბერმა დიეგო დე აედეომ.
401 Buens Ibarra, M. A. Diego Galán Escobar, Diccionario biográfico de la Real Academia de la Historia. http://dbe.rah.es/biografias/116859/diego-galan-escobar

ალჟირელების მიერ დატყვევებულმა ესკობარმა 1599 წლამდე იცხოვრა კონსტანტინოპოლში. აღნიშნულ წელს მან ქალაქიდან გაქცევა მოახერხა. ბერძენი ბერების დახმარებით პელეპონესის სამხრეთი სანაპიროებიდან იტალიაში გადავიდა და შემდეგ ესპანეთში დაბრუნდა. მისი ქრონიკის სრული სათაურია ,,კონსუეგრაში დაბადებულისა და ტოლედოს მეზობლის დიეგო გალანის ტყვეობა და საქმეები, 1589-დან 1600 წლამდე“. გალანის აღწერა არის პირველი თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ ირღვეოდა საუკუნეების სტერეოტიპები, ევროპის ,,აკვიატებული იდეები“.[402] მითითებული სამი ძირითადი წყარო: სოსა, გალანი და უცნობი ავტორის ,,თურქეთის მოგზაურობა“ XVI საუკუნეში გაჟღერებული თავისუფლების გამოძახილია.

ოსმალეთის მიერ მეკობრეების მხარდაჭერა ,,თურქიზმის“ და ,,თურქომანიის“ ერთ-ერთ განშტოებადაც კი გვევლინება. იმპერიალისტურ ეპოქაში არა მხოლოდ ოქროსა და ტყვეებზე ნადირობდნენ, არამედ იტაცებდნენ ,,თავისუფალი ორიენტალიზმის“ იდეებსაც.[403] იერუსალიმის შემდეგ, კონსტანტინოპოლი ქრისტიანობის ბასტიონად წარმოსდგებოდა. სამშობლოში დაბრუნებული ტყვეები სინანულს სწორედ კონსტანტინოპოლის დაკარგვის გამო გადმოსცემდნენ: **,,ასეთია კონსტანტინოპოლის სიდიადეები, რომლებსაც ჩვენი უფალი ჩვენივე ცოდვების გამო ინახავს; მაგრამ, იმედი გვქონდეს, რომ, როგორც ბევრი მონარქიის დასრულება ინება, ასევე ესაც [ოსმალეთი] დაიღუპება, რომელმაც ამდენი ზარალი მოგვაყენა, აყენებს, და მიაყენებს ქრისტიანობას“.**[404] ჰუმანისტურ ეპოქაში ჰუმანური ტრაგედიის ფონზე კათოლიკური მონარქიის დახმარება იყო აუცილებელი და საჭიროც. ესპანეთის იმპერია წარმოადგენდა როგორც მაღრიბის ტყვეების, ასევე კონსტანტინოპოლში მოხვედრილი ქრისტიანების იმედს. ტყვეების რაოდენობასთან ერთად, ოსმალეთის იმპერიის მოსახლეობის რიცხვმაც იმატა, ერთად აღებული ოთხ მილიონზე მეტი ებრაელის, მუსლიმისა და კრიპტო-

---

[402] González Alcantud, 2006, გვ. 50-51.
[403] González Alcantud, Ib.
[404] Galán, 1620, გვ. 56.

მუსლიმის ხარჯზე, რომლებმაც იბერიის ნახევარკუნძული, იტალია და შვეიცარია 1485-1614 წლებში დატოვეს. ეს ისტორიული პროცესი XVI საუკუნის ,,ხალხთა დიდ გადასახლებად“ შეგვიძლია მივიჩნიოთ.[405]

ნებაყოფლობით გადასული ადამიანების მიღმა, კასტილიის საბჭომ 1575 და 1692 წლებში მიიღო გადაწყვეტილება, მეკობრების მიერ დატყვევებული ქრისტიანები იმპერიის მატერიალური რესურსებით გამოეხსნათ. საერთო მონაცემებით, მედიტერანიზმის ეპოქაში მაროკოსა და ალჟირიდან ტყვეთა გამოსყიდვის 43 ექსპედიცია ჩატარდა.[406] ასეთი გამოხსნების ორგანიზებას ახდენდნენ რელიგიური ორდენები ,,ტრინიდადი“ და ,,მერსედი“.[407] XVI საუკუნის დასასრულს დაახლოებით, 6369 ადამიანი იქნა განთავისუფლებული. აღსანიშნავია, რომ ესპანეთის მონარქია შესაბამის ექსპედიციებს საკუთარი ხარჯებით ანხორციელებდა. ასეთი გამოხსნების წყალობით, ოსმალეთის იმპერიის ხაზინა 949 331 დუკატზე მეტით შეივსო.[408] თუმცა, ევროპის მეკობრეები ოსმალებს ვალში არ რჩებოდნენ და ასევე ატყვევებდნენ თურქ და აფრიკელ მოსახლეობას, მაგრამ მეკობრეების მიერ დატყვევებულების რიცხვებსა და მასშტაბებზე შედარების დროს საკმაოდ დიდი სხვაობაა.[409] ფერნან ბროდელის აზრით, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მიმდინარე ყველა დიდ ბრძოლას, ეკონომიკური და სამხედრო მიზნებიდან გამომდინარე, ანაცვლებდა ,,მცირე ომი” ანუ იგივე - მეკობრეთა ომი, რაც გაცილებით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვდა.[410] სწორედ ხმელთაშუა ზღვის ეს შესანიშნავი ანალიტიკოსი გამოყოფს ორ ცნებას - ,,დიდი“ და ,,მცირე ომი“. მეკობრეების მცირე ომი შურისძიების ხასიათითაც გამოირჩეოდა.

---

[405] Eltis, 2001, გვ. 17-46.

[406]ცნობები დაცულია ესპანეთის ისტორიის ეროვნულ არქივსა და მადრიდის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. AHN, Códices, დოკ., 117-147, BNE, mss., 2727, საქაღ, 1-3; 2963, 2974.

[407] ესპანურად ,,სამება“ და ,,წყალობა“ (თ. ხ.).

[408] Martínez Torres, 2008, გვ. 227-229.

[409]ინგლისელი კაპიტანი, უილიამ გარეტი, დატყვევებულ თურქებსა და მაღრიბელებს ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროებზე და კარტახენაში ჰყიდდა. BNE, mss. 3 865. ჰუგო გროციუსი ესპანეთის მონარქს ,,ესპანეთების მონარქად“ მოიხსენიებდა. მისი ბატონობა XVI საუკუნეში ,,ნეპტუნის ზღვაზე მმართველობასთან“ იყო შედარებული (Guerreiro, Afonso, [1581], გვ. 24-29).

[410] Braudel, 1987, გვ. 501.

ესპანეთიდან (ექსტრემადურა, კასტილია, ანდალუსია) დევნილი მუსლიმები თუნისში, ალჟირში, ბუგიის ტეტუანსა და სალეში იყვნენ განსახლებული. მათთვის ქრისტიანი ვაჭრების ხომალდების ძარცვა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა. ვიდრე ტყვეების საკითხში ჰაბსბურგების პოზიციას ან, ზოგადად, ევროპელი მონარქების თუ სასულიერო პირების მონაწილეობას შევეხებოდეთ, არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ოსმალეთის იმპერიას ტყვეთა გატაცებისა და სყიდვის მექანიზმი უკვე კარგად ჰქონდა შემუშავებული და ხშირად სახელმწიფოს სისტემურ ორგანიზებას იყო ამოფარებული.

სულტან მურად II-ის (1421-1444, 1446-1451) მიერ განხორციელებული რეფორმების მთელი რიგი აღნიშნულ ,,პრობლემასაც" არეგულირებდა. დევშირმეს კანონის მიხედვით, ქრისტიანული მოსახლეობის იენიჩართა რიგებში სისტემატურად უნდა ჩარიცხულიყვნენ ახალწვეულები. მათ, ცხადია, დაპყრობილი ტერიტორიებიდან იტაცებდნენ ან ისინი ,,საგადასახადო ვალდებულების" ფარგლებში მიჰყავდათ. თუმცა, გარკვეული მოსაზრებით, დასაწყისისთვის - აღმოსავლეთ ევროპის მიწიდან.[411] ვახდენთ ციტირებას მ. სვანიძის წიგნიდან: ,,წელიწადში ყოველ 10 ოჯახს 5 ან 3 ბავშვი უნდა გაეგზავნა იენიჩართა კორპუსისთვის. ამისთვის ოსმალეთში არსებობდა სპეციალური ორგანიზაცია ,,აჯემი ოღლანი" (,,უცხოელი ბიჭები"), სადაც თავს უყრიდნენ დევშირმეს წესით შეგროვილ ქრისტიან ყმაწვილებს".[412] ბავშვებს სპეციალური ოფიცრები - ჩორაბაჯიები აგროვებდნენ.[413] ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონებულ მეკობრეობას და დასავლეთ ევროპიდან ტყვეების გატაცებას ერთდროულად გააჩნდა როგორც მსგავსი, ასევე განსხვავებული შინაარსი.

ტყვეების გატაცება, ტყვეთა საცხოვრებელი პირობები მათი გამოყენება შესაბამისი ზრახვებისთვის ერთგვარად დიფერენცირებული იყო. ხოსე ანტონიო მარტინეს ტორესი იშველიებს თუნისელი ისტორიკოსის სადოკ ბუბაკერის

---

[411] ფუთურიძე, 1957, გადასახადები... გვ. 259.
[412] სვანიძე, 2007, გვ. 34.
[413] ფუთურიძე, 1957, გადასახადები... გვ. 259.

კვლევას. მისი ცნობებით, 1652-1665 წლებში თუნისელმა მეკობრეებმა ლივორნოდან და მარსელიდან მომავალი 18 ევროპული ხომალდი იგდეს ხელთ.[414] მუსლიმთა მონაგების ზუსტი ციფრის დათვლა თითქმის შეუძლებელია, რადგან ყველა ძარცვა დაფიქსირებული არაა.[415] ქრისტიანთა ტყვეობიდან დახსნა ესპანეთის მონარქების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა.

ვითარება უფრო გართულდა XVII საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც მეკობრეობაში ინგლისელები და ჰოლანდიელებიც ჩაერთვნენ. მაღრიბელი მეკობრეები ინგლისელებთან დაკავშირებას ცდილობდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, კათოლიკურ ევროპას ეპაექრებოდნენ. მოცემული გარემოება ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიოგრაფიაში შეიძლება ბარბარულ-ინგლისური ან ანგლო-თურქული მეკობრეობის სახელით მოვიხსენიოთ. ამ შემთხვევაში, საკითხი არ განიხილება მხოლოდ მუსლიმურ-ქრისტიანულ ანტაგონიზმად. შეხება გვაქვს ევროპის შიდა რელიგიური დაპირისპირების განშტოებასთან. ანგლო-მუსლიმური მეკობრეობა უპირისპირდებოდა პროტესტანტიზმის წინააღმდეგ მებრძოლ პორტუგალიას, ესპანეთსა და საფრანგეთს. ინგლისი გამოდიოდა ყველაზე ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ, რომელიც მითითებულ პერიოდში საზღვაო მარშრუტების მფლობელად გვევლინებოდა.[416] ინგლისელებთან ერთად, ჩრდილოაფრიკელ მეკობრეებს უკავშირდებოდნენ ჰოლანდიელებიც. როგორც ჯილ ჰარისი შენიშნავს, ინგლისელი მეკობრე ჰენრი მაინვარინგი მხოლოდ ესპანურ ხომალდებს ესხმოდა თავს.[417] ცხადია, კათოლიკური ევროპა ზღვაზე მოთარეშე მუსლიმებს ან პროტესტანტებს ერთიანი

---

[414] Martínez Torres, 2005-2006, გვ. 72.

[415] შეგვიძლია მოვიშველიოთ რობერტ დევისის კვლევის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 1582-1690 წლების შუალედში მაღრიბელმა მეკობრეებმა 49 460 ადამიანი დაატყვევეს ანუ, წელიწადზე გათვლით, 458 ადამიანი (Davis, 2001, გვ. 91-93).

[416] 1604 წელს ჰაბსბურგებთან დადებული შეთანხმების შემდეგ, ინგლისის სამეფო კარი ოფიციალურ ბრძოლებში ესპანეთს პირდაპირი სვლებით აღარ უპირისპირდებოდა და მეკობრეების მოქმედებებს ეფარებოდა. შესაბამისად, ჰაბსბურგთა ესპანეთის მონარქიას ორი მიმართულებით უხდებოდა ბრძოლა - აღმოსავლეთით ოსმალეთის იმპერიის, ხოლო დასავლეთით ინგლისის სამეფოს წინააღმდეგ (Fuchs, 2001, გვ. 121).

[417] Gil Harris, 2004, გვ. 152.

ძალით არ დაუპირისპირდებოდა. აღნიშნული პრობლემის წინააღმდეგ გამოსვლა საკმაოდ განსხვავდებოდა ლეპანტოს ბრძოლაში გაერთიანებული ევროპელების სულისკვეთებისგან. საქმე გვაქვს სავაჭრო ინტერესების თანხვედრასთანაც. ძირითადი ევროპული სამეფოები ინდივიდუალურად ცდილობდნენ ,,მაღრიბელი მეკობრეების კოშმარის“ მოგვარებას. ესპანეთის მონარქიამ 1615 წელს მეკობრეთა წინააღმდეგ დეკლარაციაც კი გამოაქვეყნა.[418]

ინგლისმა და საფრანგეთმა მუსლიმების მეკობრული ექსპანსია მათსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენა; ქრისტიანი ტყვეების დახსნის მოტივით, 1621 წელს ინგლისმა ალჟირს შეუტია, ხოლო 1629 წელს ლუი XVIII-მ - სალეს, საიდანაც 420 ფრანგი გაანთავისუფლეს. მოგვიანებით კი ფრანგებმა ქალაქი ალჟირიც დაბომბეს.[419] მადრიდის ეროვნულ ისტორიულ არქივში დაცული მასალებიდან ვგებულობთ, რომ 1539-1696 წლების შუალედში ესპანეთის, საფრანგეთის და პორტუგალიის მიერ განხორციელებული მოლაპარაკებებით, სრული აღრიცხვით, მაროკოსა და ალჟირიდან 19 299 ტყვე იქნა გამოხსნილი.[420] ზუსტი რიცხვის დადგენა ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია, რადგან საკითხი გარკვეულწილად მონოპოლისტური ხასიათით გამოირჩეოდა და ყველა ცალკეული მაგალითი არ აღინუსხებოდა.[421] სიმანკასის არქივში დაცული ცნობებით ირკვევა, რომ ტყვეთა ოჯახის წევრები მადრიდში სამეფო კარზე ჩადიოდნენ და უშუალოდ მონარქისგან ითხოვდნენ დახმარებას.[422] ტყვეების გამოსყიდვის საკითხში ესპანელი მონარქებისგან განსხვავებულ გზას ადგნენ გენუის, ნეაპოლის, პალერმოს მმართველები, ანუ იტალიის ქალაქების მესვეურნი, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებოდნენ. ისინი ტყვეების დასახსნელად მიმართავდნენ არჩიკოფარდებს, მაგისტრებს, სხვადასხვა სავაჭრო კომპანიებს. მნიშვნელოვანი იყო ასევე რომის

---

[418] McCabe, 2008, გვ. 86.

[419] McCabe, Ib., გვ. 94.

[420] AHN. Códices, გვ. 117-141.

[421] BNM. mss. 2.727, 2.963, 2.974.

[422] AGS. Comisaría de Cruzada. mss. 286, 287, 288.

პაპათან თანამშრომლობა. ხშირ შემთხვევაში, ხდებოდა ტყვეების მხოლოდ გარკვეული რიცხვის განთავისუფლება, ვგულისხმობთ, ე. წ. პრივილეგირებულ ტყვეებს: სამხედრო წოდებას, ჯაშუშებს. ტყვეების გამოხსნის საქმეში აქტიურობდნენ რომის ,,გონფალონე“, ბოლონიის ,,წმინდა მარია“, ნეაპოლის ,,წმინდა სამეფო სახლი“, გენუის ,,მაგისტრატურა“.[423] თუმცა, პაპ გრეგორიუს XIII-თან შეთანხმებით, ყველაზე აქტიური მაინც იყო რომის ,,გონფალონეს“ მონაწილეობა. მისი დახმარებით, 1585-89 წლებში ალჟირიდან 271 ტყვე გამოიხსნეს.[424] 1590 წლიდან განთავისუფლებულ ტყვეთა რიცხვი მცირეა, რაც სავარაუდოდ, ტყვეთა სყიდვის ფასების ცვლილებაზე მიგვითითებს. გამოსყიდვის ფასი დამოკიდებული იყო მათ ასაკზე, სქესზე, წარმომავლობაზე. ჩვეულებრივ უბრალო ტყვეებს და წარჩინებულებს ან ოფიციალურ მომსახურე პირებს შორის ფასები სამმაგად განსხვავდებოდა, შესაბამისად, მათი გამოსყიდვაც რთულდებოდა. 1642 წელს ესპანური ხომალდის კაპიტნის, 46 წლის რაფაელ კარმონას, რომელიც ,,მავრებისა და თურქების მიერ, ხუთი ხომალდით და ორი ფრაგატით იქნა აყვანილი“, გამოხსნის ფასი 18 218 რეალს შეადგენდა. სოციალური მდგომარეობა, ცხადია, ტყვეეთა ბაზარზეც განსაზღვრავდა ფასებს. 1690 წელს ერთი მონა-ტყვის ,,ღირებულება“ 400-დან 1500 ლიბრამდე მერყეობდა.[425]

ნაშრომში მითითებული ყველა ისტორიული დოკუმენტის და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის შედეგად, შეგვიძლია, ვარაუდი გავამყაროთ იმ საკითხის ირგვლივ, რომ ,,ხოტბაშესხმული“ მაღრიბელი მეკობრეები მხოლოდ ოსმალეთის იპერიის სულტნების დავალებით როდი მოქმედებდნენ. მეკობრეთა აღნიშნული აქტიურობა იბერიის ნახევარკუნძულიდან მათი გამოძევებისთვის ერთგვარ შურისძიებას წარმოადგენდა. ალჟირის ჩრდილო-დასავლეთით დასახლდნენ კორდობადან გადასული მორისკოები, ფესში - გრანადელები, ხოლო

---

423 რელიგიური საძმოები (თ. ხ.).
424 Bono, 1993, გვ. 204-206.
425 Friedman, 1983, გვ. 124.

თუნისში - სევილიელები“;[426] ამდენად, ესპანეთიდან გადასული მორისკოების რაოდენობა ახალ ტერიტორიებზე საკუთარი ბატონობის განვრცობის და ,,ყოფილ სამშობლოზე“ შურისძიების სწრაფვას ცხადჰყოფდა. მოცემულ ისტორიულ კონტექსტში, არსებული მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს მუსლიმების მიერ ტყვეების კლასიფიკაციისთვის შერქმეული სახელები: ,,მეფის ტყვე“, ,,იძულებულები“, ,,სათავსოს ტყვეები“.

ტყვეთა ბაზრებს მყიდველის როლში სწორედ ის მუსლიმები, ებრაელები და მავრები სტუმრობდნენ, რომლებიც რეკონკისტას შემდეგ ევროპიდან იქნენ გაძევებული. მათ მიერ ნაყიდ ტყვეებს ,,აგუატისი“ ეწოდებოდა. კლასიფიკაციაში გაურკვეველ ადგილს იკავებდნენ ,,სათავსოს ტყვეები“ ანუ მფლობელის გარეშე ბაზარზე გაყვანილი სათადარიგო ტყვეები. ისინი ძირითადად შავი საქმიანობისთვის იყიდებოდნენ და ხშირად ტყვეობაში რჩებოდნენ. თავის მხრივ, მათი დიფერენცირებაც სამ კატეგორიად ხდებოდა: ქარავნის, სწავლების და მწმენდავები. რა თქმა უნდა, მათი საცხოვრებელი ადგილების ისტორიაც ადასტურებს ტყვეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუსაძლის ვითარებას. ქალების და ბავშვების გარდა, ზრდასრული ტყვეები ე. წ. ,,აბანოებში“ ცხოვრობდნენ. აფრიკის ჩრდილოეთში ,,აბანო“ ნიშნავდა მიწისქვეშა შენობას ორი ან სამი სართულით ქვემოთ, ხოლო ოთახში 20 ადამიანის ტევადობის ფართით. მისივე შემადგენლობაში შედიოდა ფუნდუკი ან ტავერნა, სადაც ტყვეებს საკვების და სასმელის შეძენა შეეძლოთ.

უცნობია, თუ რამდენი ასეთი აბანო იყო მაროკოში XVI-XVII საუკუნეში. ვიცით, რომ ალჟირში, თუნისსა და ტრიპოლში 18 აბანო მოითვლებოდა და მათში მთლიანობაში 15 559 ტყვე აღირიცხებოდა.[427] ტყვეების ცხოვრების სურათს ავსებს მათი გარდაცვალების შემთხვევების სიმრავლე. სიკვდილიანობა ძირითადად აბანოებში არსებული უმძიმესი საყოფაცხოვრებო პირობებით, ტიფით, შავი ჭირით

---

[426] ტიკაძე, 2008, გვ. 118.
[427] Bono, 1964, გვ. 220-221.

იყო გამოწვეული. გარდაცვლილთა რიცხვზე მაროკოს მაგალითით შეიძლება საუბარი, სადაც 1684 და 1699 წლებში 1287 ტყვე გარდაიცვალა ანუ - 87 დღიურად.[428] კონტროლის მიუხედავად, ხშირად ხდებოდა ტყვეების მიერ შეთქმულების მოწყობა და გაქცევა, ზოგჯერ საკმაოდ განსაკუთრებული სახით. გაქცეული ტყვეების თავშეფარების ადგილს საკუთრივ მაღრიბულ სანაპიროებზე მდებარე ესპანური გარნიზონები წარმოადგენდნენ.[429]

1577 და 1590 წლებში იტალიელი კურჩო პაპანტე და მიგელ ბოკანოტრა ბერძენ ქალზე დაქორწინებულ ალჟირელ დიდმოხელესთან მსახურობდნენ. ორი წლის შემდეგ, ტყვეებმა მისი მოწამვლა და რომში გაქცევა განიზრახეს და განზრახვა სისრულეშიც მოიყვანეს. ალმერიაში 1514 წელს დაბადებული ლორენცო ელ ხარკი 30 წლის ასაკში დაატყვევეს, იგი ხომალდიდან გადახტა, გადარჩა და ესპანეთში დაბრუნებული ომის საბჭოს წევრებს ეახლა.[430] სამეფო კარზე გამოცხადება ყოფილი ტყვეებისთვის კომპენსაციის გადაცემას ნიშნავდა. რომის პაპი ცდილობდა, ტყვეთა გამოხსნის მცდელობებში ესპანეთის მონარქებს არ ჩამორჩენოდა და ზრუნვა აქტიური მონაწილეობით დაედასტურებინა.

ცნობილია, რომ რომის პაპი სიქსტუს V (1585-1590) გაქცეულ ტყვეებს აჯილდოვებდა. სიქსტუს V, წარმოშობით სერბი სრეჭკო პერიჩი, ოჯახთან ერთად რაგუზიდან წავიდა და ანკონის მახლობლად, გროტამარეში დასახლდა. სიღარიბეში გაზრდილი პერიჩი ჯერ ფრანცისკანელთა ორდენის გენერალი და კარდინალი გახდა, ხოლო გრეგორიუს XIII-ს გარდაცვალების შემდეგ - რომის პაპი.[431] ერთხანს ინგლისის ტახტის ქომაგი, ფელიპე II-ის კათოლიკურ პოლიტიკასაც ემხრობოდა და ტყვეთა საკითხში რეფორმის ავტორიც ამიტომ იყო.

---

428 BNM. Sección África, 7.782. f. 120.

429 Hershenzon, 2018, გვ. 63.

430 AGS. Leg. 27. f. 142. მათი უმეტესობა ზუსტად ევროპის სამხრეთ სანაპიროებზე იყო ტყვედ ჩავარდნილი. აბანოების სისუფთავის დაცვა ევალებოდათ ,,გადარჩენილ“ ტყვეებს, რომლებსაც ხარისხის იდენტიფიცირებისთვის კისერზე რგოლი ჰქონდათ გაკეთებული. ტყვეების დათვლის შემდეგ აბანოს კარს კეტავდნენ. ტყვეთა კონტროლისთვის გამოიყენებოდა, როგორც დასჯა, ასევე დაპირებები. სასჯელად იღებდნენ გაშოლტვას მუცელსა და ფეხებში.

431 Lortz, 2008, გვ. 274.

გარკვეულ პერიოდში, საფრანგეთის დაპირისპირებით, ესპანეთის იმპერიის ძლიერების ბალანსის შენარჩუნებასაც ცდილობდა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული მიმართულებით საკმაოდ მოქნილად მოქმედებდა. ტყვეთა გამოსყიდვა მედიტერანიზმის ცივილიზაციური გზაჯვარედინის შემადგენელ ელემენტად უნდა წარმოვიდგინოთ. ზოგადად, ადამიანური ტრაგედიის მაგალითები განსაზღვრავდნენ ორი იმპერიული ძალის, დასავლეთის და აღმოსავლეთის, ინტერესების კვეთას. დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში აზანოების არსებობა განიხილება, როგორც XX საუკუნეში ევროპის მიერ დაბრუნებული ისტორიული გამოძახილი, და შედარებულია ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებსა და საბჭოთა გულაგებს.[432]

ესპანეთის მონარქია ტყვეთა გამოსყიდვის საკითხში აქტიურობის გამო, მედიტერანიზმის სივრცეში გარკვეულწილად, მარტო მოქმედებდა. მერაბ ტიკაძე ჰაბსბურგების საგარეო პოლიტიკის განსაზღვრებად ხშირად მიმართავს ტერმინებს ესპანეთის ,,ექსპანსიის გაფართოვება“ ან ,,ესპანეთიდან მომდინარე საფრთხე“;[433] თუმცა, ჩვენ ვერ ვიტყოდით, რომ ექსპანსია ან საფრთხე ჰაბსბურგების მხრიდან იმ საშიშროებისგან თავდაცვას არ გულისხმობდა, რომელიც ოსმალეთის იმპერიიდან, მის სამსახურში მყოფი მეკობრე სახელმწიფოებისა და თვით მეკობრეებისგან მოდიოდა.

ომით ცხოვრება ოსმალეთის იმპერიისთვის უფრო იყო დამახასიათებელი, ვიდრე ესპანეთის მონარქიისთვის. რომის პაპები ცდილობდნენ, ტყვეთა სავაჭრო პრობლემა მონარქებისგან დამოუკიდებლად მოეგვარებინათ; საფრანგეთი კი, მაგალითად, მეკობრეებთან ურთიერთობას ესპანეთის უნივერსალური იმპერიის საწინააღმდეგოდ მოხერხებულად იყენებდა და, ამ გზით, მეტ სარგებელსაც ნახულობდა. მედიტერანიზმის ეპოქის სახელმწიფოები ხმელთაშუა ზღვაზე საკუთარ თამაშს თამაშობდნენ.

---

432 Martínez Torres, 2005-2006, გვ. 84.
433 ტიკაძე, 2012, გვ. 119-120.

# თავი 5

# ესპანეთისა და ოსმალეთის იმპერიების ანტაგონიზმის დასაწყისი

## 5.1. კათოლიკური მონარქიის „მესიანური როლი“

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ოსმალეთის სულტნები, ცხადია, უშუალოდ ესპანეთის მონარქიას არ დაპირისპირებიან. 1516 წლამდე, ვიდრე კათოლიკე მეფეების შვილიშვილი, პრინცი კარლოსი ესპანეთის მეფედ, კარლოს I-ად გამოცხადდებოდა, ადგილი ჰქონდა რეგიონში მიმდინარე მთელ რიგ პერიფერიულ მოვლენებს. ფერნანდო არაგონელის ხმელთაშუაზღვისპირული საგარეო პოლიტიკა ნეაპოლის სამეფოში დამკვიდრებით გამოიხატებოდა. თურქების სამხედრო გადაადგილებები ეგეოსისა და ადრიატიკის ზღვებზე, პირველ რიგში, იტალიიის ქალაქ-სახელმწიფოს, ვენეციას, უქმნიდა უდიდეს პრობლემას. ოსმალებმა 1459 წელს დაიპყრეს სერბეთი, შეიერთეს უკანასკნელი ბიზანტიური ნაშთები, 1460-1461 წლებში ასევე დაიკავეს მორეა და ტრაპიზონის იმპერია, ხოლო 1463 წელს, ბოსნიის დაქვემდებარების შემდეგ, ვენეციის ჭიშკართანაც მივიდნენ.[434] 1463-1479 წლებში თურქები ძირითადად ვენეციასთან ომით იყვნენ დაკავებული, რომელიც 1479 წლის ზავით დასრულდა.[435] სელიმ I-ის მმართველობის დროს იმპერიის საგარეო პოლიტიკა ძირითადად სირიის, პალესტინის, ეგვიპტის დაპყრობას დაეთმო. შეიძლება ითქვას, დასავლეთის მიმართულებით, ოსმალები სულეიმან I-მდე (1550-1566) მხოლოდ ევროპის პერიფერიებსა და არაბეთის ნახევარკუნძულის სანაპიროებზე მოქმედებდნენ.[436] ევროპის მონარქების განრიდება თურქული საკითხიდან ვენეციის ომების მაგალითზეც არის გადმოცემული, როდესაც იტალიური ქალაქ-სახელმწიფო

---

[434] Finkel, 2006, გვ. 63.
[435] Babinger, 1978, გვ. 369.
[436] Bádenas de la Peña; Pérez Martín, 2003, გვ. 281.

ოსმალების შეტევებს მოკავშირეების გარეშე უმკლავდებოდა.[437] ეს კიდევ ერთი მაგალითია, იმისა, თუ რამდენად არ იყო საფრთხე გააზრებული, და, რამდენად მოქმედებდა ფსიქოლოგიური მომენტი: არ ჩარეულიყვნენ ახალი მტრის წინააღმდეგ, მით უფრო, მუსლიმური შეტევა, არაბების სახით (მართალია, ისინი ცენტრალურ კონტინენტურ ევროპაზე არ გადასულან), უკვე გამოცდილი ჰქონდათ. 1480 წელს ოტრანტოს დაკავების შემდეგ ვენეციამ თურქებს შესთავაზა, იტალიიის რამდენიმე სანაპირო ქალაქისა და უნგრეთის კავშირში შესულიყო. ამით ფაქტობრივად აღიარებული იქნა ოსმალების მიერ ბრინდისის, ტარენტოს, ოტრანტოს, ნეგროპონტეს, ლემნოსის და ალბანეთის ვენეციური ნაწილის დაკავება.[438] 1490 წელს რომის პაპმა ინოკენტი VIII-მ (1484-1492) პირველი დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ოსმალეთის იმპერიასთან. პაპის პოლიტიკა შეკავების სტრატეგიას წარმოადგენდა. ამავე წელს მუსტაფა ბეი, სულტნის წარგზავნილი ინოკენტი VIII-თან, რომში შესაბამისი შეტყობინებით ჩავიდა. ოსმალეთის მბრძანებელი გეგმავდა, აღმოსავლეთ ევროპაზე შეტევა სამი მიმართულებით განეხორციელებინა: ჩრდილოეთით - უნგრეთი, ვლახეთი, ნეგროპონტე, სამხრეთით - საბერძნეთის კუნძულებისკენ და ცენტრში - ალბანეთისკენ.[439] თავის მხრივ, დასავლეთ ევროპელი მონარქები, ცხადია, პაპთან შეთანხმებით, ასევე სამი მიმართულებით სვლას განიხილავდნენ, სადაც წარმომადგენელი მხარეები იქნებოდნენ: პირველი - რომის საღვთო იმპერია, უნგრეთი, ბოჰემია, პოლონეთი, იტალიური სახელმწიფოები, მეორე - ესპანეთის

---

[437] ვენეციასთან მიმდინარე ომების ერთ-ერთი მიზანი ჰაბსბურგთა კარის დასუსტებაც იყო. სულ წარმოებული შვიდი ომიდან, ლეპანტოს ბრძოლამდე, ოსმალეთი სამჯერ დაუპირისპირდა ვენეციის უზენაეს რესპუბლიკას: **პირველი** ომი მიმდინარეობდა 1463-1479 წლებში და დასრულდა ვენეციისთვის ნეგროპონტეს, ლემნოსისა და ალბანეთის სანაპიროს ჩამორთმევით. **მეორე** ომი წარიმართა 1499-1503 წლებში, რომლის შედეგადაც, ოსმალებმა დაიკავეს ეგეოსის ზღვის კუნძულები და ვენეციის სიმაგრეები პელოპონესში. **მესამე** ომს 1537-1540 წლებში შედეგად მოჰყვა თურქების მიერ კიკლადების კუნძულის დაკავება. **მეოთხე** ომის (1570-1573) ფარგლებში მოხდა ოსმალების მიერ კუნძულ კვიპროსის დაკავება და ლეპანტოს ბრძოლა, თუმცა, ესპანეთის მეფეს სურდა, ლეპანტოს ტრიუმფი ესპანეთის მონარქიის ოსმალეთის იმპერიაზე პირად გამარჯვებად აღქმულიყო (Finkel, 2006, გვ. 40-41, 60-62).

[438] Bádenas de la Peña; Pérez Martín, 2003, გვ. 281.

[439] Setton, 1976, გვ. 418-422.

იმპერია, პორტუგალიის სამეფო, მესამე - საფრანგეთი და ინგლისი.[440] მხარეებმა ფაქტიურად ერთმანეთს მეტოქეზე თავდასხმის გეგმა გაუზიარეს. აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნის დასაწყისში არსებობდა კიდევ ერთი მილიტარული მონახაზი, რომელიც გალიპოლის ეპისკოპოსმა, ალექსის სელადონიმ შეიმუშავა 1501 წელს.[441] დაგეგმილი იყო ორი სახმელეთო და ერთი საზღვაო შეტევა, რომელთაგან ერთს კარლოს V-ის ძმა საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი მაქსიმილიანე I გაუძღვებოდა (მოცემული გეგმა ევროპელებს სახმელეთო ჯარის მეოხებით უნდა განეხორციელებინათ), მეორე თავდასხმას ფრანგები და ბრიტანელები უნდა ჩადგომოდნენ სათავეში; ხოლო მესამე, საზღვაო შეტევაში, ნავარის და პორტუგალიის სამეფოებთან ერთად, ესპანეთის ფლოტი ერთვებოდა, ფერნანდო არაგონელის მეთაურობით. აღნიშნულ კამპანიაში ესპანეთის მხარდაჭერის მიღება მნიშვნელოვანი ტერიოტიული დათმობის სანცვლოდ განხორციელდა. მაქსიმილიანე ჰაბსბურგმა 1500 წლის ნოემბერში, გრანადის შეთანხმებით, ნეაპოლი და აბრუტო საფრანგეთს დაუთმო, ხოლო აპულია და კალაბრია - ესპანეთს.

1969 წელს ესპანეთში ალბას სახლის მიერ გამოქვეყნდა უცნობი მემატიანეს მიერ დაწერილი ,,კასტილიური ქრონიკა“.[442] მასში აღნიშნულია, რომ 1457 წელს კასტილიის მეფე ენრიკე IV-ს (1454-1474) აცნობეს, რომ პაპ კალიქსტუს III-ს (ერისკაცობაში ესპანელი ალფონსო დე ბორხა) ბულა გამოუცია, რომლითაც კათოლიკე მეფეებს მუსლიმების წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდებდა.[443] მართალია, პაპის აღნიშნული ბულა გრანადელ მავრებს ეხებოდა, მაგრამ პაპის მიერ ესპანეთის მეფეების თურქებისგან დასაცავად გამოწვევა, ოსმალების გააქტიურების გამო, წმინდა საყდრის შეშფოთებას ცხადჰყოფდა; პირველად 1446 წელს რომის პაპმა ეუხენიო IV-მ კასტილიის მეფე ხუან II-ს (1406-1454) მოუწოდა,

440Bádenas de la Peña; Pérez Martín, Ib., გვ. 283.
441Eubel; Gauchat, 1913-1978, გვ. 157.
442 ალბას სახლი - ალბა დე ტორმესის საგრაფოს მოკლე წოდება (თ. ხ.).
443 Bádenas de la Peña; Pérez Martín, Ib., გვ. 324.

ევროპა ურჯულებისგან დაეცვათ. ენრიკე კასტილიელის შემდეგ, 1530 წელს კარლოს V-ის ბოლონიაში კურთხევის დროს, კლემენტი VII-მ ახალ იმპერატორს დახმარებისთვის მიმართა. შემდეგ უკვე, 1539 წელს პავლე III-მ ესპანეთის მეფეს შესთავაზა, ოსმალების წინააღმდეგ ქრისტიანობის დასაცავად, ევროპას დახმარებოდა; მაგრამ კარლოს V-თან გაუარესებული ურთიერთობის გამო, აღნიშნული მიმართვის გაგზავნა იულიუს III-ს მოუწია, ისიც მხოლოდ 1555 წელს და ფელიპე II-თვის. 1562 წელს ამჯერად პიუს IV-მ ითხოვა დახმარება, 1566 წლის 26 დეკემბერს - კი პიუს V-მ.[444] აღნიშნული მიმართვების გათვალისწინებით, წმინდა ეპარქია ევროპის მხსნელად ვერ წარსდგებოდა, ვინაიდან მას მედიევალური გავლენა აღარ გააჩნდა. ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ, რომის პაპებს მონარქების დარწმუნებაც კი უჭირდათ, რათა ისინი ,,წმინდა ლიგებში" გაერთიანებულიყვენენ. ოსმალეთის ერთადერთი შემაკავებელი ფორმულა კი იყო ესპანეთი-იმპერია-ეკლესია.[445] ევროპის კათოლიკური სამყარო ესპანეთის სამეფო კარს სთხოვდა დახმარებას, სწორედ აქედან ჩამოყალიბდა კასტილიის მეფეების ,,მესიანური მისიის" ალეგორია, რომელიც ყველაზე უკეთ კარლოს V-ის ეპოქაში იყო წარმოჩენილი. თუმცა, ისაბელ I კასტილიელს და ფერნანდო II არაგონელს ამავე იდეით ებოძათ ,,კათოლიკე მეფეების" ტიტული რომის პაპ ალექსანდრე VI-გან (როდრიგო დე ბორხა). ოსმალეთის სულტნების იდეურ-რელიგიური პროპგანდისთვის (,,ურჯულო ქრისტიანთა წინააღმდეგ" ისლამისთვის მებრძოლ იმპერიასთან დასაპირისპირებლად), აუცილებელი იყო შესაბამისი იდეოლოგიის გამოყენება. ევროპის უძლიერეს მონარქებს სწორედ ეს მესიანური ,,ტვირთი" უნდა აეღოთ საკუთარ პასუხისმგებლობად; თანაც, რომის პაპი ბევრად იყო დავალებული კათოლიკე მეფეებისგან. სწორედ ამიტომ, კალიქსტუს III-მ ჯერ 1493 წლის 4 მაისს გამოსცა ბულა, რომლითაც დასავლეთით ,,ყველა აღმოჩენილი თუ

[444] Fernández Duro, 1888, გვ. 575.
[445] Cadenas y Vicent, 1990, გვ. 59.

აღმოსაჩენი“ მიწა ესპანეთის მონარქიის კუთვნილებად ცხადდებოდა;[446] ხოლო 1496 წელს კასტილია-არაგონის ტახტის ერთიანობას ,,კათოლიკე მეფეების“ ტიტული მიანიჭა.[447]

რომის პაპების და ესპანეთის მონარქების ურთიერთდამოკიდებულება ქვეყანაში ჰაბსბურგთა საგვარეულოს დამკვიდრების შემდეგ შესამჩნევად შეიცვალა. კარლოს V-მ, უკვე რომის საღვთო იმპერიის იმპერატორმა, რომის პაპს, სასულიერო კოლეგიასა და ევროპის სახელმწიფოების ელჩებს საკუთარი პოლიტიკური უპირატესობის დემონსტრირება განუცხადა 1536 წელს 17 აპრილს წმინდა საყდრის კონსისტორიუმის წინაშე ესპანურად წარმოთქმული სიტყვით. ცნობილია, რომ კარლოს V-მ მმართველობის ძირითადი პერიოდი ევროპაში მოგზაურობასა და ბრძოლებში გაატარა, ესპანეთში კი იშვიათად იმყოფებოდა და არც კასტილიურ ენას ფლობდა სათანადოდ. ამის მიუხედავად, ესპანეთის მეფის მიერ გაჟღერებული მიმართვა საჯარო სიტყვის უდიდეს ნიმუშად ითვლება.[448] საყურადღებოა, რომ საღვთო რომის იმპერატორი პირად და ქრისტიანობის პირველ მტრად, ოსმალეთის იმპერიამდე, ჯერ საფრანგეთის მეფეს, ფრანსუა I-ს (1515-1547) მიიჩნევდა: **,,წმინდაო მამავ, უპატივცემულესო კოლეგიავ, დამსწრე პატივცემულო და დიდებულო რაინდებო, ღრმად მწამს, რომ თქვენ უწმინდესობას, ასევე ყველა დამსწრეთაგანს, ჩვენი და თქვენი წინამორბედებისგან გაცხადებული გექნებათ, რომ, წარსული დიადი დროიდან დღევანდელ აწყმომდე, ქრისტიანობის სიმშვიდეს ვეღწვი და ვეძიებ. მუდამ ამაყად მოსურნე ვიყავი, ღვთისგან ბოძებული ძალა და სიდიადე წარმართებისა და ურწმუნოების, ჩვენი კათოლიკური რწმენის მტრების წინააღმდეგ განმეხორციელებინა. უდავოდ, თქვენი უწმინდესობის და ყველა თქვენგანისთვის შესამჩნევი იქნება საფრანგეთის**

---

[446] ალექსანდრე VI მიერ გამოცემული ბულა Inter Caetera II - ,,სხვა საკითხებთან ერთად“ სევილიის ინდიელების მთავარ არქივში არის დაცული (Davenport, 1917, გვ. 71).
[447] Fernández de Cordova Miralles, 2005, გვ. 450.
[448]კარლოს V-ის ბიოგრაფი ვისენტე კადენასი შენიშნავს, რომ ვერასდროს გავიგებთ მეფის მიერ წარმოთქმული სიტყვის სრულ შინაარს, ვინაიდან მხოლოდ ფრაგმენტების სახით შედგენილი არასრული ვერსიაა დაცული (Cadenas y Vicent, 1982, გვ. 18).

**მეფის ხელის შემშლელი მოქმედებები; ვგულისხმობ, ქრისტიანობის სიმშვიდისთვის უწყვეტ ომს, რომელიც ღვთის მეოხებით, შესაძლებელი და მიმართული იყო ჩვენი მტრის წინააღმდეგ. და ამ ჭეშმარიტებას ნათლად ცხადჰყოფენ წარსულის მტკიცებულებები, როგორც საღვთო იმპერატორ მაქსიმილიანესი, ასევე კათოლიკე მეფე ფერნანდოსი, ჩვენი დიადი ბაბუისა, რომლის შესახებაც, ვიცი, ჯერ კიდევ მკაფიოდ გახსოვთ“.**[449]

ესპანეთის მეფის გამოსვლა წარმოადგენდა დიპლომატიურ ნაბიჯს, იდეოლოგიურ შეტევას და სტრატეგიულ თავდასხმას ევროპის არაკეთილომსურნეებისა და ოსმალეთის იმპერიის მიმართ. კათოლიკურ იდეალიზმზე გათვლილი ტაქტიკური სვლა მით უფრო ფასეული იყო, როდესაც კონსტანტინოპოლის დაცემით გამოწვეული შუა საუკუნეებრივი აპოკალიფსური განწყობა, სამყაროს აღსასრულის მითიური შეგრძნება ჯერ კიდევ ღვიოდა ევროპის ცნობიერებაში.[450] როგორც ფერნანდო არაგონელი რელიგიის დამცველი პირველი მონარქის მანტიას ირგებდა, ასევე მეჰმედ II იყო ,,ისლამის პრინცი“, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთს კონსტანტინოპოლის კარიბჭესთან აერთიანებდა.[451] ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ,,ანტიოსმალური კოალიცია“ დასავლურ სამეცნიერო კვლევებში გვხვდება როგორც ,,საღვთო ლიგა“ ან ,,წმინდა ლიგა“ თურქების წინააღმდეგ.[452] ცხადია, ორივე მიმართება ერთი შინაარსის მატარებელია. კარლოს V-ის მმართველობის ხანაში ,,წმინდა ლიგის“ შეკრება 1538 წელს გახდა შესაძლებელი, მიუხედავად ესპანეთის მეფის და რომის პაპის პირადი დაპირისპირებისა. აღნიშნული ლიგის შექმნის უშუალო მიზეზს ალჟირელი მეკობრის ხაირ ად-დინ ბარბაროსას მიერ კუნძულ კორფუს (კერკირა) დაკავება და კალაბრიის სანაპიროებზე ალჟირელი მეკობრეების გახშირებული შეტევები წარმოადგენდა. ლიგის მთავარი წევრები იყვნენ რომის წმინდა საყდარი, ვენეციის

[449] Discurso de Carlos V, 1536, 17 de abril. http://www.cervantesvirtual.com.
[450] Varriale, 2017, გვ. 72.
[451] Varriale, Ib., გვ. 74.
[452]ესპანურ ლიტერატურაში ძირითადად ,,წმინდა ლიგაა“ დაფიქსირებული - La Liga Santa (თ. ხ.).

რესპუბლიკა, მალტის რაინდთა ორდენი და ესპანეთის ვასალები - სიცილიის და ნეაპოლის სამეფოები. აღნიშნულ კავშირში ყველაზე დამფრთხალი ვენეციის რესპუბლიკა ჩანდა. ოსმალების პირდაპირი მუქარა მისი მატერიალური რესურსების დიდ დანაკარგზე აისახებოდა.[453] საფრანგეთი, ცხადია, უარყოფდა ლიგის შემადგენლობაში მონაწილეობას. პარიზი და სტამბოლი შეთანხმებულად ცდილობდნენ კათოლიკური ერთობის რღვევას.[454] როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესპანეთის მეფისთვის ცხადი იყო ფრანსუა I-ის გეგმები. მიუხედავად ამისა, კარლოს V-ის ისტორიის დოკუმენტურ კორპუსში დაცული არის ცნობა, რომის საღვთო იმპერატორის მცდელობის შესახებ, რათა საფრანგეთის მონარქი ,,საღვთო ლიგის" წევრად გადაებირებინა. 1538 წლის 11 მარტის მოხსენებაში, ესპანეთის ელჩი რომში, მარკეს დე აგილარი მარია უნგრელს წერდა: მეფისგან მიღებული ჰქონდა დავალება: რომის პაპ პავლე III-ს საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-თან ეშუამდგომლა.[455]

1538 წელს ,,საღვთო ლიგის" შემადგენლობით მოეწყო პრევეზას ბრძოლა და 1539 წლის 18 ივლისიდან 7 აგვისტომდე კასტელნუოვოს აღება (ჰერცეგ ნოვის).[456] ლიგის მოქმედებების გაგრძელებას წარმოადგენდა ოსმალეთის გავლენის შესაჩერებლად წარმოებული 1541 წლის ალჟირის კამპანიაც.[457] განსაზღვრულ მიზეზთა გამო, მოცემულმა ,,საღვთო ლიგამ" დიდხანს ვერ გასტანა. 1547 წლიდან ურთიერთობა კარლოს V-ს და რომის პაპ პავლე III-ს შორის საკმაოდ დაიძაბა. მადრიდის სამეფო სასახლის ბიბლიოთეკაში კარდინალ ანტონიო პარენოტ დე გრანველას, კარლოს V-ის სახელმწიფო მდივნის, პირადი არქივის აღმოჩენის შემდეგ გაირკვა მეფესა და პაპს შორის არსებული ფარული ომის არსი. 1547 წლის 10 სექტემბერს პიაჩენცაში დაჭრეს პიერ ლუიჯი ფარნეზე, პაპის ვაჟი, რომელიც

---

[453] Arsenal; Prado, 2008, გვ. 22.
[454] Carlos V, Política y Religión. http//wwwcervantesvirtual.com.
[455] Corpus Documental de Carlos V, (1516-1539), 1973. გვ. 37.
[456] Bádenas de la Peña; Pérez Martín, 2004, გვ. 475.
[457] Martínez Ruiz; Giménez, 1994, გვ. 207.

ცოტა ხნით ადრე პიაჩენცის და პარმის გრაფად იყო დანიშნული. კარდინალ გრანველას და ესპანეთის მეფის ელჩს შორის წარმოებული დაშიფრული კორესპონდენციით, მეფისთვის ცნობილი გახდა, რომ ფარნეზეს ანდრეა დორიას, ესპანეთის ერთგული გენუელი კონდოტიერის, ლიკვიდაცია ჰქონდა დაგეგმილი. კარლოს V-მ ესპანეთის ელჩი მილანში დიეგო ფერანტე გონსაგა გააფრთხილა, ფარნეზეს წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო.[458] პავლე III კარლოს V-ს შვილის დაჭრასა და ,,იმ მიწების“ - პიაჩენცის და პარმის საგრაფოს მითვისებას სდებდა ბრალად. კარლოს V-ის და რომის პაპის დაძაბული ურთიერთობა დასავლურ ისტორიოგრაფიაში მათ შორის წარმოებული ,,ფარული ომის“ სახელს ატარებს. ფელიპე II-ის გამეფებამდე პაპის კურია ესპანეთის მეფეს პეტიციებს ვეღარ წარუდგენდა. სწორედ ამ საკითხში აისახება ესპანეთის მონარქების, მამისა და შვილის, მმართველობის კონტრასტული ასპექტები. კარლოს V იყო იმპერატორის დიადი იერის მატარებელი, დამოუკიდებელი სტრატეგი, რომელიც რომის პაპს საკუთარ ძალაუფლებას უმტკიცებდა; ფელიპე II კი - ,,სახელმწიფოს მმართველი“ და ,,უკიდურესად კათოლიკე მონარქი“, რომელიც, მონარქიის უნივერსალური პოლიტიკის ჟამს, რომის წმინდა საყდართან დიპლომატიურად თანამშრომლობდა.

## 5.2. ოსმალეთის იმპერიის ,,ტოლერანტობა“

ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში ბერნარდ ლუისი სამ მნიშვნელოვან ეტაპს გამოყოფს: 1453 წელი - კონსტანტინოპოლის დაკავება, 1529 წელი - ვენის პირველი ალყა, როდესაც კიდევ მეტად გაცხადდა ოსმალების იმპერიული ზრახვები, და 1699 წელი - კარლოვიცის ზავი, რომლითაც, მისი აზრით, ჰაბსბურგები და ოსმალები კი არ შეთანხმდნენ, არამედ - ქრისტიანობა და ისლამი.[459] კარლოვიცის ზავი გახდა მნიშვნელოვანი ეტაპი, რათა ოსმალეთის იმპერიის ევროპაზე 1453 წელს

---

[458] Bertomeu Masiá, 2009, გვ. 103, 151.
[459] Lewis, 2003, გვ. 273-277.

დაწყებული შეტევა შეჩერებულიყო. ლუისის შეფასებიდან ირკვევა, რომ ორი იმპერიის დაპირისპირების მთავარ საფუძველს რელიგიური იდეოლოგიის პროპაგანდა წარმოადგენდა. რომის იმპერიის შემდეგ ოსმალეთი ევროპის მიერ მეორე გლობალურ სამხედრო ძალად აღიქმებოდა. ოსმალური სახელმწიფოებრივი წყობის ყოველი სტრუქტურა ქრისტიანი მონარქების განსაკუთრეულ ინტერესს იწვევდა. ულემი, დევშირმე, კალემიე, დივანი, სანჯაყი, ვილაიეთი, იენიჩარი, მედრესე, ვეზირი და თიმარი - სახელმწიფოს თითოეული ინსტიტუციური დანაყოფი ორგანიზებული სახით იყო წარმოდგენილი და სახელმწიფოს ინტერესებს გამოხატავდა.[460] მათგან ბევრი ბიზანტიური მმართველობიდან იყო შეთვისებული, მაგალითად, გარკვეული მოსაზრებით, თიმარული სისტემა ბიზანტიურ გამოცდილებას ეფუძნებოდა.[461] ფინანსური აღწერა - ბაზ-ი დეფთერი ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკური ორგანიზებისთვის გამოიყენებოდა.[462]

ევროპისთვის სიახლეს წარმოადგენდა როგორც ოსმალეთის იმპერიის ორგანიზებული წყობა, ასევე ,,სხვა ისლამის“ თეოლოგიური და საგანმანათლებლო მოძღვრებები. ოსმალეთში არაბული ენა თეოლოგების ენად იყო გავრცელებული, რომელსაც მედრესეებში, მუსლიმურ სასწავლებლებში, ასწავლიდნენ.[463] სწორედ სისტემის ორგანიზებულობაში ხედავდა ფერნან ბროდელი ოსმალეთის იმპერიის ორიგინალურობას: ჯიჰადი, ,,საღვთო ომი“, ჯვაროსნობის მსგავსად, გამოწვეული იყო ცუდი ,,ეკონომიკური ამინდით“.[464] ესპანეთის მონარქიისგან განსხვავებით, ოსმალები ,,ახალი საზოგადოების“, ,,გვერდი-გვერდ“ თანაცხოვრების პოლიტიკას ჩინებულად იყენებდნენ.[465] მათ მიერ დაპყრობილი ხალხების ოსმალურ ცხოვრებაში ,,უვნებლად“ ჩართვა და მათი აღმსარებლობისთვის ხელშეუხებლობა

[460] Lewis, Ib., გვ. 216-217.
[461] Орешкова, 2010, გვ. 252.
[462] Орешкова, 1986, გვ. 40.
[463] Faroqhi, 1995, გვ. 37.
[464] Braudel, 1987, გვ. 328.
[465] Howard, 2017, გვ. 20.

საკმაოდ გათვლილად ხდებოდა.[466] კონსტანტინოპოლის დაცემას ქრისტიანების დევნა არ მოჰყოლია.[467] ოსმალეთის დიდი ვეზირების უმეტესობა სწორედ დაპყრობილი მოსახლეობიდან წარმოსდგებოდა: სელიმ II-ის დროს მეჰმედ სოკოლუ (სოკოლოვიჩი) იმპერიის ფაქტიური მმართველი იყო, ხოლო მისი ძმა, მაკარ სოკოლოვიჩი, კონსტანტინოპოლის პატრიარქად იქნა დანიშნული.[468] თუმცა, აღნიშნულ ,,შემწყნარებლურ პოლიტიკას" ვერ მივუსადაგებთ სელიმ II-ის მიერ შიიტების დევნას და ქვეყნიდან გაძევებას.[469]

ქრისტიანული სამყაროსთვის ,,საღვთო ომის" გამოცხადებამდე, ოღუზი თურქმანების მმართველს ერთოღლუს და მის შვილს ოსმან I-ს (1299-1326) სელჩუკებისგან განთავიუსფლება და ,,დამოუკიდებლობის" მოპოვება დასჭირდათ. 1299 წელს ოსმანმა სელჩუკებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. იმავე წელს სელჩუკებმა კონია დატოვეს, ოღუზი-თურქმანები კი ანატოლიაში დარჩნენ. 1299 წელი ითვლება ოსმალეთის იმპერიის არსებობის დასაწყისად.[470] 1301 წელს ოსმანმა იენიშეჰირი დაიპყრო და მომდევნო წელს ბიზანტიის იმპერიას ბურსასთან დაუპირისპირდა.[471] ანატოლიის შემდეგ ოსმალები ბალკანეთისკენ განაგრძობდნენ სვლას, ბიზანტიის იმპერიის დაპყრობა კი მათ ძირითად მიზანს წარმოადგენდა. 1232 წელს ოსმანის მმართველობის ქვეშ თურქებმა მუდანია დაიკავეს. ხოლო 1326 წელს - ბურსა და ის სატახტო ქალაქად გამოაცხადეს. ბურსას დაპყრობა ოსმანის მემკვიდრის, ორჰან I-ის დროს მოხდა.[472] მისივე მმართველობის ჟამს განხორციელდა სამხედრო და მიწის რეფორმები, რამაც ოსმალეთის იმპერიისთვის მორიგი ინსტიტუციური საფუძველის ჩაყრა განაპირობა.[473] 1331 და 1337 წლებში ოსმალებმა აიღეს იზნიქი და იზმითი, ხოლო მათ მიწებს 1345 წელს კარასის

[466] Панченко, 2019, გვ. 26.
[467] პაიჭაძე, 1989, გვ. 49.
[468] Панченко, 2019, გვ. 32.
[469] Новичев, 1963, გვ. 82.
[470] მახარაძე, 2005, გვ. 19.
[471] İnalcık, 1997, გვ. 97.
[472] Karekök, 2018, გვ. 59.
[473] მახარაძე, 2005, გვ. 20.

ბეილიქიც შეუერთეს.[474] ღაზის მებრძოლების სიმამაცეს საწყისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური წვლილი შეჰქონდა ანატოლიის ისლამური იმპერიის შესაძლებლობებში.[475] სამხედრო თუ რელიგიური საკითხები სახელმწიფოს იდეოლოგიას ემსახურებოდა. ბურსაში აგებული მეჩეთები პოლიტიკურ-იდეოლოგიური წარმომადგენლობით გამოირჩეოდა, თოფქაფის სასახლე და იედიყულეს ციხეც საიმპერიო სიმბოლოებად მოიაზრებოდა.[476]

ორჰან I-ის (1326-1359) მმართველობიდან საფუძველი ჩაეყარა ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაზე ოსმალეთის სულტნების პრეტენზიას. 1347 წელს ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VI კანტაკუზენმა (1347-1354) ქალიშვილი, თეოდორა მარია, ორჰანს მიათხოვა;[477] სწორედ ამ ეტაპიდან აითვლება ოსმალეთის სულტნების მიერ დინასტიური იდეებით მანიპულირება.[478] ბიზანტიის იმპერატორს ოსმალები ბალკანეთის ბრძოლებში დაეხმარნენ, რის სანაცვლოდაც 1353 წელს იოანე კანტაკუზენისგან გალიპოლის (გელიბოლუს) ნახევარკუნძულზე ციხე-სიმაგრე ჩიმპე (ბერძ. Τσιμπη) მიიღეს.[479] მათთვის უკვე გაცილებით ადვილი გახდა ბიზანტიაზე შეტევების განხორციელება. ისტორიული შეცდომები თვით ბიზანტიამ დაუშვა, როდესაც თურქებს საშუალება მისცა, სტრატეგიული ოლქები დაეკავებინათ.[480] ორჰანის მეკვიდრე, მურად I (1362-1389) სერბებთან ბრძოლით იყო დაკავებული და 1389 წელს კოსოვოს ველზე მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. მომდევნო სულტანმა, ბაიაზიდ I-მა (1389-1403), 1391 წელს შვიდთვიანი ალყის შემდეგაც ვერ შეძლო ბიზანტიის დედაქალაქის აღება.[481] თემურ ლენგის წინააღმდეგ წარმოებულ ანკარის ბრძოლაში ბაიაზიდის

---

474 Uzunçarşılı, 2003, გვ 124.
475 Faroqhi, 2006, გვ. 16.
476 Kreiser, 2001, გვ. 63, 76.
477 Nicol, 1996, გვ. 76-77.
478 Faroqhi, 2006, გვ. 20.
479 ორჰან I-ის მიერ განხორციელებული დაპყრობების და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეფორმების გამო, დასვალეთის ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ სწორედ იგი იყო ოსმალეთის იმპერიის რეალური ფუძემდებელი (Kia, 2011, გვ. 2).
480 Kafadar, 1995, გვ. 16.
481 Kia, 2011, გვ. 2.

დატყვევების და 1403 წელს მისი მოწამვლის შემდეგ, 1413 წლამდე ოსმალეთის იმპერია სრული დაშლის გზას დაადგა; თუმცა, 1413 წელს მეჰმედ I-მა (1413-1421) კვლავ შეძლო იმპერიის ცენტრალიზაცია.[482] 1421 წლიდან უკვე მურად II (1421-1444; 1446-451) ცდილობდა ბიზანტიის დედაქალაქის დაპყრობას;[483] თუმცა, მან მხოლოდ სალონიკის დაკავება შეძლო 1430 წელს.[484] მეჰმედ II-ის (1451-1581) სულტნობის დასაწყისშივე გამოიკვეთა რეალობა, რომ XV საუკუნიდან გააქტიურებული ოსმალეთის იმპერიის მუდმივ შეტევებს კონსტანტინოპოლი ვეღარ გაუძლებდა, რადგან ბიზანტიის იმპერია უკვე დასუსტებული იმპერიული გადმონაშთიღა დარჩენილიყო. ოსმან I-დან მეჰმედ II-მდე ოსმალური პერიოდი წარმოადგენდა იმპერიის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ეპოქას. XVI საუკუნიდან, ევროპულ ,,ოქროს ხანაში" ოსმალეთის მმართველობის იდეოლოგიას განსაკუთრებით განსაზღვრავდა მისი იმპერიული ხასიათი. ძირითად მისწრაფებად რჩებოდა თურქ-მონღოლური ტრადიციებიდან ბერძნულ-თურქულზე გადასვლა და იმპერიის ,,უკვდავ სახელმწიფოდ" – Devlet-i ebed müddet - წარმოჩინება.[485] სულტნის სათათბირო ორგანო Divan-ı humayun ევროპის სახელმწიფოებისგან ოსმალეთის იმპერიას მისი ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო იერსახით გამოარჩევდა.[486] მეჰმედ II-ის მემკვიდრის, ბაიაზიდ II-ის (1481-1512), დროს ოსმალეთის იმპერიაში მკვეთრად ტოლერანტული იდეოლოგიის განხორციელება დაიწყო, რაც ესპანეთის მონარქიიდან დევნილი მორისკოებისა და ებრაელების (ძირითადად უფრო ებრაელების) შეფარებას გულისხმობდა.[487] რომ არა სელიმ I-ის (1512-1520) ნაადრევი სიკვდილი, მის მიერ ეგვიპტის დაპყრობისა და აღმოსავლური პოლიტიკის წყალობით, იგი შეიძლება

[482] Kafadar, 1995, გვ. 18.
[483] 1422 წლის 24 აგვისტოს ოსმალებმა საზღვაო ბლოკადაში მოაქციეს კონსტანტინოპოლი, მაგრამ ქალაქის მაცხოვრებლების სიმამაცემ, ამჯერად ბიზანტიის დედაქალაქი დაცემას გადაარჩინა (სვანიძე, 2007, გვ. 33).
[484] Ágoston; Alan Masters, 2009, გვ. 399.
[485] Ágoston; Alan Masters, 2009, გვ. 273-276.
[486] Faroqhi, 2006, გვ. 24.
[487] Egger, 2008, გვ. 18.

ევროპის დამყრობელიც გამხდარიყო.[488] სელიმის მემკვიდრის, სულეიმან I-ის (1520-1566), ხანაში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა ესპანეთის იმპერიასთან დაპირისპირება. სულეიმან კანონმდებლის 1521 წლის უნგრეთის კამპანია ჰაბსბურგების დასუსტებისა და ეკონომიკური სარგებელის ნახვისკენ იყო მიმართული. სწორედ სულეიმან I-ის მმართველობის დროს დაიწყო ჰაბსბურგთა მონარქიის გამოწვევა, ქრისტიანული და მუსლიმური იმპერიების უშუალო დაპირისპირება. მათი ანტაგონიზმი თითქმის ყველა სახელმწიფოებრივი მიმართულებით გამოიხატებოდა: სამხედრო, იდეოლოგიური თუ ეკონომიკური. ,,დიდი თურქი“ დიდი მისწრაფებით გამოირჩეოდა, რათა კარლოს V - ,,რომის უკანასკნელი იმპერატორი“ ყოველ შესაძლებელ მომენტში დაემცირებინა.[489] კარლოს V-ის ტიტულატურას (,,რომალების მეფე, უავგუსტესი და გამორჩეული იმპერატორი, ესპანეთის მეფე, იერუსალიმის, მალდივის კუნძულების, უნგრეთის, დალმაციის, ხორვატიისა და ინდიის მეფე“), სულეიმან დიდებული ოთხი ქალაქის: მექას, მედინას, ჰებრონისა და იერუსალიმის დამცველის ტიტულს უპირისპირებდა.[490] ცხადია, ორივე მხარე ფსიქოლოგიურ, პროპაგანდულ ომს აწარმოებდა.[491] ყველაზე დიდი გამოწვევა ოსმალეთის სულტნებისთვის იყო ესპანეთის მონარქების რომის იმპერიის მემკვიდრეებად მოხსენიება და მათი ,,კათოლიკობის მცველის“ სახელი. კათოლიკე მონარქებთან დაპირისპირებას, ,,მედიტერანიზმის რელიგიურ პაექრობას“, საფუძველი ჩაუყარა მეჰმედ II-მ, როდესაც კონსტანტინოპოლის პატრიარქს, მისი ყველა ცერემონიალით, უფლებები შეუნარჩუნა. ბერძენ ქრისტიანებს შესაძლებლობა ჰქონდათ, რელიგიური

---

[488]Fleischer, 1990, გვ. 162.

[489] ,,რომის უკანასკნელი იმპერატორი” დასავლურ ისტორიოგრაფიაში გამოიყენება რომის პაპების და კარლოს V-თან მიმართებაში (თ. ხ.).

[490] Schaedlinger; Römer, 1983, გვ. 1-32.

[491] იმავე პროპაგანდულ აზრს ეფუძნებოდა კარლოს V-ის იმპერატორად კურთხევა ბოლონიაში და მისი სიტყვით გამოსვლა პაპის სათათბიროს წინაშე (Burke, 1999, გვ. 411-418); ისევე როგორც, ესპანეთის მეფის თუნისის კამპანია, მისი ტრიუმფალური სვლა პალერმოში, მესინაში, ნეაპოლში, რომსა და ფლორენციაში 1535-1536 წლებში. კარლოს V ევროპას წარუდგა როგორც ,,თურქთა გამანადგურებელი“ (Tracy, 2002, გვ. 145-146).

მსახურება დაბრკოლებების გარეშე აღევლინათ.[492] 1532 წელს სულეიმან დიდებული უნგრეთის მეფე ფერდინანდ I-ის სწერდა: **,,ამბობ, რომ სიმშვიდის მოსურნე ხარ, და აქამდე დიდად გავისარჯე შენ წინააღმდეგ. ახლა შენი კუთვნილება ჩემ წარმატებად ვაქციე. სიტყვის ადამიანი არ ხარ: შენი ძმასავით! და ამის გამო არ გრცხვენია არც შენ მებრძოლებთან, არც შენ ცოლთან.“**[493] კარლოს V-ს არასდროს უწარმოებია უშუალო მიმოწერა სულეიმან I-თან, მაგრამ დიდი ვეზირის სახელზე გაგზავნილ წერილებზე ოსმალეთის სულტნის პასუხი უმეტესად შეურაცხმყოფელი და ,,დიდი თურქის“ უპირატესობის წარმომჩენი იყო: **,,ეს არ არის მონარქის წერილი. კარლოს V იყენებს იმ ტიტულებს, რომლებიც მას არ ეკუთვნის. როგორ ბედავს, თავს იერუსალიმის მეფე უწოდოს? არ იცის, რომ ამ ქვეყნის მფლობელი შაჰინშაჰია? უნდა, რომ ფადიშაჰს ეს მიწა მოპაროს?“**[494] სელიმ II-ის მმართველობის დროს ეკონომიკური საკითხის დამხმარე ძალად ოსმალეთის იმპერიას გვერდით ედგა პორტუგალიელი ებრაელების, მენდესების, ოჯახი. მათი მეშვეობით იმპერიამ შეძლო, ჰოლანდიასთან საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა.[495] სახელმწიფო საქმეებს მეჰმედ სოკოლლუ ფაშა განაგებდა, სელიმ II კი სასახლის წვეულებებით იყო დაკავებული.[496] გასაკვირიც არაა, რომ მენდეს-ნასის ებრაული გვარი ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ განმაპირობებელ შტრიხად მოგვევლინა.

საინტერესო და ხაზგასასმელია რაგუზის (დუბროვნიკის) რესპუბლიკის მნიშვნელობა ზოგადად მედიტერანიზმის ხანის დიპლომატიასა და ვაჭრობაში; ადრიატიკის ზღვის ქალაქ-რესპუბლიკას ოსმალეთის იმპერია აკონტროლებდა.[497] მედიტერანიზმის სივრცეში რაგუზა წარმოადგენდა ყველაზე საიმედო ადგილს

---

[492] Noth, 1978, გვ. 191.
[493] Mufassal Osmanli Tarihi, 1958, გვ. 855.
[494] Osmanli Imparatorlugu Tarihi, 2007, გვ. 114.
[495] Brettler, 2000, გვ. 167.
[496] Matuz, 1985, გვ. 131.
[497] Kreiser, 2008, გვ. 94.

იბერიის ნახევარკუნძულიდან გაქცეული ებრაელებისთვის.[498] ოსმალეთის იმპერიის მთავარი იდეოლოგია და ეკონომიკური საყრდენი სწორედ დევნილი ებრაელები იყვნენ. სლავური, ბერძნული და ებრაული ეროვნებების ერთ იმპერიაში თავმოყრით, სულტნის კარი ცდილობდა, რელიგიის შემწყნარებლის სახელი მოერგო. ტოლერანტული მმართველობის სისტემის მოწოდებით, იგი დაპყრობილი მოსახლეობის მორჩილებაში ყოფნასაც ახერხებდა. ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიური გეგმები გამყარებული იყო ზოგადად თურქული, ე.წ. ,,ღაზის იდეოლოგიით“, რომელიც შემწყნარებლობის სიმბოლურ დატვირთვას აძლევდა ქრისტიანი თუ არაქრისტიანი მოსახლეობის დაპყრობა-დამორჩილებას.[499]

,,ღაზის, იგივე თურქული სულისკვეთების იდეოლოგიის“ მთავარ განმსაზღვრელს ისლამის დაცვა, ,,წმინდა ომი“ გამოხატავდა.[500] მიჩნეული იყო, რომ თურქები მარცხდებოდნენ მაშინ, როდესაც ,,წმინდა ომს“ მიატოვებდნენ. ბაიაზიდ I-ის (1354-1403) თემურ ლენგთან 1402 წელს განცდილი მარცხი სწორედ ამ მიზეზით აიხსნებოდა.[501] რეალურად კი, ოსმალეთის სულტანმა სათანადოდ ვერ გათვალა საკუთარი ძალები და მოწინააღმდეგის სამხედრო უპირატესობა.[502] მცირედი გადახვევით, გვსურს აღვნიშნოთ, რომ 1918 წელს, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის მონაწილეობა და მარცხი იგივე მოსაზრებით იყო განმარტებული: იმპერია დაიშალა, ვინაიდან, თურქები საუკუნეების იდეოლოგიურ მტერს, ჰაბსბურგებს, დაუკავშირდნენ.[503] თუმცა, დასავლეთით ოსმალეთის იმპერიის ექსპანსია ძირითადად გამყარებული იყო არა ,,ისალმისთვის მებრძოლის“ პრინციპით, არამედ სწორედ დაპყრობილ მოსახლეობაში

---

[498] Kreiser, Ib., გვ. 219.
[499] Fernández Lanza, 1999, გვ. 72.
[500] Inalcik, 2003, გვ. 328.
[501] Knolles, 1610, გვ. 235.
[502] მახარაძე, 2005, გვ. 23.
[503] Fernández Lanza, 1999, გვ. 72.

სტრუქტურულ-ინსტიტუციური წესრიგის დამყარებით.[504] ლეპანტოს ომის შემდეგ განსაკუთრებით ცხადი გახდა იმპერიის ძალების გამოფიტვა. 1500-1700 წლები მიჩნეულია ოსმალეთის იმპერიის სახეცვლილების პერიოდად. პოლიტიკურ იდეოლოგიას თანდათან ანაცვლებდა სუფიზმის რელიგიური პლურალიზმის და სუნიტური ისლამის გაძლიერების პროპაგანდა.[505] ხალვათის და კადიზადების სუფიურ საძმოებს შორის წარმოქმნილი დაპირისპირება XVII საუკუნის ოსმალეთის იმპერიის კრიზისზეც აისახა.

### 5.3. უნივერსალური იმპერიის ,,აღმოსავლური პოლიტიკა"

ესპანეთის მონარქიის ,,აღმოსავლური პოლიტიკა" XVI საუკუნის მედიტერანიზმის უმნიშვნელოვანეს ფაქტებს მოიცავს: ოსმალეთ-ესპანეთის დაპირისპირებას, რომის პაპების ანტიოსმალურ მოწოდებებს, ვენეციის ორმაგ დიპლომატიას, აღმოსავლეთ ევროპის ჩართვას ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, გეოგრაფიულ სივრცეში მკვეთრად დაშორებული ორი დინასტიის - ჰაბსბურგთა და სეფიანთა კავშირს, და, რაც ფრიად საყურადღებოა, ქართული ისტორიოგრაფიიდან ,,მსოფლიო სცენაზე" გამოაქვს საქართველოს ცალკეული სამეფოების დასავლური პოლიტიკა.[506] საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის, ანტიოსმალური კოალიციის განხილვის დროს, საუკეთესოდ წარმოჩნდება 1490 წლიდან სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს ,,თავისებურება".[507] ქართული პოლიტიკური ერთეულები დასავლურ ასპარეზზე ძირითადად ერთიანი სახელმწიფოებრივი სტრატეგიით გამოდიოდნენ.[508],,კათოლიკური

---

[504] Schuss, 2008, გვ. 75.
[505] Idries, 1976, გვ. 211.
[506]ქარჩავა, 2009, გვ. 64-78.
[507]ქართული სამეფო-სამთავროები საერთაშორისო ასპარეზზე ,,ერთიანი ფრონტით" წარსდგებოდნენ; ასეთი ერთიანი ელჩობით ქართველთა მისია 1560 წელს პიუს II-თან გაემგზავრა (ხუნდაძე; კიკილაშვილი, 2012, გვ. 19, 21).
[508] მამისთვალიშვილი, 1982, გვ. 17.

დასავლეთისთვის“ ირან-ოსმალეთის დაპირისპირების საკითხში საყურადღებო იყო საქართველოს, როგორც შუამავლის, როლი.[509] 1471 წელს ვენეციის დოჟი ქრისტოფორო მაურო კატერინო ძენოს ,,აღმოსავლური მისიის“ მითითებად აძლევდა, ქართველი მეფე დასავლეთთან კავშირით დაეინტერესებინა, ვინაიდან ვენეციის ოსმალეთთან წარმოებული პირველი ომის დროს (1463-1479) აღმოსავლეთის მოკავშირეს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.[510] საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის და ანტიოსმალურ კოალიციებში მისი მონაწილეობის არსი რომ გამეკვეთათ, ევროპულ წყაროებში ხშირად მიუთითებდნენ, რომ საქართველო ტრაპიზონის იმპერიას ესაზღვრებოდა.[511] უშუალოდ კონტინენტურ ევროპაში კონსტანტინოპოლის დაცემამ იმედი გადაუწურა ევროპის საერო თუ სასულიერო მესვეურებს და ხმელთაშუა ზღვის ,,მერკანტილიზმიც“ შეცვალა. ,,კონსტანტინოპოლის დაცემამ საგონებელში ჩააგდო მთელი ქრისტიანული სამყარო“.[512] რომის პაპებს ძალა აღარ შესწევდათ, უწინდელი ,,ჯვაროსნული მოწოდებებით“, ევროპა კვლავაც გამოეწვიათ ,,ისლამის წინააღმდეგ”.[513] თუმცა, პაპმა ევგენიუს IV-მ (1431-1447) 1442 წელს ევროპის სახელმწიფოებს ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქრობისკენ მაინც მოუწოდა.[514] კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, უკვე ახალმა პაპმა ნიკოლოზ V-მ (1447-1455) 1453 წლის 30 სექტემბერს ქრისტიანული სამყარო კვლავ გაამხნევა ოსმალებთან შესაბრძოლებლად.[515] ერთობლივი ,,საღვთო ომის“ წინადადებით გამოდიოდა აგრეთვე სიენის ეპისკოპოსი, მომავალი პაპი პიუს II (1458-1464). აღმოსავლეთის ქრისტიანი მეფეებიდან, ქართლის მეფე გიორგი VIII-მ (1446-1466), ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის მისაღებად, 1458-1459 წლებში ერთ-ერთმა პირველმა

---

[509] წითლანაძე, 2018, გვ. 41.
[510] მამისთვალიშვილი, 1971, გვ. 81.
[511] მამისთვალიშვილი, 1979, გვ. 109.
[512] მამისთვალიშვილი, 1971, გვ. 77.
[513] ხუნდაძე; კიკილაშვილი, 2012, გვ. 19-20.
[514] მამისთვალიშვილი, 2009, გვ. 21.
[515] ალასანია, 2008, გვ. 177. პაპაშვილი, 1995, გვ. 103.

გააგზავნა ელჩობა პაპთან;[516] ხოლო ქართველი მეფის ელჩების უშუალოდ ესპანელ ემისრებთან შეხვედრა უკავშირდება 1468-96 წლებში ქართლის სამეფოს კარის ეკლესიის მოძღვარის, კვირნილოსის, ეგვიპტეში მოგზაურობას.[517] იგი უკან გამობრუნებისას ესპანელებს იერუსალიმში შეხვედრია და მათგან შეუტყვია კათოლიკე მეფეების მიერ გრანადის აღებისა და არაბების დამარცხების ამბავი.[518] ელჩები კვირნილოსს საქართველოში წამოუყვანია. ქართველებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ესპანელების მიერ გრანადის დაბრუნების ცნობას.[519] ესპანელები ქართლში დიდხანს არ დარჩენილან, ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს (1478-1505) მათთვის რომის პაპ ალექსანდრე VI-თან (1492–1503) ეპისტოლეც გაუტანებია.[520] კონსტანტინე II-ის დროსვე, ქართველები პოლონეთის სამეფოსაც დაკავშირებიან, რათა მუსლიმების წინააღმდეგ საერთო ,,საღვთო ომში" ჩართვა შეძლებოდათ.[521] კათოლიკური სამყარო განსაკუთრებით იმედიანად ცდილობდა ოსმალების საწინააღმდეგო კამპანიების ორგანიზებას მას შემდეგ, რაც ირანში 1501 წლიდან სეფიანთა დინასტია (1501-1736) გაბატონდა და ოსმალეთის იმპერიას აღმოსავლეთის ფრონტზე დაუპირისპირდა.[522] სეფიანთა მმართველობის ხანაში ესპანეთის კათოლიკე მონარქები, თვით ფელიპე III-ის ჩათვლით, აქტიურად ცდილობდნენ ირან-ოსმალეთის ომების სასურველ პირობად გამოყენებას. შაჰ ისმაილ I-ის დროს ევროპას თურქებისგან გადარჩენის კიდევ ერთი იმედი მიეცა.[523] 1514 წლის 23 აგვისტოს ჩალდირანის ბრძოლაში სეფიანთა მიერ ოსმალეთის დამარცხება ესპანეთის მონარქიის ისტორიაში მედიტერანიზმის ,,აღმოსავლური პოლიტიკის" ათვლის წერტილად უნდა მივიჩნიოთ.[524] ირანელების გამარჯვებით

---

[516] ალასანია, 2008, გვ. 178.
[517] ე. მამისთვალიშვილის კვლევაში კვირ-ნილოსი (მამისთვალიშვილი, 2009, გვ. 97).
[518] ხუნდაძე; კიკილაშვილი, 2012, გვ. 23.
[519] პაპაშვილი, 195, გვ. 109.
[520] მამისთვალიშვილი, 2009, გვ. 97.
[521] ალასანია, 2008, გვ. 179.
[522] Shaw, 1977, გვ. 77.
[523] ქარჩავა, 2009, გვ. 71.
[524] Mikaberidze, 2015, გვ. 23.

იმედმიცემულმა რომის პაპმა ლეონ X-მ (1513-1521) ესპანეთის მეფეს ანტიოსმალური კავშირის შექმნისკენ მოუწოდა; თუმცა, სეფიანთა პირველმა შაჰმა - ისმაილ I-მა (1501-1524) სულეიმან I-თან სამშვიდობო შეთანხმების დადება მოასწრო.

XVI საუკუნიდან უკვე კარლოს V-ს ხვდა წილად, საფრანგეთის მეფის ფრანსუა I-ის (1515-1547) და სულეიმან დიდებულის ანტიესპანურ პოლიტიკას ირანის იმედადაც დაპირისპირებოდა.[525] 1516 წელს ესპანეთის მონარქი უნგრეთის მეფის ლუი II-ის (1516-1526) იდეას შეუერთდა და ირანში წარგზავნილ წარმოშობით სირიელ პეტრუს მონტელიბანოს შაჰ ისმაილთან წერილი გაატანა.[526] საპასუხოდ, 1523 წელს შაჰმა ევროპელ ემისარს ქრისტიან მეფეებთან ლათინურ ენაზე დაწერილი წერილი აახლა, სადაც აღნიშნავდა, რომ ოსმალების წინააღმდეგ ცალკე ფრონტს გახსნიდა. თუმცა, წერილმა კარლოს V-თან მხოლოდ 1524 წელს ჩააღწია, ისმაილ I-ის გარდაცვალების შემდეგ. ჰაბსბურგები ახალი შაჰის თამაზ I-ის (1524-1576) მმართველობის დროს განახლებული ძალით ცდილობდნენ ოსმალების წინააღმდეგ გაერთიანებას. 1524 და 1528 წლებში ესპანეთის მეფეს საკუთარი ძმის, ავსტრიის გრაფ ფერდინანდის, წარგზავნილები ეახლნენ, რათა ირანის მმართველთან ელჩობის გაგზავნა დაჩქარებულიყო. ავსტრიის ელჩი გაბრიელ სანჩესი კარლოს V-ს ოსმალების ბუდაპეშტზე შეტევის მცდელობას უხსნიდა და სეფიანთა სახელმწიფოსთან კავშირის აუცილებლობაში არწმუნებდა. 1529 წლის იანვარში სანჩესმა ესპანეთის ჰაბსბურგ მეფეს კვლავ შეახსენა შაჰთან დაკავშირების ხელსაყრელი პერიოდის შესახებ;[527] თუმცა, 1529 წელს საფრანგეთთან დადებული კამბრაის ზავის გამო, ესპანეთის მონარქმა ირანთან კავშირისგან თავი შეიკავა. 1532-1555 წლების ირან-ოსმალეთის ომის დროს სეფიანთა შაჰთან ელჩობის გაგზავნის მოთავედ უკვე ვენეცია გამოვიდა.[528] 1539-1541 წლებში სინორიის მიერ

---

[525] Lockhart, 1986, გვ. 381-382.

[526] Lockhart, Ib., გვ. 382.

[527] AGS, Estado, leg. 1553, fol. 297, 1529, 29 de enero, Gabriel Sánches a Carlos V.

[528] İnalcık, 1977, გვ. 330.

ირანის დედაქალაქ თავრიზში ვენეციელი ვაჭარი მიქელე მემბრე (1509-1594) გაიგზავნა.[529] იგი ელჩობის შესაბამისი კანდიდატის შერჩევის დროს კუნძულ კვიპროსზე იმყოფებოდა. არის მოსაზრება, რომ, ირანში გამგზავრებამდე, მემბრე ვენეციის სინორიას ოფიციალურ თარჯიმნად ემსახურებოდა; მაგრამ, სწორი ინფორმაციით, ბერნარდო ბენედეტისთან სავაჭრო საქმეს სწავლობდა და, როდესაც კუნძულზე ვენეციის წინადადება გავრცელდა, ბენედეტიმ მიქელე მემბრეს გაუწია რეკომენდაცია, ვინაიდან იგი შესანიშნავად ფლობდა თურქულ და ბერძნულ ენებს.[530] აღნიშნული მისიით, მემბრე კვიპროსიდან ირანში 1539 წელს გაემგზავრა.[531] 1541 წელს ევროპაში პორტუგალიის გავლით დაბრუნდა და ლისაბონიდან კარლოს V-თან ითხოვა აუდიენცია.[532] აღნიშნულ მიმართვაში მემბრე ესპანეთის მეფეს იმ მარშრუტის შესახებ აცნობდა, რაც მან თავრიზამდე გაიარა და ქრისტიანი მეფის მიმართ შაჰ თამაზის კეთილგანწყობას და პოლიტიკური კავშირის ინტერესს აღნიშნავდა. თუმცა, მემბრე ასევე დასძენდა, რომ მის უდიდებულესობას სეფიანთა მბრძანებლის ანტიოსმალურ კამპანიაში მონაწილეობაზე განსაკუთრებული იმედი არ უნდა დაემყარებინა.[533] ადვილად საფიქრებელია, რომ მიქელე მემბრეს უშედეგო ელჩობის დასასრულისთვის, ვასტოს მარკიზი ალფონსო დავალოსი, რომელიც მილანის მმართველის კარზე

[529] ქარჩავა, 2009, გვ. 71-72.

[530]ვენეციის სინორიის ოფიციალურ თარჯიმნად მიქელე მემბრე 1550 წლიდან ფიქსირდება; როგორც ჩანს, ირანში წარგზავნის შემდეგ, მან სინორიის ნდობა დაიმსახურა (თ. ხ.).

[531] Preto, 1975, გვ. 81-83.

[532] სიმანკასის არქივში აღმოჩენილი წერილი, რომელიც მემბრემ იმპერატორს გუგზავნა 2020 წლის მაისში გამოქვეყნდა მადრიდის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა განვითარების ევროპული ჯგუფის მიერ და მასზე ემილიო სოლა კასტანიოს და ალიკანტეს უნივერსიტეტის არაბისტი პროფესორის ხოსე კუტილასთან ერთად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ავტორიც მუშაობდა. **La copia de la carta que scriuio el Veneciano que vino del Sophi al emperador a último de agosto 1541. José Cutillas, Tea Khomasuridze, Mehmet Sait Sener, Gisela Ildefonso y Equipo CEDCS.** http://www.archivodelafrontera.com/wp-content/uploads/2020/07/01-Michele-Membre-embajada-a-Persia-1539-1541.pdf

[533] წერილი ფრიად საყურადღებოა საქართველოს ტერიტორიების აღწერის თვალსაზრისითაც. მიქელე მემბრე საქართველოში ფოთის ნავსადგურიდან შემოვიდა, ქუთაისის, გორის, თბილისის და ლორეს გავლით გადავიდა სომხეთში და შემდეგ ირანში. AGS, Estado Guerra Antigua, leg. 21, fol. 79. 1541, 31 agosto, Michele Member a Carlos V.

მუშაობდა, ოსმალეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების მორიგ გეგმას აყალიბებდა და მას უნივერსალური იმპერიის მონარქს წარუდგენდა. ემილიო სოლას მოსაზრებით, დავალოსის ინიციატივა გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო, რათა ესპანეთის მეფის ,,კათოლიკობის მესიანური წინამძღოლის“ ავტორიტეტი არ შელახულიყო.[534] კარლოს V-ის წინაშე ჩამოყალიბებული დავალოსის არგუმენტი შემდეგ მოსაზრებას ეფუძნებოდა: **,,რთულია, ასეთ დროს თურქების წინააღმდეგ თავდაცვაზე ფიქრი. ქრისტიანობის განწყობის მღელვარება ისეთი ძლიერია, რომ თქვენი ფარული თუ საჯარო მეტოქეების დიდი ნაწილის ნდობა არ შეიძლება.[535] ზევრი, ვინც თურქული საქმეები იცის და გამოცდილებაც აქვს, იმ სამეფოს ხმებსაც ირწმუნება და მათ ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ამბობენ, რომ თურქს ახლა ინტერესი სპარსეთის და აღმოსავლეთის საქმეებისკენ უფრო აქვს მიმართული, ვიდრე ევროპისა და ქრისტიანობის მიმართ“.**[536] საინტერესოა, რომ მადრიდის კარზე ვერ ან არ ხერხდებოდა ვერც სეფიანთა დინასტიასთან ანტიოსმალური კავშირი და ვერც ოსმალეთთან სამშვიდობო შეთანხმების გაფორმება. 1560 წელს უნივერსალური იმპერიის მიერ ჯერბასთან განცდილი მარცხი ოსმალეთ-ესპანეთის ურთიერთობაში ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპს წარმოადგენდა. ფელიპე II-თვის ნათელი იყო, რომ ოსმალეთის სამხედრო შეიარაღებასთან გამკლავება, მხოლოდ გეოგრაფიული აღმოჩენების და ამერიკიდან შემოსული ძვირფასი ლითონების იმედად, შეუძლებელი იქნებოდა.

1560-63 წლებში ფელიპე II აქტიურად ისწრაფოდა ირანთან კავშირის დამყარებისკენ. 1563 წელს, მისი ინიციატივით, შაჰ თამაზ I-თან ელჩობის გასაგზავნად საღვთო რომის იმპერიის ჩართვას ავსტრიის ჰაბსბურგებთან ესპანეთის ელჩი მარტინ დე გუსმანი ცდილობდა. პარალელურად, ფელიპე II-მ პირადად შეიმუშავა სპარსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების პროექტი და მისი ორგანიზება ინგლისელ ეპისკოპოსს, ბერ ჯილის დაავალა:

---

[534] Sola, 2020, გვ. 5-8.

[535] გულისხმობს საფრანგეთის სამეფოს (თ. ხ.).

[536] AGS, Estado, leg. 1188, fol. 25. 1541, 24 de marzo, Alfonso Dávalos a Carlos V.

**„ალბათ, იცით, სპარსეთის მეფესა და დიდ თურქს შორის არსებული ძველი და მუდმივი მტრობა არსებობს, რაც ახლა კიდევ უფრო გაიზარდა მის [შაჰის] სამეფოზე ბაიაზიდის მეორე შვილის თავდასხმის შემდეგ... კარგი შესაძლებლობაა, რათა სეფიანთან მეგობრობა დამყარდეს და დაზვერვა დაინიშნოს, მანაც ეს არგუმენტი ხელიდან არ უნდა გაუშვას“.**[537] აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სიმანკასის არქივში რამდენიმე მიმოწერა ინახება. ესპანეთის მეფის მხრიდან კათოლიკური მისიის დაჩქარების მთავარი მიზეზი ასევე იყო სულეიმან I-ის ხანდაზმულობა; იგი აუცილებელ პირობად ასახელებდა ბიძის, ფერდინანდ I ჰაბსბურგის, აქტიურობას და მის ჩართვას აღნიშნული ელჩობის დაგეგმვაში: **„სეფიანთან კავშირი, დაზვერვისა და მისი გასამხნევებელი მიმოწერის წარმოება ძალიან გონივრული იქნება, რათა მან თურქთან ომი ნამდვილად წამოიწყოს“.**[538] 1583 წლიდან უკვე რომში ესპანეთის ელჩი გრაფი ოლივარესი (ენრიკე გუსმანი) ერთვება სეფიანთა მბრძანებელთან კავშირის დამყარების მცდელობაში. გუსმანი 1562 წლიდან რომში ესპანეთის წარმომადგენლად იყო მივლენილი და სწორედ მას უკავშირდება ქართლის მეფე სიმონ I-ის (1556-1569, 1578-1599) და პოლონეთის ჩართვის წადილი მორიგ ანტიოსმალურ კოალიციაში.[539] სიმონ I-ის გამოსვლა მედიტერანიზმის გლობალურ დიპლომატიურ სამყაროში საქართველოს ცალკეულ სამეფოებს ახალ შესაძლებლობას აძლევდა, ევროპულ პოლიტიკურ სვლებში მიეღოთ მონაწილეობა.[540] მისი „მძიმე მემკვიდრეობის“ გამო, ქართლის მეფემ დასაწყისში ოსმალეთთან სცადა დაკავშირება, ვინაიდან გეოპოლიტიკური ვითარება სახელმწიფოს გადარჩენის მეთოდებს ამართლებდა.[541] ამასთან, „აღმოსავლური საკითხი“ ოსმალეთის იმპერიისთვისაც საინტერესო იყო სეფიანთა ირანსა და კათოლიკურ დასავლეთს შორის სამხედრო-პოლიტიკური

---

[537] AGS, Estado, leg. 486, doc. 65. 1563, Felipe II a Fray Gylley.
[538] AGS, Estado, leg. 486, doc. 78. 1563, Felipe II a Fernando I.
[539] Urjasz-Raczko, 2014, გვ. 224-227.
[540] Tabagua, 1993, გვ. 57-58.
[541] მამისთვალიშვილი, 1982, გვ. 15.

მოქმედებების დროს.[542] უშუალოდ ესპანურ არქივებსა და სამეცნიერო კვლევებთან შეხება, საშუალებას გვაძლევს განვმარტოთ, რომ სიმონ I-ის მიერ რომში წერილი გაიგზავნა არა 1588 წლის 8 თებერვალს, არამედ 1583 წლის 5 თებერვალს.[543] თარიღის უზუსტობა, საფიქრებელია, ბეჭდვითი კორექტურისგან იყოს განპირობებული. გრაფი ოლივარესი ესპანეთის მეფეს შემდეგს წერდა: **,,მე ვზრუნავ, რათა პაპმა მაქსიმალური შესაძლებლობით წარმოაჩინოს მისი სურვილი და ვთავაზობ მას, დაუკავშირდეს ქრისტიან პრინცებს, რათა მოცემულ საკითხში თურქის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. იმავდროულად, განაგრძოს ურთიერთობა სპარსეთთან, როგორც აქამდეც აკეთებდა. საუკეთესო შედეგისთვის, ახლა ან მოგვიანებით, გააგზავნოს პიროვნება სიმეონთან და ალექსანდრე ქართველთან, რათა მათ სცადონ და თურქის საზიანოდ გამოვიდნენ. ასევე მისმა უდიდებულესობამ, პოლონეთის მეფესთან იმავე მიზეზით უზრუნველყოს კაცის გაგზავნა“.**[544] როგორც ვხედავთ, გრაფი ოლივარესი ქრისტიან მეფეებს ,,ქრისტიან პრინცებად“ მოიხსენიებს. ფელიპე II-ის მმართველობის დასასრულისკენ ქართლის მეფე სიმონ I კვლავ აგზავნის მორიგ წერილს, რომლის ორი ვარიანტია დაცული: ერთი სომხურ ენაზე, ხოლო მეორე 1596 წლის 24 აგვისტოთი არის დათარიღებული და 31 სტრიქონისგან შედგება, დაწერილია საერთო ბერძნულის ბიზანტიურ სტილზე - კოინეზე.[545] ესპანურ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული მოსაზრების თანახმად, 1583 წლისგან განსხვავებით, მეორე წერილის გაგზავნის დროს, სიმონ I-ს უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი ევროპაში მიმდინარე მოვლენებზე, ვინაიდან, პირველი წერილის დროს ქართველებს ეგონათ, თითქოს ესპანეთის მეფე და რომის პაპი ორივე რომიდან მართავდა ევროპას.[546] სიმონ I-ის ძირითად სურვილს წარმოადგენდა, ესპანეთის ,,მეფეთა

---

[542] წითლანაძე, 2018, გვ. 46.
[543] პაპაშვილი, 1995, გვ. 118.
[544] AGS, Estado, negociación de Roma, leg. 950, fol. 11, 1583, 5 de febrero, Don Enrique de Guzmán, conde de Olivares a Felipe II.
[545]AGS, Estado, negociación de Alemania, leg. 703. 1596, 24 de agosto, Simeón I de Kartli a Felipe II.
[546] Floristán, 1985, გვ. 311.

მეფეს“ ცხადად ჰქონოდა გააზრებული ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა. ოსმალების წინააღმდეგ გასაერთიანებლად მზად იყვნენ აგრეთვე ,,აღმოსავლეთების პრინცი“ ალექსანდრე II კახთა მეფე (1574-1601; 1602-1605) და ირანის შაჰი აბას I (1587-1629).[547] აღნიშნული წადილი განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო 1578-1590 წლების ირან-ოსმალეთის ომის შემდეგ, რომელშიც ირანი დამარცხდა და, შესაბამისად, სეფიანთა დინასტიას პოზიციების აღდგენის სურვილი გააჩნდა.[548] შესაძლო ანტიოსმალური ალიანისის შექმნის ინტერესი ქართლის მეფესაც უნდა ჰქონოდა, ვინაიდან კონსტანტინოპოლის ზავით, საქართველო ოსმალეთის მფლობელობაში იყო გადასული.[549] ამასთან, როგორც ვ. გაბაშვილი შენიშნავს, ,,არასდროს საქართველო არ ყოფილა მტრებით ყოველმხრივ ისე გარს შემორტყმული, როგორც XVI ს-ში იყო“.[550] ევროპის მესვეურების, განსაკუთრებით რომის პაპების, მთავარი ინტერესი აღმოსავლეთის პოლიტიკასთან მიმართებაში გამოიხატებოდა მუდმივი მცდელობით, ,,აღმოსავლეთის პრინცები“ ანტიოსმალურ კოალიციაში ჩართულიყვნენ. ალექსანდრე II-ის დროს რომის პაპი სიქსტუს V (1585-1590) ცდილობდა მასთან კონტაქტის დამყარებას და ოსმალების წინააღმდეგ გამოსვლას.[551]

ანტიოსმალური კოალიციის კიდევ ერთი მცდელობის ჟამს, XVI საუკუნის ხმელთაშუაზღვისპირეთზე ჰაბსბურგულ-ოსმალური დაპირისპირების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი იქნა წარმოჩენილი. სეფიანთა დინასტიის და ,,ქრისტიანი პრინცების“ ჩართვა ანტიოსმალურ კოალიციაში ვერ მოხერხდა. მოცემული კვლევის ნაწილს შეადგენს იმ ფაქტორების გარკვევა, რაც ჰაბსბურგთა ,,აღმოსავლური პოლიტიკის“ განხორციელებას უშლიდა ხელს და მას დასკვნის სახით განვიხილავთ.

---

[547] Floristán, 1985, გვ. 316.
[548] პაპაშვილი, 1995, გვ. 119.
[549] პაპაშვილი, Ib.
[550] გაბაშვილი, 1954, გვ. 59.
[551] ტაბაღუა, 1984, გვ. 24-26.

# თავი 6

# XVI საუკუნის იმპერიალიზმი: იდეოლოგია, მილიტარიზმი და ეკონომიკა

## 6.1. იმპერიული იდეოლოგიები - ,,ოქროს ხანის“ რელიგიური წონასწორობა

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ჭიშკართან გაბატონების შემდეგ, ოსმალეთის იმპერიას საკუთარი ,,ევროპული ლეგიტიმობის“ დასამტკიცებლად, ისევე სჭირდებოდა პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური საფუძველის გამყარება, როგორც ესპანეთის მონარქიას. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი, ცხადია, იყო იდეოლოგიური პლატფორმის შექმნა და განვრცობა. ესპანეთის შემთხვევაში, იდეოლოგიური ბაზისი უფრო მეტად ემყარებოდა რელიგიურ ფაქტორს, ვიდრე ოსმალეთის იმპერიაში და განვიხილოთ, რატომ. რთული წარმოსადგენი არაა ისტორიული რეალობა, რომელსაც ჩვენ კვლევის დროს ,,ხმელთაშუაზღვისპირეთის დიპლომატიას” ვუწოდებთ, ანუ პერიოდი, როდესაც ხმელთაშუა ზღვის რეგიონი ორად არის გაყოფილი, დასავლეთის კარიბჭესთან ესპანეთის მონარქიაა, ხოლო აღმოსავლეთის ,,საზღვართან“ - ოსმალეთის იმპერია.

,,ხმელთაშუაზღვისპირეთის დიპლომატია“ არა მხოლოდ ცნებაა, არამედ მედიტერანიზმის პერიოდიზაციისთვის - ერთგვარი ქრონოლოგიზაციაც. 1509 წლიდან, როდესაც პედრო ნავარო (1460-1528), კარდინალ ფრანსისკო ხიმენეს დე სისნეროსის (1436-1517) დავალებით, ხმელთაშუაზღვისპირეთში სამხედრო საზღვაო ექსპედიციებს იწყებდა, შეიგრძნობოდა ესპანეთის მონარქიის სამხედრო-საზღვაო იმპერიად გადაქცევის მოლოდინი.[552] საგრძნობი იყო აგრეთვე კარდინალ სისნეროსის გავლენა ხმელთაშუა ზღვის დიპლომატიასა და სტრატეგიულ ურთიერთობებზე.[553] იგი განსაზღვრავდა მონარქიის საგარეო პოლიტიკას, ვიდრე ახალი მეფე ჰაბსბურგთა დინასტიიდან ესპანეთში არ დაბრუნდებოდა. ზოგადად,

[552] Pérez, 1995, გვ. 11-22

[553] Rummel, 1999, გვ. 1.

კათოლიკური იმპერიის მთავარი სახელმწიფოებრივი პრინციპი გამოიკვეთებოდა კარლოს V-ის მიერ უფლისწულ ფელიპესადმი მიწერილ წერილში: ,,ღმერთმა მმართელობისთვის შეგქმნათ და არა გართობისთვის“.[554] აღნიშნულ რჩევაში, ჩადებული არის ესპანეთის მონარქიის საგარეო სტრატეგიის მთავარი არსი მედიტერანიზმის სივრცეში - მაქსიმალური კონცენტრირება იმპერიის მართვის საკითხებში და ხმელთაშუაზღვისპირეთში დომინანტის როლის შენარჩუნება.

ესპანეთის მცდელობა, დამკვიდრებულიყო რეგიონის სუვერენულ სამხედრო ძალად, რამდენიმე მიმართულებით მოქმედებებს მოიცავდა: დაახლოვება ჩრდილოეთ აფრიკის ბარბარულ სამეფოებთან, იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების თუ სამეფოების გადაბირება და ოსმალეთის მხარეს მებრძოლი მეკობრეების მიმხრობა. კარლოს V-მ მოახერხა, 1520-1530 წლების შუალედში საერთაშორისო ასპარეზზე ურთიერთობა დაემყარებინა გავლენიან იტალიურ ოჯახებთან: მედიჩის, ფარნესიოს, სპინოლას და დორიას საგვარეულოებთან. იგი 1537 და 1541 წლებში ,,პატრონაჟის დიპლომატიას“ ცდილობდა ხაირ ად-დინ ბარბაროსასთან (თუმცა, უშედეგოდ), ასევე თუნისის მეფე მულეი ჰასანთან. მეტოქის გადაბირების პოლიტიკა დამახასიათებელი იყო ფელიპე II-ის მმართველობისთვისაც, როდესაც მეფე ქრისტიანული წარმოშობის მეკობრეების ულუჩ ალის და სინან სიგალას (1591-1601) მიმხრობას ესწრაფოდა.[555] ,,პატრონაჟის სტრატეგია“ მათ საშუალებას აძლევდა, სულტნების ზრახვები შუამავლების მეშვეობით განესაზღვრათ. აღნიშნული სვლა შედეგიანი იყო, ვინაიდან, ესპანეთის მეფეები ოსმალეთის იმპერიასთან ღია მოლაპარაკებებში მონაწილეობას არ იღებდნენ, რათა საკუთარი იმპერიული უპირატესობისთვის გაესვათ ხაზი.[556]

---

554 Corpus documental de Carlos V, II. 1539-1548. გვ. 99.

555 González Cuerva, 2018, გვ. 32.

556 კარლოს V-მ ძმის ფერდინანდ I-ის, უნგრეთისა და ბოჰემიის მეფის, წერილთან ერთად, 1532 წელს საკუთარიც გაუგზავნა ოსმალეთის სულტანს. სულეიმან I-თან წარმოებული მოლაპარაკებების დროს, ესპანეთის ელჩმა მათი წერილები ოსმალეთის ფაშას გადასცა (González Cuerva, 2018, გვ. 33).

XVI საუკუნის ევროპული სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია იტალიელი ჯოვანი ბოტეროს მოსაზრებებმა.[557] სწორედ მისი წყალობით, საფუძველი ჩაეყარა ევროპის ერთობის იდეას, შუა საუკუნეებრივი ცივილიზაციიდან ახალი ეტაპის გეოგრაფიულ-პოლიტიკურ აზროვნებაზე გადასვლას.[558] ბოტერო თავის წიგნში ,,სახელმწიფოს აზრი" აყალიბებდა კანონების არსებობის აუცილებლობას და მათ სახელმწიფოს სტაბილურობის გარანტად მოიაზრებდა. იგი ასევე გამოკვეთდა მესაქონლე მეურნეობიდან სამეწარმეო ეკონომიკაზე გადასვლის უპირატესობას; ყოველივეს არსი კი ,,თავად სახელმწიფოა", რომლის კეთილდღეობისთვის საჭიროა, გაიმიჯნოს პრინციპული აზრის ლეგიტიმობა. მისი წიგნი ესპანურ ენაზე თარგმნა ანტონიო დე ერერამ (1549-1626), ფელიპე II-ის კარის ისტორიკოსმა. ,,სახელმწიფოს აზრი" სულ უფრო მეტად იქცევდა ოსმალეთის მხრიდან საფრთხის მოლოდინში მყოფი ევროპის მესვეურთა ყურადღებას. ჯოვანი ბოტეროს მოსაზრებით, სწორედ აგონია არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მახასიათებელი ნიშანი.[559] მაკიაველის მსგავსად, პიემონტელ მოაზროვნესთან სახელმწიფოს სტაბილურობის სიმბოლო იყო მეფე და მხოლოდ მეფე: ,,არავის აქვს საჭიროება, იცოდეს მეფეზე მეტი".[560] აქ ერთგვარი გადახვევით პარალელი გვსურს გავავლოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით აღმაშენებლის სტრატეგიასა და მსტოვართა ინსტიტუტის საკითხთან, რისი წყალობითაც, ქართველ მეფეს: ,,არცა სამეფოსა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთაგან დაეფარვოდა".[561] ბრძენ მეფეებს შორის ბოტერო გამოკვეთდა ალფონსო X-ს, კარლოს V-ს და ოტო III-ს (ოტო III იყო ,,სამყაროს საოცრება", მისი შეხედულებებისა და იდეების გამო).[562]

---

[557] ჯოვანი ბოტერო (1544-1617) - იტალიელი, პიემონტელი მოაზროვნე, პოეტი, დიპლომატი. http://www.treccani.it/enciclopedia/giovanni-botero_(Dizionario-di-Storia)/

[558] Miceli, 2015, გვ. 69-81.

[559] Miceli, 2015, გვ. 72.

[560] Botero, 1599, გვ. 1005.

[561] მეტრეველი, 2011, გვ. 59.

[562] Botero, Ib., გვ. 1023.

საყურადღებოა ბოტეროს შეფასება ესპანეთის იმპერიასთან დაკავშირებით. იგი კათოლიკურ მონარქიას, მოსახლეობის სიმცირის გამო, ,,სტერილურ იმპერიას" უწოდებდა.[563]

ჯოვანი ბოტერომდე გაცილებით ადრე კი, ,,პირველი იტალიელი პატრიოტი" ფრანჩესკო პეტრარკა (1304-1374) ლექსით ,,ჩემი იტალია" შუა საუკუნეებრივი ძილიდან გამოსვლის და სიბნელის გაფანტვის იდეას ღაღადებდა.[564] პეტრარკამ ,,ბნელ წლებად" მოიხსენია მედიევალური პერიოდი, რადგან ცხოვრების არც ერთ სფეროში ახალი არაფერი იქმნებოდა. დასავლური ქრისტიანობა ვერ თარგმნიდა და ვერ ეცნობოდა აღმოსავლური ქრისტიანობის ცოდნას იმ შესაძლებლობით, როგორც ამას მუსლიმი სწავლულები ახერხებდნენ.[565] ზოგადად, ევროპულ სახელმწიფოებრივ აზროვნებაში დანტედან პეტრარკამდე გარდამავალი პერიოდი უმნიშვნელოვანესი აზრობრივი მონაკვეთია. ბერძნულ-რომაულ კულტურასთან ქრონოლგიური სიშორის გამო, შუა საუკუნეებში თავისთავადობით ახალი ვერაფერი იქმნებოდა. მისთვის ერთადერთ წინსვლას პაპის ძალაუფლების გაძლიერება წარმოადგენდა. საფუძვლიან ცოდნას მხოლოდ სასულიერო პირები ეუფლებოდნენ, ძირითადად, მხოლოდ საზოგადოების ამ ნაწილს შეეძლო წერა-კითხვა ან ფლობდა უცხო ენებს. ფრესკებზე ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების სახეები გამოისახებოდა, მაგალითად, რაფაელის ათენის სკოლის მსგავსად (1509-1511).[566]

ბერძნული ცივილიზაციის მემკვიდრეობის გამო, ბიზანტია დასავლეთის მიერ შეფასებული იყო, როგორც ისტორიული, კულტურულ-რელიგიური მეტოქე, მაგრამ ფილოსოფიურად მეტად საინტერესო სუბიექტი. ევროპა განსაკუთრებით დახარბებული იყო მუსლიმური სამყაროს სიახლეების შეთვისებას. ყველაფერი

---

563 Artola, 1982, გვ. 236.

564 Kohn, 2008, გვ. 97.

565 ,,იტალელი ერის მამად წოდებულმა" დანტე ალიგიერმა (1265-1321) საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს გაძლიერებისთვის ერის რეკონსტრუქციის იდეას (Witt, 2012, გვ. 701).

566 Martínez Jiménez; Muñoz Marquina; Sarrión Mora, 2011. გვ. 124.

გამოირჩეოდა, რაც არაბულ ცოდნას, მიღწევებს უკავშირდებოდა. აღნიშნული პერიოდის დასავლურ ლიტერატურაში ვხვდებით სიტყვას ,,ერუდიცია" და არა განათლება, ცოდნა, მიღწევა, რისი მარაგიც რომანულ ენებში საკმარისია, მაგრამ ,,ერუდიცია" აღწერდა და ხაზს უსვამდა, უფრო მაღალს, უფრო აღმაფრთოვანებელს. იოჰან გუტენბერგის (1400-1468) მიერ საბეჭდი მანქანის გამოგონებამ, თეოლოგ-სწავლულთა ცენტრი უკვე გერმანიის ტერიტორიაზე გადაიტანა და ევროპის საგანმანათლებლო პოლუსიც მკვეთრად შეიცვალა.[567] 1517 წლიდან კი რომის პაპს მეტოქეები გამოუჩნდნენ პროტესტანტული მოძღვრებით, რეფორმაციული იდეებით. ამავე პერიოდიდან ბერძენ ფილოსოფოსთა გეომეტრიული შეხედულებები კოპერნიკის და კეპლერის თეორიებთან გადაიკვეთა, ხოლო პლანეტების ცირკულირებადი ორბიტა ელიპტიკურმა ორბიტებმა შეცვალეს. ამგვარი ერუდირებული რევოლუციური მოვლენების პარალელურად, ოსმალეთის იმპერია პოლიტიკურად უტევდა ევროპას. ეტაპობრივად ხდებოდა დევნილთა გადაბირების სტრატეგიის დახვეწაც. მეჰმედ II-ის (1432-1481) დროს ოსმალეთის იმპერია ისევე იფარებდა იბერიის ნახევარკუნძულიდან გაქცეულ ებრაელებს, როგორც ეს წინა სულტნების დროს ხდებოდა. მეცნიერული სიახლეები ოსმალების მიერ ყველა შეფარებული თუ ძალით დაპყრობილი ეთნოსიდან შეითვისებოდა: მანუფაქტურულ წარომებას ებრაელებისგან ეცნობოდნენ, სომხებისგან - ვაჭრობას, ბერძნებისგან - საზღვაო საქმიანობას.[568] ხმელთაშუა ზღვის რეგიონისთვის „რელიგიური ტოლერანტობა" ოსმალების გარეშეც წარმოადგენდა დამახასიათებელ ისტორიულ შტრიხს. XVI საუკუნეში კი უკვე გამოიკვეთა ,,ანტაგონისტური ტოლერანტობა": ,,ესაა კონცეფცია ხანგრძლივი ურთიერთობის წევრების შესაქმნელად. ჯგუფებისა, რომლებიც ერთმანეთის იდენტიფიკაციას არ კარგავენ და სხვადასხვა თემებს წარმოადგენენ და ერთმანეთისგან, პირველ რიგში, რელიგიით განსხვავდებიან".[569]

[567] Schneider, 2000, გვ. 190-211.
[568] Goffman, 2002, გვ. 33.
[569] Goffman, Ib., გვ. 90-91.

ამ იდეით მივდივართ ოსმალური „გვერდი-გვერდ“ ცხოვრების სტრატეგიამდე. აღნიშნული კონცეფცია იმპერიის ხალხებს, განსაკუთრებით კი ევროპელ მიგრანტებს, უნივერსალური მონარქიის ინკვიზიციური ძალადობისა და დევნისგან იფარავდა.

კათოლიკოზის იდეური შეხედულებების მედიტერანიზმის იდეოლოგიად დამკვიდრება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ჰაბსბურგთა სახლი ესპანეთის ტახტს დაიკავებდა და სათავეს ჰპოვებს კასტილიის მეფე ალფონსო X ბრძენის (1252-1284) კანონებში. თუმცა, კიდევ უფრო ღრმა საფუძველი შეიქმნა მაშინ, როდესაც ფერნანდო III-მ (1217-1252) 1238 წელს კორდობა აიღო და იბერიის ნახევარკუნძულზე დამკვიდრებულ მუსლიმურ სამყაროსთან ბრძოლას გზა გაუხსნა.[570] კორდობას დაბრუნება იყო უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი არა მხოლოდ იდეოლოგიური ცვლილებების თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფო მმართველობაში რელიგიური ნიშნების გაჩენის მიხედვითაც. მაგალითად, 1238 წელს კორდობას მეჩეთის გამოხსნა აღნიშნული ისტორიული ფაქტის მნიშვნელობას წარმოაჩენდა. მეჩეთი არ იყო მუსლიმების მიერ აგებული.[571] იგი დაფუძნდა ვესტგუთების ეკლესიის საფუძველზე.[572] მას დასაწყისშივე ჰქონდა ქრისტიანული ფუნდამენტი და არაბების დამკვიდრების შემდეგ ანდალუსიურ-მუსლიმური ინტერკულტურული სამყაროს სიმბოლოდ მოიაზრებოდა. ასევე იყო ომაიანთა დინასტიის ძირითადი ოფიციალური ცენტრი. 1523 წელს კორდობას რეკონსტრუქციის შემდეგ უკვე გამოიკვეთა, რომ ახალი იმპერიის შექმნის პირველ საფეხურებზევე, ებრაელებს ან მუსლიმებს არ ექნებოდათ ის უფლებები, იმგვარი შემწყანრებლური პროპაგანდის ფუფუნება, რაც მათ მოგვიანებით გააჩნდათ ოსმალეთის იმპერიაში ან, რასაც ალ-ანდალუსის ისტორიულ რეალობაში ფლობდნენ. ალ-ანდალუსის კულტურული ფენომენი წარმოადგენდა „სხვა

---

570 Hillenbrand, 1992, გვ. 128.

571 Arce Aainz, F. ¿Hubo un precedente cristiano en el origen de la mezquita de Córdoba? Editores, 20 diciembre 2019, Biblioteca Tomás Navarro Tomás. https://www.alandalusylahistoria.com/?p=1647

572 Cano Bermúdez, 2010, გვ. 337-338.

მუსლიმურ სამყაროს“, სადაც ჰყვაოდა არქიტექტურა, მეცნიერება; ხოლო ოსმალეთის იმპერიასთან მიმართებაში - თურქების ცხოვრების სტილის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. კორდობა დასავლური მუსლიმური ცივილიზაციის მითის იერსახედ წარმოჩინდებოდა, როგორც ,,ძლიერი, აშკარად დაუმარცხებელი იმპერიის ცენტრი”.[573] იბერიის ნახევარკუნძულზე რეკონკისტას შემდეგ, კათოლიკე მეფეების წარმატებული პოლიტიკური ღონისძიებების წყალობით, შიდა სოციალურ ფენებში საკმაოდ ოპტიმისტური განწყობა სუფევდა. საფუძველი ეყრებოდა ესპანური წარჩინებული არისტოკრატიის წარმოშობას.[574] ვიდრე საგარეო პოლიტიკას აქტიურად შეუდგებოდნენ, საჭირო იყო სახელმწიფოს მატერიალური გაჯანსაღება, რაც კოლუმბის ექსპედიციის დაფინანსებაში გამოისახა; მონარქიისთვის მნიშვნელოვანი იყო კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერაც. როგორც ჩანს, საზოგადოებრივ აზრზე გათვლა ოსმალეთის იმპერიაში გაცილებით მკვეთრად იყო გამოხატული, ვიდრე ესპანეთის მონარქიაში.[575]

არსებობს პოლიტიკური იდეოლოგია და არსებობს რელიგიური. ჰაბსბურგთა და ოსმალთა ურთიერთობის შესწავლაში ეს ორი მიმიართულება აშკარად უნდა გაიმიჯნოს. რელიგიური იდეოლოგია, როგორც საკითხის კვლევის ანალიტიკური მეთოდი, აუცილებლად ცალკე უნდა გამოვყოთ. ორივე იმპერიაში საზოგადოების და ინდივიდის არსებობის კონცეფცია განსხვავებულად მოიაზრებოდა. ინდივიდის სახელმწიფოსგან დიფერენცირება მუდამ ახდენდა სოციალური ძალების ინტეგრაციას ან, პირიქით, გადაჯგუფებას.[576] ეს სისტემური ცვლილებები უმნიშვნელოვანესი იყო ორივე იმპერიისთვის, რათა მათ ,,საკუთარი რელიგიის ჭეშმარიტი ბუნება“ გამოევლინათ.[577] შესაძლებელია რელიგიის პოლიტიზება ან პოლიტიკის რელიგიურობა, შესაბამისად, ერთის ან მეორის შერწყმა და

[573] Dodds, 1992, გვ. 14.
[574] Pérez Ledesma,1990, გვ. 47.
[575] Çirakman, 2001, გვ. 56.
[576] Eberhard, 1985, გვ. 215.
[577] Hildebrandt, 2007, გვ. 3-9.

პოლიტიკურ რელიგიად, როგორც ცალკე დისციპლინად, განხილვაც. ,,ინდივიდუალურმა ეგოიზმმა უნდა გაუძლოს საზოგადოების ცენზურას, მისი არსებობის წესის შესახებ, მაშინ, როდესაც ჯგუფური ეგოიზმი მიმართავს საკუთარ გაფართოვებას. ის ასე ქმნის შესაძლებლობის ბაზარს იმ მოსაზრებების, მოძღვრებების და თეორიებისთვის, რომლებიც მის ქცევას ამართლებენ და ასევე გამოავლენენ, რომ სხვა ჯგუფების უბედურება გამოწვეულია იმ სიმძიმის გამო, რაც მათ ანადგურებს".[578] მოცემული თეორიის მიხედვით, აღნიშნული ავტორიტარული იერი ორივე იმპერიას ახასიათებდა.

## 6.2. მედიტერანიზმის იმპერიული ბალანსი - კონფლიქტი, მშვიდობა, იდეოლოგია

,,ხმელთაშუაზღვისპირეთის დიპლომატიის" პრინციპს და იმპერიის უნივერსალურობის ბალანსს წარმოადგენდა ესპანეთის დინასტიური ქორწინებები;[579] ასევე კავშირი პორტუგალიასთან და საფრანგეთ-ოსმალეთის ალიანსის ფაქტორი. 1494 წელს ჯერ ტორდესილასის, ხოლო შემდეგ, 1529 წელს სარაგოსას შეთანხმებებმა განსაზღვრეს ესპანეთის იმპერიის პაციფიკური მიჯნები.[580] სარაგოსას შეთანხმებამდე მოლუკის კუნძულებზე დავა შეამსუბუქა 1526 წლის 11 მარტს კარლოს V-ის ისაბელ პორტუგალიელზე დაქორწინებამ.[581] ამავე პერიოდში, ესპანეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების იმპერიის მიწებთან შემატებამ სხვა ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური

---

[578] Lonergan, 1973, გვ. 54.
[579] რასაც შეეწირა კიდეც ესპანეთის ჰაბსბურგთა მონარქიის მომავალი (თ. ხ.).
[580] სარაგოსას შეთანხმებას ხელი მოეწერა 1529 წლის 22 აპრილს ესპანეთის და პორტუგალიის მონარქებს შორის. პორტუგალიის წყნარი ოკეანური მიწების სადემარკაციო ხაზი 135-ე მერიდიანზე გადიოდა. ესპანეთი ,,ჰყიდდა" თავის უფლებებს აღნიშნულ მერიდიანამდე ტერიტორიებზე, პორტუგალიას უნდა გადეხადა 350 000 ოქროს დუკატი, თითოეული 375 მარავედის სინჯისა. ფაქტიურად, პორტუგალიამ ესპანეთისგან შეიძინა საკუთარ მიწებზე მმართველობის უფლება. AGI Patronato, 49, n. 2, ramo 9. Tratado de Zaragoza, 1529, 22 de abril.
[581] Díaz-Trechuelo, 1994, გვ. 10.

მდგრადობისთვის  შექმნა საფუძველი. თუმცა, ისინი ბევრად შორს იყვნენ მსოფლიო იმპერის ძლიერებისგან. დასავლურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ კარლოს V-ის პერიოდი იყო ცენტრალიზებული მმართველობის ხანა და არა ავტორიტარული. ფელიპეს დროს კი, არ დავობენ, რომ ადგილი ჰქონდა ავტორიტარულ იმპერიას. კარლოს V-ის მმართველობს დროს ეკლესიის გავლენა მონარქიის პოლიტიკაზე ნაკლებად შეიმჩნეოდა. თავის მხრივ, მეფე შიდა პოლიტიკური სიტუაციით საჭიროზე მეტად არ ინტერესდებოდა, ამას მოწმობს კომუნეროსების აჯანყება 1520-21 წლებში. ამავე პერიოდში და ასევე მედიტერანიზმის ხანაში, ესპანეთის „ქომაგები“ - ინგლისი და რომის პაპი საფრანგეთსაც გულშემატკივრობდნენ;[582] თუმცა, თურქების გამოჩენის შემდეგ ვითარება გარკვეული ხნით მკვეთრად შეიცვალა. საფრანგეთ-ოსმალეთის ანტიესპანური კავშირი ყველაზე მძაფრად და აშკარად საფრანგეთის მეფის, ანრი IV-ის დროს (1589-1610) გამოიკვეთა. მოცემულ პერიოდში ფრანგი ჰუგენოტები ანდალუსიის მორისკოებს უკავშირდებოდნენ და მათ მონარქიის წინააღმდეგ აჯანყებაში ეხმარებოდნენ.[583] ესპანეთის მეფეების მცდელობა, საფრანგეთთან ურთიერთობა მოეგვარებინათ და ის ოსმალეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ, მხოლოდ პერიოდულ სამშვიდობო შეთანხმებებზე აისახებოდა. 1556 წლის 5 თებერვლის ვოსელის სამშვიდობო ზავი იტალიისთვის წარმოებული მეათე ომის (1547-1556) დასასრულს დაიდო, ხოლო  1559 წლის 3 აპრილს კატ-კამბრეზის ზავი გაფორმდა.[584] აღნიშნული ფაქტები ესპანეთის იმპერიის სრული ჰეგემონიის ,,ოქროს ხანას“ ასახავდა. კარდინალ გრანველას ძალისხმევის შედეგად ფრანგებთან მიღწეული შეთანხმება ასრულებდა 65 წლის დავას და ესპანეთის ბატონობას ხმელთაშუაზღვისპირეთზე ერთი საუკუნით ახანგრძლივებდა.[585] რომის პაპები საფრანგეთს იტალიაში ესპანეთის დომინანტის ბალანსისთვის იყენებდნენ.

---

[582] ქარჩავა; წითლანაძე, 2011, გვ. 305-306.
[583] Lea, 2004, გვ. 281.
[584] Fernández Álvarez, 1998, გვ. 532.
[585] https://www.britannica.com/event/Peace-of-Cateau-Cambresis

ვითარება შეიცვლა პიუს V-ის (1566-1572) დროს, როდესაც მან „ქრისტიანების მეფესთან“ არჩია ურთიერთობის განმტკიცება.[586]

სხვა ისტორიული ათვლა აქვს ოსმალეთის დიპლომატიურ ურთიერთობას საფრანგეთთან. პოლიტიკური კავშირის დამყარების პირველ მცდელობად ბაიაზიდ II-ის (1481-1512) მიერ ლუი XI-თან (1461-1483) 1483 წელს გაგზავნილი ელჩობა მოიაზრება, როდესაც „შროშანისა და ნახევარმთვარის“ ალიანსს ჩაეყარა საფუძველი.[587] თუმცა, გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ საფრანგეთის და ოსმალეთის პოლიტიკური კონტაქტი, როგორც ანტიკათოლიკური ალიანსი, XVI საუკუნემდე არ არსებობდა.[588] ესპანეთის იმპერიის ჰაბსბურგთა დინასტიის ბალანსის საფუძველს ქმნიდა კათოლიკე მეფეების მიერ „მემკვიდრეობად რგებული“ ინკვიზიციაც. ინკვიზიცია შეიძლება მოაზრებული იყოს, როგორც იდეოლოგიის ნაწილი, სახელმწიფოს მართვის ინსტრუმენტი, პროპაგანდული რიტორიკა.[589] კათოლიკე მეფეებს კარგად ჰქონდათ გააზრებული დინასტიის ლეგიტიმობის საკითხისთვის იურიდიული საფუძვლის გამყარების მნიშვნელობა.[590] ჰაბსბურგების ესპანური სახლის შემთხვევაში ნაკლებად ან საერთოდ არ იყო გამოყენებული მითიური რიტორიკა; მონარქიის მხარდასაჭერად, პრაგმატული მიზეზების გარდა, არ არსებობდა არანაირი სხვა რაციონალური ან ჰიპოთეტური შეხედულება.[591] ჰაბსბურგების შემთხვევაში, არ ხდებოდა მონარქების ლიტერატურულ-პოლიტიკური მოდელის შექმნა. ისაბელ კასტილიელი და ფერნანდო არაგონელი „ღვთისგან ხელდებულ მონარქებად“ მოიხსენიებოდნენ.[592] კათოლიკური ეკლესია მათ ეთიკურ-მორალურ მხარდაჭერას უცხადებდა, სამეფო გადაწყვეტილებებს გამართლებს ანიჭებდა.[593]

---

[586] Apeles, 1999, გვ. 92-95.
[587] Ben-Zaken, 1970, გვ. 209.
[588] Malettke, 2000, გვ. 377.
[589] Nieto Soria, 1999, გვ. 22.
[590] Nieto Soria, Ib., გვ. 31.
[591] Nieto Soria, 1988, გვ. 179.
[592] Nieto Soria, Ib., გვ. 201, 202.
[593] Pérez Priego, 1995, გვ. 135-150.

ოსმალთა მცდელობის მსგავსად, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მონარქიის წარმოშობის ფესვები რომის ან საბერძნეთის ცივილიზაციაში დაედასტურებინათ. რამდენადაც კონსტანტინოპოლი უკვე ოსმალების მიერ იყო დაკავებული, რჩებოდა რომი, ძველი ლათინელები, რათა წინა პლანზე წამოეწიათ დინასტიის ღრმა ფესვები. განსჯისთვის მოგვყავს ციტატა ჯილ კალვოს წიგნიდან „ესპანეთის იდეოლოგია“: ,,რომაელების დაპყრობის შემდეგ ლათინური კულტურა იბერიის ნახევარკუნძულზე კიდევ უფრო გახანგრძლივდა. ,,ისპანია“ საუკუნეების განმავლობაში იყო დასავლეთის იმპერიის პროვინცია, საიდანაც მომდინარეობს მთელი ჩვენი ენობრივი, პატრიარქალური, რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობა“.[594] XX საუკუნეში დაწერილი ეს შეფასება ზუსტად ასახავს საუკუნეების წინანდელი ესპანური იდეოლოგიის არსს. პროპაგანდულისგან განსხვავებით, აქ ადგილი აქვს ფილოსოფიურად დასაბუთებულ, ფაქტებზე დაყრდნობილ მსჯელობას, რომელიც ენის, საზოგადოებრივი წყობის, რელიგიურ და კულტურულ ელემენტებს აერთიანებს. აქვე განმარტებულია, რომ ესპანური იდეოლოგია წარმოადგენდა ,,საქმის კეთების ესპანურ ხერხს“.[595] არსებობს მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ იგი მაკიაველიზმის ნიშან-თვისებების მატარებელიც იყო. საკუთრივ ფრაზა ,,ესპანური იდეოლოგია“ ეკუთვნის ხოსე ორტეგა ი გასეტს (1883-1955), XX საუკუნის ცნობილ ესპანელ ფილოსოფოსს.[596] რენესანსულ-ჰუმანისტურ ეპოქაში პოლიტიკურ-სტრატეგიული მეთოდები იდეოლოგიად არ მოიაზრებოდა. ორტეგა ი გასეტი იყო ასევე პერსპექტივიზმის და სასიცოცხლო ისტორიული აზრის ფუძემდებელი. ყველაზე დიდი მითი, რასაც

[594] Gil Calvo, 2006, გვ. 96.

[595] Gil Calvo, Ib., გვ. 9.

[596] ,,სიცოცხლის ფილოსოფიის” მიმდინარეობის წარმომადგენელი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ზოგადად ესპანური ფილოსოფიის დებულებების თავმოყრაში, სახელმწიფოს ზოგადი ისტორიის შეფასებაში, კებედოს მსგავსად, იგი ერთხანს ეკლესიასაც დაუპირისპირდა, თუმცა, აღნიშნულია, რომ იგი გარდაიცვალა ჯვარცმით ხელში. ორტეგა ი გასეტმა 1898-1904 წლებში მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტში მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, რის შემდეგაც გერმანიაში გაემგზავრა, სადაც გაეცნო გერმანელ ფილოსოფოსთა ნააზრევებს, 1905-1907 წლები მან გერმანიაში დაჰყო და ესპანეთში დაბრუნდა, როგორც ნეოკანტელი ფილოსოფოსი (თ. ხ.).

მონარქია შეიძლებოდა დაყრდნობოდა, გახლდათ დონ კიხოტეს სავარაუდო პროტოტიპი და შემდეგ თავად ნაწარმოების გმირი. ამიტომ ორტეგას ,,დონ კიხოტეს მედიტაციები“ ესპანური იდეოლოგიის განსამარტავად ერთ-ერთ ძირითად დებულებას წარმოადგენს. ალფონსო X-დან დაწყებული კათოლიკე მონარქებით გაგრძელებული ესპანეთის სამეფოში ადგილი არ ჰქონდა ფილოსოფიურ მიმდინარეობას ან ლიტერატურულ კოლაჟს, რომელიც საზოგადო აზრის თუ სახელმწიფოს ძირითადი დებულების, სრატეგიული მიმართულების ფუძემდებლად მოიაზრებოდა. ასე გაგრძელდა XVII საუკუნემდე, ვიდრე ფრანსისკო კებედო (1580-1645) კონცეპტიზმის სახით არ ჩამოაყალიბებდა მთავარ იდეოლოგიას. სწორედ იგი არის მიჩნეული ზოგადი ,,ესპანური იდეის“ ფუძემდებლად. ჯგუფური და ინდივიდუალური დიფერენცირებიდან გამომდინარე, კებედო სახელმწიფოს მიერ გააზრებული იდეოლოგიის აღქმაში ინდივიდის პასუხისმგებლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: ,,ინდივიდი თვითონ ფლობს საკუთარი თავის შესახებ ბევრად ვრცელ ინფორმაციას, როდესაც პირად ყურადღებას ხარჯავს იმაზე, თუ რა მოხდა, რათა დარჩენილიყო მეცნიერი და არა იმაზე, რა იყო მიზეზი და რატომ მოხდა, რატომ უნდა წარმოშობილიყო.“[597]

ფრანსისკო კებედოს მიერ დაწყებულმა ესპანური ინკვიზიცის კრიტიკამ, ,,სახელმწიფოებრივი სტრატეგიის“ დაგმობამ, შეცვალა კათოლიკე მეფეების მიერ საფუძველჩაყრილი რელიგიური იდეოლოგიის გავლენა. ენობრივი უპირატესობა მიზნად ისახავდა მეტოქეებთან განათლების შედარებითობის გამოკვეთასაც. მედიტერანიზმის ხანის ესპანური ჰუმანისტური ერუდიცია და სალამანკის სწავლულთა სკოლა გაცილებით მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე დანარჩენი ევროპის საგანმანათლებლო მიღწევები. XVI-XVII საუკუნეების ესპანეთის მონარქიას კებედო ახასიათებს შურიანი ევროპელების წინაშე მდგარ დიდ ერად, რომელიც ,,ყველას წინაშე მარტოა“.[598]

---

[597] Quevedo; Rey Álvarez, 1985, გვ. 84.
[598] Guillen, 1982, გვ. 8.

## 6.3. ესპანეთისა და ოსმალეთის იმპერიების სამხედრო-საზღვაო ანტაგონიზმი

1516 წელს, კარლოს V-ის ესპანეთის მეფედ, კარლოს I-ად, გამოცხადების დროს, მონარქიის საზღვაო ძალები რამდენიმე ათეულ ხომალდს მოიცავდა. ამ ფაქტზე მიუთითებს კარლოს V-ის მემატიანე ფრანსისკო ლოპეს დე გომარა (1511-1566): ,,შესამჩნევია უწინდელი გალერების დიდი რაოდენობა. ახლა კი რა ცოტა იყრის თავს“.[599] ცხადია, კათოლიკე მეფეები არ აწარმოებდნენ გლობალური მნიშვნელობის საზღვაო ბრძოლებს და მხოლოდ გეოგრაფიული ექსპედიციებით შემოიფარგლებდონენ, ამიტომ ესპანეთის ახალ მეფეს ესპანური ფლოტი, მთელი მისი დიდებულებით, მემკვიდრეობად არ რგებია.[600] კარლოს V-ის მმართველობის ხანგრძლივობაში სამეფო ხაზინის ძირითადი ნაწილი გენუელი და, ადგილობრივად, ესპანელი ზღვაოსნების გალერების დაქირავებაში იხარჯებოდა. ამ მხრივ, მეფის საიმედო კაპიტნებს იტალიელი კონდოტიერი, გენუის ფლოტის ადმირალი ანდრეა დორია (1466-1560),[601] გრანადელი ალვარო დე ბასანი (1526-1588) და ბისკაელი მეზღვაური როდრიგო დე პორტუონდო (?-1529) წარმოადგენდნენ.[602] მათ ხომალდებს ესპანეთის მეფე განსაკუთრებით აქტიურად 1528-30 წლებში ქირაობდა.[603] კარლოს V-ის მიერ გენუის რესპუბლიკასთან ,,თანაბარუფლებიანი“ კავშირი, ანდრეა დორიასთან 1528 წლის 11 აგვისტოს

---

[599] López de Gómara, F. (1554?), 2000, გვ. 56.

[600] ლოპეს დე გომარას შენიშვნა - ,,გალერების დიდი რაოდენობა, რაც უწინ იყო“ - სწორედ ისაბელ კასტილიელის და ფერნანდო არაგონელის პერიოდს გულისხმობს. კარლოს V-ის მშობლების მმართველობის დროს ფლოტის შექმნას დიდი ყურადღება არ ეთმობოდა (თ. ხ.).

[601] ანდრეა დორია 1512 წელს 46 წლის ასაკში გახდა გენუის ფლოტის ადმირალი. როგორც დაქირავებული დამხმარე ძალა, იგი საფრანგეთის მეფის ფრანსუა I-ის და რომის პაპის კლემენტი VII-ის სამხედრო ძალებში მსახურობდა (თ. ხ.).

[602] ალვარო დე ბასანი ი გუსმანი იყო სანტა კრუსის მარკიზი, ფელიპე II-ის სამეფო სათათბირო საბჭოს წევრი, ოკეანის მთავარი კაპიტანი, ესპანეთის იმპერიის ფლოტის ადმირალი. მისი გალეონები მონაწილეობდნენ აფრიკის ექსპედიციებში (თუნისის კამპანიაში), მას ,,დაუმარცხებელ მეზღვაურს“ უწოდებდნენ. 1526 წელს კარლოს V-მ, ხუან დე ველასკოს ნაცვლად, სამეფო გალერების კაპიტნად სწორედ ბასანი დანიშნა (O’ Donnel, 1998, გვ. 273). როდრიგო დე პორტუონდო - ასევე ცნობილი მეზღვაური და კაპიტანი, 1529 წელს კ. ფორმენტერასთან თურქ მეკობრეებთან ბრძოლაში დაიღუპა.

[603] Thompson, 2006, გვ. 97.

გაფორმებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, კონდოტას პროტექტორატი, ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ საიმედო მოკავშირის ყოლაზე იყო გამიზნული.[604] ამასთან, აღნიშნული ,,საიმედო მოკავშირე" ერთ-ერთ უძლიერეს სამხედრო-საზღვაო საყრდენს წარმოადგენდა - სწორედ ამაში გამოიხატებოდა ესპანეთის მონარქის სტრატეგიული მიზნის არსი. თავის მხრივ, განუწყვეტლივ მზარდი მეკობრული თავდასხმებისა და ხმელთაშუა ზღვაზე თურქების საზღვაო შეტევების ფონზე, სამხედრო დახმარება გენუასაც ესაჭიროებოდა. ვენეციასთან სავაჭრო დუელი, პორტუგალიის საზღვაო მონოპლია, სევილიაში მდებარე სავაჭრო სახლის - casa de contratación-ის მიერ ამერიკის სიმდიდრეების კონტროლი, გენუის ეკონომიკურ მდგომარეობას არასახარბიელოს ხდიდა. კარლოს V-თვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროპაში გენუის პირველი - წმინდა გიორგის ბანკის დახმარებაც.[605] თუნისის მმართველ მულეი ჰასანთან გაფორმებული შეთანხმების მსგავსად, ანდრეა დორიასთან დადებული კონდოტა იტალიის ქალაქისთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ითვალისწინებდა.[606] მსგავსი სტრატეგიით, ესპანეთის მეფე ცდილობდა, მოკავშირე პოლიტიკურად კმაყოფილი დაეტოვებინა, მაგრამ სახელმწიფო ეკონომიკურ ვალდებულებებს, რაც ესპანეთის მონარქიას გენუის ბანკის მიმართ გააჩნდა, ჯერ კიდევ 1527 წელს უკვე ვეღარ უმკლავდებოდა და ვალების გადავადებას მოითხოვდა.[607] გენუის მოკავშირეობა უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური სვლა იყო, რომელსაც კარლოს V საკუთარ ანდერძშიც კი უსვამდა ხაზს.[608] ესპანეთის მონარქმა გარდაცვალებამდე სცადა ანდრეა დორიას ერთგულების დაფასება. ამასთან, მემკვიდრეს ანდერძად XVI საუკუნის გეოპოლიტიკური გეგმაც დაუტოვა. კარლოს

---

[604] TRECCANI, Condotta, Dória, Andrea, principe di Melfi.

[605] მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ბანკი, რომელიც 1407 წელს იქნა დაარსებული (თ. ხ.).

[606] International Encyclopedia of military History, 2006, გვ. 400.

[607] Cadenas y Vicent, 1989, გვ. 75.

[608] კონდოტას შთანხმება საფრანგეთთან წარმოებულ მეორე ომის ფარგლებში შედიოდა, ამდენად, მისი დანიშნულება, მხოლოდ იმპერიის ფლოტის ან სახაზინო ვითარების გაუმჯობესებას არ გულისხმობდა (თ. ხ.).

V-ის მიერ 1548 წლის 18 იანვარს შედგენილ პოლიტიკურ ანდერძში ვკითხულობთ: **,,არ დატოვონ გენუის ხომალდები. საჭიროა გენუელების მოხიბვლა. თუ ისინი წავლენ, შეიძლება, ფრანგების მხარეს გადავიდნენ და უკვე ფრანგები გახდებიან ზღვაზე უპირატესნი, რაც იტალიისთვის სახიფათო იქნება".**[609] გარკვეული მოსაზრების მიხედვით, გენუასთან დადებული შეთანხმებით იწყება ესპანეთის მონარქიის გასვლა ხმელთაშუა ზღვის საერთაშორისო სცენაზე, იმპერიის დომინანტის დასაწყისი და მისი აქტიური საგარეო პოლიტიკის აღქმის, ეკონომიკური დინამიურობის ათვლის წერტილი.[610] ესპანეთის იმპერიის გენუასთან დაკავშირებამ გამოიწვია იტალიური სავაჭრო ჯგუფების ოლიგარქიზაცია, თუმცა, ფერნან ბროდელი მიუთითებს, რომ გენუა ესპანეთისგან დამოუკიდებლადაც ,,უმაღლეს ეკონომიკურ ქალაქს" წარმოადგენდა. კარლოს V-ს შესანიშნავად ესმოდა, რომ ,,გენუის ავტონომია ესპანეთის ავტონომიას ნიშნავდა".[611] რეალურად კი არც ერთი მათგანი გამოირჩეოდა დამოუკიდებელი მერკანტილური მდგრადობით; ამიტომ მოცემული არასტაბილურობა უარყოფითად აისახა XVI საუკუნის ეკონომიკურ პლატფორმაზეც. 1607 და 1627 წლებში გენუელი ვაჭრების ბანკროტად გამოცხადებამ 1640 წლის ევროპის ზოგადი კრიზისი გამოიწვია.[612] ესპანეთის გვირგვინს დაქვემდებარებულ ათეული ფუსტის მოდელის ნავის შედარებაც კი არ შეიძლებოდა დორიას, ბასანის და პორტუონდოს გალერებთან. არა მხოლოდ ახალი ფლოტის აგება, არამედ გალერების ექსპედიციაში ჩართვაც კი უდიდეს ხარჯებს მოითხოვდა. მაგალითად 1494 წელს თუნისიდან ტენერიფეში 12 გალერის გაგზავნა სამეფო კარს 3000-დან 4000-მდე

---

609 Corpus Documental de Carlos V, (1539-1548), ed. Fernández Álvarez Manuel, 1975, Salamanca: Ediciones Universidad Salamanca, Vol. II. 569-592. ესპანეთის მონარქი ხაზს უსვამდა გენუელების ,,გულწრფელობის იმედს". მისი აზრით, გენუელები უფლისწულ ფელიპესაც ,,ასევე ემსახურებიან და მისი ერთგულები იქნებიან".

610 Pacini, 1999, გვ. 9-14.

611 Braudel, 1979, გვ. 140.

612 დორიას და სპინოლას გვარებთან სტრატეგიულმა კავშირმა, ყველა ზოგადი კრიზისული ფაქტორის მიუხედავად, მონარქიის ეკონომიკური სიმტკიცე და სამხედრო შეიარაღების უზრუნველყოფა განაპირობა (Grendi, 1987, 139-172).

დუკატი დაუჯდა.[613] მოცემული საჭირო ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, ესპანეთის ,,ავსტრიული სამეფო კარი“ გენუასა და ვენეციას ვერ შეედრებოდა. 1530 წლისთვის ვენეციის ფლოტი 100 გალერას მოითვლიდა, ხოლო ოსმალეთის იმპერიის შესაძლებლობები სამივე კონტინგენტს აღემატებოდა. ოსმალეთი 1499-1501 წლებში 200-ზე მეტ ხომალდს ფლობდა. XVI საუკუნის შუა ხანებისთვის ესპანეთის ფლოტი რამდენიმე ათეულით გაიზარდა და სრულ შემადგენლობაში 60-მდე გალერას მოიცავდა. მაგალითისთვის მოვიყვანთ სიმანკასის არქივში დაცულ წერილს, რომელიც გენუის კომენდანტმა ხირონმა 1552 წლის 27 აგვისტოს უფლისწულ ფელიპეს გაუზავნა: **,,მის უდიდებულესობას [კარლოს V-ს] ბევრი წელი დასჭირდა 60 გალერამდე, რომლებიც სამართლიანად არიან მსოფლიოში საუკეთესონი, და კარგადაც აღჭურვილები, როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში. 22 წელზე მეტია, რაც მე [მეფეს] ვემსახურები. მახსოვს საჭიროების ჟამს, როდესაც თურქი თავის არმადას თქვენი უმაღლესობის სამეფოების დასაზიანებლად აგზავნიდა, არასდროს მინახავს ყველა ერთად წესრიგით შეკრებილი, თანაც მხოლოდ 30 ან 40“.**[614]

კარლოს V-ის მმართველობის ბოლო პერიოდში დაწყებული მონარქიის ფლოტის გაძლიერება სწორედ ფელიპე II-ის დროს გაგრძელდა. 1561 წელს ესპანეთის სამხედრო ფლოტი 111 გალერას ითვლიდა, რომელთაგან მხოლოდ 30 იყო სამეფო გვირგვინის პირად მფოლბელობაში. ხომალდების დარჩენილი რაოდენობა კვლავ კერძო პირებისგან დაქირავებით შეივსებოდა.[615] ფელიპე II-ის მეფობის პირველივე წლებში უკვე ვხვდებით ბრძანებას ფლოტის მშენებელობისა და აღჭურვის შესახებ: **,,მეფემ ჩვენ ხომალდებთან დაკავშირებით, მათი რიცხვის გასაზრდელად, ახალი ბრძანება გასცა, მსხვილი არმადის მუდმივ მზადყოფნაში არსებობის მიზნით, აგრეთვე, ღმერთის სამსახურში ყოფნისთვის... რათა გაუძლოს**

[613] Caballos, 2019, გვ. 50-60.

[614]AGS, Guerra Antigua, 47, fol.  149, El comandante de genua a Don Felipe, 1552, 27 agosto.

[615] ,,ხომალდები თავს მოიყრიან მომავალი ზაფხულისთვის“. AGS, Estado, 444.

**თურქებს და შეაკავოს ისინი“.**[616] საზღვაო ტექნიკურ-სტრატეგიული გეგმით, ესპანეთის ახალმა მონარქმა ხმელთაშუა ზღვის სამხედრო ექსპანსიას მიაღწია. 1573 წლისთვის სამეფო გვირგვინის დაქვემდებარებაში 168 ხომალდი აითვლებოდა. ესპანეთის მონარქიის ფლოტის გაძლიერების რამდენიმე ძირითადი ფაქტორი უნდა გაიმიჯნოს: ოსმალეთის იმპერიის დაპყრობებით გამოწვეული საფრთხე, აფრიკის სანაპიროებიდან გახშირებული მეკობრეების თავდასხმები, განხორციელებული ტრანსოკეანური სატვირთო-სამხედრო ექსპედიციები.[617]

ოსმალეთსა და ესპანეთს შორის დაპირისპირება ,,ზღვასა და ხმელეთზე“ ერთდროულად მიმდინარეობდა, ევროპაში თუ ამერიკის კოლონიებზე. ერთადერთ შედარებით უსაფრთხო სანაპიროებს გენუა და ნეაპოლის სამეფო წარმოადგენდნენ.[618] 1550-1560 წლებში ესპანეთის მონარქიამ, ოსმალეთის იმპერიის მიერ ალჟირელი მეკობრეების მხარდაჭერით, თითქმის ყველა აფრიკული ობიექტი დაკარგა, გარდა მელილას, ორანისა და ლა გოლეთასი (1574 წლამდე).[619] სამხედრო ფლოტის გაძლიერების რჩევას ჯერ კიდევ დედოფალ ისაბელ კასტილიელს აძლევდა მედინაჩელის პირველი გრაფი ლუის დე ლა სერდა დე ლა ვეგა (1479-1501): **,,რაც სათქმელად დარჩა, ეს მსხვილი არმადის შექმნაზე თქვენი უდიდებულესობის კეთილი განზრახვაა. ამით არა მხოლოდ დავაზღვევთ და დავიცავთ ქალაქებს, დასახლებებსა და ციხე-სიმაგრეებს, რასაც თქვენი უდიდებულესობა აფრიკაში ფლობს, არამედ მოხდებოდა ამ სამეფოების გამაგრება და გამხნევება [ქრისტიანობაში], რათა მტერმა თქვენ მიწებზე გადმოსვლა ვეღარ გაბედოს და ვეღარ დააზიანოს, ის, რასაც იგი ახლა აკეთებს“.**[620] 1550 წელს კარლოს V-ს არწმუნებდნენ, იმპერიის ბარბარული კოლონიები საერთოდ მიეტოვებინა და იმპერიის შემადგენლობიდან გამოერიცხათ, ვინაიდან ყველაზე დიდი

[616] CODOIN, VIII, გვ. 304.
[617]ისინი, რასაკვირველია, ოსმალეთის იმპერიას უკავშირდებოდნენ. მაღრიბელ მეკობრეებს არც ინგლისის მონარქიის მეზღვაურები ჩამორჩებოდნენ.
[618] Thompson, 2006, გვ. 101.
[619] Merriman, 1962, გვ. 348.
[620] AGS, Estado 12, f. 94, Duque de Medinaceli a Isabel I. უთარიღო.

მატერიალური დანახარჯი სწორედ აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებზე მიდიოდა. მაგრამ, მეფის გეოპოლიტიკური ზრახვების მიხედვით, ცხადი შეიქმნა, რომ იმპერატორი ევროპის აღმოსავლეთ ზღვისპირეთის სანაპიროებსა და კუნძულებს უფრო ადვილად დათმობდა, ვიდრე აფრიკის ჩრდილოეთ ნაპირებს.[621]

ფელიპე II-ის შემთხვევაში, იმპერიული იდეების და გეგმების სახეცვლილების პარალელურად, სხვა გათვლები ჩამოყალიბდა. დონ გარსია დე ტოლედო (1514-1577), იგივე ვილაფრანკის მარკესი, ნეაპოლის გალერების მთავარი კაპიტანი და სიცილიის ვიცე-მეფე (1564-1566), ფელიპე II-ს 1573 წლის 10 სექტემბერს მიწერილ წერილში შემდეგ იდეას აცნობებდა: სასურველი იყო, მეფეს აფრიკული სანაპიროების დაცვის საკითხი დროებით შეეჩერებინა და ყურადღება ფლოტის გაძლიერებაზე გადაეტანა. თურქების გასამკლავებლად მონარქს სამხედრო გალერების რაოდენობა მინიმუმ 170-მდე მაინც უნდა გაეზარდა: **„აღარ გეტყვით, თუ თქვენი დიდებულებისთვის რა მნიშვნელოვანია ზღვის ბატონად ყოფნა... რადგან თურქი ძალიან მოწესრიგებული მტერია, მისი შეჩერება მხოლოდ ამ რიცხვით ვერ მოხერხდება“.**[622] აღსანიშნავია, რომ 1568 წელს საზღვაო შეიარაღების პირველ გრანდიოზულ სვლას წარმოადგენდა დონ ხუან დე ავსტრიელის (1545-1578), ფელიპე II-ის ნახევარძმის, სამეფო გალერა „არგო“, რომელიც მოქნილი მანევრირებისთვის შეუსაბამო მონაცემების გამო, 1571 წელს ლეპანტოს ბრძოლამდე მცირე ხნით ადრე გააუმჯობესეს. ლეპანტოს გამარჯვება იყო ფელიპე II-ის სამხედრო რეფორმის შედეგის კულმინაცია, ესპანეთის იმპერიის სამხედრო-საზღვაო ჰეგემონიის დამაგვირგვინებელი აკორდი. ამავე ბრძოლაში ესპანელებმა დაიბრუნეს 1538 წელს პრევეზას ბრძოლის დროს ოსმალების მიერ დაკავებული ესპანური გალერები. აღმოჩნდა, რომ სულტნის ფლოტი მეკობრული თუ საზღვაო

---

[621] Thompson, 2006, გვ. 105.

[622] იგულისხმება იმპერიის განკარგულებაში არსებული მხოლოდ 150 გალერა. AGS, Estado 453, Nápoles, Don Garcia de Toledo a Felipe II, 1573, 10 de septimbre.

ბრძოლების დროს ხელთგდებული ხომალდებითაც ივსებოდა.[623] ლეპანტოს ბრძოლის შემდეგ ხმელთაშუა ზღვაზე სხვა, ევროპის მონარქებისთვის მოულოდნელი პოლიტიკური რეალობა გამოიკვეთა. ოსმალეთის იმპერიამ ფენიქსივით შეძლო ფლოტის აღდგენა. რამდენიმე თვეში იგი წარსდგა არა როგორც დამარცხებული, არამედ უძლიერესი სამხედრო-საზღვაო იმპერია. 1572 წელს სულტნის დაქვემდებარებაში გაორმაგებული რაოდენობის ხომალდი აღირიცხებოდა - 400 გალერა. ხუან ავსტრიელი ფელიპე II-ს აცნობებდა: **,,ამ ტირანმა თავისი ძალა ზღვაზე სულ მცირე ათ თვეში გაზარდა, რაც ალბათ ორ წელიწადში თუ იქნებოდა შესაძლებელი".**[624] ესპანური გალერები ხმელთაშუა ზღვის სამხედრო დაპირისპირებებისთვის ნაკლები მოქნილობით ხასიათდებოდა. მათი გამოყენება ,,ატლანტის ომისთვის" უფრო იყო გამართლებული, რომელიც ამერიკის ,,საზღვაო-საქარავნო გზებზე" მიმდინარეობდა.[625] მოგვიანებით, შესაძლებელი გახდა ხომალდების ტექნიკური მახასიათებლების დახვეწა.[626] ბუნებრივია, რომ ფელიპე II-ის ყურადღება საზღვაო შეიარაღების გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული; თუმცა, ესპანეთის იმპერია ეკონომიკურად სხვა პლატფორმაზე იდგა. მიუხედავად ამერიკის ტერიტორიებიდან შემატებული ეკონომიკური სარგებელისა, იმპერიის ხარჯები გაცილებით მეტი იყო. ასევე განსხვავდებოდა მისი საგადასახადო სისტემა. რეალობის რეალური შეფასების მიუხედავად, ფელიპე II ხუან ავსტრიელისგან დაჟინებით მოითხოვდა ე. წ. ,,ზღვის საკითხის" გადახედვას, რათა კაპიტანს განეხილა: ,,საჭიროების შემთხვევაში, რა წარმოებით და ხერხით შეიძლებოდა მათი [გალერების] შესაბამისად დახვეწა და

---

[623],,ვნახე თქვენი უდიდებულესობის გალერები, რომლებიც უსარგებლო იყო ნაოსნობისთვის და [თურქებს] მათი შენახვისთვის ადგილი არ ჰქონდათ". AGS, Estado, 453, Aviso de Don Pedro de Velázquez. Nápoles, 1577, 15 de abril.

[624] AGS, Estado, 448. Don Juan de Austria a Felpie II. 1572, 24 de octubre.

[625] Thompson, 2006, გვ. 117.

[626],,კარტახენიდან გასული ვერც ერთი ხომალდი შეძლებს მშვიდად ნავიგაციას, თუ მათ ექნებათ 200 ნიჩაბზე ნაკლები, რადგან დინებები განსხვავებულია" (AGS, Estado, 2637, 1607, 23 de octubre, Don Pedro de Toledo).

დიდი არმადის შეკრება".[627] დონ გარსია დე ტოლედო მეფეს ასევე მოუწოდებდა, ოსმალებთან საბრძოლო მოქმედებაში არ ჩართულიყო, თუნდაც 300 გალერით. საუკეთესო ნაბიჯს წარმოადგენდა არსებული მდგომარეობის, ,,ქრისტიანობის მხსნელის" იდეოლოგიური პროპაგანდის და ხმელთაშუა ზღვაზე ,,თურქებთან მებრძოლი მონარქიის" სტატუს კვოს შენარჩუნება. ოსმალეთის იმპერია ყველა შესაძლებელი მეთოდით ცდილობდა პოზიციების დაცვას და, როგორც აღვნიშნეთ, დანებებას არც ლეპანტოს შემდეგ აპირებდა. ნავარის ვიცე-მეფე დონ ხუან დე კარდონა ი რეკესენსი (1530-1609) კიდევ ერთი პიროვნება იყო, რომელიც მეფეს სიტუაციის სწორად შეფასებისკენ მოუწოდებდა.[628] იგი ამგვარად განმარტავდა ოსმალების დამოკიდებულებას საზღვაო ძლიერების მოტივაციაზე: ,,მათ მიერ გალერების შეიარაღება ტირანული ხერხია".[629]

უდავოა, რომ ოსმალეთი არ წარმოადგენდა საზღვაო იმპერიას, მისი საბრძოლო მასშტაბები ხმელთაშუაზღვისპირეთის და წითელი ზღვის სივრცეს არ სცდებოდა, მაგრამ სულტნების მთელი ძალისხმევა, ,,ტირანული მეთოდები" მიმართული იყო ,,უძლიერეს იმპერიად" არსებობისკენ.[630] სამხედრო შეიარაღების დაჩქარება საერთო ოსმალური პროპაგანდის ნაწილს შეადგენდა. ფლოტის დანაკლისის და შეიარაღების შევსების ტემპი ეფუძნებოდა დევშირმეს სისტემას.[631] ოსმალეთის იმპერია მკაცრად შემუშავებულ და ჩამოყალიბებულ საგადასახადო მოდელს და დევშირმეში შესულ kapıkulları-ს (kapıkulu ocakları - ნავსადგურის ბიჭების) რესურსს ემყარებოდა.[632] ინგლისელი ისტორიკოსი დევიდ ნიკოლი მიუთითებს, რომ ქრისტიანული მოსახლეობიდან აყვანილი ბავშვები დამონებული იყვნენ

---

[627] CODOIN, Vol. VIII, 115. 1573, 9 de mayo. Felipe II a Don Juan de Austria.
[628] დონ ხუან დე არდონა ი რეკესენსი - ნავარის ვიცე-მეფე და ომისა და სახელმწიფო სათათბიროს წევრი. RAH. http://dbe.rah.es/biografias/29085/juan-de-cardona-y-requesens
[629] AGS, Estado 453, Don Juan de Cardona a Don Juan de Austria, 1573, 10 de septiembre.
[630] Velensi, 1993, გვ. 24-29.
[631] არის მოსაზრება, რომ ზოგადად, ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკა დაპყრობილი მოსახლეობიდან მონების ორგანიზებას და დევშირმეს სისტემას ეფუძნებოდა (Shaw, 1976, გვ. 184).
[632] kapıkulları და yeniçeri (ახალი მებრძოლი) ოსმალეთის იმპერიის მთავარ რესურსს წარმოადგენდნენ საზღვაო და სახმელეთო სამხედრო ძალების შესავსებად. ახალგაზრდების აყვანა ხდებოდა დაპყრობილი ქრისტიანული მოსახლეობიდან (Gelvin, 2016, გვ. 80).

დევშირმეს სისტემის გამო, რაც არ შეესაბამებოდა ,,გვერდი-გვერდ ცხოვრების“ ფსევდო-თავისუფლებას, ე.წ. პროტექტორატს და ზიმიების, ოსმალეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი არამუსლიმების, უფლებებს.[633] ზიმიების მფარველობის სტატუსს იყო ამოფარებული ოსმალეთის ,,შემწყნარებლობის იდეოლოგია“.[634] თუმცა, ჰალილ ინალჯიკის მსჯელობის მაგალითზე, დევშირმეს სისტემა არ არღვევდა ზიმას პირობას და არც დაპყრობილი მოსახლეობის ბავშვები იყვნენ მონურ მდგომარეობაში.[635] ტყვეების, მონების, დევშირმეს მიხედვით აყვანილი ბავშვების სულტნის გვარდიაში ან პირად დაცვაში გამოყენება მონღოლური სამხედრო ინსტიტუციის ტრადიციას წარმოადგენდა. ოსმან ღაზის მმართველობაში სულტნის პირად დაცვას მონები შეადგენდნენ. მათი რიცხვი განსაზღვრული იყო და, მართალია, ცალკე სამხედრო კლასს არ ქმნიდნენ, მაგრამ იერარქიულად მათ ნოქარი ეწოდებოდა (Nökar).[636] ჰალილ ინალჯიკის მიხედვით, სულტნის ნოქარი შუა საუკუნეების კომენდანტს შეიძლება შეედაროს.[637] საკუთრივ ოსმალური გამოცდილების გარდა, თურქები დასავლურ სამხედრო ტრადიციასაც გულდასმით ეცნობოდნენ. სულტან მეჰმედ II-მ კონსტანტინოპოლზე იერიშამდე მარიანო ჯაკომო ვანის (1381-დაახ.1481) სამხედრო ტრაქტატი (il taccola) ათარგმნინა. ცნობილია, რომ მან მიღებული ცოდნა ბიზანტიის დედაქალაქის ალყის დროს წარმატებულად გამოიყენა.[638] ევროპის სამხედრო გამოცდლება ოსმალებისთვის იბერიის ნახევარკუნძულიდან გადასულ მუსლიმებსა და ებრაელებსაც მიჰქონდათ. ოსმალეთის იმპერიის მძიმე არტილერიის სტანდარტების დახვეწაში უდიდესი როლი შეასრულა ანდალუსიელი კაპიტნის

---

633 Nicolle, 2011, გვ. 273.

634 ზიმა - დაპყრობილი ან ნებით ოსმალეთის იმპერიაში გადასული ებრაელების, ქრისტიანების, სერბების, იურიდიული სტატუსი, რომელიც მოგვიანებით ზოროასტრებსა და ინდუსებზეც კი გავეცელდა. ქვეშევრდომობის შეთანხმება ყველა არამუსლიმს შეეძლო ოსმალეთის მთავრობასთან გაეფორმებინა და მისი ,,მფარველობის ქვეშ“ გადასულიყო (Hoyland, 2004, გვ. 14).

635 İnalcık; Renda, 2004, გვ. 138.

636 Uyar; Erickson, 2009, გვ. 18.

637 İnalcık, 2016, გვ. 22-23.

638 Ágoston, 2005, გვ. 43.

იბრაჰიმ ბ. აჰმადის (არ-რაისი) მიერ 1630-32 წლებში დაწერილმა ,,არტილერიის სახელმძღვანელომ“.[639] ოსმალეთის იმპერიის უპირატესობა საზღვაო შეიარაღებაში განპირობებული იყო მოვლენების ქრონოლოგიური მსვლელობითაც. ვიდრე ფელიპე II აქტიურად შეუდგებოდა ფლოტის რეორგანიზების საკითხს, ოსმალეთის იმპერიის მბრძანებლები აღნიშნული საკითხით უკვე იყვნენ დაკავებული. ბაიაზიდ II-ის (1481-1512) და მისი შვილიშვილის სულეიმან I-ის (1520-1566) დროს ფლოტის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამდენად, გარკვეულ მთავარ საზღვაო ბრძოლებში, მალტის ალყის და ლეპანტოს დაპირისპირების გარდა, სწორედ ოსმალები აღწევდნენ წარმატებას.

დევშირმეს სისტემა ოსმალეთის იმპერიის იდენტობის ერთ-ერთი ელემენტი იყო, თუმცა, მხოლოდ მასზე დაყრდნობით, ცხადია, საზღვაო ძალების შენახვა ვერ მოხერხდებოდა.[640] მეკობრული გზით მიტაცებული ხომალდები და ასევე ,,შეწირულობები“ სამხედრო ხაზინის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მეკობრეების ყაჩაღური მოქმედებების სანაცვლოდ, ტაქტიკურ სვლაზე იყო გათვლილი მათთვის კაპუდან-ფაშას ტიტულის ბოძებაც, რომლის პირველი მფლობელი ხაირ ად-დინ ბარბაროსა გახდა (1534-1546 წლებში).[641]

## 6.4. იმპერიული დაპირისპირების ეკონომიკური პლატფორმა

XVI საუკუნეში ესპანეთის მონარქიის და ოსმალეთის იმპერიის დაპირისპირებაში ცალკე ისტორიულ პლატფორმაზე უნდა განვიხილოთ მათ შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობის ძირითადი ასპექტები. მეზოამერიკული ცივილიზაციების ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდებამდე, თანამედროვე პერუსა და კოლუმბიის ტერიტორიაზე ვერცხლის საბადოების დაპატრონებამდე, ესპანეთის კათოლიკური მონაქრია აფრიკის,

[639] Ágoston; Alan Masters. 2009, გვ. 380.
[640] Isom-Verhaaren, 2014, გვ. 237-238.
[641] Isom-Verhaaren, 2011, გვ. 186.

კერძოდ, სუდანის ოქროზე წვდომას ცდილობდა. ხმელთაშუა ზღვაზე სრული სუვერენიტეტის მოპოვება მას დასავლეთისკენაც უხსნიდა გზას. ოსმალებმა შეცვალეს აღნიშნული ეკონომიკური მარშრუტის მიმართულებაც. ჯერ სელიმ I-ის, ხოლო შემდეგ სულეიმან I-ის ,,დიდმა სტრატეგიებმა“ შეუძლებელი გახადა უწინდელი სავაჭრო ურთიერთობა აზიასთან. აღნიშნული ცვლილებები ყველაზე უარყოფით ეკონომიკურ გავლენას იტალიურ ქალაქებზე ახდენდა.[642]

პირველად პორტუგალიამ და ესპანეთმა სცადეს ოსმალეთის მიერ შეკრული წრიდან გასვლა. თუმცა, მათი ტერიტორიული ექსპანსია, გეოგრაფიული აღმოჩენებისგან მიღებული მატერიალური წინსვლა, რელიგიური მანტიის მატარებელი იყო. ურთიერთობის ეკონომიკურ პლატფორმაზეც კი ორივე მხარე რწმენის დამცველის როლში გამოდიოდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ესპანელი მოგზაურის ბერნალ დიასის მიერ ესპანეთის მეფესთან გაგზავნილი მოხსენება.[643] წერილში იგი კოლონიების დაარსების სწორედ რელიგიურ ფაქტორს გამოკვეთდა: **,,ვემსახურო ღმერთსა და მის უდიდებულესობას [ესპანეთის მეფეს], რათა ნათელი მივცე სიბნელეში მყოფთ, და გავმდიდრე, როგორც ეს ადამიანებს ახასიათებს“**.[644] თუმცა, ცხადია, რომ მექსიკის, პერუსა და კოლუმბიის ტერიტორიებიდან ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ლითონების გატანით, ესპანეთის სამეფო ოსმალეთის იმპერიასთან დასაპირისპირებლ ფინანსურ სიმტკიცეს ნახულობდა.[645]

XVI საუკუნის ეკონომიკის ძირითადი მახასიათებელი შტრიხი - მერკანტილიზმი, სწორედ ხელისფულების ცენტრალიზაციას ემსახურებოდა. მერკანტილიზმის იდეა მეტი ოქროსა და ვერცხლის შეტანაში მდგომარეობდა,

---

[642] ალასანია, 2008, გვ. 175.

[643]ბერნალ დიას დელ კასტილიო (1496-1584) იყო ესპანელი კონკისტადორი, მონაწილეობდა ერნან კორტესის მექსიკის ექსპედიციაში. მის შესახებ კორტესის კაპლანი ფრანსისკო ლოპეს დე გომარაც მოგვითხრობს. დიასის ,,ახალი ესპანეთის დაპყრობის ნამდვილი ისტორია“ მეზოამერიკული ცივილიზაციების შესწავლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა, არასრული წყაროა (Adorno, 2001, გვ. 323).

[644] მის სიტყვებში სიზუსტით იგრძნობა უნივერსალური მონარქიის მისწრაფება: ,,ღმერთი, დიდება და ოქრო“, როგორც ეს იყო მთელი XVI საუკუნის ესპანეთის იმპერიის მოწოდება (Díaz, del Castillo, 1984, გვ. 84).

[645] Tabakoğlu, 2019, გვ. 253.

რათა გაეუმჯობესებინათ სამხედრო შეაიარაღება, სანავიგაციო სისტემა, ხოლო შემდეგ კვლავ ახალი ტერიტორიები დაეპყროთ. მერკანტილიზმის შინაარსი პოლიტიკას, ეკონომიკას და ძვირფასი ლითონების ფასებს შორის ურთიერთქმედებას გულისხმობდა. სწორედ ამ პერიოდში საფუძველი ეყრება აბსოლუტიზმს, როგორც სახელმწიფოს მართვის სისტემას, რომელსაც, კათოლიკური მონარქიის მაგალითზე, ჯერ უნივერსალიზმის პერიოდი უნდა გაევლო. მერკანტილიზმის ზოგადი დებულებიდან გამომდინარე, მიზნის განხორციელებისთვის საჭირო იყო სანავიგაციო სისტემების დახვეწა. ტექნოლოგიურ-საინჟინრო საკითხებზე ცოდნის შეძენა, რენესანსული და სამეცნიერო რევოლუციების გამოცდილების თავმოყრა და გამოყენება. როგორც განვიხილეთ, აღნიშნულ ეპოქაში მოხდა პორტუგალიელების მიერ სანავიგაციო სიახლეების დამკვიდრება; მათ მიერვე მოხდა ახალი ხომალდის კარაველას აგება, რომლის სტრუქტურაც ძველი ბერძნების გამოცდილებას ეფუძნებოდა. პრაქტიკაში აქტიურად შევიდა ჩინეთის ხანის დინასტიის დროს გამოგონილი კომპასი, რაც ჯერ კიდევ აბრეშუმის გზებზე გამოიყენებოდა.[646] აუცილებელი იყო არაბი მათემატიკოსებისა და ასტროლოგების მიერ დამკვიდრებული სიახლეების ათვისება.[647]

მეჰმედ II-მ და სელიმ I-მა, კონსტანტინოპოლის და ეგვიპტის დაპყრობებით, ხმელთაშუა ზღვის ორი უმნიშვნელოვანესი ჭიშკარი ჩაკეტეს. ბაიაზიდ II-ის მმართველობის პერიოდში დიდი ვეზირის გედიკ აჰმედ ფაშას მიერ ვენეცია-ოსმალეთის ომის დროს ოტრანტოს დაკავება რეგიონის ჩრდილოეთი სივრცის ექსპანსიას ემსახურებოდა. ბაიაზიდის ,,აღმოსავლური მშვიდი პოლიტიკის საპირისპიროდ“ სელიმ I აქტიური დაპყრობებით გამოვიდა მსოფლიოს

---

[646] ხანის დინასტია - ჩინეთის საიმპერატორო დინასტია, რომელიც ძვ. წ. 206 წლიდან ახ. წ. 220 წლამდე განაგებდა ქვეყანას. მისი დამაარსებელი იყო ლიუ ბანი. ხანის დინასტიის მმართველობა ჩინეთის ,,ოქროს ხანას“ უკავშრდება (Twitchett; Loewe, 1986, გვ. 116).

[647] ცნობილი არის 1492 წელს ხორხე დე აგირას მიერ შექმნილი ხმელთაშუა ზღვის პორტოლანი, სანავიგაციო რეპროდუქციული რუკა, რომელზეც ასახულია სანაპიროების, ნავსადგურების სანავიგაციო დისტანციები და განზომილებები. ინახება იელის უნივერსიტეტში (Edson, 2007, გვ. 57).

გეოპოლიტიკურ სცენაზე.[648] ოტრანტოს შემდეგ ,,1522 წელს როდოსის დაკავება იყო მნიშვნელოვანი წარმატება ოსმალების მიერ ხმელთაშუა ზღვაზე დასამკვიდრებლად“.[649] ოსმალეთიდან მოსალოდნელი საფრთხის შეგრძნებაზე მიუთითებს ფერნანდო კათოლიკეს მიერ 1483 წლის 29 იანვარს ნეაპოლის მეფე ფერნანდო I-თან (1458-1494) გაგზავნილი წერილი, სადაც იგი, არაგონის, ვალენსიის, მალიორკის, სარდინიის, სიცილიის სახელით, მას კავშირის შეკვრას და მშვიდობის დამყარებას სთავაზობდა. ასევე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურებოდა 1493 წლის 19 იანვარს ფერნანდო არაგონელსა და საფრანგეთის მეფე შარლ VIII-ს (1483-1498) შორის ხელმოწერილი ბარსელონის შეთანხმება.[650]

პირველი დაპირისპირება ორ უნივერსალურ იმპერიას - ესპანეთსა და ოსმალეთს - შორის 1505 წელს მოხდა, ჰაბსბურგთა ესპანური დინასტიის დამკვიდრებამდე, როდესაც ქემალ რეისმა ესპანეთის სამხრეთ სანაპიროებს ანდალუსიელი მუსლიმების დაცვის სახელით შეუტია.[651] მოგვიანებით, მსგავსი თავდასხმები გახშირდა. 1529 წელს უკვე ბარბაროსამ აიღო ალჟირის ესპანური ციხე-სიმაგრე. ალჟირის ბეილერბეიდ დანიშვნის შემდეგ, იგი ოსმალეთის იმპერიას ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებზე ოფიციალურად წარმოადგენდა. შესაბამისად, მოცემულ გეოგრაფიულ არეალში აბსოლუტური იყო ოსმალების ჰეგემონია (1538-1571 წლებში). გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა გავლენა იქონია ეკონომიკურ ურთიერთობებზეც და ზოგადად ევროპულ მერკანტილურ პლატფორმაზე. ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებზე თურქების გაბატონება XVI საუკუნის ევროპული კრიზისის ფონზე, გაცილებთ რთულ ეკონომიკურ

---

[648] მამისთვალიშვილი, 1979, გვ. 110.
[649] Bal, 2011, გვ. 299.
[650] Fernández Suárez, 1989, გვ. 305.
[651] ფირი რეისის ბიძა, ქემალ რეისი, წარმოშობით ანატოლიიდან იყო. მან შეძლო, საზღვაო წარმატებების წყალობით, სულტნის მხარდაჭერა მოეპოვებინა. 1495 წლიდან იგი უკვე ოსმალეთის იმპერიის ფლოტის მთავარი რეისია. ქემალ რეისის მეკობრეობა გააქტიურდა ესპანელების მიერ გრანადის დაბრუნების შემდეგ (Isom-Verhaaren, 2014, გვ. 240).

მდგომარეობაში აყენებდა ესპანეთის კათოლიკურ მონარქიას.[652] კარლოს V-ის მმართველობის ხანაში ესპანეთის უშუალო მეტოქეს ოსმალების მხრიდან სწორედ ბარბაროსა წარმოადგენდა. 1535 წელს მის მიერ თუნისის დაკავებას მოჰყვა კათოლიკური მონარქიის ჩრდილოეთ აფრიკის კამპანია. თუნისის წარმატებით გათამამებული იმპერატორი შეცდა და 1541 წელს ალჟირის დაკავების მორიგი სვლა წამოიწყო, რომელიც უკვე მარცხით დასრულდა. 1560 წელს ესპანეთის ფლოტი კვლავ დამარცხდა თანამედროვე თუნისის კუთვნილ კუნძულ ჯერბასთან. ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებზე ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირება კათოლიკური მონარქის ეკონომიკურ სახსრებს იწირავდა.[653]

ჯერბის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ოსმალების ხელში გადავიდა ხმელთაშუა ზღვის სამხრეთი სანაპიროები. 1571 წელს კი, უკვე კვიპროსის დაკავებით, თურქები წითელი ზღვისკენ, სპარსეთის ყურისკენ მიმავალ ყველაზე უმოკლეს საზღვაო მარშრუტს დაეუფლნენ. აღნიშნული გეოგრაფიული სივრციდან ბრწყინვალე პორტა საუკეთესოდ გააკონტროლებდა არაბულ სანაპიროებს. ამასთან, კვიპროსიდანვე ხდებოდა ევროპის ქვეყნებისთვის აფრიკის ხორბლის გადანაწილება. ვენეცია საზღვაო ბლოკადაში ექცეოდა. ოსმალების მიერ კუნძულზე ბოლო შეტევის დროს, ესპანეთის მონარქიამ რაგუზის (დუბროვნიკის) რესპუბლიკას აცნობა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდებოდა.[654] ოსმალეთის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული ცნობებით ვგებულობთ, რომ სულტნის კარზე შეშფოთებულები იყვნენ ესპანეთის საზღვაო ბრძოლაში ჩართვით.[655] კვიპროსის საკითხი ოსმალების მიერ დაკავებულ კუნძულებს შორის ყველაზე მეტად აღაშფოთებდა ევროპას. კვიპროსზე, როგორც ანატოლიის აღმოსავლეთ სანაპიროებთან მდებარე უახლოეს კუნძულზე, გეოპოლიტიკური

[652] Brulez, 1970, გვ. 20-48.
[653] როგორც ცნობილია, ჯერბის ბრძოლაში ერთი 164 ნიჩბიანი ხომალდის დაკარგვა, 80 მეზღვაურზე მეტი შემადგენლობით, 5000 დუკატის ხარჯს აღემატებოდა. AMN, Archivo del Museo Naval, Colección Navarrete, cilt XII, fol. 313, doc. 84.
[654] Bal, Ib., გვ, 300.
[655] BOA. MD, 978/1570.

კონტროლის დამყარებით ოსმალეთის იმპერია სირიის, პალესტინის, ეგვიპტის სამართავად, მათი პოლიტიკური მოქმედებების გასაკონტროლებლად ყველა პუნქტს იკავებდა. კვიპროსი უნდა გადაქცეულიყო ,,ალჟირის ჯერბად“. კუნძულიდან სულტნები უმოკლესი გზით შეძლებდნენ არაბულ საკითხში ჩარევას.[656] თუმცა, ესპანეთის სამეფო ტახტის მიერ რაგუზაში გაგზავნილ ცნობას პასუხად კვიპროსის ყველაზე გამაგრებული ქალაქის, ფამაგუსტის დაკავება (1571 წლის 4 აგვისტო) მოჰყვა.

ლეპანტოს ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ოსმალებს უკან არ დაუხევიათ და 1572 წელს 200 გალეოტა და მსუბუქი ხომალდი ააგეს კილიჩ ალი ფაშას ხელმძღვანელობით. ხმელთაშუა ზღვაზე წარმოებულმა ბრძოლებმა ესპანეთის მონარქიის ფლოტის განახლებისა და შენარჩუნებისთვის კი იმაზე მეტი ხარჯები მოითხოვა, ვიდრე ამერიკის ძვირფას ლითონებს შეეძლო მოეტანა. XVI საუკუნის განმავლობაში ესპანეთის მონარქია მოსახლეობისგან იღებდა შესაბამის გადასახადს - ხუროს.[657] მონარქია ხუროს (juros - ესპ.) გაცემის სამართლებრივი საფუძვლის შესაქმნელად ობლიგაციების სახით მისი სესხად აღების პროპაგანდას ახდენდა.[658] ყველა პროვინციაში სხვადასხვა სახის ხურო არსებობდა, მაგრამ ყველა მათგანი კოლონიური თუ პროვინციული კაპიტალის გასაკონტროლებლად იყო მიმართული.[659] რასაკვირველია, როგორც ორგანიზებულ იმპერიულ სისტემას, მთავარ სტრუქტურულ მახასიათებლად ადმინისტრაციული გადასახადებიც გაჩნდა. ფერნან ბროდელი ჩრდილოეთ აფრიკელ მეკობრეებს ,,ხორბლის შთანმთქმელებს“ უწოდებდა და ზოგადად მარცვლეულ კულტურაზე წარმოებულ დავას კი - ხმელთაშუა ზღვის ,,ხორბალზე ნადირობას“.[660] იგი განსაკუთრებით გამოკვეთდა დრაგუთის მოქმედებებს, რომელიც 1550 წლიდან ჯერბას საკუთარ

---

656 Toledo, 1995, გვ. 104-118.

657 ხურო (ესპ. Juro - თ. ხ.) წარმოადგენდა საჯარო ვალს, რომელიც თანამედროვე საგადასახადო აბონემენტს შეიძლება შევადაროთ (Sola, 1988, გვ. 31).

658 Tabakoğlu, 2019, გვ. 254.

659 Hoffmann; Norberg. 1994, გვ. 343-344.

660 Braudel, 1987, გვ. 344.

კუნძულად იყენებდა და ,,მოგზაურობიდან მოგზაურობამდე იქ ჩერდებოდა“.[661] მისი მეკობრული თავდასხმებით შეწუხებულმა კარლოს V-მ 1550 წლის 12 აპრილს ბრიუსელიდან გაგზავნილ წერილში სულტანსაც კი აცნობა.[662] კუნძული, მაღრიბის სხვა ქარიანი სანაპიროებისგან განსხვავებით, მშვიდი დინებებით გამოირჩეოდა, ამიტომ მეკობრეთა საიმედო ნავსადგურიც სწორედ აქ იყო. მეკობრეები მის დაკარგვას პირადი უსაფრთხოების მიზეზითაც არ შეეგუებოდნენ. ჯერბა ესპანეთის მონარქიის სუსტ წერტილს წარმოადგენდა. ერთგვარად, აღნიშნული შედეგობრიობით აიხსნება ესპანურ ლიტერატურაში 1560 წლის მარცხის ,,ჯერბის საშინელებად“ შეფასება.

სასურველია, გამოიკვეთოს, რომ 1571 წლის ფამაგუსტის ხელში ჩაგდებით, ოსმალებმა კიდევ მეტად გააკონტროლეს მედიტერანიზმის სავაჭრო გზები. კათოლიკურ-ოსმალური დაპირისპირების სცენაზე მიმდინარე მოვლენებს ევროპის სახელმწიფოები დიდი ინტერესით უცქერდნენ; ამასთან, ერთდროულად უფრთხოდნენ ოსმალეთის იმპერიას და ესპანეთის მონარქიის გაძლიერებას. ვენეციამ გადაწყვიტა, ოსმალეთთან დაპირისპირებით საკუთარი მდგომარეობა არ გაეუარესებინა და თურქებთან თანამშრომლობის სტრატეგიას მიმართა. ეს გადაწყვეტილება მას ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფას და ლევანტის ვაჭრობაში შეუფერხებელი მონაწილეობის საშუალებას აძლევდა.[663] 1573 წელს, 17 მარტს სინორიამ, ოსმალეთთან დადებული შეთანხმებით, კვიპროსი თურქებს დაუთმო და 300 000 ფლორინის გადახდა იკისრა.[664] ასევე, იონიის კუნძულებიდან ზაკინთოსის გამოსასყიდი 500 ფლორინის ნცვლად 1500 ფლორინამდე გაიზარდა.[665] კვიპროსისთვის კი ვენეციელებს წელიწადში 8000 ფლორინი უნდა

---

[661] Braudel, Ib.
[662] Lanz, 1846, გვ. 3-4.
[663] Faroqhi, 2004, გვ. 148.
[664] ფლორინი ვენეციური ოქროს მონეტა მიმოქცევაში 1252 წლიდან არსებობდა. ერთი ოქროს მონეტა იწონიდა 3, 537 გრამ 24 კარატიან ოქროს. მისი გამოყენება უკავშირდება ფლორენციის მერის ფილიპო უჯონის მოხელეობას, ხოლო სახელი წარმოსდგება ვენეციური ლილიის ყვავილისგან, რომელიც მონეტაზე იყო გამოსახული (Bazzichi, 2011, გვ. 98).
[665]იტალიურად ზაჩინტო, ზანტე, თურქულად - ზაკლისე (Pitcher,1973, გვ. 171).

გადაეხადათ. ამ ციფრებით გაოცებულმა ვენეციის ელჩმა სტამბულში, ანდრეა ბადარომ შენიშნა: ,,როგორც ჩანს, ლეპანტოში ოსმალებმა გაიმარჯვეს“.[666] ვენეციის მსგავსად, მოგვიანებით, 1577 წელს ოსმალეთში ფელიპე II-მაც გაგზავნა ელჩი - მარტინ დე აკუნია. აკუნია ოსმალეთის დედაქალაქში აღნიშნული წლის მარტში ჩავიდა. ხოლო შემდეგ წელს სულტანს ვენეციიდანაც ეახლა მორიგი ელჩი, ჯოვანი მარლიანი, მაგრამ ორივე ემისარმა მხოლოდ დროებითი ზავის დადება შეძლო. მარლიანიმ 1581 წელს სამწლიან ზავს მოაწერა ხელი, ესპანეთმა ოსმალეთთან ზავი 1584, 1587, 1591 წლებში განაახლა.

ბუნებრივია, რომ „უნივერსალური“ პოლიტიკური დაპირისპირება მხოლოდ ხმელთაშუაზღვისპირეთზე არ მიმდინარეობდა. იმპერიული ანტაგონიზმი, ეკონომიკური საფუძვლებიდან გამომდინარედ მერყეობდა და ასევე ინაცვლებდა წითელი ზღვის აუზსა და სპარსეთის ყურეში. ორივე იმპერია ინდოეთის ოკეანისკენაც ცდილობდა გაჭრას და დამკვიდრებას. ოსმალების მიზანს აგრეთვე ეგვიპტის დაუფლება და წითელი ზღვის გზებზე კონტროლის დამყარება წარმოადგენდა. მიჩნეულია, რომ ეგვიპტის დაპყრობა, ეთიოპიის სანაპიროებზე, არაბულ ნავსადგურებსა და წითელ ზღვაზე გაბატონება ნიშნავდა ოსმალეთის იმპერიის სტრატეგიულ პასუხს პორტუგალია-ესპანეთის გეოგრაფიულ ექსპანსიაზე. სწორედ ამ მიზნის შემადგენელი ნაწილი იყო 1517-1519 წლებში სელიმ I-ის დაპყრობები - სირიის, პალესტინის, ეგვიპტის კამპანიები, ხოლო სულეიმან დიდებულის მიერ 1534 წელს - ბაღდადის და 1546 წელს - ბასრას დაკავება.[667] უდავოა, რომ ოსმალები ცდილობდნენ, ევროპისთვის აღმოსავლეთ მედიტერანული კარიბჭე ჩაეკეტათ.[668] მექასა და მედინას შემდეგ, მორიგ კამპანიაში სულტნის გეგმები ჯიდას, მოჰას, მასავის და სავაკინის დაკავებასაც გულისხმობდა, რითიც არაბეთის ნახევარკუნძულის სრული ჰეგემონია ოსმალების ხელში

[666] Jorga, 2005, გვ. 140.
[667] Hamdani, 1981, გვ. 327.
[668] Casale, 2010, გვ. 170.

გადადიოდა.[669] ოსმალებამდე ადენის სრუტის დაკავებას პორტუგალიელები შეეცადნენ, 1513 წლის ოთხდღიანი ალყა ადენზე, ალფონსო დე ალბუკერკეს ხელმძღვანელობით, უშედეგოდ დასრულდა. ადენის დაკავება სულეიმან ფაშამ 1538 წელს მოახერხა.[670] პორტუგალიისა და ესპანეთის გვირგვინების გაერთიანების შემდეგ, არაბეთის ნახევარკუნძულზე ოსმალეთის იმპერია უკვე გაორმაგებულ კათოლიკურ ძალას უპირისპირდება. იემენის მმართველის, ჰასან ფაშას ბრძანებით, 1586 წელს ესპანელების ოთხი გალერა იგდეს ხელთ. უკვე გაფართოებულ გეოგრაფიულ სივრცეში წარმოებული დაპირისპირება მოკავშირეების მოძიებას საჭიროებდა. ოსმალეთის იმპერიას ამ მხრივ უპირატესი მდგომარეობა ეკავა. მასთან კავშირს ცდილობდნენ ესპანეთის მონარქიის გაძლიერებით დამფრთხალი ევროპული სახელმწიფოები, ასევე, იბერიის ნახევარკუნძულიდან გაქცეული მორისკოები, მუსლიმები, ებრაელები.[671] როგორც ძირითადი დასაყრდენი ძალა, სულტნისთვის ზევრად მისაღები იყო ჰაბსბურგთა წინააღმდეგ საფრანგეთის, ინგლისის, ჰოლანდიის, ვენეციის მოკავშირეობა. კარლოს V შესაბამისი დამხმარე ძალების მოძიებას და მათთან პოლიტიკურ კავშირს ცდილობდა, რაც არც ისე ადვილი იყო, რადგან ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში იგი თავად გამოდიოდა ევროპის დამხმარედ. საუკეთესო შესაძლებლობად ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოები რჩებოდა, რამდენადაც

---

[669] Couto; Loureiro, 2008, გვ. 32.

[670] Damper, 2007, გვ. 11.

[671] ებრაელები უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ ესპანეთის მონარქიისთვის. ისინი ფლობდნენ ძირითად სამრეწველო რესურს, რეკონკისტას და ესპანური ინკვიზიციის დროს მათი ქვეყნიდან გასვლა დიდი ფინანსური დანაკლისი იყო. ისევე როგორც, არაბების რაოდენობის შემცირება, რომლებიც, ფილოსოფიურ-მეცნიერული თვალსაზრისით, ესპანეთს ევროპის შუა საუკუნეების ბნელი წლებისგან ანდალუსიური კულტურით გამოარჩევდნენ. ინკვიზიცისგან თავის დასაცავად, ესპანეთის იმპერიაში დარჩენილ და გაქრისტიანებულ ებრაელებს კრიპტო-ებრაელებს, ხოლო იბერიის ნახევარკუნძულზე დარჩენილ არაბებს მუდეხარები (mudéjares), მოსარაბები (mozarabes) ან მორისკოები (moriscos, მომდინარეობს სიტყვა moro-დან, რაც ესპანურ ენაზე მავრს ნიშნავს) ეწოდებოდათ. სიტყვის მიმართება პროვინციის მიხედვით გაიმიჯნებოდა, არაგონში გაქრიტიანებულ არაბებს მოროებს უწოდებდნენ, ხოლო ვალენსიაში - სარასინებს. რეკონკისტას შედეგად გაძევებული ან ნებით წასული არაბების შემდეგ, დარჩენილი მორისკოები უმცირესობას შეადგენდნენ. XVI საუკუნის შუა ხანებისთვის მათი რიცხვი ესპანეთში ერთი მილიონი იყო (Stallaert, 1998, გვ. 36).

ალჟირი უკვე ოსმალეთის წარმომადგენელი იყო, იმპერატორმა თუნისის დამორჩილება და მისი ვასალად გადაქცევა გადაწყვიტა. 1534 წელს ხაირ ად-დინ ბარბაროსას მიერ დაკავებული თუნისი ესპანეთის მეფემ 1535 წელს გამოიხსნა. იმავე წლის 6 აგვისტოს თუნისის მეფე მულეი ჰასანთან დადებული შეთანხმებით, ქვეყანას სუვერენიტეტი შეუნარჩუნდა და ესპანეთის ვასალად გამოცხადდა. შეთანხმების პირობით, თუნისში ქრისტიანი ტყვეები უნდა გაენთავისუფლებინათ.[672] თუნისის მეფე ესპანეთის მეფე-მეგობრი ხდებოდა.[673] ოსმალეთის მიერ ვენეციისთვის მოთხოვნილი ეკონომიკური პირობებისგან განსხვავებით, ესპანეთის მონარქის სავასალო პუნქტები საკმაოდ მოკრძალებული იყო. თუნისი ესპანეთს ყოველწლიურად 6 არაბულ ცხენს და 12 ქორს უზობდა.[674] ეს ,,არცთუ მძიმე“ მოვალეობა, ერთგავარად მოტივირებული და პოლიტიკური საიმედოობისთვის უზრუნველსაყოფი, თუნისის მეფის გადაბირებას ემსახურებოდა და ჩრდილოეთ აფრიკაში ოსმალეთის წინააღმდეგ საიმედო მოკავშირის შესაძენად იყო მიმართული. აღწერილი ვითარება ნათლად წარმოაჩენს, რომ XVI საუკუნის შუა ხანებში ოსმალეთს, ეკონომიკური თვალსაზრისით, დამორჩილებული ჰყავდა ხმელთაშუაზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. 1536 წელს ვენეციის საშუამავლო პრივილეგია გადაეცა საფრანგეთს, რომელიც ხმელთაშუა ზღვაზე ხომალდებს უკვე საკუთარი ალმის ქვეშ უშვებდა.[675] ტექნიკური მონაცემების მიხედვით, ესპანეთის მონარქია სადაზვერვო სამსახურის იმედად რჩებოდა, რადგან ვენეციიდან წამოსული ცნობები უკვე არასაიმედოდ მიიჩნეოდა. აღნიშნული პერიოდის ისტორიოგრაფია მდიდარია ესპანეთის სადაზვერვო სამსახურის მიერ მოპოვებული ქრონიკებით. საარქივო მასალებში სწორედ შესაბამისი ისტორიული წყაროები ჭარბობს. ფელიპე

---

[672] AGS, Estado 462; AGS, P.R. 11-152, Capitulación entre Carlos V y Muley Mohamed rey de Tremecén, 1535 30 septiembre.

[673] Sola Castaño, 1988, გვ. 28.

[674] ბარბაროსას თავდასხმებისგან გამოხსნის შემთხვევაში თუნისი გადაიხდიდა 55 000 დუკატს, განმეორებითი დახმარების დროს კი - 100 000 (Bal, Ib., გვ. 302).

[675] Bal, Ib., გვ. 303.

II უშედეგოდ არ ზრდიდა ხარჯებს საჯაშუშო სისტემის დახვეწისა და სრულყოფისთვის.[676] 1579 წელს ჯოვანი მარლიანი ესპანეთის მონარქიის სახელმწიფო მდივანს, ანტონიო პერესს სწერდა: **„იმავე თავში, რაც მის უდიდებულესობას უკავშირდება, გამოგზავნილი 3000 და 4000 ესკუდოს არ აღემატება. ამ ორიდან ერთი მეგობრობის ნიშანია, მეორე კი იმაზე მეტი, ვიდრე დიდი თურქის საჩუქარი“.**[677] ინდოეთის ოკეანიდან, არაბეთიდან შემოტანილი სუნელები, წამლები, ხილი, სამხრეთ ამერიკის ძვირფასი ლითონები ორ დაპირისპირებულ იმპერიას შორის კვლავაც ვენეციის დახმარებით ვრცელდებოდა. ძირითად სავაჭრო ნავსადგურებს მარსელი, გენუა, ლივორნო წარმოადგენდნენ.[678] არაპირდაპირი ვაჭრობის ერთ-ერთი საყრდენი იბერიის ნახევარკუნძულიდან ოსმალეთში გადასული მენდესების ცნობილი ოჯახი იყო. მენდეს-ნასის გვარი 1553 წელს პორტუგალიიდან კონსტანტინოპოლში გადასახლდა და აზიიდან შემოტანილი სავაჭრო საქონლის (ხორბალი, წიწაკა, მატყლი) ევროპაში ექსპორტის გზების გაკონტროლებით დაკავდა. მათი ქონება 400 000 ოქროს დუკატს შეადგენდა.[679]

საკუთრივ ესპანეთის ტერიტორიაზე უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პორტი იყო კადისი, სადაც თავს იყრიდა ევროპისა და ამერიკის ეკონომიკური ბაზარი. შემდეგ: მალაგა, მარბელა, ვალენსია, ბარსელონა. საფრანგეთის ოსმალეთთან დაახლოვება მარსელის სავაჭრო ცენტრად გადაქცევაზეც აისახა: **„ესპანეთიდან და იტალიიდან, კიდევ სხვა ადგილებიდან, მარსელში ოქროსა და ლითონის ფულით ჩამოდიან“.**[680] აღნიშნული სცენარი, მასშტაბები, გეოგრაფიული თუ პოლიტიკური სვლები ოსმალეთის იმპერიის დასუსტების მიზანს განაპირობებდა. 1538 წლის პრევეზის

---

676 ADF, Sánches Padilla, Corespodencia cifrada entre Giovanni Margliani y Antonio Pérez, secretario de Felipe II. AGS Estado, legajo 490, (doc. 30), 1579, 14 de octubre, Pera. Margliano a Antonio Pérez.

677 AGS Estado, legajo 490, (doc.29). 1579, 25 de octubre, Pera. Juan de Marglian a Antonio Pérez. ცნობა წარმოადგენს დონ ხუან დე მარლიანის დაშიფრულ ინფორმაციას, რომელიც ფელიპე II-ის პირადი მდივნის ანტონიო პერესის სახელზე იგზავნებოდა.

678 Corrales, 2005, გვ. 139-160.

679 Bal, Ib., გვ. 304.

680 Corrales, 2004, გვ. 58.

გამარჯვებამ ოსმალეთის იმპერიას რეგიონში სუვერენიტეტის გასამყარებლად კიდევ ერთი შესაძლებლობა შეუქმნა. იმპერიულ ხანაში, ოსმალეთის და ესპანეთის მონარქიის დაპირისპირებამ თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბება გამოიწვია.[681] მოცემული პერიოდში, მისი საჯაშუშო ქსელით და დიპლომატიური პრაქტიკით, ვენეცია ვითარებაში ლავირებას და ქალაქ-სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ცდილობდა.[682] ევროპის ცენტრალური და ჩრდილოეთ პერიფერიული ქვეყნები გენუასა და ვენეციაზე იყვნენ დამოკიდებული.[683]

ეკონომიკური აღმავლობის თვალსაზრისით, ევროპის სახელმწიფოები, ცხადია, კვლავაც ზარალს განიცდიდნენ, თუ გავითვალისწინებთ შუა საუკუნეების ეპიდემიებით გამოწვეული ადამიანური და მატერიალური რესურსების დანაკლისს. აზიიდან შეტანილი სუნელები, ხილის ნაირსახეობები, წამლები სიახლეს უკვე აღარ წარმოადგენდა; მაგრამ ესპანეთის სამეფო ტახტის მიერ წარმოებული ექსპედიციებით და ამერიკიდან წამოღებული ოქრო-ვერცხლით, ევროპის საბაზრო სისტემამ ეკონომიკური ვითარების მსვლელობას ახალი შესაძლებლობა მისცა. XVI საუკუნის დასასრულს თანამედროვე მექსიკის, პერუს და ბოლივიის ტერიტორიაზე ვერცხლის საბადოებს მიაგნეს (პოტოსის უდიდესი საბადო). მოგვიანებით, სალამანკის უნივერსიტეტში სწავლულებმა, მარტინ დე ასპილკუეტას ხელმძღვანელობით, დაასკვნეს, თუ რამდენად იყო დამოკიდებული ამერიკული ოქროს რაოდენობა ევროპული ფასების ცვლილებაზე.[684] ასპილკუეტას იდეები ადამიანის თავისუფლებისა და კულტურულ-რელიგიურ ტოლერანტობის შესახებ მონარქიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მაგრამ მისმა ნაშრომებმა დიდი

---

681 Brulez, 1970, გვ. 20-48.
682 Faroqhi, 2004, გვ.148.
683 Scammell, 1981, გვ. 112.
684 მარტინ დე ასპილკუეტა (1492-1586) იყო ესპანელი თეოლოგი, პოლიტიკის ფილოსოფოსი, ეკონომისტი. ალკალას შემდეგ სწავლა განაგრძო ტულუზის უნივერსიტეტში, სადაც კანონიკური სამართალი შეისწავლა. როგორც ადამიანის უფლებებისა და მორალური რელიგიის თეორიის ფუძემდებელი, იგი პაპისა და მონარქის ურთიერთზეგავლენის გამიჯვნას ასაბუთებდა. სწორედ აღნიშნული შეხედულების გამო, მისი კანდიდატურა კარდინალის პოზიციაზე ორჯერ ჩავარდა.

გავლენა მოახდინა ევროპის ეკონომიკურ ფილოსოფიაზე, ასევე საერთაშორისო სამართლის საფუძვლების შექმნაზე. იგი კოლონიების მოსახლეობასთან კულტურული დიალოგის მომხრედ გამოდიოდა და ქსენოფობიურ ნაციონალიზმს ეწინააღმდეგებოდა.[685] ასპილკუეტას შენიშვნა ასე იყო ჩამოყალიბებული: **,,მეშვიდე მიზეზი, რაც ფულის აწევას და დაწევას იწვევს, არის მისი დიდი ნაკლებობა, საჭიროება, ან მისი ფლობა. ფული მეტი ღირს იქ, სადაც მისი სიმცირეა... როგორც გამოცდილებით არის ცნობილი, საფრანგეთში ფული ნაკლებია, ვიდრე ესპანეთში, ამიტომ იქ უფრო ძვირია პური, ღვინო, ქსოვილები და ადამიანის ხელობა".**[686] მარტინ დე ასპილკუეტას მოსაზრება ფასებისა და ძვირფასი ლითონების ურთიერთქმედებაზე ფრანგმა იურისტმა, ასევე პოლიტიკის ფილოსოფოსმა ჟან ბოდენმა (1530-1596) საკუთარი იდეის განვრცობისთვის გამოიყენა. ასპილკუეტას დოქტრინამ გავლენა იქონია ბოდენის ,,ფულის რაოდენობრივ-შედარებით თეორიაზე".[687] ნავარელი ფილოსოფოსის მსგავსად, ბოდენიც ინტერკულტურული ტოლერანტობის იდეას აყალიბებდა, ამიტომ ბოდენის ნაშრომები ესპანეთში XVIII საუკუნემდე არც გამოქვეყნებულა. ეკონომიკური მოსაზრებების გარდა, მან მსოფლიო ისტორიის კომპლექსური შესწავლისთვის მოამზადა საფუძველი. იგი უნივერსალური ისტორიის კვლევის პროცესში ხალხთა ცივილიზაციური მიღწევების განხილვას გამოკვეთდა.[688] სწორედ ბოდენმა აღნიშნა კოლონიებიდან შესული ლითონებისა და XVI საუკუნის ევროპაში გავრცელებული ინფლაციის ზეგავლენის შესახებ და მოცემულ საკითხში ესპანეთის იმპერიის როლზე მიუთითა.[689] იდეის პირველწყაროდ კი ესპანელი თეოლოგის, ალკალას უნივერსიტეტის დოქტორის ხუან დე მედინას (1489-1545) ფილოსოფია უნდა

---

[685] Fernández, 2010, გვ. 181.

[686] Azpilcueta, 1556, გვ. 230.

[687] თავის მხრივ, მარტინ დე ასპილკუეტა ყველაზე გავლენიან ავტორებად დომინგო დე სოტოს და ხუან დე მედინას ასახელებდა (García García; Alonso Rodríguez, 1998, გვ. 78).

[688] Avis; Paul, 1986, გვ. 56.

[689]ჟან ბოდენის ისტორიოგრაფიულ მოსაზრებებზე კი იბნ ჰალდუნმა იქონია გავლენა, რისი შედეგიც არის ბოდენის წიგნი ,,ისტორიის ადვილად აღქმის მეთოდი (Wang, 2007, გვ. 198).

მივიჩნიოთ. მედინას მიხედვით, ეკონომიკური კრიზისი და ინფლაცია ხელოვნურადაც შეიძლება იქნეს გამოწვეული: ,,ვაჭრები თავის ფასს ზრდიან გარკვეული მიზეზით, თითქოს ფულს საქონელზე ხარჯავდნენ, მყიდველებთან პაექრობდნენ ან ადამიანის საჭიროებებს მიზეზობდნენ“.[690]

რუსულ ლიტერატურაში ასევე არის აღნიშნული, რომ ევროპის ფასების რევოლუცია გეოგრაფიული აღმოჩენებით იყო გამოწვეული.[691] კერძოდ, ამერიკიდან შეტანილი ძვირფასი ლითონების რაოდენობის ზრდამ გავლენა იქონია როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ სამყაროზე და მედიტერანიზმის დაპირისპირების ეკონომიკურ ფორმატზეც აისახა.[692] მაგალითად, 1493 წელს ევროპაში ვერცხლის მარაგი 7 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო ოქროსი - 550 ტონას. 1544 წელს მათი რაოდენობა შესაბამისად გაიზარდა (ვერცხლი - 9 ათას და ოქრო - 815 ტონამდე).[693] XVI საუკუნის 50-იანი წლებისთვის საკუთრივ ესპანეთში წელიწადში 10 ტონა ოქრო შედიოდა.[694] ფასების ცვლილება ოსმალეთის იმპერიაზეც აისახა. 1582 წელს ახჩეს კურსი რეალთან შედარებით 9 %-ით დაეცა, 1959 წელს კი ეს ვარდნა გაორმაგდა.[695] 1574 წლის მონაცემით, სტამბოლში პურის ფასი ვენეციაში არსებულ ფასს უთანაბრდებოდა და ორივე საკმაოდ მაღალი იყო.[696] ესპანეთის ეკონომიკა უკვე კოლონიებიდან შემოსულ სიმდიდრეზე იყო დამოკიდებული. ოკეანეებზე ესპანეთის ბატონობის გამო, ევროპული განწყობა კათოლიკური მონარქიის წინააღმდეგ სულ უფრო იზრდებოდა.[697] განსაკუთრებით დიდ აღშფოთებას ადგილი ჰქონდა ჰოლანდიაში, ანტვერპენის სავაჭრო

---

[690] Medina, Juan de. 1546, De rebus restituendis, 31, fol. xcviii, Salamanca.
[691] Фортунатов, 2012, გვ. 191.
[692] Мейер, 1975, გვ. 97.
[693] Мейер, 1975, გვ. 97.
[694] Sola Castaño, 1988, გვ. 31.
[695] Мейер, 1975, გვ. 100.
[696] Ib., გვ. 102.
[697] 1576 წლის 4 ნოემბერს დაწყებული ანტვერპენის მარცვას, ,,ესპანურ რისხვას“, შედეგად მოჰყვა ,,ქვედა ქვეყნების“ ესპანეთის გვირგვინის წინააღმდეგ გაერთიანება. ,,ძარცვის“ მიზეზის უკან იდგა ინგლისი. როდესაც ინგლისის ხომალდებმა ხელთ იგდეს ესპანეთის სამეფოს მიერ ჰოლანდიელი ჯარისკაცებისთვის გადასახდელი თანხა, 400 000 ფლორინი, ესპანეთის მონარქია იძულებული გახდა, თავი ბანკროტად გამოეცხადებინა (Maczkiewitz, 2007, გვ. 258, 264).

შეზღუდვების გამო. ანტვერპენი, სავაჭრო პოზიციების გათვალისწინებით, „ჩრდილოეთის ვენეციას" წარმოადგენდა.[698]

მედიტერანიზმის მერკანტილიზმის ბალანსის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გადაწონა ფრენსის დრეიკის მიერ ესპანეთისკენ გაგზავნილი ძვირფასი ლითონების ბლოკირებამ. 1520 წელს ფერნანდო მაგელანის დახმარებით, ესპანეთის იმპერიამ, ამერიკის უკიდურესი სამხრეთი სრუტის გავლით, წყნარი ოკეანისკენ გამავალ სხვა მარშრუტს მიაგნო, გაცილებით ღიას და დაუბრკოლებელს, ვიდრე აფრიკის შემოვლით იყო შესაძლებელი. XVI საუკუნის აღნიშნული გეოგრაფიული გზები და პოლიტიკური დაპირისპირებები, ,,ეკონომიკური ბრძოლა" შეფარული იყო დევიზით ,,ღმერთი, დიდება და ოქრო". დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკონომიკური ,,თანაცხოვრება" ყველაზე მეტად ეკონომიკურ პლატფორმაზე იყო დამოკიდებული. ,,ოსმალეთის ხელისუფლებამ აღმოსავლეთთან ვაჭრობაში მთელი რიგი დაბრკოლებები შექმნა" - შენიშნავს მიხელ სვანიძე.[699] თუმცა, საყურადღებოა, რომ ოსმალეთის იმპერიაზე მეტად, ესპანეთის მონარქია ნიდერლანდების საკითხმა დააზარალა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ფელიპე II მაქსიმალურად თავს იკავებდა ,,საღვთო ლიგაში" მონაწილეობისგან.[700]

ესპანეთის მონარქიის ძალები საკმაოდ გამოიფიტა ჰოლანდიელებთან წარმოებული დაპირისპირების გამო. ფელიპე II-ის დროს იმპერიის მთავარ შიდა ეკონომიკურ დასაყრდენს სამი ძირითადი მიმართულება შეადგენდა: ხუროები, შემოსავალი ,,სამეფო მფლობელობიდან" (Real Hacienda) და ტრანსოეკანური სავაჭრო გადასახადი ალკაბალა (alcabala).[701] მედიტერანიზმის საერთო სამხედრო ფონის გამო, ესპანეთის მეფემ ტრანსოკეანური გადასახადი გააორმაგა. საინტერესო ფაქტს წარმოადგენდა რომის პაპების სარგებელი იმპერიული დაპირისპირებისგან,

---

698 Nolan, 2006, გვ. 799.
699 სვანიძე, 2007, გვ. 89.
700 Sola Castaño, 1988, გვ. 44, 48.
701 Sola Castaño, Ib., გვ. 37.

ყოველი ჯვაროსნული წამოწყების (ესპანურად cruzada - თ. ხ.) ბულას, ასე ვთქვათ, ნებართვას ,,წმინდა ომზე“, პაპები შესაბამისი თანხის საფასურად გამოსცემდნენ.[702] ბიბლიურ გოგსა და მაგოგთან გაიგივებულ ,,დიდ თურქთან“ ეკონომიკური ჭიდილი ესპანეთის მონარქიის და რომის პაპების პოლიტიკას აერთიანებდა.[703]

## თავი 7

## სადაზვერვო სამსახური და „ცნობების დიპლომატია“

### 7.1. ფელიპე II-ის სახელმწიფოებრივი კონტროლი

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი პროფესიის, ჯაშუშობის, დაფიქსირებულ ფაქტებს პირველად ბიბლიაში ვხვდებით. ცხადია, საიდუმლო დაზვერვის განვითარება გლობალური ისტორიის მრავალ მოვლენას უკავშირდება.[704] ავსტრიის ტერიტორიაზე ასპარნ-შელცში აღმოჩენილი და ნეოლითურ გენოციდად შეფასებული საერთო სამარხი იმისი მტკიცებულებაა, რომ დაზვერვა და ჯაშუშობა კაცობრიობის უძველეს სამსახურს წარმოადგენს. აღნიშნული სამარხი ძვ. წ. 5000 წელს მომხდარ მოვლენას ასახავს.[705] სადაზვერვო ქსელის სახელმწიფოებრივ სამსახურში ამოქმედება ესპანეთის მონარქიისთვისაც არ იყო უცხო. აღნიშნული საკითხი მედიტერანიზმის ისტორიულ სივრცეში მკვეთრად განსხვავებული დახვეწილობით განვითარდა.  ესპანეთის მონაქრიის სტაბილურობა და პირველი გლობალური იმპერიის არსებობა დასაწყისშივე ეფუძნებოდა სამართლებრივ სისტემაზე შემუშავებულ წყობას, რამაც კოლონისტთა და ადგილობრივთა თავსებადი კულტურის ჩამოყალიბება განაპირობა.

---

702 Sola Castaño, 1988, გვ. 44.
703 ალასანია, 2008, გვ. 10.
704 ბიბლია, 1989, გვ. 138, 196-197, 233.
705 Guilaine; Zammit, 2005, გვ. 86.

,,ოქროს საუკუნის“ სისტემური წყობის მდგრადობა სათავეს ალფონსო X ბრძენის მმართველობის დროს იღებს. მის მიერ გამოცემული ,,შვიდი კოდექსის“ მეორე ნაწილში შემავალი მეთერთმეტე კანონით მზვერავთა სახეობები და ფუნქციები, მათ მიმართ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები განისაზღვრებოდა. მზვერავს ,,ბარუნტი“ ეწოდებოდა, ეს გახლდათ ჯაშუშთა განსაკუთრებული კატეგორია: ისინი ვინც მტრის მხარეს გაიგზავნებოდა, მის ენას შეისწავლიდა.[706]

კათოლიკე მეფეების ხანაში სადაზვერვო სამსახური გაცილებით დაიხვეწა. განსაკუთრებულ სტანდარტს კი ფელიპე II-ის მმართველობის ჟამს მიაღწია. მეფის ორგანიზებით განხორციელებული სახელმწიფოებრივი კონტროლის შესწავლა ორ ქრონოლოგიურ ეტაპად უნდა გაიმიჯნოს: ლეპანტოს ბრძოლამდე და ლეპანტოს შემდეგ. საჭიროა აგრეთვე გამოიკვეთოს განვითარების ეტაპების შიდა დიფერენცირება, კრიპტოგრაფიის და საიდუმლო-სადაზვერვო სამსახურის პრაქტიკული მოქმედებები. ორივე განშტოება ჯერ კიდევ ბოლომდე არაა შესწავლილი, ერთადერთი მიზეზის გამო - ისტორიული მასალები არის თითქმის ამოუწურავი, ამოუხსნელიც და ჯერაც მიუგნებელი.[707] მედიტერანიზმის ეპოქაში საინფორამციო ომი წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ უმთავრეს შემაკავებელ დიპლომატიურ საშუალებას. ვენეცია და საფრანგეთი დაშიფრული წერილების ოსტატობაში უკვე გაწაფული იყვნენ. ჯერ კიდევ 1474 წელს სფორცის გრაფის, ჩიკო სიმონეტის მიერ „კრიპტოგრაფიის ანალიზი“ იქნა შედგენილი.[708] აღნიშნულ საკითხში ესპანეთის მონარქია ახალბედად მაინც არ უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, სტანდარტის მიხედვით, სახელმწიფოს საიდუმლო სამსახურის მართვაში კათოლიკე მეფეებს და უფროს ჰაბსბურგებს შორის დიდი სხვაობა იყო. სწორედ

[706] Alfonso X, 1807, Las siete partidas, გვ. 281-283.
[707] García Hernán, 1994, გვ. 245.
[708] Ortega Triguero, 2006, გვ. 42.

ამიტომ, კარლოს V-ის პერიოდის საიდუმლო შრიფტის მთავარი სტილი საკმაოდ ადვილად ამოსაცნობი გახდა მოწინააღმდეგისთვის.[709]

აღსანიშნავია, რომ ფერნანდო არაგონელის მმართველობაში შემუშავებული საიდუმლო კოდის ამოხსნა მხოლოდ XX საუკუნეში გახდა შესაძლებელი, თანაც, ესპანეთის ეროვნული სადაზვერვო ცენტრის მიერ. მხედველობაში გვაქვს, ფერნანდო II-ის და მისი დიდი კაპიტნის გონსალო ფერნანდეს დე კორდობას (1453-1515) კორესპონდენცია: 1502 წლის 27 მაისით და 1506 წლის 14 აპრილთ დათარიღებული წერილები, რომლის შრიფტის გარკვევაც ,,საუკუნის საიდუმლოდ" იქნა შეფასებული.[710] აღნიშნული ,,სოფისტური" სისტემა ისტორიაში ,,დიდი კაპიტნის კოდის" სახელით დამკვიდრდა. გონსალო ფერნანდეს დე კორდობა მიჩნეულია ესპანეთის კათოლიკური იმპერიის ყველაზე დიდ სამხედრო მოღვაწედ და იმპერიის ერთ-ერთ სტრატეგიულ ფუძემდებლად.[711] მოგვიანებით, ფელიპე II-ის ეპოქაში, საიდუმლო სამსახურის კონტროლი ხმელთაშუა ზღვაზე გაცილებით გაფართოვდა. მონარქიაში ოფიციალურად 112 ჯაშუში ფიქსირდებოდა, რომელთა ქსელი გადაფენილი იყო ალჟირი-თუნისიდან კონსტანტინოპლი-რაგუზა-ვენეციამდე. ესპანეთის მეფის გამორჩეული ჯაშუშები საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის კარზე მოქმედებდნენ. სწორედ ამიტომ, გადაჭარბებული არაა შეფასება, რომ კარლოს V-ის მემკვიდრის დროს საინფორმაციო კონტროლი უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე იქნა აყვანილი. დონ ხუან ავსტრიელი საიდუმლო შრიფტის და ჯაშუშების არსებობას დაჟინებით

[709] García Hernán, 1994, გვ. 247.

[710] წერილები 2018 წელს იქნა გაშიფრული, რაც საკმაოდ რთულ სამუშაოს წარმოადგენდა, ტექსტი შედგება 200 სიმბოლოსგან. წერილების გასაშიფრად 2015 წელს გვარდიის მუზეუმმა დახმარებისთვის მიმართა დაზვერვის ეროვნულ სააგენტოს. წერილის გახსნის ათვლის წერტილად გამოიყენეს კათოლიკე მეფის სახელმწიფო ბეჭდის და მისთვის ჩვეული ფრაზების განმეორების შემთხვევები. ტექსტის შინაარსი შეეხება ნეაპოლის სამეფოს დაქვემდებარების გეგმებს. ფერნანდო არაგონელი გონსალო დე კორდობას აცნობდა, ჩრდილეთ აფრიკის სანაპირებზე სამხედრო ძალები დაეზოგათ, რათა ის ნეაპოლის დასამორჩილებლად გამოეყენებინათ. კორესპონდენციის ზოგადი შინაარსი ესპანეთის იმპერიის ,,ოქროს საუკუნის" დასაწყისის სტრატეგიად უნდა მივიჩნიოთ. https://www.20minutos.es/noticia/3251877/0/descifran-cartas-fernando-el-catolico-gran-capitan/ EUROPA PRESS 02.02.2018

[711] Jiménes Estrella, 2003-2004, გვ. 193.

ურჩევდა მონარქს: ,,ეს ფრიად საყურადღებო საკითხია“.[712] 1988 წელს ფლორენციის სახელმწიფო არქივში აღმოჩენილი იქნა მედიჩების ჯაშუშის, ხუან ვესპუჩის დაშიფრული კორესპონდენცია. ვესპუჩი 1512-1525 წლებში პარალელურად ესპანეთის სავაჭრო სახლის მთავარი პილოტი იყო. წერილები ლორენცო II მედიჩის სახელზე არის დაწერილი და, სავარაუდოდ, ავტორი ესპანეთის გეგმებს მედიჩების სახლს გადასცემდა. შესაძლებელია, იგი ორმაგ ჯაშუშად მოვიაზროთ.[713]

1547-1555 წლების შუალედში განსაკუთრებით შესამჩნევი იყო კარლოს V-ის მრჩეველის კარდინალ გრანველას პოლიტიკური მოღვაწეობა. გრანველას მიერ ეპისკოპოს ხერონიმო ბუკიასადმი მიწერილი წერილები კარლოს V-ის პერიოდის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის უმაღლესი დონის მაგალითებს გვთავაზობს. გრანველას მიმართ ნდობის გამო, კარლოსმა პრინც ფელიპეს მიუთითა, პაპთან წარგზავნილი ელჩი კვლავ მონარქიის სამსახურში დაეტოვებინა.[714] აღნიშნული მიმოწერა ფრიად საყურადღებო იყო ოსმალებისა და ფრანგების პოლიტიკური მიზნების გამოსაცნობად. ასევე, განსაზღვრავდა ესპანეთის მონარქიის საგარეო პოლიტიკის შესაბამის სვლებს.[715]

ჯაშუშების მიერ შექმნილი ,,საიდუმლო ლიტერატურა“ განსაკუთრებით აქტიურად პაპის კურიაში გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1557 წლის თებერვალში ფელიპე II-ის მიერ ახალი ,,მთავარი შრიფტის“ დამტკიცებიდან სამ თვეში რომის პაპის მდივანმა ტრიფონ ბენიჩომ კოდი ამოხსნა, მეფის სადაზვერვო სამსახური აქტიურად განაგრძობდა იმპერიის საინფორმაციო საზღვრების დაცვას.[716] ფელიპე II-მ იმპერიის მთავარი შრიფტის შეცვლის შესახებ პირველად ფერდინანდ I-ს (1558-1564) ავსტრიის, უნგრეთის, ბოჰემიის და ხორვატიის მეფეს

---

[712] AGS, Estado, leg. 1501, doc. 9. 1571, 12 de diciembre.

[713] Vicente G, Olaya, El espía de los Medici sale a la luz 500 años después, Madrid, 2020, 3 de enero. https://elpais.com/cultura/2019/12/30/actualidad/1577719404_956349.html

[714] Bertomeu Masiá, 2006, გვ. 12.

[715] Bertomeu Masiá, Ib., გვ. 17.

[716]პირველი შრიფტის წარუმატებლობა სიმბოლოების სიმარტივით იყო განპირობებული, მაგალითად, თურქეთი და თურქი ადვილად გამოსაცნობ შემოკლებებს გულისხმობდა: Turquía – tus, turco – tes (Sola, 2016, გვ. 14).

1556 წლის 24 მაისს აცნობა.[717] შრიფტის განახლება მუდმივად ხდებოდა. ელჩებს მის წვდომაზე დასტური მეფისთვის უნდა გაეგზავნათ.[718]

ფელიპე II-ის ახალი კოდი გამოიყენებოდა მხოლოდ პორტუგალიის პრინცესასთან, სავოიის გრაფთან, ნეაპოლის, სიცილიის და კატალუნიის ვიცე-მეფეებთან, მონარქიის მდივან-კარდინალებთან, რომის, ვენეციის, გენუის, საფრანგეთის და ინგლისის ელჩებთან წარმოებულ კორესპონდენციაში.[719] გრანველას და ზუკიას მიმოწერის მსგავსად, ფელიპე II-ის ხანაში ჯოვანი მარლიანის დაშიფრული წერილები სახელმწიფო მდივანთან, ანტონიო პერესთან, ძირითადად ოსმალების შესახებ ცნობებს უკავშირდებოდა. მარლიანი პერესს აცნობებდა, თუ რა პატივით იღებდნენ სულტნის კარზე საფრნაგეთის ელჩს, და, როგორ ამცირებდნენ ესპანეთის წარმომადგენელს. ქრისტიანების გემებზე დაწესებულ გადასახადს კათოლიკური მონარქიის ელჩი ასევე დიდ შეურაცხყოფად იღებდა.[720] წერილში, რომელიც პერესმა მარლიანისგან სტამბოლიდან 1579 წლის 14 ოქტომბერს მიიღო, აღნიშნულია, რომ მას ეს ინფორმაცია სულტნის დრაგომანმა, მეჰმეთ ბეიმ, გადასცა. ,,საიდუმლო ენა" იმპერიის მთავარი თუ დამხმარე ჯაშუშებისთვის ერთგვარი ნებართვა იყო, რათა ყველა შესაძლებელი გზით მიეღოთ ინფორმაცია და იგი, როგორც ,,ლევანტის ავისო" (el aviso - ცნობა, თ. ხ.), სამეფო კარზე ეცნობებინათ.[721]

მედიტერანზიმის საჯაშუშო ქსელში ჩართული იყვნენ ვაჭრები, ტყვეები, ტყვეობიდან გაქცეულები, თვით სულტნის თარჯიმნები, ყველა, ვისაც ინფორმაციის გადაცემა შეეძლო. კონსტანტინოპოლის შემდეგ, აღნიშნული ქსელი ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებიდან იშლებოდა, სადაც მთავარ საინფორმაციო ცენტრს ორანი წარმოადგენდა, და მიმართულებას იღებდა დუბროვნიკისკენ,

[717] Galende Díaz, 1995, გვ. 96.
[718] AGS, Estado, leg. 1401, doc. 224. 1571, 6 de septiembre.
[719] AGS Estado, legajo 1, doc. 44 - 4. 1556, 8 de noviembre, Gante.
[720] AGS, Estado, leg. 490, doc. 30. Giovanni Margliani a Antonio Pérez.
[721] Sola Castaño, 2000, გვ. 64-65.

იტალიის სამეფოებიდან - ესკორიალის სამეფო რეზიდენციისკენ. საიდუმლო სამსახურის ორგანიზებაში ორანს ისეთივე მნიშვნელოვანი როლი ეკავა, როგორც რაგუზის რესპუბლიკას. 1536 წელს სწორედ ორანიდან სწერდა კასტილიის საკითხებში სახელმწიფო მდივანი ხუან ვასკეს დე მოლინა კარლოს V-ს: ,,მე კარგად ვარ ინფორმირებული იმის შესახებ, რაც ორანის სანაპიროებზე ხდება“.[722]

აღმოსავლეთიდან მიღებული ინფორმაცია ლევანტის ცნობების სპეციალურ სექციაში ინახებოდა. მაღრიბის სანაპიროების სიახლეები ტერიტორიული სიახლოვის გამო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ესპანეთის იმპერიისთვის. 1529 წელს ალჟირის დაკავებით, ვალიადოლიდის სამეფო კარი გაცილებით ინფორმირებული გახდა ოსმალეთის სამხედრო გეგმების შესახებ. წარჩინებული კაპიტანი ალვარო დე ბასანი მეფეს აცნობებდა, რომ ახალი ინფორმაციის მიღება გაცილებით ადვილი გამხდარა და მონარქს დამატებით ცნობებს მიაწვდიდა.[723] ინფორმაციის გაცვლა კიდევ უფრო დაიხვეწა იოჰან გუტენბერგის საბეჭდი მანქანის რევოლუციური გამოგონების შემდეგ.[724] ბეჭდვითი ინფორმაციის მიღებამ ვენეცია-ნეაპოლის საინფორმაციო ბაზარი აამოქმედა. იტალიის სანაპიროებზე ,,სიახლეებით ვაჭრობა“ მიმდინარეობდა. ინფორმაცია იყიდებოდა და ფელიპე II-ის სამეფო კარი ამისთვის დიდ ხარჯებს იღებდა.[725] ესპანეთის მონარქიას საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას აწვდიდა ბერი დიეგო მალიორკელი, რომელიც 1574 წელს სინან ფაშას და ულუჩ ალის მიერ თუნისის დაპყრობის დროს ტყვედ ჩავარდა. იგი დონ ხუან ავსტრიელმა, მეკობრეების მიერ თუნისის დაკავებამდე ერთი წლით ადრე, ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე სპეციალური დავალებით დატოვა.[726] მას ალჟირელი მეკობრეების შესახებ უნდა მოეპოვებინა ცნობები.[727] სტამბოლში ტყვედ

---

[722] AGS, Costas de África y Levante, leg., 461, fol. 174. 1536, Vázquez de Molina.

[723],,თუ მის უდიდებულესობას ახალი ინფორმაცია სურს, მას მოვიპოვებთ და შეგატყობინებთ“. AGS, cartas de África y Levante, leg. 461, fol. 174. Álvaro de Bazán a Carlos V.

[724] Varriale, 2915, გვ. 18.

[725] Varriale, 2018, გვ. 24.

[726] Alonso Acero, 2003, გვ. 481-500.

[727] Varriale, 2013, გვ. 5.

გადაყვანილმა ბერმა მოახერხა, ადგილობრივ წარჩინებულ პირებს დაკავშირებოდა, მათ შორის, ფიალი ფაშას იტალიელ მეუღლეს, ლეონორა სპალეტას, რომელსაც ანა ავსტრიელთან, ფელიპე II-ის მეუღლესთან ჰქონდა მიმოწერა. აღნიშნულ კორესპონდენციაში, ფაშას მეუღლე ანა ავსტრიელს დიეგო დე მალიორკელის დამსახურებას და მონარქიისადმი ერთგულებას აცნობებდა.[728]

განსაკუთრებით საიმედო ინფორმაციას იღებდნენ ყოფილი სამხედრო ტყვეებისგან. მაგალითად, ხაიმე ლოსადასგან, რომელიც დრაგუთმა სოკოლუ მეჰმედ ფაშას (1565-1579) წარუდგინა, როგორც ესპანეთის იმპერიის საპატიო პიროვნება და დიდმა ვეზირმაც იგი შესაბამისი პატივით მიიღო.[729] როგორც აღვნიშნეთ, არსებობდა ეჭვი ორმაგი აგენტების შესახებაც. სტამბოლში ფელიპე II-ის წარგზავნილი დონ მარტინ აკუნია (1544-1585), სავარაუდოდ, ოსმალებსაც გადასცემდა ცნობებს.[730] მისი კავშირი ვენეციელ ვაჭარ აურელიანო სანტა კროჩესთან მათ ორმაგ ჯაშუშობაზე ბადებდა ეჭვს, რადგანაც კროჩე მეჰმედ სოკოლუსთან იყო დაახლოვებული.[731] ცხადია, ასეთი ორმხრივი სამსახურის დროს, ინფორმაციის გაყალბებასაც ჰქონდა ადგილი.[732] დუბროვნიკელი დავიდ ფასი, პორტუგალიაში დაბადებული ებრაელი, ერთდროულად იდგა ჰაბსბურგთა და ოსმალთა სამსახურში. 1572 წელს ოსმალეთმა დუბროვნიკის რესპუბლიკასთან, მისი ჯაშუშების მიერ ქრისტიანი აგენტების დახმარების მიზეზით, ვაჭრობაც კი აკრძალა.[733] დავიდ ფასის გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო დიდი ვეზირის სინან ფაშას დროს, 1585-1592 წლებში.[734] ესპანეთის მონარქიის ყველა ჯაშუში თავს

---

728 სწორედ აღნიშნული ერთგულების გამო, 1574 წელსვე გამოსყიდული დიეგო მალიორკელი ფელიპე II-მ თავის სამსახურში მიიწვია (Varriale, 2013, გვ. 12-15).

729 Safa Gürkan, 2018, გვ. 52.

730 AGS, Estado, leg. 1072, fol. 177. 1576, 28 de agosto.

731 Varriale, 2016, გვ. 56.

732 ინფორმაციის გაყალბება მხოლოდ ორმაგი აგენტების მიერ არ ხდებოდა. მას ჯაშუშები მტრის გეგმების ჩასაშლელადაც იყენებდნენ. სწორედ ამ ტაქტიკით, წმინდა ლიგის შექმნა ოსმალეთის სულტნის კარზე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებისკენ მიმართული სამხედრო მოქმედება ეგონათ. AGS, Estado Napoles, leg. 1060, fol. 48. 1571, 18 de agosto, cardinal Granvelle a Felipe II.

733 Safa Gürkan, 2012, გვ. 1-38.

734 Safa Gürkan, Ib., გვ. 117.

იყრიდა ,,რენეგატების საძმოში“, რომელთა ხელმძღვანელობაც ,,იმპერიის პირველ ჯაშუშს“ ევალებოდა.[735] ფელიპე II-ის მმართველობის დასასრულს ამ ფუნქციას ხუან ველასკეს დე ველასკო (1550-1620) ასრულებდა, რომელიც 1599 წლიდან ფელიპე III-ის (1598-1621) სამსახურშიც ჩადგა.[736]

ხმელთაშუა ზღვის იმპერიებისთვის თარჯიმნის ხელობა საუკეთესო შესაძლებლობა იყო ებრაელი და არაბი სწავლულების სახელმწიფო სამსახურში ჩასაყენებლად. ამ მხრივ, ესპანეთის მეფე ტოლერანტობით გამოირჩეოდა, ვინაიდან სახელმწიფოს ინტერესებს რელიგიურ თუ სოციო-კუტურულ ფაქტორზე მაღლა აყენებდა. ესკორიალში მიმდინარე სახელმწიფო საქმეებში არაერთი ებრაელი თუ მორისკო იყო ჩართული.[737]

## 7.2. მიგელ დე სერვენტეს სააავედრა იმპერიის სამსახურში

,,ოქროს საუკუნის“ პარალელურად მიგელ დე სერვანტეს სააავედრამ (1547-1616) ცალკე გამოკვეთა ,,სერვანტესის ეპოქა“, ,,სერვანტესის სამყარო“. ,,ლეპანტოს ხეიბრის“ ისტორიოგრაფია გაცილებით ღრმაა და შესწავლის განსაკუთრებულ ობიექტს წარმოადგენს, ვიდრე მისთვის დათმობილი ერთი აბზაცი ან ერთი პარაგრაფი შეიძლება იტევდეს.[738] ნაშრომის შინაარსობრივ ჩარჩოში, ვფიქრობთ, ცალკე განსახილველია მისი ისტორიული კვალი კათოლიკური იმპერიის განვითარებაში. როდესაც საუბარია ტყვეების ჯაშუშობაზე და მედიტერანიზმის საინფორმაციო ომზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სერვანტესის ნაშრომებსა და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში დათმობილი ,,თურქული იდეალიზმის“ მაგალითები. ,,სერვანტესის სამყაროს“ ნაწილს წარმოადგენენ ,,თურქის“

---

[735] Sola Castaño, 2010, გვ. 291.

[736] Zorita Bayón, 2010, გვ. 253.

[737] მორისკო ექიმი და მთარგმნელი ალონსო კასტილიელი ფელიპე II-მ ესკორიალის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად დანიშნა (Cabanelas, 1956, გვ. 19-42).

[738] სერვანტესს ,,ლეპანტოს ხეიბარი“ ბრძოლაში მარცხენა ხელის დაკარგვის გამო უწოდეს (Steiner; Greiner-Mai, 1971, გვ. 137).

ალეგორიები, ალჟირის ტყვეების ცხოვრება, თავისუფლების იდეები, ახალი იმპერიის ამოცნობის მიზანსწრაფულობა.[739]

ალჟირში ხუთი წლის განმავლობაში ნამყოფმა ტყვემ შესანიშნავად იცოდა თავისულების ღირებულება: **„თავისუფლება, სანჩო, ადამიანისთვის ზეცისგან მინიჭებული ყველაზე მშვენიერი ღირსებაა“.**[740] სერვანტესის ნაწარმოებები წარმოადგენენ ცალკე შინაარსის და მნიშვნელობის ცნობებს ხმელთაშუა ზღვის XVI საუკუნის პოლიტიკური სცენის შესასწავლად.

1568-1570 წლებში, ვიდრე სერვანტეს საავედრა მიგელ დე მონკადას ჯარისკაცთა სიაში ჩაეწერებოდა, მისი ცხოვრების შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. სავარაუდოდ, იგი, როგორც ჯაშუში, უკვე იდგა ესპანეთის გვირგვინის სამსახურში. ლეპანტოს ბრძოლაში სერვანტესის მონაწილეობის შესახებ შესაბამის თავში გვექნება საუბარი. 1575 წელს კი იტალიიდან ესპანეთში დაბრუნების დროს იგი ალჟირის მეკობრეებმა დაატყვევეს, ალჟირში მან 1580 წლამდე დაჰყო, ვიდრე 19 სექტემბერს რელიგიური საძმოს „ტრინიდადის“ მიერ 500 დუკატად არ იქნა გამოსყიდული.[741] რამდენადაც ფელიპე II ყოფილი ტყვეების საიდუმლო სამსახურში ჩაყენებას ჩვეულ ხერხად იყენებდა, ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ, 1580 წლიდან პორტუგალისთან გართულებული ურთიერთობის გამო, ესპანეთის მეფემ, სპეციალური დავალებით, ალჟირის ყოფილი ტყვე კადისში გააგზავნა. სერვანტესის ჯაშუშად წარგზავნა რთული პოლიტიკური ვითარების დროს, მის მიმართ ნდობასა და მოქმედების პროფესიონალიზმს უსვამდა ხაზს. მისიის მიზანს წარმოადგენდა, ლისაბონში და მაღრიბის სანაპიროებზე არსებული „იმპერიული საინფორმაციო საკითხების“ გარკვევა.[742] „თურქულ-ლევანტური“ ცნობების მისაღებად მიგელ დე სერვანტესს 100 დუკატიც გადაუხადეს. იმავე წელს იგი

---

739 Davis, 2018, გვ. 343.

740 Cervantes Saavedra, 1845, გვ. 507.

741 Gallotta, 1995, გვ. 123.

742 Glete, 2001, გვ. 84.

ორანიდან კარტახენაში გადავიდა. ადვილად საფიქრებელია, რომ მის გამოსასყიდად და ბარბარიის სანაპიროების დასაზვერად გადახდილი თანხის მიხედვით, მონარქიის მთავარი ჯაშუში თუ არა, ერთ-ერთი გამორჩეული, საპატიო მზვერავი მაინც იყო. ამასთან, სერვანტესი 1590 წელს თავადვე აღნიშნავდა, რომ ესპანეთის სამეფოს 22 წლის განმავლობაში ემსახურებოდა.[743]

მიგელ დე სერვანტესის საპატიო ჯაშუშობას მოწმობს ალჟირის მეფის ჰასან ფაშას მცდელობებიც, ესპანელ ტყვეს განსაკუთრებით გაფრთხილებოდა. მისი ბრძანებით, ჯერ ის ციხე-სიმაგრე გაამაგრეს, სადაც სერვანტესი იმყოფებოდა, შემდეგ კი ესპანელი ტყვის კონსტანტინოპოლში გადაყვანა განიზრახეს, მაგრამ უშედეგოდ.[744] სერვანტესის შემოქმედების ისტორიული კონტრასტების შესწავლის პროცესში იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ალჟირის ტყვეობის ფსიქოლოგიური ზეგავლენიდან არასდროს განთავისუფლებულა და იდეურად ,,თურქის, ისლამის, მეკობრეების, ტყვეების" თემასთან ერთად ცხოვრობდა.

### 7.3. ოსმალური დაზვერვის სტრუქტურული მხარე

ისლამურ ტრადიციაში საიდუმლო სამსახურის განვითარება ბუვეიანთა საამიროს მმართველს ადუდ ალ-დავლას (949-983) სახელს უკავშირდება. მან შეიმუშავა წერილების გადაცემის, შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელების სწრაფი და მოქნილი სისტემა. ამ მეთოდით იგი ფატიმიანთა სახალიფოს, ბიზანტიის, სპარსეთის ტერიტორიებიდან მიღებული ცნობების სანდოობას ამოწმებდა.[745] XI საუკუნეში არაბულ სამყაროში კრიპტოგრაფიის განვრცობა არაბი ფილოსოფოსის, ასტრონომის, ლინგვისტის ალ-ქინდის სახელს უკავშირდება.

---

[743] Glete, Ib., გვ. 84.

[744] Rey Hazas, 1998, გვ. 445.

[745] ჯაშუშთა მიერ ინფორმაციის დემონსტრირებით ალ-დავლამ ეგვიპტის მმართველს აჰმად იბნ ტულუნს მისი უპირატესობა საშინაო საქმეებზე წვდომის მაგალითით დაუმტკიცა. ერაყელმა მმართველმა ეგვიპტელს მისი ფავორიტი ქალის ფეხსაცმელი გაუგზავნა, რათა ხაზი გაესვა, რომ მას ვიწრო წრისთვის ცნობილი დეტალებიც კი მოეხსენებოდა (Herrera, 2012, გვ. 64).

მანვე შემოიღო გარკვეული ინდივიდუალური მეთოდი დაშიფრული ტექსტის ამოსაკითხად, რომელიც განმარტა ტრაქტატში ,,კრიპტოგრაფიული წერილების გაშიფრვა“. აღნიშნულ სახელმძღვანელოში მითითებული ხერხი ,,სიხშირის ანალიზით არის ცნობილი“.[746] შუა საუკუნეების მუსლიმური სახელმწიფოების და თურქმანების წინაპრების მსგავსად, ოსმალეთის იმპერიამ ტერიტორიული განვრცობის დასაწყისშივე ყურადღება სადაზვერვო სამსახურის შექმნაზეც გაამახვილა.[747] ოსმალეთის იმპერიაში შიდა ინფორმაციის მოპოვება იენიჩართა სპეციალურ კორპუსს ევალებოდა. საიდუმლო ინფორმაცია მათ სტამბოლისა თუ სხვა ქალაქების ბაზრებზე, მოედნებზე, ყავახანებსა და ტავერნებში უნდა მოეპოვებინათ.

ბეილიქებიდან და სანჯაყებიდან მიღებული ინფორმაცია საკმაოდ კარგად იყო ბალანსირებული. ამასთან, ხდებოდა ინფორმაციის სანდოობის გადამოწმებაც. მათ შორის ყველა სახის - გვარდიის, პოლიტიკური თუ სამხედრო, რელიგიური თუ კულტურული.[748] ოსმალეთის და ჰაბსბურგთა ესპანეთის იმპერიების დაპირისპირების სტრუქტურული მხარე შეიძლება ორად გაიმიჯნოს: ესპანეთის იმპერიალიზმი და ოსმალეთის ,,დიდი სტრატეგია“.[749]

ზოგადად, დეკრეტები, აღრიცხვები, სისტემური სახელმწიფოებრივი პრაქტიკა ოსმალეთის იმპერიის ,,ინსტიტუციურ მეხსიერებას“ წარმოადგენდა.[750] თარჯიმნის საქმიანობა გაცილებით მნიშვნელოვანი და საჭირო იყო ოსმალეთის იმპერიისთვის, ვიდრე ჰაბსბურგთა ესპანეთისთვის, ვინაიდან მის

---

746 Herrrera, 2012, გვ. 67.

747 XVI საუკუნის ოსმალი სწავლული მუსტაფა ალი შემდეგ მოსაზრებას აყალიბებდა: ,,თუ წარმატებული მონარქი ჯაშუშებს საიდუმლოდ არ გამოიყენებს, თუ სამეფოს სუვერენი ხალხის სახელმწიფოს მდგომარეობას არ გამოიკვლევს, თუ დაკმაყოფილდება მხოლოდ მისი მინისტრების გამოკითხვით და ნდობით, თუ ის მხოლოდ იშვიათად გასცემს ბრძანებებს მათთვის, ვინც ყველაზე ახლოს არიან მის საიდუმლოებებთან, ჰყავთ იგი ინფორმირებული, მაშინ ის სამართლიანობას და მინისტრების ერთგულებას დაშორდება, იკლებს შიში ჯარში, სულიერი სიმშვიდე და კეთილდღეობა ქვეყანაში“ (Herrera, 2013, გვ. 77).

748 Ágoston, 2009, გვ. 277-278.

749 Géza, 2002, გვ. 167.

750 Ágoston, 2007, გვ. 81.

შემადგენლობაში გაცილებით მრავალი ეთნოსი შედიოდა. სულტნის კარის tercüman-ი, იგივე დრაგომანი, საიდუმლო მნიშვნელობის სამსახურს ასრულებდა და ხშირად ელჩების და საჯაშუშო ქსელის მთავარ შუამავლად მოიაზრებოდა.[751]

ოსმალეთის სახელმწიფოებრივი ტრადიციისთვის ყველა სტრუქტურა პრაგმატულ მოსაზრებას ექვემდებარებოდა. ასევე იყო დრაგომანების შემთხვევაშიც. ვიდრე სულტნის კარის თარჯიმნობას ანდობდნენ, გარკვეული პირები ევროპაში ჯერ ჯაშუშებად ან ელჩებად მოგზაურობნენ. შესაბამისად, დრაგომანის ხელობა გაცილებით მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე იმპერიის ელჩობა. მაგალითად, ბერძნული წარმოშობის იუნუს ბეიმ, ვიდრე 1525 წელს იმპერიის თარჯიმანი გახდებოდა, ორჯერ იმოგზაურა ვენეციაში (1519 და 1522 წლებში), 1533 წელს - ვენაში და 1534 - უნგრეთში. ასევე პოლონური წარმოშობის იბრაჰიმ ბეი ვენეციაში (1553, 1566), პოლონეთში (1564), ვენასა და საფრანგეთში (1568) მოგზაურობის შემდეგ დაინიშნა ბრწყინვალე პორტას მთავარ დრაგომანად.[752]

სოკოლლუ მეჰმედ ფაშას პირადი მდივანი იყო დრაგომანი ჰიურემ ბეი, რომელიც ესპანეთის წარგზავნილის ჯოვანი მარლიანის დიდი დამხმარეც აღმოჩნდა.[753] ელჩებისა თუ ჯაშუშებისგან მოპოვებული ინფორმაცია გადაიცემოდა ე. წ. ულაყური სისტემით.[754] საფოსტო სადგურები - მენზილჰანები მოიცავდა როგორც შორი მანძილის, ასევე შიდა რეგიონულ საინფორმაციო პუნქტებს. მათი ქსელი გადაჭიმული იყო ათენიდან ბელგრადამდე, კავკასიიდან ბაღდად-ალეპომდე.

1557 წელს სიცილიის ვიცე-მეფე ხუან დე ვეგა აღნიშნავდა, რომ ოსმალები, ესპანელებისა და იტალიელების მსგავსად, საკმაოდ ,,სწრაფები არიან ინფორმაციის მიღებაში“.[755] ოსმალეთის იმპერიისთვის შემაფერხებელ ფაქტორად

[751] Ágoston, 2015, გვ. 628.
[752] Ágoston, 2007, გვ. 90.
[753] Safa Gürkan, 2015, გვ. 112.
[754] ულაყი (თურქულად ulak) - მაცნე, მსტოვარი ოსმალეთის იმპერიაში (თ. ხ.).
[755] Rodríguez-Salgado, 1988, გვ. 263.

შეიძლება ჩაითვალოს ევროპის სახელმწიფოებისადმი უნდობლობა და სულტნის კარზე წარგზავნილი ელჩების მიმართ საკმაოდ ცვალებადი დამოკიდებულება. ნაშრომში შენიშნულია მადრიდის, პარიზის ელჩების დამცირების შემთხვევები. იყვნენი გამონაკლისი პირებიც. საღვთო რომის იმპერატორის ფერდინანდ I-ის ელჩი ოსმალეთში ჯოვანი მარია მალავეძი 1547-1553 წლებში წარმატებული მისიით და დიდი პატივით იმყოფებოდა სტამბოლში. რუსტემ ფაშა დასაწყისიდანვე, 1547 წლის 5 ოქტომბერს, სიამოვნებით დათანხმდა მის ელჩობას.[756] სულეიმან დიდებული აღნიშნავდა, რომ მალავეძი თვით სულტნის მინისტრებზეც კი გაცილებით მეტ ინფორმაციას ფლობდა.[757]

კათოლიკური მონარქიის წინააღმდეგ საზოტაჟის მოსაწყობად საუკეთესო საშუალებას ესპანეთსა და პორტუგლიიდან დევნილი ებრაელების გამოყენება წარმოადგენდა. თუმცა, მათი სამსახური მხოლოდ ცალმხრივი ნებით არ ხასიათდებოდა. იბერიის ნახევარკუნძულიდან დევნილებს ყოფილი სამშობლოს მიმართ ერთგვარი შურისგების მომენტიც ამოძრავებდათ.

ოსმალეთის იმპერია შესანიშნავად ახერხებდა მენდესების ცნობილი ოჯახის ჩართვას ხმელთაშუა ზღვის პოლიტიკურ სვლებში. იოსებ ნასი სელიმ II-მ (1566-1574 ) ნაქსოსის გრაფად დანიშნა და დოდეკანესის გუბერანტორობა უბოძა.[758] სწორედ მას ბრალდებოდა 1569 წელს ვენეციის პორტში სამხედრო ხომალდების გადაწვა.[759] მისივე აქტიური ჩარევით დაიწყო 1570 წელს კუნძულ კვიპროსის დაკავება და ნიქოზია-ფამაგუსტის ტრაგედია.[760] სულეიმან კანონმდებლის შეფასებით, იოსებ ნასი წარმოადგენდა ,,ჭეშმარიტ სარკეს“, რომელშიც იგი ქრისტიანობის სახეს ხედავდა.[761] მსგავსი დამაკნინებელი შეფასებები

---

[756] Rodríguez-Salgado, 2015, გვ. 88.
[757] García Salinero, 1980, გვ. 460.
[758] იგი იყო გრაცია მენდეს ნასის ძმის შვილი, პორტუგალიელი ებრაელი ჟოაუ მიკასი (1524-1579), რომელიც ანტიჰაბსბურგული პოლიტიკით გამოირჩეოდა (თ. ხ.).
[759] Pullan, 1997, გვ. 179.
[760] Urman; McCracken Flesher, 1995, გვ. 62.
[761] Wittmayer Baron, 1983, გვ. 91.

მახასიათებელი იყო სულტნების იმპერიული სტრატეგიისთვის. სელიმ II-ის ტახტზე ასვლიდან ოსმალეთის ,,ტოლერანტული“ იდეოლოგია, რომელიც საფუძველშივე წინააღმდეგობაში მოდიოდა მუსლიმური ,,წმინდა ომის“ იდეასთან, გაცილებით აგრესიული გახდა დაპყრობილი მოსახლეობის მიმართ და საგარეო პოლიტიკის გატარებაში, რაც განსაკუთრებით მწვავედ კვიპროსის დაპყრობის დროს გამოიხატა. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის დაცემიდან ვიდრე კვიპროსის დაპყრობამდე, კუნძულზე მცხოვრები ბერძნები და თურქები გამორჩეულად მშვიდად თანაარსებობდნენ.[762]

XVI საუკუნის დასასრულისკენ იმპერიის დაპყრობით ომებს და იდეოლოგიურ საკითხებს ოსმალეთის სულტნის ვეზირები მუსტაფა ფაშა, ფიალი ფაშა, დიდი ვეზირი მეჰმედ სოკოლუ განაგებდნენ. სელიმ II-ის გადაწყვეტილებებზე ასახვას ჰპოვებდა იოსებ ნასის გავლენაც.[763]

განსაკუთრებული თავისუფლება კი მეჰმედ სოკოლუს ჰქონდა ნაბოძები, რათა ვენეციელებთან ფინანსური მოლაპარაკებების შედეგად და მათგან მირთმეული ქრთამის სანაცვლოდ, იტალიელებისთვის ხმელთაშუა ზღვაზე დაუბრკოლებელი ვაჭრობის უფლება მიეცა. ოსმალეთის დიდი ვეზირის მიერ 1568 წელს ადრიანოპოლში დადებული ხელშეკრულებით დასრულდა ავსტრია-ოსმალეთის 1566-68 წლებში მიმდინარე ომი. საღვთო რომის იმპერატორ მაქსიმილიან II-თან ხელმოწერილმა შეთანხმებამ გამოკვეთა ოსმალეთის უპირატესობა ჰაბსბურგებთან მიმართებაში და ფსიქოლოგიური საფუძველი მოამზადა კუნძულ კვიპროსის გამო ,,საღვთო ლიგასთან“ დასაპირისპირებლად.[764]

---

762 Demir, 2016, გვ. 123.
763 Arbel, 1995, გვ. 55-56.
764 Malcolm, 2015, გვ. 187.

## 7.4. რაგუზის რესპუბლიკის როლი მედიტერანიზმის საიდუმლო სამსახურში

ფერნან ბროდელის შენიშვნით, ხმელთაშუა ზღვა უწინ ,,ისტორიკოსების ნაკლებ ყურადღებას იქცევდა“.[765] სივრცობრივი და შინაარსობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, შეუძლებელია, ნაშრომის კვლევის საგანში, ჩვენი ინტერესი საკითხის რომელიმე ძირითად ასპექტზე არ გავამახვილოთ. კათოლიკური მონარქიის და ოსმალეთის იმპერიის ანტაგონიზმი ხმელთაშუა ზღვის ყველა რეგიონში მიმდინარეობდა, რაგუზის (დუბროვნიკის) რესპუბლიკისა და მაროკოს გარდა. ეს ორი გეოგრაფიული არეალი ერთგვარ დიპლომატიურ-სავაჭრო ხელშეუხებლობას ინარჩუნებდა. რაგუზის საზღვაო რესპუბლიკა წარმოადგენდა მედიტერანიზმის იმ სამშვიდობო სივრცეს, სადაც, საბრძოლო მოქმედებების ნაცვლად, სადაზვერვო ინფორმაცის გაცვლა, დიპლომატიური და სავაჭრო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

მედიტერანიზმის საინფორმაციო და საჯაშუშო სივრცე (ჩრდილოეთ აფრიკაში: თუნისი-ალჟირი-ტანჟერის, იბერიის ნახევარკუნძულზე: ბარსელონა-ვალენსია-სევილიის, იტალიაში: ნეაპოლი-პალერმო-ვენეციის, ხოლო ადრიატიკის ზღვაზე: ტრიესტი-რაგუზის სანაპირო ზოლი) განსხვავებული ელფერით წარმოგვიდგებოდა.[766] რაგუზის არისტოკრატული რესპუბლიკა ვენეციის სუვერენიტეტისგან 1358 წელს განთავისუფლდა და ნახევრად დამოუკიდებელ სტატუსს 1808 წლამდე, ნაპოლეონის მიერ დუბროვნიკის დაკავებამდე, ინარჩუნებდა. რაგუზის ვენეციური პერიოდი 1204-1358 წლებს მოიცავდა.[767] 1358 წლის ზადარის (ზარის) ხელშეკრულებით, რომელიც ვენეციასა და უნგრეთ-ხორვატიას შორის დაიდო, ქალაქი დე ფაქტოდ ხორვატიის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ეკონომიკურად დე იურე მდგომარეობას ინარჩუნებდა. რაგუზა წარმოადგენდა შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ადრიატიკის მარგალიტს,

---

[765] Braudel, 1995, გვ. 25.
[766]Cheredden; Kagay; Padilla, 1996, გვ. 1.
[767] Фрейденберг, 1989, გვ. 33.

თავისუფალი ვაჭრობის ცენტრს, რომელიც ვენეციასთან პაექრობაშიც კი, ხშირად უპირატესობით სარგებლობდა. ოსმალეთის იმპერიის ნებართვით, რაგუზელი დიპლომატების მიერ მოპოვებული ,,ნეიტრალიტეტი“ მას საშუალებას აძლევდა, მედიტერანიზმის სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებებს გარიდებოდა. ,,ხმელთაშუა ზღვის ვეფხვი“, სავაჭრო საკითხებიდან გამომდინარე, მხოლოდ ვენეციასთან პაექრობდა.[768] რაგუზის აქტიურობა ანკონის რესპუბლიკის, ფლორენციის, ბარისა და ნეაპოლის სავაჭრო დომინანტს უთანაბრდებოდა.

რაგუზელებს გარკვეულ სამეცნიერო ლიტერატურაში ,,შუა საუკუნეების ყველაზე დიდ მოვაჭრე ერს“ უწოდებენ.[769] დუბროვნიკელი ვაჭრები ნეაპოლში მკვიდრდებოდნენ და საფეოდალო მიწებსაც ყიდულობდნენ (მაგ., 1580 წელს ნეაპოლში გადასულმა ნიკოლო როდოლვიჩმა 1604 წელს პოლინანოს საფეოდალო შეიძინა).[770] ოსმალეთის იმპერიასთან რაგუზის პირველი დაკავშირება 1397 წელს მოხდა, ხოლო 1430 წელს ოსმალეთის ვასალ ბოსნიის მთავარ რადოსავ პავლოვიჩთან არსებული კონფლიქტის გამო, რაგუზელი დიპლომატები სულტან მურად II-ს (1401-1444; 1446-1451) წარუდგნენ და მისგან ფირმანით ,,ხელშეუხებლობის“ დასტური მიიღეს. 1439 წელს კი, სერბეთის დაკავების შემდეგ, მურად II-მ რაგუზასთან ხელშეკრულების განახლების მიზნით, რესპუბლიკის ვაჭრები დააკავა და სინორიისგან 10 000 დუკატის გადახდა მოითხოვა. 1442 წელს ოსმალეთი უკვე, 1000 დუკატის ღირებულების ვერცხლის ნივთების გაგზავნის სანაცვლოდ, ყოველწლიური ,,ძღვენის“ მიღებას დათანხმდა.[771] ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულებებით, რაგუზის რესპუბლიკა აჰიდნამეს პრივილეგიებითაც სარგებლობდა. ამგვარი პოლიტიკით და ნახევრად შენარჩუნებული სუვერენიტეტის მეოხებით, რაგუზა ევროპის სახელმწიფოებსა და

[768] Harrylyshyn; Srzentić, 2014, გვ. 17-25.
[769] Фрейденберг, 1989, გვ. 35.
[770] Mut, 2009, გვ. 157.
[771] Miović, 2013, გვ. 187.

ოსმალეთის იმპერიას შორის დიპლომატიურ-სავაჭრო გამტარს წარმოადგენდა.[772] 1481 წელს გარდაიცვალა მეჰმედ II - სულტანი, რომელმაც ,,ორი იმპერია, ოთხი სამეფო და 200 ქალაქი დაიპყრო".[773] მისი სიკვდილის შემდეგ არსებობდა მოლოდინი, რომ სხვა ქალაქ-სახელმწიფოებთან ერთად დუბროვნიკისთვისაც უნდა დამდგარიყო გარკვეული შვება.[774] თუმცა, 1481 წლიდან რაგუზის რესპუბლიკა ოსმალეთის ოფიციალურ პროტექტორატს დაექვემდებარა. ამასთან, იგი შედიოდა ანკონის საზღვაო რესპუბლიკაშიც, და, ოსმალეთისგან უფლებამოსილი, საკუთარი დროშის ქვეშ, მაგრამ, ოსმალეთის სახელით, ხმელთაშუა ზღვაზე თავისუფლად ნაოსნობდა.[775]

რაგუზის ფლოტი 200 ხომალდისგან შედგებოდა. მისი ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობით, ქალაქი ვენეციას უთანაბრდებოდა.[776] ესპანეთის მონარქიიდან გადასული ებრაელების დიდი ნაწილი რაგუზაში დამკვიდრდა და სამეწარმეო საქმიანობას შეუდგა. მათვე უკავშირდება 1317 წელს ევროპაში პირველი აფთიაქის გახსნა.[777] ოსმალეთის იმპერიის ,,პროტექტორატით", რაგუზის რესპუბლიკა სულტანს ფინანსურ და სადაზვერვო სამსახურსაც უწევდა, ხოლო ესპანეთის იმპერიისთვის მისი ფუნქცია მხოლოდ ჯაშუშების თავმოყრით და ინორმაციის გაცვლის ცენტრით შემოიფარგლებოდა. ესპანეთთან კავშირი რაგუზის სინორიას გაცილებით მეტ თავისუფლებას სძენდა და მსოფლიოს წყლებისკენ უხსნიდა გზას.[778] ადგილობრივების შეფარული ნეიტრალიტეტი კი ასე ჟღერდა: ,,ჩვენ არც ქრისტიანები ვართ, არც ებრაელები, ჩვენ საბრალო

---

[772] აჰიდნამე - (ahidânme, ahdname) იყო ოსმალეთსა და ევროპულ სახელმწიფოებთან (ძირითადად ვენეციასთან) დადებული ქარტია, რომლითაც ოსმალეთის იმპერია მეორე მხარეს ხელშეუხებლობისა და მის მიწებზე თავისუფალი ვაჭრობის ნებას რთავდა (Goffman, 2007, გვ. 63).

[773] Фрейденберг, 1989, გვ. 112.

[774] Фрейденберг, Ib.

[775] Kramer; Reinkowski, 2008, გვ. 55.

[776] რაგუზის რესპუბლიკის ეკონომიკური მდგრადობა 1667 წლის 6 აპრილის მიწისძვრამ შეარყია (Pitassio. 2000, გვ. 98, 128).

[777] Autori vari, 2009, Croazia, guida Michelin, გვ. 97.

[778] Фрейденберг, 1989, გვ. 156.

დუბროვნიკელები ვართ“.[779] ჯერბის საზღვაო ბრძოლის შემდეგ, კონსტანტინოპოლში საგრძნობლად გაიზარდა ალჟირიდან წაყვანილი ქრისტიანი ტყვეების რიცხვი, შესაბამისად, გაფართოვდა სადაზვერვო სამსახურის მოქმედება, ასევე ვაჭრების მიერ ტყვეების გამოხსნის შემთხვევები. რაგუზის რესპუბლიკა სწორედ აღნიშნული ქმედებების ადგილი იყო.[780] აქ თავს იყრიდა ევროპის დიპლომატია, აქვე მდებარეობდა საფრანგეთის საკმაოდ მდიდარი საელჩო, რომელსაც 60 ჯარისკაცი იცავდა.[781] სწორედ რაგუზიდან გაგზავნილი ცნობით შეიტყო კარლოს V-მ ხაირ ად-დინის გარდაცვალების შესახებ.[782] თუნისის 1535 წლის კამპანიის შემდეგ, კარლოს V-მ რაგუზაში იმპერიის ჯაშუში მარინო სამანიო მიავლინა. საარქივო მასალების განხილვის შედეგად ირკვევა, რომ იგი მონარქს ოსმალების შესახებ ინფორმაციას 1536 წლიდან 1546 წლამდე აწვდიდა.[783] ბარბაროსას გარდაცვალების შემდეგ, ესპანეთის მეფეს დრაგუთთან უხდებოდა საჯაშუშო ომი და, შესაბამისად, რაგუზის რესპუბლიკის მნიშვნელობაც გაიზარდა. ცნობებს ამჯერად უკვე დრაგუთის მიერ დატყვევებული ქრისტიანების შესახებ მოიპოვებდნენ.[784]

რაგუზა ტყვეების გმოსყიდვის მთავარ ცენტრადაც იდგა კათოლიკური სახელმწიფოების სამსახურში, აქვე ხდებოდა სტამბოლიდან გაქცეული ტყვეების დამალვა.[785] ფრიად მნიშვნელოვანი იყო თურქების გადაადგილების შესახებ არსებული ,,ხმები“.[786] 1554 წელს ნეაპოლის ვიცე-მეფის მიერ წარგზავნილი ჯაშუშის ცნობაზე დაყრდნობით, რაგუზის სინორია ევროპის მხარეს მოქმედებდა.

---

[779] Фрейденберг, Ib., გვ. 168.

[780]ქრისტიანი ტყვეების გამოხსნას უმეტესად ფლორენციელი ვაჭარი ლორენცო მინიატი აწარმოებდა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, საინტერესოა ემილიო სოლას ნაშრომი ,,რაგუზა და ჯაშუშები“ (Sola, 2009, გვ. 16).

[781]ფრანგებს ვენეციელები ,,ქურდებსა და ჯაშუშებს“ უწოდებდნენ რაგუზაში მათ მფლობელობაში არსებული ქონების გამო (Sola, 2009, გვ. 7).

[782782] AGS, Estado, leg. 1036. Doc. 75-76. 1536, 1 de agosto, carta de la Señoria de Ragusa.

[783] Sola, 2009, გვ. 5.

[784] AGS, Estado, leg. 1040, doc. 28.

[785] Malcolm, 2015, გვ. 221-222.

[786]ოსმალეთისგან კვიპროსის დასაცავად ესპანეთის იმპერიის ჩართვის შესახებ ორივე მხარემ, ესპანეთმა და ოსმალეთმა, რაგუზის სინორიას შეატყობინეს და ინფორმაცია ასე გაცვალეს (თ. ხ.).

თავის მხრივ, ოსმალეთსაც ესაჭიროებოდა მშვიდი ადგილი, რათა საკუთარი ზრახვების შესაბამისი ინფორმაციული წყარო შეენარჩუნებინა.[787] როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVI საუკუნის ესპანეთის მონარქიის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საისტორიო დოკუმენტს წარმოადგენს უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ,,თურქეთის მოგზაურობა", რომელშიც დასტურდება რაგუზაში ტყვეების განთავისუფლებისთვის აქტიურად მიმდინარე ,,სავაჭრო საქმის შესახებ": **,,ბერძნებს შორის არიან ჯაშუშები, რომლებსაც დამალული ქრისტიანები მოჰყავთ, თითოეულზე ათ დუკატს უხდიან. ნაპირამდე უსაფრთხოდ თუ მიიყვანენ, რასაც ერთი თვე სჭირდება, ან რაგუზასა და კორფუში ჩაიყვანენ, მათ თითოეულში კიდევ ათ დუკატს დაუმატებენ".**[788] რაგუზიდან ადვილად კონტროლდებოდა თურქების განსახლებები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ასევე ჰაბსბურგთა იმპერიის საწინააღმდეგო სამხედრო სვლები.[789] დაშიფრული წერილების შემთხვევაში ავტორი და ადრესატი არ მიეთითებოდა: ,,ზარისა და დალმაციის სხვა ადგილების ღირსეულმა ადამიანებმა მითხრეს, რომ იქ თურქების 15 ათასი სახლია".[790]

XVI საუკუნის 50-იან წლებში კარლოს V-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ევროპის კათოლიკური ერთობის ხელმძღვანელობაც იყო, რომელიც ესპანეთის უნივერსალური მონარქიის სიმტკიცეზე უნდა დაფუძნებულიყო. მისი ,,კათოლიკური უნივერსალიზმის" იდეა რეფორმატორების შეუწყნარებლობას და მათთან ბრძოლასაც მოიცავდა. ესპანეთის მონარქიის სტრატეგიაში ,,არაგონის გვირგვინის ულტრაპირინეული და ხმელთაშუაზღვისპირული ექსპანსია, ამერიკის ტერიტორიების შეერთება, რასაკვირველია, მოწმობს ესპანეთის მსოფლიო უპირატესობას სახელწოდებით ,,უმაღლესი ისტორია".[791]

---

[787],,რაგუზის სინორიის კმაყოფილი ვართ" (AGS, Estado, leg. 1047, 1554, 22 de marzo).
[788] Viaje de Turquia, Anónimo, 1557 (1986), Madrid: Cátedra, გვ. 253.
[789] Malcolm, 2015, გვ. 157.
[790] AGS, Estado, leg. 1324, fl. 42, 1560, 23 de marzo.
[791] Polić Bobić, 1991, გვ. 115.

# თავი 8

# გადამწყვეტი ბრძოლა ევროპისთვის

## 8.1. ანტიოსმალური კავშირის შექმნის მცდელობები XVI საუკუნის 60-70-იან წლებში: მალტის ალყა და „ საღვთო ლიგა“ ფელიპე II-ის ხანაში

კარლოს V-გან განსხვავებით, ფელიპე II-ის (1527-1598) აღმოსვალური პოლიტიკა, ოსმალეთის იმპერიასთან მიმართებაში, არ ატარებდა მონარქის პრინციპულობის ნიშნებს. მას კარგად ჰქონდა გააზრებული ,,რთულ დროში“ მოკავშირეების შეძენის აუცილებლობა, რომლებიც მხოლოდ მაღრიბის ან იტალიის სანაპიროებთან არ იქნებოდნენ დამხმარედ. კარლოს V-ის და სულეიმან I-ის დაპირისპირება მედიტერანიზმის ჩარჩოებში მიმდინარე ორი მმართველის პირად ანტაგონიზმად წარმოგვიდგება. ფელიპე II-ის, როგორც ,,წინდახედული მეფის“ (el rey prudente - თ.ხ.), სტრატეგია კი ხმელთაშუა ზღვის საზღვრებს სცდება და ატლანტურ-პაციფიკურ სივრცეში განიხილება. სელიმ II-ის სულტნობის ხანაში ესპანეთის მონარქიასთან ურთიერთობის ასპექტები რადიკალურად განსხვავდებოდა ოსმალეთის წინა მმართველების ტაქტიკისგან.

ფელიპე II-ის სახელმწიფოებრივი სისტემატიზაცია ახალი წესრიგის, ცენტრალიზაციის, მოდელს გამოხატავდა. მისი ევროპული პოლიტიკა ინგლისსა და საფრანგეთთან დაპირისპირების პარალელურად, ,,ხმელთაშუაზღვიპირეთის სტრატეგიის“ ცალკე არეალად გამოიკვეთებოდა, სადაც მას, ოსმალეთის იმპერიის სახით, განსხვავებულ იდეოლოგიასა და რელიგიასთან უხდებოდა ბრძოლა.[792] მამისგან სრულებით გამორჩეული მონარქი, იშვიათად ტოვებდა იმპერიის საზღვრებს. თუკი კარლოს V-თვის გერმანია და ჰოლანდია ესპანეთზე მეტად მშობლიური იყო და რომის პაპებისგან ,,ბოძებულ“ ,,კათოლიკობის მცველის მანტიას“ ჩინებულად იყენებდა სახელმწიფო იდეოლოგიად, ფელიპე II პირადი

---

[792] Badde, 2008, გვ. 32.

განწყობით, ფსიქოლოგიურად იყო კათოლიკე მეფე და ესპანეთის იმპერიის ,,ესპანელი მონარქი".[793] მის მიერ ესკორიალის მონასტრის აშენების ბრძანება, მონასტრის ბიბლიოთეკის მოწყობაზე ზრუნვა, სატახტო ქალაქად მადრიდის არჩევა, ასევე 1558 წელს რომში ესპანეთის იმპერიის საელჩოში არქივის შექმნაზე ზრუნვა მეფის უნივერსალური სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.[794] 1571 წლის 25 მაისს ვენეციის რესპუბლიკამ, ვატიკანმა და ესპანეთის სამეფომ ხელი მოაწერეს წმინდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რაც ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ კიდევ ერთი კოალიციის, ,,წმინდა ლიგის", შექმნას ითვალისწინებდა.[795]

,,წმინდა ლიგის", იგივე ,,საღვთო ლიგის", მიზანი კვლავაც ოსმალეთის იმპერიიდან წამოსული საფრთხის აღკვეთა იყო.[796] მონაწილე მხარეებმა გადაწყვიტეს, კოალიციური ფლოტი ყოველწლიურად შეეკრიბათ და, მეტოქის მიერ ომის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი, საზღვაო კამპანიები მოეწყოთ.[797] თუმცა, ფელიპე II-ის ეპოქის ,,წმინდა ლიგის" საფუძველის შექმნა გაცილებით ადრე დაიწყო და მალტის ალყას უკავშირდება. პრევეზის, ჯერბის, მალტის, ფამაგუსტის, ლეპანტოს ბრძოლები, თითოეული შეფასებული იყო სრულიად ევროპისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ,,უკანასკნელ ჯვაროსნულ

---

793 Gloël, 2014, გვ. 22.

794 Verzosa; Maestre Maestre, 2002, გვ. xiii.

795 Hopkins, 2007, გვ. 84-85.

796 მის მიზანს ასევე წარმოადგენდა ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებზე თავდასხმა, იერუსალიმის და კვიპროსის დაბრუნება. ფელიპე II იერუსალიმის მეფედ უნდა გამოცხადებულიყო. განისაზღვრა წმინდა ლიგის შეიარაღებაც. ლიგის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო 200 ხომალდი, 100 ნავი, ესპანელების, გერმანელებისა და იტალიელებისგან შემდგარი 50 000 საბრძოლო მეზღვაური, ხოლო 4500 კი - დამხმარე მეზღვაური (Finkel, 2006, გვ. 217).

797 ესპანეთს სამეფოს საკუთარი სახსრებით უნდა გადაეხადა ხარჯების სამი მეექვსედი, ვენეციას - ორი მეექვსედი და წმინდა წარმომადგენლობას - დარჩენილი ერთი მეექვსედი. ლიგის წევრები უნდა შეკრებილიყვნენ ყოველი წლის აპრილის თვეში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მომდევნო კამპანიის განსახორციელებლად. გენერალური კაპიტანი იქნებოდა ფელიპე II-ის ძმა დონ ხუან ავსტრიელი. ლიგის მონაწილე მხარეებს არ უნდა შეეკრათ კავშირი მტერთან, ერთმანეთის გაუფრთხილებლად და თანხმობის გარეშე. ხელშეკრულების გამოქვეყნების შემდეგ, რომის პაპმა უშედეგოდ სცადა პორტუგალიის, საფრანგეთის და საღვთო იმპერიის ჩართვა კამპანიაში. 1571 წლის 4 აგვისტოს დაეცა ფამაგუსტა და ოსმალეთმა დაასრულა კვიპროსის დაპყრობა (Hopkins, 2007, გვ. 85).

ლაშქრობად“. ბრძოლების ქრონოლოგიური ხაზი გამარჯვებისა და მარცხის დინამიურობით გამოირჩეოდა. ჯერბის მარცხის შემდეგ მალტის კათოლიკური ერთობის წარმატება თურქულ საშიშროებაზე გამარჯვების გამოვლინება იყო. გარკვეული მეტაფორით, შეიძლება ამგვარი აზრიც კი გამოითქვას - ჯერბის ბრძოლის დროს ესპანეთი ოსმალეთისგან მძიმედ დაიჭრა. კარლოს V-ის ერთგული იტალიელი კონდოტიერის, ანდრეა დორიას ვაჟმა, ხუან ანდრეა დორიამ და გრაფმა მედინაჩელიმ 14 000 ჯარისკაცით და 54 ხომალდით ვერ შეძლეს ოსმალებისა და მეკობრეების გაერთიანებულ ფლოტს გამკლავებოდნენ. ბრძოლის შედეგად 4000 ქრისტიანი, მათ შორის კაპიტანი ლოპე დე ფიგეროა, ბევრ სხვა წარჩინებულთან ერთად, სტამბოლში ტყვედ წაიყვანეს.

ბარბარიის სანაპიროებზე პოზიციების გამყარების გარდა, ოსმალეთის იმპერიისთვის სტრატეგიულად გადამწყვეტი იყო ხმელთაშუა ზღვის კუნძულების მალტისა და კვიპროსის დაკავება, შესაბამისად, რეგიონის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში გაბატონება.[798] კუნძულ მალტას გეოპოლიტკურ მიზნებად თვით ესპანეთის მონარქიაც საჭიროებდა. 1522 წელს სულეიმან დიდებულის მიერ როდოსზე განხორციელებული წარმატებული ალყის შემდეგ, წმინდა იოანეს ორდენის რაინდები რვა წლის შემდეგ მალტაზე დამკვიდრდნენ, იმ პერიოდიდან, რაც 1530 წელს კარლოს V-მ მათ კუნძულები მალტა, გოზო და კომინო, ტრიპოლთან ერთად დაუთმო. აღნიშნულ სტრატეგიულ სვლას საკუთარი მიზნები გააჩნდა: მალტის დიდ მაგისტრებს, ოსმალეთის იმპერიის მზარდი ექსპანსიის პირობებში, ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვათ და დასავლეთისკენ წამოსული მტერი შეეჩერებინათ.

1565 წელს მალტის დაცვა და გადარჩენა შესაძლებელი გახდა საკუთრივ დიდი მაგისტრის ტაქტიკისა და ესპანეთის ფლოტის დახმარების მეოხებით. როგორც ესპანეთის ისტორიის გამოუცემელი დოკუმენტების კრებულშია მითითებული, დიდმა მაგისტრმა ჟან პარიზო დე ვალეტემ (1495-1568) და ესპანეთის მონარქმა

---

[798] Crowley, 2009, გვ. 96-190.

ფელიპე II-მ კონსტანტინოპოლის ჯაშუშების მიერ მიღებული ინფორმაციით, წინასწარ იცოდნენ თურქების მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.[799] ამიტომ, დე ვალეტემ მტრის დასახვედრად გადამწვარი მიწის ტაქტიკა გამოიყენა და მოსახლეობა გახიზნა. როგორც უკვე აღინიშნა, ქრისტიან სახელმწიფოებთან ბრძოლის წინ ოსმალეთის სულტნები კაზუს ბელის მოძიებას ხშირად მიმართავდნენ. ამჯერადაც, საკმარისი აღმოჩნდა 1564 წელს მალტის ორდენის რაინდების მიერ, მატურინ რომეგაზის ხელმძღვანელობით, ოსმალეთის ხომალდების დაკავება, რომლებზეც კაიროსა და ალექსანდრიის მმართველები იმყოფებოდნენ. ჯაშუშებისგან მიღებული ცნობებით, ოსმალები მალტასთან 1565 წლის ივნისში უნდა გამოჩენილიყვნენ, თუმცა, ისინი კუნძულის სანაპიროებს უკვე 18 მაისს მიადგნენ.[800] ოსმალეთის ფლოტს ხელმძღვანელობდა აჰმედლი მუსტაფა ფაშა. კამპანიაში მონაწილეობდა ფიალი ფაშაც. მათვე ეხმარებოდა ცნობილი მეკობრე დრაგუთი (ულუჩ ალი), რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთში კარლოს V-ის დროიდან ესპანეთის იმპერიისთვის ბარბაროსაზე მეტად ქმნიდა სირთულეებს.[801] სიცილიის გალერებს დონ ხუან დე კარდონა და ანდრეს დე მირანდა ხელმძღვანელობდნენ. გადამწყვეტი იყო ესპანელი ადმირალის დონ ალვარო დე ბასანის მოქმედებებიც.

1567 წელს ალკალას უნივერსიტეტში გამოიცა ფრანსისკო ბალბი დი კორეჯოს ქრონიკა სათაურით „1565 წლის ნამდვილი ისტორია“, სადაც მალტის მონაწილე მხარეების სამხედრო შემადგენლობა და დანაკარგი არის აღწერილი. ბალბის მონაცემებით, მალტას 48 000 ოსმალისგან 6100 ქრისტიანი იცავდა. დი კორეჯოს მიხედვით, ალყის დასასრულს თურქების შემადგენლობიდან სულ 35 000 კაცი დაიღუპა.[802] მონაცემები, ცხადია, არასწორია, რადგან მალტის ალყის ბოლო

---

[799] Colección de documentos inéditos para la historia de España, CODIN, 1856, გვ. 6-7.
[800] Braudel, 1987, გვ. 485-495.
[801] Sola, 2000, გვ. 331.
[802] თუმცა რელასიონში გადმოცემული ცნობები, ისტორიკოსთა აზრით, რეალური არ უნდა იყოს და კათოლიკური ერთიანობის განდიდებისთვისაა მოყვანილი (Balbi di Correggio, 1567, გვ. 36).

ეტაპზე, 8 სექტემბერს, კათოლიკური მონარქიის დახმარება იყო მეტად გადამწყვეტი და იტალიელი ავტორი ცდილობდა, ქრისტიანების ერთობის მნიშვნელობისთვის გაესვა ხაზი. ვილაფრანკის გრაფი გარსია ალვარეს დე ტოლედო 9600 ჯარისკაცით გადავიდა სან პაბლოს ყურეში.[803] 12 სექტემბერს ოსმალების ხომალდები მალტას გაშორდნენ.[804] ამჯერად, უკვე ორივე იმპერია იყო დაჭრილი, თუმცა განსხვავებით კათოლიკეებისგან, ოსმალები გაცილებით სწრაფად ახდენდნენ საზღვაო ძალების აღდგენას. უკვე ერთ წელიწადში, ცნობილი გახდა მათი ხელახალი თავდასხმის მოსალოდნელობის შესახებ.

1566 წლის 10 იანვარს, ესპანეთში ოსმალეთის იმპერიის მორიგ სამხედრო სამზადისზე მიიღეს ცნობა. სულეიმან I ,,იენიჩრების არმადით“ კვლავ აპირებდა მალტის დაპყრობას, ასევე გადაწყვეტილი ჰქონდა, გენუის, ტოსკანის, კალაბრიის და აპულიის სანაპიროების დაკავება. სპეციალურად ამ მიზნისთვის, როდოსის მმართველი თავისი 20 გალერით ქიოსიდან დაბრუნებულიყო.[805] თუმცა, ცნობიდან რამდენიმე თვეში სულეიმან დიდებული ზიგეტვარის სიმაგრესთან გარდაიცვალა. სულტნის გარდაცვალების მიუხედავად, ოსმალების წინააღმდეგ კათოლიკური ძალების გაერთიანების მცდელობა კვლავაც არსებობდა.

ახალი სულტნის, სელიმ II-ის (1566-1574), დასავლეთით ექსპანსიასთან დაკავშირებული გეგმები ასევე შთამბეჭდავი იყო. მიხეილ სვანიძე მიუთითებს, რომ გართობის მოყვარულ სულტანს დაპყრობები ნაკლებად აღელვებდა და მამის პოლიტიკური მოქმედებებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა.[806] ბრიტანულ ენციკლოპედიაში განმარტებულია, რომ სელიმ II-ის დამოკიდებულება შაჰ თამაზ I-თან (1513-1576) ნაკლებად აგრესიული იყო, რაც მას საშუალებას აძლევდა, ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროებზე დამპყრობითი ომები

---

803 Fernández Duro, 1972, გვ. 50-100.

804 Braudel, 1987, გვ. 485-495.

805 AGS, Estado, leg. 486, doc. 98, 1566, 10 de enero.

806 სვანიძე, 2007, გვ. 146.

ეწარმოებინა.[807] ამგვარი შეფასებების მიუხედავად, ცხადი იყო ის ფაქტი, რომ ოსმალეთის იმპერია ხმელთაშუა ზღვის კუნძულების დაპყრობას განაგრძობდა.

1571 წლის 25 მაისს რომში მოხდა ახალი ,,საღვთო ლიგის“ ჩამოყალიბება. მისი შემადგენლობა გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე 1538 წლის ,,წმინდა კავშირისა“. ვენეციის რესპუბლიკის, მალტის რაინდთა ორდენის, ტოსკანის, ურბინოს, პარმის, ფერარის, მანტუის და სავოიის საგრაფოებს, ლუკის და გენუის რესპუბლიკის, ნეაპოლის და სიცილიის სამეფოებს შორის, რასაკვირველია, სამხედრო ხელმძღვანელის პოზიცია კვლავაც ესპანეთის მონარქიას ეკავა.[808] ესპანეთის მხრიდან რატიფიკაციას ესწრებოდნენ ფელიპე II-ის წარმომადგენლები კარდინალი ანტოან პერონტ დე გრანველე, დონ ფრანსისკო პაჩეკო და ესპანეთის ელჩი რომში - ლუის დე სუნიგა ი რეკესენსი, ვენეციიდან - ელჩი მიქელე სორიანო.[809]

,,საღვთო ლიგის“ შექმნის ორგანიზატორი იყო რომის პაპი პიუს V (1566-1572), ერთადერთი პაპი, რომელთანაც ფელიპე II-ის დამოკიდებულება კონსტრუქციულობით გამოირჩეოდა. პაპების დანარჩენ პლეადასთან მას საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რის მიზეზსაც ძირითადად საფრანგეთის იატლიის საკითხებში ჩარევა წარმოადგენდა. პავლე IV (1555-1559) მკვეთრად ანტიესპანური პოლიტიკით გამოირჩეოდა და იტალიის გაერთიანებას საფრანგეთის მონარქიის დახმარებით ცდილობდა. მსგავსი იყო პიუს IV-ის (1559-1565), გრეგორიუს XIII-ის (1572-1585) და სიქსტუს V-ის (1585-1590) ურთიერთობა ესპანეთის მეფესთან.[810] ფელიპე II ყველა მათგანს იმპერიის საწინაღმდეგო მოქმედებებში ღიად ადანაშაულებდა. ყოველთვის ამოსაცნობი იყო პაპების ესპანეთის მონარქიის დასუსტებისკენ მიმართული ზრახვები. მალტის დაცვაში თავი გამოიჩინა დონ ხუან ავსტრიელმა (1547-1578), კარლოს V-ის უკანონო

---

[807] Britannica.com/biography/Selim II
[808] Molmenti, 1899, გვ. 75.
[809] Molmenti, Ib.
[810] Fernández Collado, 1991, გვ. 367.

შვილმა, რომელიც მას გერმანიაში ბარბარა ბლომბერგისგან შეეძინა.[811] მიუხედავად იმისა, რომ ფელიპეს ძმასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, იგი მხოლოდ ფლოტის ადმირალი იყო და მეფეს დონ ხუანისთვის არასდროს უბოძებია ,,მისი უდიდებულესობის“ ტიტული.[812]

სამეფო ოჯახის ნიუანსებით მანიპულირებას განსაკუთრებით რომის პაპი გრეგორიუს XIII ახდენდა. იგი ფელიპე II-ს თხოვნით მიმართავდა, რათა მეფეს დონ ხუან ავსტრიელი თუნისის მეფედ ეკურთხებინა.[813] ესპანეთის უკანონო უფლისწულის ავტორიტეტი საკმაოდ დიდი იყო, თუმცა ფელიპე II-ის სიბრძნე და წინადახედულობა იმითაც გამოირჩეოდა, რომ იგი პაპებს მათი ზრახვების შესრულების საშუალებას არ აძლევდა და ძმის ნიჭს საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის იყენებდა. მეფემ სწორედ ხუან ავსტრიელის დახმარებით ჩაახშო 1569 წელს დაწყებული ალპუხარას მორისკოების აჯანყება.[814] ხუან ავსტრიელის სახელი მალტის ბრძოლიდანვე გახდა ცნობილი. განსაკუთრებული დიდება კი ლეპანტოს დაპირისპირებაში მოიხვეჭა, რომლის შემდეგაც იგი დარდანელის დაკავებასაც აპირებდა. აღნიშნული გეგმა ალბანეთის და მაკედონიის ქრისტიანულ მოსახლეობას ერთი გვირგვინის ქვეშ გაერთიანებას უქადდა, რაც, რასაკვირველია, ფელიპე II-ის სურვილს ეწინააღმდეგებოდა. სწორედ ამ მიზეზით, დარდანელის ნაცვლად, ხუან ავსტრიელმა თუნისის კამპანიის ორგანიზება მიიღო ბრძანებად. რომის პაპი პიუს V და ფელიპე II ერთდროულად ცდილობდნენ საღვთო რომის იმპერატორის მაქსიმილიან II-ის (1564-1576) ჩართვას ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. იმპერატორს ლიგის შემადგენლობაში შესასვლელად შესაბამისი

---

[811] წყაროებში მოხსენიებულია, როგორც დონ ივანი (Vander Hammen y Leon, 1627, გვ. 4-6). 1554 წელს, მამის სურვილის მიხედვით, ფელიპე II-მ იგი სამეფო ოჯახის წევრად აღიარა და მისი სამხედრო ნიჭი მონარქიის სასარგებლოდ გამოიყენა (თ. ხ.).

[812] დონ ხუანი დაიბადა რეგენსბურგში, რომის საღვთო იმპერატორს შვილი არ მიუტოვებია, 1554 წელს იგი გადაიყვანა ვალიადოლიდში, სადაც ლუის დე კიხადას სასახლეში გრაფის მეუღლის ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდა, განათლება ალკალას უნივერსიტეტში მიიღო (Stirling-Maxwell, 1883, გვ. 6).

[813] Sánchez, 2016, გვ. 199.

[814] Alonso García, 2009, გვ. 31.

მიზეზიც გააჩნდა, ცნობილი იყო, რომ სელიმ II ვენაზე გალაშქრებას 1567 წლის ზაფხულში გეგმავდა. ოსმალეთის სულტნის ძალაუფლება, რომელსაც ევროპელი მესვეურები სულეიმან დიდებულის ვაჟის, მუსტაფას გარდაცვალების გამო, მას უკანონო მმართველად მიიჩნევდნენ, საკმაოდ გაძლიერებულიყო.[815] დასავლურ ლიტერატურაში შენიშნულია: სულტნის დაპყრობითი ომების წადილი იმგვარად გაზრდილა, რომ ამ ,,სურვილებს საკუთრივ მის გარდა, სხვა ვერავინ აიტანდა“.[816]

ესპანეთის იმპერიის მიწებზე, ხმელთაშუა ზღვის საზღვრებში გახშირებული თურქული თავდასხმების გამო, კათოლიკე მეფე ცდილობდა, ნებისმიერ ქრისტიან მმართველთან დაედო ხელშეკრულება. თუმცა, საერთაშორისო სამოკავშირეო ვითარება მისთვის დიდი პერსპექტიულობით არ გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ 1566 წლის 18 დეკემბერს ფელიპე II-ს მისი და, მარგარიტა პარმელი წერდა, რომ უილიამ ორანჟელის უმცროსი ძმა ლუი ნასაუ გერმანიაში გამგზავრებულიყო, რათა კათოლიკური მონარქიის წინააღმდეგ ლუთერანები ნიდერლანდებში მიეწვია. ცხადია, ესპანეთს ოსმალებთან ბრძოლის პარალელურად მეორე ფრონტზეც მოუხდებოდა გალაშქრება.[817] რომის საღვთო იმპერიასთან მოლაპარაკებებისთვის კათოლიკე მონარქმა პედრო ფახარდო გააგზავნა. თავის მხრივ, მადრიდში გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის ელჩი ჰანს ჰევენჰიულერი იღწვოდა, რათა ქრისტიანული სამყარო ოსმალების წინააღმდეგ გაერთიანებულიყო.[818]

ნაშრომში უკვე აღინიშნა, რომ ესპანეთის მეფეს ,,საღვთო ლიგაში“ მონაწილეობისათვის პრინციპული მიზეზები გააჩნდა. მიზეზთა ჯაჭვისგან უნდა გამოვკვეთოთ ასევე გრანადელი მორისკოების განუწყვეტელი ამბოხი, რომელსაც ფრანგები ფრიად მოხერხებულად იყენებდნენ, რათა კათოლიკური იმპერია შიდა პრობლემებითაც გამოეფიტათ. 1569 წელს ფელიპე II-მ შეზღუდვები დაუწესა გრანადის მუსლიმებს. მან ჯერ ,,თურქული აბანოები“ აკრძალა, შემდეგ არაბულ

---

815 Verzosa; Maestre Maestre, 2002, გვ. 73.
816 Setton, 1984, გვ. 912.
817 Setton, Ib., გვ. 913-914.
818 Alvar Ezquerra, 2015, გვ. 84-85.

ენაზე საუბარი, მოგვიანებით კი - ტრადიციული სამოსით სიარული.[819] მოცემული მიზეზების გათვალისწინებით, 1571 წლის ,,საღვთო ლიგის“ მთავარ აქტიურ ძალად, ასევე სამხედრო ორგანიზატორად სწორედ ესპანეთის კათოლიკური მონარქია მიიჩნეოდა, რაც ვენეციის რესპუბლიკის ღირსებას გარკვეულწილად ლახავდა, და, ესპანელებისთვის მინიჭებული პრივილეგიების გამო, ვენეციის სინორია ლიგიდან გასვლითაც კი იმუქრებოდა. ,,საღვთო ლიგის“ სამხედრო გადაწყვეტილებს დონ ხუან ავსტრიელი და წმინდა საყდრის წარმომადგენელი მარკო ანტონიო კოლონა იღებდნენ. ოსმალების წინააღმდეგ საბოლოოდ შეკრებილი შემადგენლობა 200 საბრძოლო ხომალდს, 100 ტვირთმზიდ ნავს, 50 ათას ჯარისკაცს და 4500 ცხენს მოითვლიდა, მოცემული რაოდენობიდან სამი მეექვსედი ესპანეთის ხარჯზე აითვლებოდა, კათოლიკური ეკლესია 12 გალერით, 3000 ჯარისკაცით და 270 ცხენით იყო წარმოდგენილი.[820]

ლიგის წევრების არსენალს ოსმალეთის იმპერიის ფლოტის სრული შემადგენლობა გაცილებით აღემატებოდა 222 გალერით, 60 გალეონით, 47 ათასი ჯარისკაცით, 750 ზარბაზნით, 41 ათასი ტყვე მენიჩბით.[821] ხუან ავსტრიელის დარდანელისკენ მიმავალი გეგმები ესპანეთის მეფემ თუნისისკენ შემოატრიალა, რადგან ცხადი გახდა ვენეციელების სტრატეგიის ცვლა და მათი მოსალოდნელი კავშირი ოსმალეთთან.

ლეპანტოს ბრძოლის შემდეგ ,,საღვთო ლიგის“ სწრაფად დაშლას ევროპელების პირად ეგოიზმს აბრალებდა მადრიდში მყოფი ავსტრიის ელჩი ჰანს ჰევენჰიულერი. ფელიპე II კი ვენეციელების ორმაგ მოქმედებებს ამგვარად აღნიშნავდა: **,,მართალია ვენეციელებმა მიმატოვეს, მაგრამ ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლას განვაგრძობ და მათგან ყველა ქრისტიანულ ქალაქს დავიცავ“.**[822] თუმცა, აფრიკის სანაპიროების დაცვა ნამდვილად ვეღარ მოხერხდა.

---

[819] Clark Hall, 2004, გვ. 362.
[820] Serrano, 1914, გვ. 299-309.
[821] Guglielmotti, 1862, გვ. 254.
[822] Weiss, 1845, გვ. 56-59.

1574 წელს ულუჩ ალიმ თუნისი დაიკავა. მურად III-ის (1574-1595) დროიდან ესპანეთ-ოსმალეთის დაპირისპირება იყო ორი იმპერიის უშუალო ანტაგონიზმი, ყველა სხვა ევროპელი სუვერენის ქომაგობის ან შუამავლობის გარეშე. აღნიშნულ პერიოდში ინგლისსა და ჰოლანდიასთან გართულებული ურთიერთობის გამო, ასევე 1575 წელს გამოცხადებული ბანკროტის ფონზე, სამშვიდობო მოლაპარაკებების მიზნით, ესპანეთის მონარქია ფარულ კავშირს ამყარებდა მურად III-თან. 1577 წლიდან ოსმალეთის იმპერიასთან ზავის დადების მცდელობები სულ უფრო აქტიურ ხასიათს იძენდა. თავის მხრივ, სეფიანთა ირანთან დაძაბულობის გამო, ოსმალეთისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო კათოლიკე მეფესთან შეთანხმების მიღწევა, თუმცა, როგორც შენიშნულია, 1581 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება უცვლელად ტოვებდა ყველა სადავო საკითხს, მხოლოდ საომარი მოქმედებები უნდა შეწყვეტილიყო.[823]

ისტორიკოსთა ნაწილი მიუთითებს, რომ სამეფო კარმა ბრწყინვალე პორტასთან დაპირისპირებას თავდაცვა არჩია მაშინ, როდესაც ,,ურწმუნოები ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობდნენ“.[824] 1581 წლის სამშვიდობო შეთანხმებას ხელს აწერდა ესპანეთის იმპერიის წარმომადგენელი სტამბოლში ხუან მარლიანი. იგი ოსმალეთის დედაქალაქში 1577 წლიდან იმყოფებოდა.[825] თურქებთან საიდუმლო სამხედრო შეთანხმება ყოველ სამ წელიწადში უნდა განახლებულიყო. განსაკუთრებული დავალება ოსმალეთის იმპერიასთან ხელშეკრულების დადების გასაიდუმლოებაზე ფელიპე II-ის ავტორიტეტის დაცვას გულისხმობდა; ოსმალებთან საიდუმლო გარიგების გამჟღავნება კიდევ უფრო გაამწვავებდა ურთიერთობას რომის პაპ გრეგორიუს XIII-თან.[826] ესპანეთის მონარქიისთვის ,,კათოლიკობის დამცველის“ მანტია უკვე სახელმწიფოებრივი უხერხულობის

---

[823] Ohanna, 2011, გვ. 82.
[824] Weiss, 1845, გვ. 56-59.
[825] Fernández Collado, Ib., გვ. 121.
[826] მარლიანის სტამბოლში ვიზიტის პარალელურად, თვით სულტნის კარი საფრანგეთთან ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა, ხოლო ინგლისთან - დიპლომატიური კავშირის დამყარებას (სვანიძე, 2007, გვ. 163).

ფაქტორად ქცეულიყო. მარლიანის მიერ ესპანეთის სახელმწიფო მდივნ ხუან დე სუნიგასადმი მიწერილ წერილებში ჩანს, რამდენად რთულად მისაღწევი იყო ოსმალეთთან შეთანხმების გაფორმება.[827] სულტნის მთავარი თარჯიმანი, ორემ ბეიც კი უარს აცხადებდა შუამდგომლობაზე. მურად III-ს და დიდ ვეზირ სინან ფაშას არ სჯეროდათ კათოლიკური იმპერიის სამშვიდობო ინიციატივის რეალურობა და ნეაპოლზე თავდასხმით იმუქრებოდნენ.[828]

## 8.2. ფამაგუსტის ალყა - გზა ლეპანტომდე

ყველა სხვა ბერძნულ თუ იტალიურ კუნძულთან შედარებით, რომლის დაპყრობასაც ოსმალეთის იმპერია ცდილობდა, ხმელთაშუა ზღვის აღმოსვალეთ ნაწილში საუკეთესო სტრატეგიული მდებარობით კვიპროსი გამოირჩეოდა.[829] კუნძულის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნავსადგური ფამაგუსტა 1372 წელს გენუელებმა დაიკავეს, ხოლო 1489 წელს ქალაქში ვენეციის რესპუბლიკის მმართველობა დამყარდა.[830] ზოგადად, გენუამ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ ხმელთაშუაზღვისპირეთში დაარსა სავაჭრო კოლონიები, რომლებიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ ცენტრებს წარმოადგენდნენ.[831] ფამაგუსტა იყო პირველი იტალიური კოლონია, რომელიც 1447 წელს გენუის წმინდა გიორგის

---

[827] AGS, Estado, leg. 491, doc. 11, Margliani a Juan de Zúñiga, 1580, 17 de febrero.

[828]ესპანეთის მეფის წარგზავნილს მაინც არ შემთხვევია ის დაბრკოლებები, რაც საღვთო იმპერიის და საფრანგეთის ელჩებს, რომლებსაც სულთნის სასახლეში ან საჩუქრებს უწუნებდნენ ან, უსაჩუქროდ ხლების გამო, საპყრობილეში აგდებდნენ (სვანიძე, 2007, გვ. 144). მარლიანის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ესპანეთის მონარქიის დამცირებას, რომელიც ელჩის დაყოვნებით, ლოდინით გამოიხატებოდა და იმპერიის, სულტნის პირად ავტორიტეტს უსვამდა ხაზს. აჭიანურებდნენ ფელიპე II-ის წერილის მურად III-თვის გადაცემას. მარლიანის სახელმწიფოებრივი დავალების სისრულეში მოსაყვანად ვენეციის ბაილოს ჩარევაც დასჭირდა.

[829]ბერძნულად ამოსოსტოსი, თურქულად - მაგუზა, გაზიმაგუსა. სტრაბონი ,,გეოგრაფიკაში“ კვიპროსის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ამ ქალაქს ,,პატარა სათევზაო ქალაქად“ მოიხსენიებს (Muzaffer Gürkan, 2008, გვ. 16).

[830]იტალიური ენის ინსტიტუტის ენციკლოპედია Treccani მიუთითებს, რომ ფამაგუსტა ვენეციელებს 1481 წელს გადაეცა (თ. ხ.).

[831] მამისთვალიშვილი, 2009, გვ, 8.

ბანკის ადმინისტრაციას გადაეცა სამართავად. მისმა მრავალეთნიკურმა მოსახლეობამ ახალი ხელმძღვანელობის ერთგულების ფიცი დადო.[832] როგორც კუნძულის, ისე ფამაგუსტის მმართველობა დამოუკიდებელ და ეკონომიკურად ბალანსირებულ სისტემას ეფუძნებოდა. ვენეციელების შესვლის მიუხედავად, ფამაგუსტაში კვლავ გენუის კანონები მოქმედებდა.[833]

1570-1571 წლებში ქალაქის ალყის დროს უშუალო დაპირისპირებულ მხარეებს ოსმალეთის იმპერია და ვენეციის რესპუბლიკა წარმოადგენდნენ. შუა საუკუნეების თუ ახალი ისტორიის პერიოდში ვენეცია არ იყო მხოლოდ სავაჭრო, სადაზვერვო სამსახურის ან დიპლომატიის ხელოვნების ცენტრი. იგი რენესანსული სამხედრო სახელმწიფოს სტატუსსაც ინარჩუნებდა, მას საკუთარი ბაზები გააჩნდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, მაგალითად, კუნძულ კვიპროსსა და კრეტაზე, ამიტომ ოსმალეთის იმპერია ძირითადად მისი სტრატეგიული კუნძულების დაკავებას ცდილობდა. სულეიმან დიდებულის გარდაცვალების შემდეგ, 1566 წელს ტახტზე ასულმა სელიმ II-მ თავისი სიმამარის, დიდი ვეზირის, მეჰმედ სოკოლუს დახმარებით, მოახერხა და აღმოსავლეთ ჰაბსბურგებთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ, ევროპის ტერიტორიიდან ყურადღება ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელოვან კუნძულებზე გადაიტანა. ვინაიდან ოსმალეთის ახალი სულტანი დიდი სტრატეგიული გეგმებით არ გამოირჩეოდა, ოსმალეთის ფაქტობრივი მმართველი მეჰმედ სოკოლუ ფაშა იყო.[834]

ბალკანეთზე ოსმალეთის მმართველობის განმტკიცების შემდეგ, ოსმალების თავდასხმის მორიგ მიზანს ორი სავარაუდო ობიექტი წარმოადგენდა: ესპანეთის იმპერია ან ვენეციის რესპუბლიკა.[835] ანდალუსიაში 1568-1569 წლების მორისკოების აჯანყება ოსმალეთისთვის საუკეთესო კაზუს ბელი იყო ,,წმინდა ომის" განსანახლებლად. ,,რელიგიის დამცველ" ოსმალეთს თავისუფლად შეეძლო,

---

832 Bliznyuk, 2008, გვ. 276–291.
833 BNM, IT, VII, 918 (8392), c. 49r.
834 Petacco, 2007, გვ. 78.
835 Faroqui, 2004, გვ. 38, 48.

იდეოლოგიური საბაბით, გრანადაზე მიეტანა იერიში. ცხადია, ესპანეთის სამეფო ტახტზე უკვე იცოდნენ ოსმალების შესაძლო ექსპანსიის შესახებ, ფელიპე II-ის სადაზვერვო სამსახური საკმაოდ წარმატებულად მოქმედებდა.[836] რაც შეეხება, მეორე სტრატეგიულ მიზანს, სავაჭროდ საინტერესო და გეოპოლიტიკურად საყურადღებო პუნქტად კვიპროსი მიიჩნეოდა. საკუთრივ კუნძულის ქალაქებს შორის კი - ფამაგუსტა. ბიზანტიის იმპერიიდან გაქცეული ბერძნული მოსახლეობა ყველაზე მეტად სწორედ კვიპროსზე იყო დამკვიდრებული.[837]

ვენეცია მაქსიმალურად ცდილობდა, მოსალოდნელი დაპირისპირება და კიდევ ერთი ომი ოსმალეთთან თავიდან აერიდებინა. თუმცა, ოსმალეთის იმპერია ომის საბაბის ძიებაში იყო. 1571 წლის 13 იანვარს კონსტანტინოპოლში, მეკობრეობის ბრალდებით, ვენეციის გემები დააკავეს. ძალის დემონსტრირების მიზნით, თუ რამდენად დიდი ეკონომიკური ზარალი შეიძლებოდა ოსმალეთს მიეყენებინა, სულტანმა ვენეციაში ელჩი შემდეგი შეტყობინებით გააგზავნა: **,,სანაცვლოდ ვითხოვთ კვიპროსს. და მას დათმობ, ავად თუ კარგად. იფრთხილე, რომ ჩვენი მახვილი შენზე არ იქნეს ამოღებული, რადგან ყველა მხრივ სასტიკი ომი იქნება. და ნუ გექნება შენი განძის იმედი".**[838] იმავე თვეს ვენეციის ბაილომ, მარკანტონიო ბარბარომ, სინორიას აცნობა, რომ ომი გარდაუვალი იყო.[839] კვიპროსისთვის გამართულ ბრძოლაში ვენეცია კვლავ მარტო იდგა ოსმალეთის წინაშე. აღნიშნული დაპირისპირება 1570-1573 წლების ვენეცია-ოსმალეთის მორიგი ომის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ოსმალეთს მთელი ყურადღება კუნძულის დაკავებისკენ ჰქონდა მიპყრობილი და მოსალოდნელი იყო უშუალო სამხედრო შეტაკებები.[840] ვენეციას არ ჰქონდა ძირითადი ევროპული ძალის, ესპანეთის იმპერიის, დახმარების იმედი. ვენეციის რესპუბლიკა საკმაოდ გაანაწყენა მალტის რაინდთა

---

[836] Barbero, 2012, გვ. 86-88.
[837] McEvedy; Jones, 1979, გვ. 119.
[838] Monello, 2006, გვ. 192.
[839] Setton, 1984, გვ. 945-946.
[840] Finkel, 2006, გვ. 160.

ორდენისთვის ესპანეთის მიერ აღმოჩენილმა დახმარებამ, რამდენადაც ვენეციას უნივერსალური იმპერიის ძლიერების მორიგი დემონსტრიება არ სურდა.

ამდენად, ფარული მეტოქეობა ვენეცია-ესპანეთის კავშირის წარმატებებს აფერხებდა. კათოლიკური მონარქია ჩართული იყო ჰოლანდიაში არსებულ პრობლემებსა და ქვეყნის შიგნით მორისკოების ამბოხის ჩახშობაში. ოსმალების მხრიდან კი სამხედრო მოქმედებისთვის აქტიური მზადება მიმდინარეობდა. ოსმალეთის მიერ კვიპროსის ექსპედიციის სახმელეთო ძალების მთავარსარდლად მუსტაფა ლალა ფაშა დაინიშნა. საზღვაო მოქმედებებს ხელმძღვანელობდა აბსოლუტურად გამოუცდელი მუეზინზადე ალი, რომელსაც სულტანმა კაპუდან-ფაშობა უბოძა. მას გაცილებით გამოცდილი ფიალი ფაშა დაახმარეს და ასევე - ულუჩ ალი.[841] ოსმალეთის სამხედრო ძალები კვიპროსისკენ 1570 წლის 27 ივნისს გაემართნენ. მათ შემადგენლობაში 400 გემი და 100 000 მებრძოლი აღირიცხებოდა.[842] კვიპროსის დაკავება დაიწყო ნიქოზიის აღებით, რომელსაც უკვე ივლისში შეუტიეს. ნიქოზიამ 9 სექტემბრამდე გაძლო. ქალაქის დაკავების შემდეგ, ოსმალებმა ნიქოზიის მმართველი ნიკოლო დანდოლო სხვა 40 წარჩინებულთან ერთად სარზე ჩამოაცვეს. ფამაგუსტის ალყის დროს, მოსახლეობის დასაზაფრად, მათი გვამები სანაპიროსთან გემბანზე გამოიტანეს. ნიქოზიის დაკავება იყო ერთ-ერთი სასტიკი ტრაგედია მსოფლიო ისტორიაში. დაიღუპა 20 000 ადამიანზე მეტი, ხოლო 2000 სტამბოლში ტყვედ წაიყავნეს. ნიქოზიის შემდეგ, 22 აგვისტოს ოსმალების ხომალდებმა უკვე ფამაგუსტა მოაქციეს ალყაში, რომელიც თერთმეტ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. ქალაქის მდგრადობა, პირველ რიგში, მისი მდებარეობით და ფორტიფიკაციული სიძლიერით იყო განპირობებული. რაც შეეხება ფამაგუსტისთვის გამოყოფილ ვენეციის დახმარებას, სინორიის გადაწყვეტილებით, კრეტის ვენეციური ბაზიდან, კანდიიდან (თანამედროვე ჰერაკლიონი - თ. ხ.), მარკანტონიო კერინი 16 გალერით, სამი სავაჭრო ხომალდით

---

[841] Finkel, 2006, გვ. 159-160.
[842] Abulafia, 2012, გვ. 447.

და 1600 სამხედრო მეზღვაურით 1571 წლის 26 იანვარს გაეშურა. დამხმარე ძალამ ფამაგუსტის ოსმალურ ალყაში თავდაპირველად 7 ხომალდიდან 4 გაანადგურა. მოგვიანებით, ქალაქს ვენეციიდან დამატებით 800 ჯარისკაცი მიახმარეს და სენატის გამამხნევებელი მიმართვაც გადასცეს: **,,ჩვენო ძვირფასო და ერთგულო ფამაგუსტა!“**[843]

ვენეციელებს ფამაგუსტის თავდაცვითი უნარი ნიქოზიის შესაძლებელობებზე მეტად ეიმედებოდათ. ქალაქი გაცილებით დაცული იყო სამხედრო ნაგებობებით. ალბათ, ეს ერთ-ერთი მიზეზიცაა, თუ რატომ არ გამოყო მეტი დამხმარე ძალა ვენეციის სენატმა. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ: **,,ფამაგუსტა არ იყო ისეთი დაუცველი, როგორც ნიქოზია. მას გარს ეკრა თითქმის ოთხი კილომეტრი სიგანის და ბასტიონებით გამაგრებული ძლიერი კედლები, იგივე ციხე-სიმაგრეები ციხე-სიმაგრეში; გვირგვინებით შემოსილი თაღებით, ოცდაათ მეტრამდე ღრმა თხრილებით“.**[844] ფამაგუსტა პალესტინიდან დევნილი ქრისტიანების თავშესაფარსაც წარმოადგენდა და მისი მისადგომები საუკუნეების უწინაც კი თავდაცვაზე იყო გათვლილი. ქალაქის შესაბამისად გამაგრება სწორედ ვენეციელების მმართველობის დროს მოხდა. 1481 წელს ფამაგუსტაში ლეონარდო და ვინჩიც იმყოფებოდა და მოანწილეობა მიიღო მთავარი ციხე-სიმაგრეების დეკორირებაში. XIV საუკუნის პილიგრიმი ნიკოლო მარტონი 1394 წელს წერდა, რომ გენუელების მმართველობის დროს ფამაგუსტა მხოლოდ ,,ნანგრევების ეპოქაში“ გადავიდა.[845] ქალაქი ხმელეთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში საუკეთესო სავაჭრო-სტრატეგიულ ცენტრს წარმოადგენდა, ვენეციელები სათანადო ყურადღებას უთმობდნენ მის არქიტექტურას და სიმტკიცეს.[846] იგივე მარტონი გადმოსცემს, რომ: ფამაგუსტა ,,ისეთივე დიდია, როგორც კაპუა, მაგრამ

[843] Santilli Marcheggiani, 2014, გვ. 76.
[844] Santilli Marcheggiani, Ib., გვ. 68.
[845] Edbury, 2012, გვ. 52.
[846]მადრიდის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება ჯორჯ ბრაუნის (1541-1622) მიერ შექმნილი რუკა (1572 წელი) რომელზეც ხმელთაშუა ზღვის ოთხი მნიშვნელოვანი ქალაქია ასახული: კლარისი, ვალეტა, როდოსი და ფამაგუსტა. BNE, R/22248 (1), PL. 51.

მისი ერთი მესამედი დაუსახლებელია.[847] კედლები ლამაზია, დიდი მოცულობის და მაღალი კოშკებით შემოსაზღვრული“.[848]

ისტორიული იმედის ამარა დარჩენილ ფამაგუსტას ნიქოზიიდან ოსმალების კიდევ ახალი ძალები მიადგნენ. ლალა ფაშამ 200 ხომალდით მოაქცია საზღვაო ალყაში.[849] ქალაქთან მდგმარმა მუსტაფა ლალა ფაშამ ბრაგადინს სულტნის ბრალდება გადასცა: ვენეციის დიდი საბჭოს ბრძანებით, თურქი ტყვეები დახოცეს. ოსმალეთის წარმომადგენელმა გარანტიები მოითხოვა კრეტაში გამგზავრებული 40 ოსმალური ხომალდის უვნებლად დაბრუნებისთვის.

ფამაგუსტა დაეცა 4 აგვისტოს. 5 აგვისტოს ცხენზე ამხედრებულმა მარკ ანტონიო ბრაგადინმა ლალა ფაშას ქალაქის გასაღები გადასცა. ოსმალები ფამაგუსტაში შევიდნენ და 17 აგვისტოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია უკვე მეჩეთად გადააკეთეს. ბრძოლის დროს 52 000 ადამიანი დაიღუპა. კონსტანტინოპოლის შემდეგ ეს იყო ყველაზე დიდი სამხედრო ზარალის და ჰუმანური ტრაგედიის საზღვაო დაპირისპირება. კონსტანტინოპოლის ზღუდის მსგავსად, ფამაგუსტის კედლების დასანგრევად ოსმალებმა ასევე ქვემეხთა ჯერი გამოიყენეს, სულ 160 000 გასროლა, რაც თურქებისთვის დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.[850] თითქმის ერთწლიანი ალყის მიმდინარეობის დროს, მუსტაფა ლალა ფაშამ სულტანს აცნობა: **„ფამაგუსტას გიგანტები იცავენ“.**[851] კუნძულ კვიპროსისთვის გამართულ ბრძოლაში აგრეთვე გამოიკვეთებოდა ორი პიროვნების, ორი რელიგიის, ორი იმპერიის დაპირისპირების სიმბოლიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მასში მხოლოდ ოსმალეთი და ვენეცია

---

[847]ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში გენუელების მმართველობა ფამაგუსტაში ზოგადად ურყოფითად არის აღნიშნული. „დაუსახლებელია“ გულისხმობს: გენუის კოლონიად არსებობის დროს ფამაგუსტიდან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დამასკოსა და ალექსანდრიაში გადავიდა. მათგან მიღებული შთაბეჭდილებების გამო, კუნძულის ორთოდოქსი მოსახლეობა დასაწყისში ოსმალების მიმართ დადებითადაც კი იყო განწყობილი (თ. ხ.).

[848] Santilli Marcheggiani, Ib., გვ. 68.

[849] Edbury, 2012, გვ. 76.

[850] Santilli Marcheggiani, 2014, გვ. 76.

[851] Latorre Broto, 2010, გვ. 43.

მონაწილეობდა. დასაწყისში ლალა ფაშამ ბრაგადინს ხელშეუხებლობის პირობა მისცა. თუმცა, დამარცხებისთანავე, პროვოკაციული ხერხით, ,,სამაგალითოდ დასაჯა“.[852] მას ზურგზე ქალაქის ნანგრევებით სავსე ტომრები აჰკიდა და, წმინდა გიორგის ეკლესიის მეჩეთად გადაკეთების გზაზე, მისი ნაბიჯების კვალი აკოცნინა. როგორც ჩანს, სულტნის ადმირალი სამაგიეროს იღებდა ბრაგადინის სიტყვებისთვის: ,,ერთდღესაც ჩვენი არმადა მოვა და შენი ჯარი, შენი ფლოტი განადგურდებით, მაშინ ჩემი ცხენის წინ გაგიგდებ და ზურგზე იმ მიწას აგკიდებ, რომლითაც ჩვენი ქალაქის თხრილები ამოავსე“.[853] ბრაგადინი ჯერ ხომალდის ანძაზე გააკრეს, სადაც მას ლალა ფაშამ უთხრა: ,,აქედან უკეთ დაინახავ ფამაგუსტის ქრისტიანულ დახმარებას“, ხოლო შემდეგ ქალაქის მოედანზე აწამეს. მისი სხეული დაანაწევრეს და სხვადასხვა ადგილებზე გამოფინეს.[854]

ისტორიკოსთა აზრით, არა კონსტანტინოპილის დაცემის, არამედ სწორედ კვიპროსის ოსმალების ხელში გადასვლის შემდეგ დაემუქრა ქრისტიანობას თურქული საფრთხე, ვინაიდან, კუნძულის დაკავებით, ოსმალეთი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილზე გაბატონდა.[855] ფამაგუსტის დასახმარებლად, ვენეციას კრეტიდან კიდევ შეეძლო 97 ხომალდის გაგზავნა, მაგრამ ალყაშემორტყმულ ქალაქთან მიახლოვება მათთვის დიდ რისკს შეიცავდა. ვენეციელების დახმარებამ და გადაწყვეტილებების ორგანიზებამ საკმაოდ დააგვიანა, მიუხედავად იმისა, რომ რომის პაპი პიუს V ევროპის სუვერენებს ჯერ კიდევ 1569 წლიდან მოუწოდებდა ოსმალეთის წინააღმდეგ გაერთიანებისკენ. ახალ კათოლიკურ ლიგაში, მისი ოსმალეთთან მოკავშირეობის გამო, საფრანგეთის მონაწილეობა თავიდანვე გამოირიცხებოდა; ხოლო ვენეცია და ესპანეთი, მალტის შემდეგ, ერთმანეთს ფარული სტრატეგიული გეგმებით უპირისპირდებოდნენ

[852] ვენეციის სენატის მიერ ,,თურქი ტყვეების დახოცვა“ (თ. ხ.).
[853] Latorre Broto, Ib., გვ. 44.
[854] Latorre Broto, 2010, გვ. 45.
[855] Fernández Collado, 1993, გვ. 102.

(1565 წლის მალტის ალყის დროს, ვენეციამ ესპანური დახმარების ჩართვა გააპროტესტა).[856]

აღნიშნული შიდა პრობლემების გამო, ესპანეთის იმპერიასაც გააჩნდა საკუთარი მიზეზები, რათა ლიგაში მონაწილეობაზე დაფიქრებულიყო. ამასთან, ,,ფელიპე II-ს გარკვეული ეჭვები ჰქონდა ვენეციელების მიმართ, რადგან ფიქრობდა, რომ ვენეცია შიშისა და ეგოიზმის გამო მოქმედებდა და, გადამწყვეტ მომენტში, ოსმალეთთან ფარული კავშირიც შეეძლო დაედო, ხოლო ესპანეთი ბრძოლაში მარტო დაეტოვებინა“.[857] აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს მოდენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი ცნობა, რომლის მიხედვითაც, ვენეცია, წმინდა საყდარი და ესპანეთის მონარქია იმედს ფამაგუსტის სიმტკიცეზე ამყარებდნენ; მათი გათვლებით, ქალაქის სამხედრო სიმაგრეებს, სტრატეგიულ მდებარეობას, შეიარაღებას ოსმალების შეტევისთვის უნდა გაეძლო.[858] აღნიშნული ინფორმაციის ავტორი უცნობია, თუმცა, წყარო სათაურით ,,ლევანტიდან მოსული ახალი ცნობების დასაწყისი, რომელიც ფამაგუსტის დაცვას შეიცავს“, სავარაუდოდ, ესპანეთის მეფის სახელზე არის დაწერილი: **,,ჩემო დიდებულო ბატონო, თქვენ მიერ დაჟინებით არის მოთხოვნილი აქ მიმდინარე ამბებზე ყურადღების გამახვილება, რაც ჩვენი მტრის მიმართ წინააღმდეგობით არის გამოწვეული. მისი [სულტნის] ჯარი 28 აგვისტოს თავს დაესხა ქალაქ ფამაგუსტას, რომელიც მამაცურად იცავდა თავს. [ჩვენებმა] მტრის დიდი რაოდენობა გაანადგურეს. ჩვენი დაჭრილებიდან სამოცამდე გარდაიცვალა. ეს გამოწვევა მტრის წინააღმდეგ ბრძოლით იქნა გაცხადებული, მათ 22 მძიმე არტილერია გაუნადგურეს, ასევე დენთის დიდი კასრები. მტერი მაშინვე პრევეზაში განლაგდა, თითქოს იქ მიდიოდნენ, [იქ] დაცულებმა 25 გალერა და ფუსტა გაგზავნეს [ფამაგუსტაში], დაცვის მიზნით, რათა ჩვენ მიერ მათი ფლოტი არ განადგურებულიყო. ეს რომ შეიტყვეს, უკან მიჰყვნენ და თავს დაესხნენ. ბასად [ფაშად] წოდებული ზღვას**

[856] Finkel, 2006, გვ. 160.

[857] Fernández Collado, Ib., 1993, გვ. 102.

[858] ცნობა 1570 წელს ფამაგუსტაშია დაწერილი და 1571 წელს მოდენაშია ჩასული (თ. ხ).

**სწრაფად გაშორდა და სან მაუროს ნავსადგურში შევიდა. მას ეგონა, იქ დაზღვეული იქნებოდა. თუ იღბალი შენსკენ არაა, აჯობებს, იბრძოლო ან დანებდე. რაც ჩვენებზე არაა ნათქვამი. ისინი ზღვაში იყვნენ, მტერი კი მარტო მიიმალა. მისმა უწმინდესობამ [რომის პაპმა] ეს რომ შეიტყო, დონ ხუან ავსტრიელს აცნობა, მთელი ფლოტი ერთგულებასა და რწმენაში ჰყოლოდა. ამ გზით, ყველაფერი ღვთის ნებით და რწმენით ჩაივლის. ცნობილია, რომ თურქმა, უსასტიკესი უსამართლობით, ჩვენი ფლოტის 25 ოფიცერი სარზე ჩამოაცვა... ამბობენ, რომ ჩვენებისგან შემდგარი ლიგა თუ კვლავ გაგრძელდა, ისინი [თურქები] ყველას ერთობით აუცილებლად დამარცხდებიან და, უმეტესიც, თქვენი უდიდებულესობის აღმატებულ ძალას ვერ გაუძლებენ.**[859] ფელიპე II-მ, როგორც მაღალი დონის სამხედრო სტრატეგმა, ევროპულ კავშირში მონაწილეობა არ მიიღო, ვიდრე რომის პაპის თხოვნით, რეალური საფრთხის გააზრებით და უსაფრთხოების გარანტიების გათვლით, ვითარება შესაბამისად არ გაანალიზა. ,,საღვთო ლიგის“ შექმნა სწორედ ფამაგუსტის ალყას უძღოდა წინ. 23 აგვსიტოს ესპანური ფლოტი მესინაში ჩავიდა. ვენეცია-რომი-ესპანეთის კავშირი მესინიდან კვიპროსისკენ დაიძრა. ახალ ლიგაში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა როგორც შიდა იტალიური დაპირსიპირება, ისე ესპანეთის წამყვანი როლი.[860]

გენუელების და ვენეციელების შუღლის გამო, ანდრეა დორიამ გადაწყვიტა, ფლოტის განლაგება შეეცვალა. მან მონაწილეთა მდებარეობა გადაადგილა, მარჯვენა ფლანგს თვითონ უხელმძღვანელა, დონ ხუან ავსტრიელმა ცენტრი ჩაიბარა, ხოლო ვენეციელმა აგოსტინო ბარბარიგომ - ფლოტის მარცხენა ფრთა, ესპანელმა კაპიტანმა ალვარო დე ბასანმა - რეზერვი.[861] ლიგის არმადა მესინიდან 16

---

[859] BEUM, Inizio Noui avisi venuti de Levante nelli quali si intende la difesa di Famagusta, Modena, 1571, Famagusta 1570, (Anonimo), Leg. 90.M.21(3). როგორც ცნობაში დაცული თხრობის მანერიდან ირკვევა, წერილის უცნობი ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს ფამაგუსტის გარნიზონის სიმამაცე, ამასთან არ გადმოსცემს ქალაქის მოსალოდნელ დაცემას ან დანებებას, თუმცა, ,,წმინდა ლიგის“ მიერ დახმარების აუცილებლობას მიუთითებს.

[860] ,,წმინდა ლიგის“ ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო ესპანეთის მონარქიისთვის სრული უპირატესობის მინიჭება, რაც, რასაკვირველია, ვენეციელებს არ სიამოვნებდა.

[861] Cook, 1976, გვ. 109.

სექტემბერს გაემგზავრა. 5 სექტემბერს ფამაგუსტა ოფიციალურად გამოცხადდა ოსმალების მმართველობაში გადასულად.[862] მოკავშირეებისთვის ფამაგუსტის დაცემა ცნობილი გახდა, როდესაც მათ კუნძულ კორფუს მიაღწიეს. იქვე ახლოს, ლეპანტოსთან, კორინთოს ყურეში ოსმალეთის იმპერიის ფლოტი მიუზენზადე ალი ფაშას ხელმძღვანელობით გაჩერებულიყო.[863] ფამაგუსტის გუბერნატორ მარკანტონიოს სიტყვები: **,,ერთ დღესაც ჩვენი არმადა მოვა“** - ისტორიულ რეალობად ლეპანტოში უნდა ასრულებულიყო.

## 8.3. ლეპანტო - ბრძოლა ევროპისთვის

მედიტერანიზმის ფარგლებში ლეპანტოს ბრძოლა ევროპის და ქრისტიანობის გადასარჩენად გამართულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზღვაო ბრძოლას წარმოადგენდა, რომლის შედეგებმაც ოსმალეთის იმპერიის სტრატეგიული ექსპანსია გარკვეული პერიოდით შეაფერხა. აღნიშნულ დაპირისპირებას დასაწყისშივე ახლდა რელიგიური ფონი, ,,საღვთო ლიგის“ წარმატებამ უდიდესი ლიტერატურულ-ფერწერული აღფრთოვანება გამოიწვია. XVII საუკუნის ესპანელი დიპლომატი დიეგო სააველრა მიიჩნევდა, რომ ლეპანტოს ბრძოლა ღვთის განგებით წარიმართა და წერდა: „გამარჯვებას ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ. მთავრებს მუდამ ხელთ ეპყრათ ჯვარგამოსახული ხმალი და რელიგიის ფარი“.[864] მოცემულ ქვეთავში გამოყენებული წყაროების კლასიფიკაცია შემდეგი სახისაა: პირველ რიგში, საყურადღებოა ესკორიალის ბიბლიოთეკაში დაცული კორესპონდენცია, თვით დონ ხუან ავსტრიელის მიერ კუნძულ კორფუდან გზავნილი წერილები (ესკორიალის ბიბლიოთეკა). პირველმა წერილმა დაგვიანებით, 1571 წლის 5 ნოემბერს ჩააღწია ფელიპე II-თან. შემდეგი გახლავთ რელასიონები ანუ მოხსენებები, რომლებიც ესკორიალის და მადრიდის მთავარ

[862] Serrano, 1914, გვ. 299-309.
[863] Guilmartin, 2002, გვ. 140-141.
[864] Saavedra, 1976, გვ. 276.

ბიბლიოთეკებში ინახება (ლეპანტოს ბრძოლასთან დაკავშირებული მოვლენების აღმნიშვნელი ანბანური სისტემით კლასიფიცირებული დოკუმენტური მასალა, ომის ამსახველი ხელნაწერი ჩანაწერები. რელასიონები წარმოადგენს ჩანაწერების, წერილების, შეტყობინებების კრებულს).

ლეპანტოს ბრძოლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, 2015 წლის 7 ოქტომბერს ესპანეთის ქალაქ მალაგის მუნიციპალურ არქივში მოეწყო ისტორიული წყაროების წარდგენა შესაბამისი თემატური სახელწოდებით „ერთი საუკუნე თორმეტ თვეში“. არქივის მიერ,სხვა მასალებთან ერთად, წარდგენილი იქნა ის სამი წერილი, რომელიც აღნიშნულ ისტორიულ პერიოდში მალაგის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ბარბაროსას მეკობრეობასა და ლეპანტოს დაპირისპირებას გადმოგვცემს; აქვე ასახულია ოსმალეთის მიერ კათოლიკურ კავშირთან დაპირისპირების გეგმები, რამაც გამოძახილი ჰპოვა სულეიმანის მემკვიდრის სელიმ II-ის დროს.[865] ბრძოლას აღწერს ასევე ფელიპე II-ის კარის ისტორიკოსი ლუის კაბრერა დე კორდობა. „ფელიპე II-ის ბიოგრაფიაში“ ვკითხულობთ: **„არასდროს ხილულა მსგავსი სირთულის ბრძოლა. ერთმანეთზე მიწყობილი და არეული ხომალდები, საშინელი სანახავი იყო თურქების ყვირილი, სროლის ხმა, ცეცხლი, კვამლი. სიკვდილის პირას მყოფთა წუხილი. იყო საშინელი დაბნეულობა. სასოწარკვეთა, იმედი, გამარჯვება, ფანტაზია, სიმტკიცე, გამბედაობა, სიშლეგე, ბრაზი. დასანანი სიკვდილი მეგობრებისა, მოწოდება, ზარალი, სინათლე, წვა, მოკვეთილი თავების წყალში გადაყრა, საცოდავი ადამიანის სხეულის ნაწილების, სულმიხდილების, მძიმედ დაჭრილების ხილვა,**

[865]წყაროების წარდგენის დროს საინტერესოა იმ დოკუმენტების შინაარსი, რომლითაც ჯერ კიდევ კარლოს V-ის დროინდელ საზღვაო მოქმედებებზე ვგებულობთ: კარლოს V ძალაუფლებას დროებით გადასცემდა ისაბელ პორტუგალიელს, ვიდრე თვითონ ოსმალეთისგან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების დასაცავად მიემგზავრებოდა. ასევე წარმოდგენილია ბუგიის კაპიტნის წერილები, სადაც იგი, მეკობრეთა თავდასხმების გამო, მალაგის რთულ მდგომარეობას აღწერს და დამატებით 200 ჯარისკაცის მიხმარებას ითხოვს; როგორც ჩანს, კარლოს V ამ აღწერილობის ფონზე გაემგზავრა ხმელთაშუა ზღვის აფრიკის სანაპიროებისკენ, მისი თუნისის კამპანიის ფრაგლებში. http://archivomunicipal.malaga.eu/es/detalle-de-noticia/El-Archivo-Municipal-publica-Un-siglo-en-doce-meses-siglo-XV/#.X4ba39AzbIU

**გასროლით ქრისტიანების განგმირვა. ვინც თავის გადასარჩენად, ნიჩბების მოსმით, პატარა გალერებით ან ცურვით სხვა ნაპირამდე აღწევდა, შველას ითხოვდნენ. გამარჯვებისგან გაცოფებულები კი უმოწყალოდ ხელებს კვეთდნენ მათ. თუ ვინმემ მცირედად გაუმაძღრობის ძალას სძლია, რამდენიმე თურქი იხსნა“.**[866]

მკვლევართა ნაწილი ლეპანტოს ბრძოლის დაწყების მიზეზად მხოლოდ რელიგიურ დაპირსიპირებას ასახელებს, ნაწილიც კი სავაჭრო ეკონომიკური მიზნებისკენ სწრაფვას. ჩვენი კვლევის კვალდაკვალ, გვსურს განვმარტოთ, რომ მისი ცალკე შესწავლა წინამავალი ისტორიული ფაქტების გარეშე წარმოუდგენელია. ლეპანტოს ბრძოლა 1570-1573 ვენეცია-ოსმალეთის ომის შემადგენელ დაპირისპირებას წარმოადგენდა. იგი ასევე იყო XVI საუკუნის ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოგადი სამხედრო ანტაგონიზმის ერთ-ერთი გამოვლინება. ოსმალეთის იმპერია მტკიცედ ისწრაფოდა ლივორნოს, გენუის, მარსელის ნავსადგურების დაკავებისკენ. მას სტრატეგიულ მეტოქეებად მხოლოდ ჰაბსბურგთა ესპანეთი და ვენეციის რესპუბლიკა ევლინებოდნენ. სწორედ ვენეციელებთან წარმოებული ომები იყო ჰაბსბურგებისთვის მოკავშირის ჩამოცილების და, ამ გზით, მათი დასუსტების მცდელობა.[867] კარლოს V-ის დროს გაძლიერებული ესპანეთი, ცხადია, ქრისტიანთა დაცვის სახელით, საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს კარგად ნიღბავდა. აღნიშნულ გეგმებს ევროპის მემკვიდრეობით მიღებული მიწების შენარჩუნება და ატლანტის საოკეანო გზებზე გაბატონება შეადგენდა.

ოსმალების საზღვაო-სამხედრო არსენალი განსაკუთრებით დაიხვეწა და შეივსო სულტან ბაიაზიდ II-ის დროს, ქემალ რიზას მეთვალყურეობით. ოსმალეთის საზღვაო შეიარაღების გაუმჯობესება 1499-1502 წლების ოსმალეთ-ვენეციის ომით კიდევ ერთხელ დადასტურდა.[868] იბერიის ნახევარკუნძულზე 1492 წელს

---

866 Cabrera, 1619, გვ. 117.

867 ლეპანტოს ბრძოლა ვენეციელებთან გამართული მეოთხე ომის დასკვნითი ნაწილი იყო. (თ. ხ.).

868 მეორე დიდ მიზანს ჰაბსბურგთა საიმპერატორო კარის დასუსტება წარმოადგენდა (Finkel, 2006, გვ. 40-41, 60-62).

უკანასკნელი მუსლიმური ცენტრის გრანადის დაბრუნებით და 1512 წელს ნავარის სამეფოს შეერთებით, კარლოს V-მ ქრისტიანულ სამყაროში დე-ფაქტო ესპანური ჰეგემონიის განვრცობა დაიწყო. მის ინტერსებში იყო სწორედ ანდალუსიის და ბალეარის კუნძულების დაცვა. თურქული საფრთხე ხმელთაშუაზღვისპირეთში გაიზარდა ოსმალეთის იმპერიის მიერ 1569 წელს თუნისისა და 1571 წელს კვიპროსის დაკავებით.[869] კუნძულის დაპყრობით სულტან სელიმ II-მ დაარღვია ვენეცილებთან მესამე ომის დასრულებისას დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება. ესპანეთის მეფე ფელიპე II-ს კვლავ წილად ხვდა „თურქული ექსპანსიის“ შეჩერება.

### 8.3.1. ბრძოლის მონაწილეების სამხედრო შემადგენლობა და სტრატეგია

ლეპანტოს ბრძოლის შედეგებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, არის მოსაზრება, რომ ეს იყო „უშედეგო ბრძოლა“, რომლის ზარალიც ოსმალეთის იმპერიამ სწრაფადვე აინაზღაურა.[870] ვენეციის რესპუბლიკამ ხსნისთვის რომის პაპს პიუს V-ს (1566-1572) მიმართა. პაპსაც, ბუნებრივია, შესანიშნავად მოეხსენებოდა, რომ საჭირო იყო მესამე ძალის ჩართვა; ამიტომ მან „ევროპის მეფეს“ ფელიპე II-ს სთხოვა, მათთვის დახმარება გაეწია. მოსაზრება, რომ რომის პაპი ერთადერთი ფიგურა იყო, რომელმაც ოსმალეთის მხრიდან მომავალი საფრთხე ნათლად დაინახა, არასწორად მიგვაჩნია. პაპმა თავად ისურვა, სათავეში ჩასდგომოდა ფლოტს, თუმცა მოგვიანებით, არჩევანი შეჩერდა მეფე ფელიპეს ნახევარძმაზე, დონ ხუან ავსტრიელზე. მის სამხედრო ხელქვეითად დაინიშნა ალვარო დე ბასანი. ფუნქციები განაწილდა ლუის დე რეკესენსსა და ხუან დორიას, კარლოს V-ის კაპიტნის და გენუელი კონდოტიერის ანდრეა დორიას ვაჟს, შორის. ვენეციელებს

---

[869]ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ოსმალეთის სულტანმა უნგრეთში ავსტრიელ ჰაბსბურგებთან გაჭიანურებული ომის გამო ყურადღება კუნძულ კვიპროსზე გადაიტანა (Finkel, 2006, გვ. 160).

[870] 100 битв, которые изменили мир. Лепанто – 1571, 2012, გვ. 28.

ხელმძღვანელობდა სებასტიანო ვენიერო, ხოლო წმინდა საყდრიდან წარგზავნილებს - მარკო ანტონიო კოლონა.

თურქების ფლოტს სათავეში ედგა ოსმალეთის იმპერიის ადმირალი და ალჟირის გამგებელი ალი ფაშა. ოფიციალური მონაცემებით, ოსმალთა განმგებლობაში შედიოდა 221 ხომალდი, 38 მსუბუქი კატარღა, 18 ნავი და სხვა დანამატი მცირე ზომის საზღვაო ხომალდების სახით. ოსმალების მხარესვე იდგა ულუჩ ალი (კალაბრიელი ჯოვანი დიონიჯი გალენი). იგი სულტნის ფლოტის მარცხენა ფრთას ხელმძღვანელობდა და ერთადერთი კაპიტანი იყო, რომლის ესკადრაც ბრძოლას გადაურჩა.[871]

ესპანეთის მთავარ გალერას, ,,არგოს", რეალურად და სიმბოლურად უპისრისპირდებოდა თურქების ცენტრალური გალერა ,,სულტანი", რომელზეც 200 იენიჩარი იმყოფებოდა.[872] ქრისტიანთა ფლოტი შედგებოდა 200-ზე მეტი სამხედრო ხომალდისგან, 6 კატარღის, ერთი გალეონისა და 7 ნავისგან, 48 ათასი მებრძოლისგან (აქედან მხოლოდ 16 ათასი წარმოადგენდა მებრძოლ ზღვაოსანს)[873]. ,,საღვთო ლიგის" წევრები 1 სექტემბერს მესინაში შეიკრიბნენ. ამავე დღეს ოტრანტოდან მესინაში ალი ფაშამ ერთი გალერა გააგზავნა ყარა ხოჯას ხელმძღვანელობით, რომელიც ნავსადგურთან ახლოს უნდა გაჩერებულიყო და ინფორმაცია მიეღო კავშირის ფლოტის მოქმედებებზე. მესინასთან ლიგის წევრებს მეორე დღეს 11 გალერით ანდრეა დორიაც შეუერთდა, სამი დღის შემდეგ კი - ალვარო ბასანი. საღვთო ლიგის წევრთა შეკრება, როგორც აღინიშნა, ოფიციალურად ოსმალეთის მიერ კუნძულ კვიპროსის დაკავებას უკავშირდებოდა.[874] 14 სექტემბერს მესინაში კუნძულ კორფუდან გაიგზავნა

---

[871] 100 битв, которые изменили мир. Лепанто – 1571, 2012, გვ. 5.

[872] Ib., გვ. 7, 9.

[873]სულტან სელიმ II-ზე ეფექტის მოსახდენად, ვენეციელების ფლოტის ნაწილი ჩამოდგა ზარაში, ჯიროლამო ზანაეს სარდლობით. 5 ოქტომბერს ფლოტი დაბრუნდა სიცილიაში, რადგან მათ არ შეუერთდა ანდრეა დორია. ვენეციელებმა უკან დაბრუნებისას 14 კატარღა დაკარგეს, რაშიც მათ ესპანელები დაადანაშაულეს (Finkel, 2006, გვ. 217).

[874] 100 битв, которые изменили мир. Лепанто – 1571, 2012, გვ. 10.

წერილი, რომელიც დონ ხუანს ატყობინებდა, რომ ოსმალები სამხრეთის მიმართულებით გადაადგილდებოდნენ.

16 სექტემბერს ლიგის ფლოტი კუნძულ კორფუსკენ დაიძრა. 26 სექტემბერს ქრისტიანთა გალერებმა კუნძულს მიაღწიეს, ხოლო 29 სექტემბერს დონ ხუან ავსტრიელს აცნობეს, თურქები საბერძნეთთან, ლეპანტოს, კორინთოს ყურეს, უახლოვდებოდნენ, მაგრამ მათი 60 გალერა სამხრეთისკენ იხევდა. ბოლო ინფორმაციამ შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ოსმალეთის შემადგენლობაში შემავალმა მაღრიბელთა ნაწილმა კამპანია დასრულებულად მიიჩნია და უკან ბრუნდებოდა.[875] ,,საღვთო ლიგის“ ფლოტის ადმირალმა გადაწყვიტა, ლეპანტოს ყურეში დემონსტრაციული გასვლა მოეწყო და ოსმალების გამოწვევა გაეთვალისწინებინა. თუ ისინი ბრძოლას არ აპირებდნენ, მაშინ იგი კუნძულ პეტალას დაიკავებდა. ქრისტიანთა ფლოტის ნაწილი გომერიასთან, ალბანეთის სანაპიროსთან, განლაგდა; 4 ოქტომბერს კი - კეფალონიის და იტაკის კუნძულებს შორის მდებარე სრუტეში, პატრას ყურის პირდაპირ. აფრიკიდან მომავალმა ბერძნული ხომალდის კაპიტანმა ლიგის მესვეურებს ასევე დაუდასტურა, რომ აფრიკული ხომალდები უკან იხევდნენ, ოსმალები კი არასრული შემადგენლობით ბრძოლაში არ ჩაერთვოდნენ.

1571 წლის 7 ოქტომბერს ქრისტიანთა ფლოტი კუნძულ პეტალას მიუახლოვდა და ლეპანტოს ყურისკენ გაემართა, განლაგდა კუნძულ ოხიასა და სკროფას კონცხს შორის. დილის შვიდ საათზე, როდესაც ლიგის არმადა ნაპირთან ახლოს მივიდა, ლეპანტოს ყურე თვალთახედვაზე გადაიშალა და გამოჩნდა ალი ფაშას სარდლობით განლაგებული თურქული ფლოტი. მასთან მიღწეული ინფრომაციის მიხედვით, ოსმალეთის ადმირალმა გადაწყვიტა, რომ ქრისტიანების კოალიციის საზღვაო წარმომადგენლობა საკმაოდ სუსტი იყო და ისინი ბრძოლის ბედს ადვილად გადაწყვეტდნენ, რა მიზეზითაც, პირდაპირ საბრძოლო მოქმედებებს

---

[875] González, 2010, გვ. 120.

თავი აღარ აარიდა.[876] ბრძოლა ლეპანტოს ყურეში 7 ოქტომბრის დილის შვიდ საათზე დაიწყო.[877] ,,საღვთო ლიგის" ფლოტი შემდეგი ორგანიზებით წარსდგა: მზვერავთა კორპუსი ხუან კარლონას მეთაურობით (3 ესპანური და 4 ვენეციური კატარღა), პირველი ესკადრა მარჯვნივ - ხუან ანდრეა დორიას ხელმძღვანელობით (51 გალერა), მეორე ესკადრა და ბრძოლის ძირითადი კორპუსი - დონ ხუან ავსტრიელით (64 გალერა), მესამე ესკადრა მარჯვნივ - აგუსტინ ბარბარიგოს მეთაურობით და 55 გალერით, ხოლო სარეზერვო ესკადრა მარჯვნივ - დონ ალვარო დე ბასანით (30 გალერით); მოცემულ მაჩვენებლებს ემატებოდა ნავების ესაკდრა დონ კარლოს ავალოსის ხელმძღვანელობით (6 ვენეციური ესკადრით). დარჩენილი 76 მსუბუქი ნავი კი სხვადასხვა ესკადრებთან განაწილდა.[878] ბრძანების მიხედვით, მოკავშირეებს სწორხაზოვანი განლაგება უნდა შეენარჩუნებინათ და ცენტრიდან შეეტიათ. მანძილი ორ ხომალდს შორის უცვლელად უნდა დაცულიყო, რათა მოწინააღმდეგეს შუაში გავლის საშუალება არ მისცემოდა. ხუან ავსტრიელის შემდეგ, მეორე ადმირალს წარმოადგენდა პაპის წარგზავნილი მარკო ანტონიო კოლონა. სამეფო ფრთის კაპიტანი იყო კასტილიის დიდი კომენდანტი გრაფი ლუის რეკესენსი.[879] მათ მიერ ქრისტიანებისთვის შემდეგი ძირითადი ბრძანებები იქნა გაცემული: 1) თითოეულ კომენდანტს თავისუფალი მოქმედების სივრცე უნდა მიეცა გვერდით მდგომი ხომალდისთვის. 2) ამოერჩიათ სამიზნე. 3) მოწინააღმდეგის გემბანზე გადასვლა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იყო ნებადართული. 4) ბრძოლაში წინ უნდა წაწეულიყვნენ ცენტრიდან. აგრეთვე გაიცა

---

[876] González, 2010, გვ. 124.

[877]ალი ფაშას შვილების ტყვედ აყვანის შემდეგ გაირკვა, რომ ოსმალების საბრძოლო შემადგენლობა მეტიც კი იყო - 230 ხომალდი და 70 კატარღა (Finkel, 2006, გვ. 217).

[878] Finkel, 2006, გვ. 217.

[879] ხომალდ „გრაფინიაზე" განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა 24 წლის მიგელ დე სერვანტეს საავედრა. სამშობლოში დაბრუნებამდე, გამოსაჯანმრთელებლად, მან 1575 წლამდე დაჰყო ნეაპოლში. იტალიაში ყოფნა და სამშობლოში დაბრუნების ეპიზოდები გადმოგვცა „სამაგალითო ნოველებში". მოგვიანებით, სერვანტესი აფრიკის სანაპიროებთან ტყვედ იგდეს მაღრიბელმა მეკობრეებმა და ალჟირში ჩაიყვანეს, ალჟირის ციხიდან გაქცევა მან 1581 წელს მოახერხა და დაბრუნდა ესპანეთში (Finkel, 2006, გვ. 273). სერვანტესის სიტყვებით, ლეპანტოს ბრძოლა იყო „უდიდესი შემთხვევა, რაც ჯერ არ უნახავთ გარდასულ დროში, მსგავსს ვერც აწმყო და მომავალი საუკუნეები იხილავენ" (Cervantes, 2004, გვ. 402).

დისციპლინის და სავარაუდო უკანდახევის წესების ბრძანება. დონ ხუან ავსტრიელს მეფე ფელიპემ უბრძანა, ყველასთვის, ვინც დანაშაულში იქნებოდა მხილებული, ან ვინც ნიჩბებს თავის საშველად მოუსვამდა, ორივე მკლავი მოეკვეთათ.[880] მთავარმა ადმირალმა ბრძოლის წინ ასე მიმართა მეომრებს: **„შვილებო, აქ მოვედით სიკვდილისთვის და, თუ ზეცა ისურვებს, გამარჯვებისთვის! არ მისცეთ მტერს უფლება, დაცინვით იკითხოს: სადაა თქვენი ღმერთი? იბრძოლეთ მისი წმინდა სახელისთვის, რადგან მკვდრები თუ გამარჯვებულები, მაინც უკვდავებას ეზიარებით. რაინდებო, ბრძოლის დროა!"**[881]

ოსმალეთის ფლოტის მარჯვენა რკალს 55 გალერით მეჰმედ სიროკო მიუძღოდა. ცენტრს ხელმძღვანელობდა ადმირალი ალი ფაშა. მის განკარგულებაში 91 გალერა და 5 გალეოტა იყო. მარცხენა ფრთას სათავეში ედგა ულუჩ ალი (67 გალერით და 27 გალეოტით). სარეზერვო ესკადრას წარმოადგენდა 8 გალერა და 5 გალეოტა. თურქების ფლოტის განლაგება იყო ნახევარმთვარის ფორმისა და მათი ხომალდების მსვლელობა ქარის მოძრაობაზე იყო დამოკიდებული. ოსმალების მთავარ ტაქტიკას შეტევის გარეშე, წინსვლით, ქრისტიანთა ცენტრის გარღვევა წარმოადგენდა, შემდეგ კი, ფრთებიდან ორმხრივად გარს შემორტყმა.[882] დასაწყისში, სამხრეთის ქარმა სწორედ თურქების სასარგებლოდ დაჰბერა. მხარეებს შორის მანძილი 15 საზღვაო მილი იყო. ბრძოლის დაწყების ნიშნად, ქრისტიანთა სამეფო ფრთამ პირველმა გაისროლა ქვემეხი. ქარი კოალიციის ფლოტს მართლაც რომ არ სწყალობდა. თურქების ხომალდები სწრაფად გადაადგილდებოდნენ. 12 საათისთვის მდგომარეობა შეიცვალა, დაუბერა აღმოსავლეთის ქარმა. ბრძოლის დასაწყისში ანდრეა დორიას ესკადრის მანევრები გახდა გადამწყვეტი. მან მოახერხა და მარჯვენა ფრთიდან თურქების წრე ცენტრისკენ გაარღვია. თუმცა, მისი რამდენიმე ხომალდი სწრაფად გამოვიდა წყობიდან. მარცხენა ფრთაზე ვენეციელები უპირისპირდებოდნენ სიროკოს

---

[880] González, 2010, გვ. 130.

[881] Cabrera de Cordoba, 1619, გვ. 121.

[882] González, 2010, გვ. 131.

იენიჩრებს. ბრძოლის შუაწელზე მნიშვნელოვანი იყო ხუან ავსტრიელის, კოლონას და ბასანის შეტევების ერთობლიობა. ქრისტიანთა შემადგენლობაში საერთო ჯამში 300 ქვემეხი მოქმედებდა. თურქები კი ძირითადად მშვილდ-ისარს იყენებდნენ. მუშკეტის გასროლამ სიცოცხლეს გამოასალმა ალი ფაშა. მისი სხეული ერთ-ერთ ქრისტიან ტყვესთან დაეცა, რომელიც ნიჩბების მოსასმელად იყო მიჯაჭვული, სწორედ მან მოჰკვეთა თავი თურქების ადმირალს, რომელიც ხუან ავსტრიელს მიართვეს: „რაში მჭირდება მე ეს“? იკითხა მეფის ძმამ და ალი ფაშას თავი ცხედრებით სავსე ზღვაში მოისროლა.[883]

ბრძოლა დასრულდა საღამოს 5 საათზე. ლეპანტოს ბრძოლაში დაჭრილებს შორის იყო 24 წლის მიგელ დე სერვანტეს საავედრაც. სწორედ ლეპანტოს შემდეგ შეარქვეს ათასწლეულების მწერალს „ლეპანტოს ხეიბარი“.[884] სერვანტესის მამაცური მოქმედებები მის შემოქმედებაზეც ტოვებდა კვალს, დონ ხუან ავსტრიელმა ბრძანა, მისი თავდადებისთვის, სერვანტესის ანაზღაურება ოთხჯერ გაეზარდათ.[885]

,,წმინდა ლიგის“ გამარჯვება გლობალური მნიშვნელობის მოვლენა იყო. გამარჯვებულები პეტალის ნავსადგურში შეჩერდნენ. ლეპანტოს დაპირისპირება განსაკუთრებული მახასიათებლებით გამოირჩეოდა: ეს იყო დისტანციური ბრძოლა (ერიდებოდნენ ხომალდებით ახლოს მისვლას); ნაკლებად იქნა გამოყენებული მოკლე მანძილის არტილერია, ოსმალები ქვემეხების წინააღმდეგ ძირითადად მშვილდ-ისარს იყენებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ერთი ქვემეხის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანამდე, ისინი 6 ისარს გაისროდნენ.[886]

---

[883] González, Ib., გვ. 133.

[884]https://www.abc.es/historia/abci-inverosimiles-fugas-cervantes-feroz-soldado-tercios-espanoles-201806052102_noticia.html, 2015, 28 de enero.

[885] McCrory, 2006, გვ. 58.

[886]ადამიანური და ტექნიკური რესურსების გათვალისწინებით, ომს შემდეგი შედეგე დაიღუპა 7650 ქრისტიანი და დაიჭრა 7784. დაჭრილთა და დაღუპულთა ერთობლივი დანაკარგი ოსმალთა მხრიდან იყო 30 ათასი ადამიანი. ორივე მხარემ დაკარგა 15 გალერა. ქრისტიანებმა ხელთ იგდეს თურქების 190 ხომალდი, 8000 ტყვე და გაათავისუფლეს 12 000 ქრისტიანი დატყვევებული პირი (Finkel, 2006, გვ. 217).

## 8.3.2. „საღვთო ლიგის“ გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა

ლეპანტოს ბრძოლაში ოსმალეთის იმპერიის მარცხი, განსხვავებული შეფასებების მიუხედავად, ჩრდილად გაჰყვა მედიტერანიზმის ეპოქის ოსმალურ საგარეო პოლიტიკას. 1574 წელს თუნისის დაკავების შემდეგ სელიმ II-მ ვენეციის ელჩს, ბრძოლის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, საუკეთესო შეფასება მოახსენა: „ლეპანტოში თქვენ წვერი მოგვაჭერით, ჩვენ კი - ხელი თუნისში. წვერი იზრდება, ხელი - არა!“[887] გამარჯვების შემდეგ დონ ხუან ავსტრიელმა „საღვთო ლიგის“ 1571 წლის კამპანიის დასრულება გამოაცხადა. მომდევნო წელს გარდაიცვალა ანტიოსმალური კოალიციის მოთავე პაპი პიუს V და სწრაფად შეირყა ლიგის სიმტკიცეც. ვენეციელები უკვე ადგნენ დამოუკიდებლად მოქმედების გზას, რაც კოალიციის შეთანხმებას ეწინააღმდეგებოდა.[888]

ლეპანტოს შემდეგ ესპანეთი მოკავშირეების გარეშე დარჩა. დონ ხუან ავსტრიელმა, 1573 წელს დამოუკიდებელი ძლიერების დემონსტრირებისთვის, მხოლოდ მონარქიის ძალებით შეუტია თუნისს, რომელიც ოსმალებმა 1574 წელს კვლავ წაართვეს ესპანელებს. გასაკვირი არაა, რომ ლეპანტოს ბრძოლის მნიშვნელობა ბევრ ისტორიულ დოკუმენტში არის ასახული. სერვანტესი, როგორც ბრძოლის უშუალო მოწმე, „სამაგალითო ნოველების“ პროლოგში აღნიშნავს, ეს იყო „ყველაზე დაუვიწყარი და უდიდესი შემთხვევა, რაც კი უნახავთ საუკუნეებს“. მოგვიანებით, „დონ კიხოტე“-ს მეორე ნაწილის პროლოგში კვლავ განავრცობს: „ყველაზე დიდი შემთხვევა, რაც კი საუკუნეებს უნახავთ“.[889] ბერი ხუან დე სან ხერონიმო აღწერს: „ყველაზე სადღესასწაულო და სამახსოვრო ბრძოლა, რაც

---

[887] Петросян, 2012, გვ. 76.

[888] მათ საფრანგეთის მეფის შარლ II-ის შუამავლობით, 1573 წლის 15 მარტს უკვე დადეს თურქებთან სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლითაც კვიპროსი ოფიციალურად გადავიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ვენეციელებს თურქებისთვის 300 000 დუკატი უნდა გადაეხადათ (Finkel, 2006, გვ. 161).

[889] Cervantes, 2004, გვ. 402.

საზღვაო ბრძოლებს შორის აქამდე სმენილა“.[890] თითქმის იგივეს იმეორებს ესკორიალის მთავარი ხუროთმოძღვარი ზერი ანტონიო ვილიაკასტინი.[891] რელასიონებში კი შემდეგი სტრიქონებია დაცული: **„ადგილი ჰქონდა უდიდეს საზღვაო ბრძოლას, რაც წლებია არ ყოფილა“; „ღვთის წყალობით, დასრულდა მსოფლიოში უდიდესი ბრძოლა“; „ეს იყო აქამდე არარსებული უდიდესი საზღვაო ბრძოლა“; „უდიდესი საზღვაო ბრძოლა, მრავალი წლის მანძილზე არარსებული და, ჯერ კიდევ შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი რამ არც სმენილა და არც ნახულა“.**[892] იგივე წყაროები აფასებენ არა მხოლოდ ბრძოლის ხასიათს, არამედ მის მნიშვნელობასაც. სერვანტესი გულადი ლეონელი კაპიტნის რუი პერეს დე ვიედმას სახით „დონ კიხოტე“-ს პირველ ნაწილში შენიშნავს: **„მსოფლიო და ყველა ერი გაერკვა, რომ იმყოფებოდნენ ტყუილში, თითქოს, თურქებს ზღვაზე ვერავინ დაამარცხებდა“.**[893] „ფელიპე II-ის ბიოგრაფია“-ში კაბრერა დე კორდობა წერს: **„ქრისტიანების მიერ არნახულმა საზღვაო გამარჯვებამ დაამხო თურქების დაუძლეველად მიჩნეული ძლიერება“.**[894] ავტორი, სავარაუდოდ, სარგებლობს პაპის წარგზავნილის ადმირალ მარკო ანტონიო კოლონას წერილით: **„თურქები ისეთივე ადამიანები ყოფილან, როგორც ყველა დანარჩენი“.**[895] ზემოაღნიშნული რელასიონები თითქმის ერთსა და იმავე ტექსტს იმეორებენ და გამარჯვების მნიშვნელობაზე შემდეგს წერენ: **„ეს მტერი მიჩვეული იყო ჩვენ ხომალდებზე გამარჯვებებს და ჩვენ ძალებსა და სიმამაცეს არ აფასებდა“.**[896]

---

[890] Memorias, 1845, გვ. 81.
[891] Memorias, 1845, გვ. 15.
[892] Relación de El Escorial, გვ. 239-256.
[893] Cervantes, I ნაწილი, გვ. 39.
[894] Cabrera de Cordoba, 1619, გვ. 123.
[895] Carreo, 1963, გვ. 255.
[896]1671 წელს 7 ივნისს დაიწვა ესკორიალის მონასტრის უდიდესი ნაწილი. ცეცხლი გაჩნდა მონასტერში მდებარე კოლეჯის ბუხარში და გავრცელდა შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. დაიწვა ბიბლიოთეკაც და იქ დაცული თითქმის 4000 ხელნაწერი. შენობა 22 ივნისამდე იწვოდა განუწყვეტელი ხანძრით და განადგურდა ლეპანტოს ბრძოლის ამსახველი მრავალი ძეგლი თუ ხელნაწერი, მათ შორის, თურქების ხომალდიდან აღებული ძვირფასი ნივთები. როგორც ისტორიკოსები აღწერენ, ესკორიალი ძველ, მიტოვებულ ადგილს წარმოადგენდა (De Andres, 1970, გვ. 15).

ბრძოლის წინაპირობების, კოალიციის წევრთა თავისებურების, ბრძოლის მიმდიანრეობის და შედეგების გათვალისწინებით (ისტორიული შედეგებისაც), ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, რომ: ,,საღვთო ლიგის“ ლეპანტოს ბრძოლაში გამარჯვებამ მოსპო ოსმალების დაუმარცხებლობის შიში და გამოაცოცხლა ევროპის ხალხების მორალური რწმენა. ლიგიდან ვენეციის თითქმის მყისიერმა გასვლამ ცხადჰყო, რომ ევროპა არ იყო ერთიანი. მოსაზრება, თითქოს ლეპანტოს ბრძოლა სამი იმპერიის დაპირისპირებას გამოხატავდა (ოსმალეთის იმპერია უპირისპირდებოდა ჰაბსბურგთა ესპანეთს და ვენეცია-წმინდა საყდრის კავშირს) გადაჭარბებულად მიგვაჩნია. ასევე არასწორი იქნებოდა, იმ აზრის გაზიარება, რომ ბრძოლის შედეგებით ოსმალეთის საზღვაო შეიარაღების სისუსტე გამოვლინდა.

თურქების მარცხი განპირობებული იყო მათ მიერ კოალიციის ძალების არაჯეროვანი შეფასებით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით დონ ხუან ავსტრიელის მოტივაციას; მაგალითად, საკუთრივ მისი სამეფო ხომალდის „არგოს“ გრანდიოზულობა, რომელიც მითოლოგიური ძლიერების შეგრძნებას იწვევდა, რაც მებრძოლთა სულისკვეთებაზეც აისახებოდა.[897] იყო თუ არა ეს რელიგიებს შორის დაპირისპირება - ნაწილობრივ, დიახ. თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ, წინა საუკუნეების ომების და ბრძოლების მსგავსად, ლეპანტოს დაპირისპირებასაც სტრატეგიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები უფრო მეტად განსაზღვრავდნენ.

წმინდა საყდრის მმართველისგან წამოსულ ინიციატივას ესპანეთის მონარქი უშუალო მიზეზების გარეშე შეიძლება, არც დათანხმებოდა. თუმცა, რელიგიური კუთხით, მუსლიმური საფრთხე აშკარად არსებობდა, მაგრამ არ შეიძლება, რომ ეს ბრძოლაში ჩართვის ერთადერთ მიზეზად დავასახელოთ.

---

[897]დონ ხუან ავსტრიელის სამეფო ხომალდის 60 მეტრი სიგრძის და 6 მეტრი სიგანის კონსტრუქცია 1568 წელს ბარსელონაში ააწყვეს, დეკორირებისთვის კი სევილიაში გადაიტანეს. ერთადერთი წყარო, რომელიც ,,არგოს“ აღწერას გვთავაზობს, ესაა იკონოგრაფ მალა ლარას მიერ „სამეფო ხომალდის აღწერა“: „შემკულია ქანდაკებებით და ფერწერული ნახატებით... ხომალდი უნდა ყოფილიყო მეხსიერების წიგნი და დონ ხუანის ყველა მიღწევა აღეწერა“ (Mal Lara, 2006, გვ. 182).

## დასკვნა

XVI საუკუნეში ესპანეთის უნივერსალური მონარქიის და ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობის უმთავრესი კონტრასტების ,,მედიტერანზიმის" ფარგლებში თავმოყრამ საშუალება მოგვცა, ხმელთაშუაზღვისპირეთის გლობალური მოვლენები ერთ კომბინაციაში მოგვექცია და მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდიზაციის სამეცნიერო-ანალიტიკურ და კომპლექსურ შესწავლად წარმოგვეჩინა. აღნიშნული ქრონოლოგიური პერიოდი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ესპანეთის მონარქიის საუკუნოვან ,,ჯვაროსნულ შეტევას" წარმოადგენდა. ყოველი დაპირისპირება, რომელსაც ხმელთაშუა ზღვაზე ესპანეთის უნივერსალურ მონარქიასა და ოსმალეთის იმპერიას შორის ჰქონდა ადგილი, განიხილებოდა, როგორც ,,ცივილიზაციების უკანასკნელი შერკინება". ამგვარი იდეურ-მეტაფორული ფონი ფუნდამენტად გაჰყვებოდა XVI საუკუნის იმპერიულ ურთიერთობებს.

მედიტერანიზმის ერთ-ერთ მახასიათებლ შტრიხად უნდა გამოიკვეთოს დასავლური ისტორიოგრაფიის ჰარმონია აღმოსავლეთ ევროპის კვლევების თავისებურებასთან. თუ დასავლური მეთოდი გვთავაზობს ფორმულირებას: ,,პიროვნება, სახელმწიფო, მოვლენა, სივრცე, თარიღი, შეფასება", აღმოსავლური კუთხით ძირითადად ვხვდებით საკითხის ამგვარ ჩამოყალიბებას: ,,პიროვნება-თარიღი-შედეგი". ორივე მეთოდის თანხვედრით, საუკეთესო სამეცნიერო საძირკველი ექმნება ,,ოქროს საუკუნის" დეტალურ განხილვას და მსოფლიო ისტორიის განვითარებაზე მისი ზემოქმედების კვლევას.

მედიტერანიზმის ისტორიის შესწავლის ფარგლებში არა ერთი, არამედ რამდენიმე საკვანძო მომენტი, ათვლის წერტილი გამოიკვეთა. 1453 წლის 29 მაისს ოსმალების შეტევის შემდეგ კონსტანტინოპოლის დაცემით ევროპა თითქოს დადგა რეალური საფრთხის გააზრების წინაშე. თუმცა, ანტიოსმალური კავშირის შექმნა მაინც ვერ მოხერხდა. ბიზანტიის დედაქალაქის ოსმალების ხელში გადასვლით,

ევროპის სახელმწიფოები ფსიქოლოგიურმა ტერორმა მოიცვა. „ორი ზღვის დამპყრობელი“ მეჰმედ II ქრისტიანობას ანტიქრისტედ წარუდგა. ბოსფორზე დამკვიდრებულმა სრულმა სუვერენიტეტმა ოსმალეთის იმპერიას საშუალება მისცა, მედიტერანზიმის უძლიერეს საზღვაო იმპერიად წარმოჩენილიყო. 1480 წელს ოტრანტოს დაკავებამ და ოსმალების ხმელთაშუა ზღვის სცენაზე უშუალო გამოსვლამ ევროპული სახელმწიფოები დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებაზე დააფიქრა. 1529 წლამდე ევროპის მონარქები და სასულიერო წინამძღოლობა თითქოს კვლავ შუა საუკუნეების ლავირების პოლიტიკას მიჰყვებოდა. 1529 წელს სულეიმან I-ის მიერ ვენაზე ალყის ორგანიზებამ კიდევ ერთი მთავარი ქრონოლოგიური მიმართულება გამოკვეთა. სწორედ აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, ჰაბსბურგების ესპანური შტო ევროპის ,,ოსმალეთისგან დამცველის მანტიას“ ირგებდა.

ესპანეთის სამეფო კარი მთავარ იდეოლოგიურ მიმართულებად ,,კათოლიკობის ბურჯის“ როლს წარმოაჩენდა; თუმცა, რომის წმინდა საყდრის დიპლომატიის განხილვით, ცხადი ხდება, რომ ,,მონარქიის უნივერსალურობის“ რელიგიური ფონი კარლოს V-ს სწორედ პაპების მიერ ,,ბოძებულ ტიტულად“, ,,ქრისტიანობის დარაჯად“, უნდა წარმოეჩინა. ესპანეთის მონარქიას რომის პაპების მხარდაჭერა გეოგრაფიული აღმოჩენებით გაფართოებული ტერიტორიული საზღვრების მართვის გარკვეულ გარანტს აძლევდა. ესპანეთის მეფეების, ისაბელ კასტილიელის და ფერნანდო არაგონელის, მიერ წილად რგებული ,,კათოლიკური მემკვიდრეობა“ ჰაბსბურგთა დინასტიის წარმომადგენლებს ვალიადოლიდისა და მადრიდის ტახტებზე დაბრკოლებებს უქმნიდა, რათა პაპებისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინათ.

მედიტერანიზმის გლობალურმა ნიშანმა - ,,ფასების რევოლუციამ“ ნათელჰყო განსხვავებული ქრისტიანული მრწამსის, ადმინისტრაციული თუ სამხედრო წყობის იმპერიების ურთიერთდამოკიდებულება. სამხედრო-პოლიტიკური ანტაგონიზმი ეკონომიკურ პლატფორმასთან იყო გადაჯაჭვული. ,,ფასების

მეტოქეობაში“ ორივე სახელმწიფო ავტორიტარული მმართველობის იერს ირგებდა, მაგრამ, რამდენად წარმოადგენდნენ „ტირანულ იმპერიებს“ ჯერ კიდევ განსჯის საგანია, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთგვარად გადაჭარბებული შეფასებაც. ძალაუფლების კონცტენტრირებით ესპანეთის მონარქიის მხრიდან მუსლიმური ტალღის განვრცობის შეკავება გახდა შესაძლებელი; ხოლო ოსმალეთის იმპერიის მაგალითზე, პროფრანგული და პროპროტესტანტული პოლიტიკის წყალობით, მედიტერანიზმის სცენაზე - საფრანგეთის აბსოლუტიზმის ჩანაცვლება.

ესპანეთის მონარქიის ამგვარი მწვავე ბრძოლა ოსმალეთის იმპერიასთან, განპირობებული იყო ოსმალეთის სულტნების ,,მსოფლიოს მბრძანებლის“ პრეტენზიით, რომლის არსი მისტიციზმშიც კი გადადიოდა. პოლიტიკური იდეოლოგია ოსმალეთის იმპერიას საშუალებას აძლევდა, ,,წმინდა ომის“ გამოცხადებაც კათოლიკურ მონარქიასთან დასაპირისპირებელ იარაღად გამოეყენებინა. უნივერსალური სამეფოსგან განსხვავებით, ოსმალები ესპანეთის საშინაო საქმეებში ჩარევას ცდილობდნენ; ახერხებდნენ, მისი შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები, დევნილი მორისკოებისა თუ ებრაელების საკითხი, ჰაბსბურგთა მონარქიის საწინააღმდეგოდ მიემართათ.

